www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრე პუშკინი

კაპიტანის ქალიშვილი

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრე პუშკინი

„კაპიტნის ქალიშვილი“

(I ვარიანტი)

პტიოსნებას გაუფრთხილდი სიყმაწვილიდან

ა ნ დ ა ზ ა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

გვარდიის სერჟანტი

გვარდიაში იქნებოდა ხვალვე იგი კაპიტანი.

- არაფერი საჭიროა, არმიაში იმსახუროს.

სწორედ კარგი ნათქვამია! დეე, ცოტა

შეახუროს. . .

. . . . . .

მამამისი რომელია?

კ ნ ი ა ჟ ნ ი ნ ი

მამაჩემი, ანდრეი პეტროვიჩ გრინოვი, სიყმაწვილეში გრაფ მინიხთან მსახურობდა და სამსახურიდან გამოვიდა პრემიერ-მაიორად 17. . . წელს. მას შემდეგ ცხოვრობდა სიმბირსკის სოფელში, სადაც ცოლად შეირთო იქაური ღარიბი აზნაურის ქალი ავდოტია ვასილევნა იუ. . . ცხრა შვილი ვყავდით დედ-მამას. ჩემი და-ძმები ბავშვობაში დაიხოცნენ.

მე კი ჩვენი ახლო ნათესავის, გვარდიის მაიორის, თავად ბ-ს მეოხებით დაბადებამდე სერჟანტად ვიქმენ ჩარიცხული სემიონოვის პოლკში.

თუ ვინიცობაა მოულოდნელად დადა ქალიშვილს დაბადებდა, მაშინ მამა გამოაცხადებდა, სადაც საჭირო იყო, ჯერ დაუბადბელი სერჟანტი სიკვდილის შესახებ და საქმე ამით დამთავრდებოდა.

სანამ სწავლას გავათავებდი, შვებულებაში ვითვლებოდი. იმ დროს ახლანდებურად როდი გვზრდიდნენ. ხუთი წლისა ჩვენს მეჯინიბეს, საველიჩს ჩამაბარეს. სიფხიზლე უყვარდა და გამდელობაც იმიტომ მიანდვეს. მეთორმეტეში ვიყავი, რომ მისი მეთვალყურეობით რუსული წერა-კითხვა შევისწავლე და შემეძლო ძალიან კარგად მელაპარაკა ხვადი მწევრის ნაკლსა და ღირსებაზე. იმავე ხანებში მამაჩემისათვის ფრანგი მუსიო ბოპრე დაიქირავა. ეს კაცი მან მოსკოვიდან გამოიწერა წლიური ღვინის მარაგთან და ზეითუნის ზეთთან ერთად. მისი ჩამოსვლა საველიჩს ძალზე არ ესიამოვნა. "მადლობა ღმერთს, - ბუზღუნებდა იგი თავისთვის, - მგონი რომ ბავშვი პირდაბანილია, დავარცნილია, დანაყრებული. რა საჭიროა ზედმეტი ფულების ხარჯვა და მუსიოს დაქირავება, თითქოს ჩვენი ხალხი არ მოგვეპოვებოდესო!"

ბოპრე თავის ქვეყანაში დალაქად მუშაობდა, შემდეგ პრუსიაში იყო ჯარისკაცად, მერე რუსეთში ჩამოვიდა pour etre outchitel[1], თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობა არცთუ ისე კარგად ესმოდა. კარგი კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტი ქარაფშუტა და ფუქსავატი. მისი უმთავრსი სისუსტე მშვენიერი სქესის სიყვარული იყო. თავისი ნაზი გრძნობებისათვის ხშირად მუჯლუგუნებიც უთავაზებიათ, რის შემდეგ მთელი დღეობით კვნესოდა და კრუსუნებდა ხოლმე. ამას გარდა (როგორც თვითონ _____

1 რომ მასწავლებელი გამხდარიყო (ფრანგ.)

იტყოდა) ბ ო თ ლ ი ს მ ტ ე რ ი ც იყო, ესე იგი (ჩვენებურად რომ ვთქვათ) ზედმეტის გადახუხვა უყვარდა. ჩვენთან კი სადილზე მხოლოდ თითო ჭიქას ჩამოატარებდნენ და მასწავლებელს არც კი აღირსებდნენ ხოლმე. ამიტომაც ჩემი ბოპრე ძალიან მალე მიეჩვია რუსულად გაოხდილ სასმელს და თავისი ქვეყნის

ღვინოებს ეს არჩია, რადგანაც კუჭისათვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნია. ჩვენ მალე შევუთვისდით ერთიმეორეს და თუმცა იმას ხელშეკრულების ძალით ჩემთვის ფრანგული ენა, გერმანული ენა და მეცნიერების ყველა დარგი უნდა ესწავლებინა, მაგრამ ამას არჩია, ჩემგან სახელდახელოდ რუსული ჟღურტული ესწავლა; და ამის შემდეგ ორთავენი ჩვენ-ჩვენი საქმით ვიყავით ხოლმე გართული. ერთმანეთს სულში ვიძვრენდით, უკეთეს მენტორს ვერც კი ვინატრებდი. მაგრამ ძალიან მალე ბედმა ერთიმეორეს დაგვაშორა და აი რატომ:

ჩვენი მრეცხავი პალაშკა, სქელი და ნაყვავილარი გოგო, და ბრუციანი მეძროხე აკულკა როგორღაც შეთანხმდნენ და ერთსა და იმავე დროს ფეხებში ჩაუვარდნენ დედაჩემს. გამოუტყდნენ თავიანთ შეცდომაში და ტირილით და ქვითინით უჩივლეს მუსიოს, - გამოუცდელები ვიყავით და შეგვაცდინაო. დედას ამისთანა საქმეში ხუმრობა არ უყვარდა და მამას შესჩივლა. მამაჩემმა კი ფიცხელი მსჯავრის დადება იცოდა. იმწამსვე დაიბარა თაღლითი ფრანგი. მოახსენეს, რომ მუსიო გაკვეთილს მიტარებდა. მამა ჩემი ოთახისაკენ წამოვიდა, ამ დროს ბოპრეს უმანკო ძილით ეძინა თავის საწოლში. მე კი ჩემი საქმით ვიყავი გართული. უნდა მოგახსენოთ, რომ მოსკოვიდან ჩემთვის გეროგრაფიული რუკა იყო

გამოწერილი. ის კედელზე ეკიდა, როგორ ყოვლად გამოუსადეგარი რამ. მე კი დიდი ხანია ამ რუკაზე თვალი მეჭირა, რადგან ქაღალდი კარგიც იყო და ძალზე ფართოც. გადავწყვიტე ფარანი გამეკეთებინა, ვისარგებლე იმით, რომ ბოპრეს ეძინა და საქმეს ხელი მივჰყავ. მამა სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც "კეთილი იმედის კონცხს" ხრალის კუდს ვაბამდი. გეოგრაფიაში ჩემი ასეთი მეცადინეობა რომ დაინახა მამაჩემმა, ყური მაგრად ამიწია, შემდეგ მივარდა ბოპრეს, ძალიან მოურიდებლად გააღვიძა და საყვედურები მიაყარა. აფორიაქებულ ბოპრეს უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა; უბედური ფრანგი ძალზე მთვრალი იყო.

მამამ საყელოში ჩაავლო ხელი, ტახტიდან წამოაყენა, გააგდო კარში და იმ დღესვე დაითხოვა სახლიდან, რამაც საველიჩს გამოუთქმელი სიხარული მოჰფინა. ამით დასრულდა ჩემი სწავლა-განათლება.

ვიზრდებოდი ტლუ ბიჭად. დავდევდი მტრედებს და ოთურმას გადავდიოდი შინაყმა ბიჭებთნ. ამასობაში თექვსმეტი წლისა შევსრულდი. აქ ბედი გამომეცვალა.

ერთხელ შემოდგომაზე დედაჩემი სასტუმრო ოთახში თაფლის მურაბას ადუღედა, ხოლო მე პირს ვილოკადი და ისე დავცქეროდი მდუღარე ქაფს. მამა ფანჯარასთან იჯდა და სახლის კარის კალენდარს კითხულობდა. რომელსაც ყოველწლიურად ღებულობდა. ამ წიგნს დიდი გავლენა ჰქონდა მასზე. ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით კითხულობდა მას და ეს წაკითხვა მუდამ უცნაურ ბრაზს ჰგვრიდა. დედამ ზეპირად იცოდა მამაჩემის ზნე-ჩვეულება და მუდამ ცდილობდა ეს უბედური წიგნი სადმე შორს გადაენახა. ასე, რომ მამა ზოგჯერ მთელი თვეობითაც სასახლის კარის კალენდარს თვალს ვერ მოჰკრავდა ხოლმე. მაგრამ სამაგიეროდ, როგორც კი მოიხელთებდა, მთელი საათობით ხელიდან აღარ უშვებდა. ჰოდა, მამაჩემი სასახლის კარის კალენდარს კითხულობდა, დროგამოშვებით მხრებს იწვდა და გაკვირვებული ამბობდა: "როგორ, გენერალ-პორუჩიკი?!. ეგ ხომ ჩემთან როგრაში სერჟანტი იყო!. . . რუსეთის ორთავე ორდენთა კავალერი! . . მერე დიდი ხანი ხომ არაა, რაც ჩვენ?. . . აქ მამამ კალენდარი სავარძელზე დაანარცხა და ღრმა ფიქრს მიეცა, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.

უეცრად დედას მიმართა:

- ავდოტია ვასილევნა, რამდენი წლის არის ახლა პეტრუშა?

- აი უკვე მეჩვიდმეტეში გადადგა, - უპასუხა დედამ, - პეტრუშა სწორედ იმ წელიწადს არის დაბადებული, როცა დიედა ნატალია გერასიმოვნას დამბლა დაეცა, როდესაც. . .

- კეთილი, - შეაწყვეტინა მამამ, - დროა სამსახურში შევიდეს. ეყოფა სამოახლოში სირბილი და სამტრედეებზე ძვრომა.

იმ აზრმა, რომ ჩემთან მალე უნდა განშორებულიყო, დედაჩემი ისე შეაძრწუნა, რომ კოვზი ქვაბში ჩაუვარდა და სახეზე ცრემლები გადმოედინა. სამაგიეროდ ჩემს აღტაცებს საზღვარი არ ჰქონდა. სამსახურთან ერთად თვალწინ მიდგებოდა თავისუფალი ცხოვრება და ათასგვარი სიამოვნება პეტერბურგში. ჩემი თავი გვარდიის ოფიცრად წარმოვიდგინე და ეს ხომ, ჩემი აზრით, ადამიანისათვის უზენაესი რამ სიკეთე იყო.

მამაჩემს არ უყარდა არც თავისი განზრახვის შეცვლა, არც მისი შესრულების გადადება. ჩემი წასვლის დღე დაინიშნა. წინადღით მამამ ჩემს მომავალ უფროსთან ბარათის მიწერა მოისურვა და საწერ-კალამი მოითხოვა.

- ანდრეი პეტროვიჩ, არ დაგავიწყდეს ჩემი მხრითაც მოიკითხო თავადი ბ. - უთხრა დედამ. - იმედი მაქვს, ჩემს პეტრუშას თქვენს მოწყალებას არ მოაკლებ-თქო.

ამაზე მამა მოიღუშა და უპასუხა:

- რა სისულელეა, რაში მჭირდება თავად ბ-სთან წერილის მიწერა?

- შენ არ თქვი, პეტრუშას უფროსს ბარათი უნდა მივწეროო?

- მერე რა?

- პეტრუშას უფროსი ხომ თავადი ბ. იქნება. პეტრუშა აკი სემიონოვის პოლკშია ჩარიცხული?

- რა ვუყოთ რომ ჩარიცხულია! მე რა მესაქმება? პეტრუშა პეტერბურგში არ წავა. რა უნდა ისწავლოს პეტერბურგში სამსახურით? ფლანგვა და დარდიმანდობა? არა, დეე, არმიაში იმსახუროს, სწიოს იქაური ჭაპანი, ტყვია-წამალის სუნი იყნოსოს, გახდეს ნამდვილი ჯარისკაცი და არა შამატონი. ჰმ, გვარდიაში ჩარიცხული! სად არის მაგის ბაშფორთი? მოიტა აქა.

ჩემი პასპორტი დედას ჩემი ნათლობის პერანგთან ერთად ყუთში ჰქონდა შენახული, მოძებნა და ათრთოლებული ხელით მამას გადასცა. მამამ ყურდღებით გადაიკითხა ეს ქაღალდი, წინ მაგიდაზე დაიდო და ბარათის წერას შეუდგა.

ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. თუ პეტერბურგს არა, მაშ სად მგზავნიან? თვალი არ მომიშორებია მამის კალმისათვის, რომელიც საკმაოდ ნელა იძვროდა. როგორც იყო, წერა დაასრულა, ბარათი და პასპორტი ერთ კონვერტში ჩადო, სათვალე მოიხსნა, დამიძახა და მითხრა:

- ამას მე ჩემს ძველ ამხანაგს და მეგობარს ანდრეი კირილოვიჩ რ. . . -ს ვუგზავნი. შენ ორენბურგში მიემგზავრები და მის ხელქვეით იმსახურებ.

ამგვარად, ყველა ჩემი ბრწყინვალე იმედი მიცრუვდებოდა! პეტერბურგის მხიარული ცხოვრების მაგივრად, სადღაც გადაკარგულ და ყრუ კუთხეში მოწყენილობა მომელოდა. ის სამსახური, რომელზედაც იმ ერთი წუთის წინ ასე აღტაცებით ვფიქრობდი, საშინელ, დიდ უბედურებად მივიჩნიე. მაგრამ რას ვიზამდი! გამოდავება არ შეიძლებოდა. მეორე დღეს, დილით კიბეს მოაყენეს სამგზავრო ეტლი; ჩამიწყეს შიგ ჩემოდანი, სკივრი ჩაის ჭურჭლით, ბოხჩაში გამოკრული ფუნთუშა პურები და ნამცხვრები, - ეს უკანასკნელი ნიშანი შინაური ნებივრობისა. მშობლებმა დამლოცეს. მამამ მითხრა: "მშვიდობით, პიოტრ. ერთგულად ემსახურე მას, ვისაც შეჰფიცავ; უფროსების გამგონე იყავ: მათი ალერსი ნუ გაგიტაცებს; სამსახურში ნუ შეეტმასნები, მაგრამ ნურც უარს იტყვი მასზე, თან გახსოვდეს ანდაზა: "ტანისამოსს გაუფრთხილდი მისი სიახლიდან, პატიოსნებას კი სიყმაწვილიდან". დედამ

ტირილით დამარიგა, რომ ჩემს ჯანმრთელობას გავფრთხილებოდი და საველიჩს კიდევ უბრძანა, ყრმას ყური უგდეო. ჩამაცვეს კურდღლების ჯუბა. ზედ კდიევ მელიის ქურქი. ჩავჯექი ეტლში საველიჩთან ერთად და მწარედ აქვითინებული გავუდექი გზას.

იმავე ღამეს ჩავედი სიმბირსკში, სადაც ერთი დღე უნდა დავრჩენილიყავი საყიდლებისათვის. ყიდვა საველიჩს ჰქონდა დავალებული. ტრაქტირში ჩამოვხტი. საველიჩი დილიდანვე წავიდა საყიდლებისთვის დუქნებში, მე კი მომწყინდა ფანჯრიდან ქუცის ჭუჭყიანი შესახვევის ცქერა და ოთახებში დაივწყე ხეტიალი. საბილიარდოში რომ შევედი, ერთი მაღალი მეზატონე დავინახე, ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, გრძელი, შავი ულვაშები ჰქონდა, ხალათი ეცვა, ხელში ბილიადის სათამაშო კი ეჭირა, კბილებში კიდევ ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი. მარკიორთან ბილიარდს თამაშობდა. თუ მარკიორი მოიგებდა, ერთ ჭიქა არაყს გადაკრავდა, და თუ წააგებდა, მაშინ ბილიარდის ქვეშ ოთხზე უნდა ეფოფხა. დავუწყე მათ თამაშს ცქერა. რაც უფრო მეტხანს გრძელდებოდა თამაში, იმდენად უფრო ხშირად დაფოფხავდა მარკიორი ბილიარდის ქვეშ და ბოლოს დარჩა კიდეც იქ. მეზატონემ თითქოს წესი აუგოოა, ერთი-ორი მაგრად შეუკურთხა და შემდეგ შემომთავაზა, რომ მე მეთამაშნა. რადგან თამაში არ ვიცოდი, უარი მოვახსენე. ეს კი, ეტყობოდა, გაუკვირდა და როგორღაც სიბრალულით გადმომხედა. მაგრამ მაინც ერთიმეორეს გამოველაპარაკეთ. გვიგე, რომ გვარად ზურანი იყო, ივან ივანოვიჩი, ჰუსართა. . . პოლკის როტისტრი. სიმბირსკში იმჟამად იმტიომ იმყოფებოდა, რომ გასაწვევი ჯარისკაცები მოეკრიფა. ისიც ტრაქტირში იყო ჩამომხტარი.

ზურინმა მთხოვა ერთად გვესადილა, ღვთის ნაწყალობევი რაც გააჩნდა იმით, სალდათურად. მე სიამოვნებით დავეთანხმე. მაგიდას მივუჯექით. ზურინი ბევრსა სვამდა და მეც მთავაზობდა, თან მეუბნეოდა, სამსახურს უნდა შეეჩვიოო, ბევრი ანეკდოტიც მიამბო არმიის ცხოვრებიდან, სიცილით თითქმის ვკოტრიალებდი. ერთი სიტყვით, სადილი რომ გავათავეთ, უკვე ნამდვილი მეგობრები ვიყავით. სადილის შემდეგ კი მოინდომა ჩემთვის ბილიარდი ესწავლებინა. "ჩვენისთანა სამსახურის კაცისათვის ამის ცოდნა აუცილებელიაო, - მეუბნეოდა, - ვთქვათ, ლაშქრობის დროს სადმე დაბაში მოხვდით. რა უნდა გააკეთოთ? სულ ხომ ურიების ცემა-ტყეპას არ მოუნოდები. ძალაუნებურად შეხვალ ტრაქტირში და ბილიარდის თამაშს დაიწყებ. ამიტომაც საჭიროა თამაში იცოდეო!" სრულიად დამაჯერა და მეც დიდის გულმოდგინებით შევუდექი სწავლას. ზურინმა ხმამაღლა ქება დამიწყო, უკვირდა, ასე მალე როგორ შევითვისე ბილიარდის თამაში. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ შემომთავაზა, რომ ფულზე გვეთამაშნა. თითო გროშზე მაინც, და ისიც მოგებისათვის კი არა, არამედ იმისთვის, რომ უფულოდ თამაში ყველაზე ცუდი ჩვეულებაა. მე ამაზეც დავეთანხმე, ზურინმა კი პუნში მოატანინა და მთხოვდა, მეც მესინჯა; თან გამიმეორა სამსახურს უნდა შეეჩვიოო; უპუნშოდ სამსახური, აბა, ვის ეკადრებაო! მეც დავუჯერე. ამასობაში თამაში გრძელდებოდა. რამდენიც მეტი გადავკარ, იმდენად უფრო გავთამამდი. ბილიარდის ბურთები კალაპოტიდან მიხტებოდნენ, ვფიცხობდი, მარკიორსა ვლანძღავდი, რადგან ერთმა ღმერთმა უწყის, როგორ ანგარიშობდა და ნათამაშევის ჯამს თანდათან ამრავლედა, ერთი სიტყვით, თავი ისე მეჭირა, როგორ თავაშვებულ ბიჭს. ამასობაში დრო შეუმჩნევლად გავიდა. ზურინმა საათს დახედა, ბილიარდის კი ჩამოდვა და გამომიხადა, ასი მანეთი გაქვს წაგებულიო. ამან ცოტა არ იყოს შემაკრთო, ჩემი ფული საველიჩს ჰქონდა ჩაბარებული.

ბოდიში მოვიხადე. ზურინმა შემაჩერა: "აბა, რასა ბრძანებთ! ნუ შეწუხდებით. მე შემიძლია დავიცადო კიდეც. მანამ კი აი, არინუშკასთან წავიდეთო!.

რას ვიზამდი! ეს დღე ისევე აბნეულად დავასრულე, როგორც დავიწყე. არინუშკასთან ვივახშმეთ. ზურინი წამდაუწუმ მისხამდა და მიმეორებდა, რომ სამსახურს შევჩვეოდი. ვახშმიდან რომ წამოვდექი, ფეხზე ძლივს ვიდექი; ნაშუაღამევი იყო, როცა ზურინმა ტრაქტირში მიმიყვანა.

საველიჩი კიბეზე დაგხვდა და როდესაც დაინახა სამსახურისადმი ჩემი ასეთი ერთგულება, შეხტა და შემოტრიალდა.

- ეს რა მოგსვლია, ბატონიშვილო, - აწუჭუნდა საწყალი, - ასე სად დამბალხარ? უი, ღმერთო, შენ კი დამიფარე! ეს რა ცოდვა მეკითხა, რა ღვთის რისხვაა ჩემს თავზე!

- გაჩუმდი, ბებერო! - შევუტიე ენის ბორძიკით. - გეტყობა, მთვრალი ხარ. . . წაეთერ, დაიძინე . . . და მეც მომასვენე.

მეორე დღეს გამოვიღვიძე თუ არა, თავის ტკივილი ამყვა და ყოველივე გუშინდელი ბუნდოვნად გამახსენდა. ამ დროს საველიჩი შემოვიდა, ფინჯნით ჩაი შემოიტანა და ფიქრი შემაწყვეტინა.

- ძალიან ადრე იწყებ, - მომმართა თავის ქნევით, - ადრე იწყებ დროს ტარებას, პიოტრ ანდრეიჩ. ან ვის დაემსგავსე? არც მამაშენი, არც პაპაშენი ლოთები არ ყოფილან. დედათქვენზე ხომ ენა ვის მოუტრიალდება! ბურახის გარდა დაბადებიდან პირში არა ჩაუშვია რა. მერე,ვინ არის დამნაშავე? სულ ის წყეული მუსიო. გაიხედავ და მირბის ანტიპიევნასთან: "მადამ, ჟე ვუ პრი1 ვოდქიუ!" ესეც შენი ჟე ვუ პრი! სწორედ კარგი რამ კი შეგასწავლა ძაღლის შვილმა. არა, რა საჭირო იყო მაგ ურჯულოს დაქირავება, თითქოს ბატონს ხალხი არ ეშოვებოდეს!

დარცხვენილი ვიყავი. პირი მივიბრუნე და ისე ვუთხარი: - მომშორდი, საველიჩ: არ მინდა ჩაი. - მაგრამ საველიჩი, რაკი ქადაგებას შეუდგებოდა, მისი შეჩერება უკვე ძნელი იყო.

- აი ხომ ხედავ, პიტრ ანდრეიჩ, რა ყოფილა სიმთვრალე. თავიც დამძიმებული გაქვს და მადაც წაგერთვა. მსმელი კაცი არაფერში არ არის გამოსადეგი. . . ახლა სჯობს, რომ კიტრის წნილის მარილწყალი მიირთვა თაფლით, ანდა უკეთესი იქნება, თუ ნახევარ ჭიქა გამონახადს მიირთმევ. დიდად გარგებს. არ ინანებ?

ამ დროს ბიჭი შემოვიდა და ი. ი ზურინისაგან წერილი მომიტანა. გავშალე და შემდეგი წავიკითხე:

"საყვარელო პიოტრ ანდრეიჩ, გეთაყვა, ჩემი ბიჭის ხელით გამომიგზავნე ასი მანეთი, გუშინ რომ ჩემთან წააგე. ძალიან მჭირდება ფული.

სამსახურად მზადმყოფი

ივან ზ უ რ ი ნ ი"

რა უნდა მექნა. თავი გულგრილად მოვაჩვენე და საველიჩს, რომელიც ჩემი ფულების, თეთრეულისა და საქმეების მეურნე იყო, ვუბრძანე ბიჭისათვის ასი მანეთი გადაეცა. "როგორ? რისთვის?" - მეკითხებოდა გაოცებული საველიჩი. "მმართებს", -რაც შემეძლო დიდი გულგრილობით ვუპასუხე. "გმართებს!" - თანდათან მეტი განცვიფრება იპყრობდა საველიჩს, მერე და როდის მოასწარ, ბატონო ჩემო, რომ მისი ვალი დაგდებოდა? აქ საქმე როგორღაც კარგად ვერ არის. როგორც გენებოს, ბატონო ჩემო, მაგრამ მე კი ფულს არ გავიღებ".

მაშინ კი გავიფიქრე - თუ ახლავე, ამ გადამწყეტ წუთს, ამ ჯიუტ მოხუცს არ ვაჯობე, შემდეგში დიდად გამიძნელდება მისი მზრუნველობისაგან თავი დავიხსნა-მეთქი. ამაყად გადავხედე და ვუთხარი: - მე შენი ბატონი ვარ და შენ ჩემი მსახური. ფულები ჩემია. წავაგე. წავაგე იმიტომ, რომ ასე მომეპრიანა. შენ კი გირჩევ ჭკუას ძალას ნუ ატან და ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებენ.

საველიჩი ისა განაცვიფრა ჩემმა სიტყვებმა, რომ ხელი ხელს შემოჰკრა და გაშეშდა.

- რას უდგეხარ! - დავუყვირე გაგულისებულმა. საველიჩმა ტირილი მორთო.

- ჩემო ბატონო, პიოტრ ანდრეიჩ, - აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან, - მწუხარებით ნუ მომკალ კაცი. ჩემო თვალის სინათლევ! გამიგონე მოხუცს. მისწერე იმ ავაზაკს იმას, როჯმ შენ იხუმრე, რომ ასეთი ფულები ჩვენ არც კი მოგვეძევება. ასი მანეთი! ღმერთო, შენ გვიშველე! უთხარ, რომ მშობლებმა დაბეჯითებით დაგაბარეს, კოჭაობის მეტი არაფერი ითამაშოო.

- კარგია, გეყოფა ტყუილები, - შევუტიე, - მოიტა აქ ფული, თორემ სულ კინწისკვრით გაგაგდებ.

საველიჩმა ღრმა მწუხარებით გადმომხედა და წავიდა ვალის გადასახდელად. შემეცოდა საბრალო მოხუცი, მაგრამ მე მინდოდა თვისუფლება მომეპოვებინა და დამემტკიცებინა, რომ უკვე ბავშვი აღარ ვარ. ზურინს ფული მიუტანეს. საველიჩი დაეშურა, რომ როგორმე გავეყვანა იმ წყეული ტრაქტირიდან. მოვიდა ჩემთან და მაცნობა, ცხენები მზად არისო. სიმბირსკიდან ისე წავედი, რომ ჩემს მასწავლებელს არ გამოვთხოვებივარ და არც მიფიქრია მას როდისმე შევხვედროდი. სინდისის ქენჯნას განვიცდიდი და გულში უსიტყვო სინანულს ვგრძნობდი.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

გ ა მ ძ ღ ო ლ ი

მხარეო, კარგო მხარეო!

უცნობო ჩემთვის არეო,

აქ როგორ მოვხვდი, ვით მოველ?

საიდან მოგიარეო?

ფეხით მოვედი, თუ ჩემმა

ცხენმა მომგვარა, განაო?. . .

არა, კი ვიცი, თუ რამაც

შენს კარზე მომიყვანაო:

მე მომიყვანა სიმხნევემ,

ყმაწვილის სიკისკასემა,

ახალგაზრდულმა სიფხიზლემ,

ბადიამ ღვინით სავსემა.

ძ ვ ე ლ ი ს ი მ ღ ე რ ა

ჩემი ფიქრები გზასი არ იყო მაინცდამაინც საამური. წანაგები იმ დროის მიხედვით, ცოტა არ იყო. არ შემეძლო ჩემს თავს არ გამოვტეხოდი, რომ სიმბირსკის ტრაქტირში სულელურად მოვიქეცი და საველიჩის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ყველაფერი ეს ძალიან მაწუხებდა. მოხუცი დაღვრემილი იჯდა კოფოზე, ჩემკენ არ იხედებოდა, ჩუმად იყო და მხოლოდ ხანდახან ამოიხვნეშებდა. აუცილებლად მინდოდა შევრიგებოდი, მხოლოდ არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. ბოლოს, როგორც იყო, ვუთხარი:

- კარგი ახლა, საველიჩ, შევრიგდეთ, კარგადა ვხედავ, რომ დამნაშავე ვარ. გუშინ მე ვიცუღლუტე, შენ კი ტყუილუბრალოდ შეურაცხყოფა მოგაყენე. პირობას ვდებ, რომ მომავალში უფრო გონიერი ვიყო და ყველაფერში შენ გაგიგონო. კარგია, ჰო, შევრიგდეთ.

- ეჰ, ჩემო ბატონო, პიოტრ ანდრეიჩ! - და ერთი მაგრად ამოიოხრა, - ჩემს თავზე მომდის გული: ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, როგორ მომივიდა, რომ ტრაქტირში მარტო დაგტოვე, მაგრამ რას იზამ! ეშმაკმა მაცდინა: დიაკვანის ცოლის ნახვა მოვისურვე, ჩემი ნათლიდედა გახლავთ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: თუ ინახულე სვინაო, მოხვდები სატუსაღოსა შინაო! უბედურება მომივიდა და ეგ არის! ახლა რაღა თვალით უნდა ვეჩვენო ჩემს ბატონებს! რას იტყვიან, როდესაც გაიგონებენ, რომ მათი შვილი კიდეც სვამს და კიდეცა თამაშობს.

საველიჩისათვის რომ ნუგეში მეცა, დავპირდი, მომავალში მასთან შეუთანხმებლად ერთი კაპიკიც აღარ დამეხარჯა, ისიც თანდათან დამშვიდდა, თუმცა ზოგჯერ მაინც ბუზღუნით და თავის ქნევით წამოიძახებდა:

- ასი მანეთი! ხუმრობა საქმე კი არ არის!

ვუახლოვდებოდი ჩემი სამსახურის ადგილს. ჩემს ირგვლივ გადაშლილი იყო სევდიანი უდაბნო აქა-იქ ამობურცული გორაკებითა და ჩაქანებული ხრამებით. ყველაფერი თოვლით

იყო დაფარული. მზე ჩადიოდა. ეტლი ვიწრო გზას მიჰყვებოდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გლეხის მარხილის ნაკვალევზე მიდიოდა. უეცრად მეეტლემ განზე დაიწყო ყურება, ხოლო შემდეგ მე მომმართა:

- ბატონო, უკან დაბრუნებას ხომ არ მიბძანებ?

- ეგ რაღად?

- ცუდი დროა, ძნელი სანდობია: ქარი თანდათან ძლიერდება, ხედავ, როგორ ატრიალებს ფიფქ თოვლს.

- მერე რა ვუყოთ!

- ეგერ ვერა ხედავ? (მეეტლემ აღმოსავლეთისაკენ გაიწოდა თავისი შოლტი).

- ვერაფერს ვხედავ გადათეთრებული ველისა და ნათელი ცის მეტს.

- ა, ეგერ, პაწია ღრუბელი.

მართლაც, ცის კიდურზე დავინახე თეთრი პატარა ღრუბელი, რომელიც პირველად გორაკი მეგონა. მეეტლემ ამიხსნა, ეს ღრუბელი ქარბუქის მომასწავებელი არისო.

იქაური ქარიშხლის ამბავი გაგონილი მქონდა და ვიცოდი, რომ ხშირად მთელი ქარავანიც მიუბუქავს. საველიჩიც მეეტლეს ეთანხმებოდა და დაბრუნებას მირჩევდა, მაგრამ ქარი ის ძლიერად არ მომეჩვენა; იმედიც მქონდა, შემდეგ სადგურზე დროით ჩავაღწევთმეთქი და ამიტომ ვუბრძანე სწრაფად წასულიყო.

მეეტლემ ცხენები გააქანა; მაგრამ სულ აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა. ცხენები მწყობრად გარბოდნენ. ქარი კი თანდათან ძლიერდბოდა. პაწია ქულა უზარმაზარ თეთრ ღრუბლად იქცა, რომელიც ნელ-ნელა ზევით იზიდებოდა, იშლებოდა და მთელ ცას ფარავდა. წვრილი თოვლი წამოვიდა, შემდეგ კი ბარდნა დაიწყო. ქარმა ღრიალი მორთო; ქარბუქი დაიწყო, ჩაბნელებული ცა ერთ წუთში თოვლის ზღვას გაუერთიანდა. თითქოს ყველაფერი გაქრა, მეეტლემ წამოიყვირა:

- აი, ბატონო, დავიღპეთ, ქარბუქია!

ეტლიდან გამოვიხედე: ყოველივე წყვდიადად და კორიანტელად ქცეულიყო. ქარი ისეთი მძვინვაებით ღმუოდა, რომ სულიერი გეგონებოდათ; თოვლმა სრულიად დაგვფარა მე და საველიჩი; ცხენები ნელი ნაბიჯით მიემართებოდნენ და მალე გაჩერდნენ.

- რას გაუჩერდი, რატომ არ მიდიხარ? - მოუთმენლად შვეკითხე მეეტლეს.

- აბა, საით წავიდე, - მიპასუხა მან და კოფოდან ჩამოვიდა. - ღმერთმა უწყის, სად შემოვეხეტეთ, გზა არ მოჩანს, ირგვლივ წყვდიადია.

მეეტლეს ლანძღვა დავუწყე, საველიჩი გამოესარჩლა:

- რატომ არ დაუჯერეთ. - გაბრაზებით ამბობდა იგი, - შევუხვევდით სადმე დასასვენებელ ადგილას, ჩაის მიირთმევდი, დილამდე გამოიძინებდი, ამასობაში ქარბუქიც ჩადგებოდა და

ჩვენს გზას განვაგრძოვბდით. ან კი საით მივეჩქარებით, ნეტა? ქორწილში სადმე მაინც მივდიოდეთ!

საველიჩი მართალი იყო. მაგრამ ახლა რაღა გაეწყობოდა თოვლი მოდიოდა და მოდიოდა. ეტლის გვერდით მთელი ბორცვი აიმართა. თავჩაღუნული იდგნენ ცხენები. დროგამოშვებით ტანი უძაგძაგებდათ. მეეტლე გარშემო უტრიალებდა და სხვა საქმე რომ არ ჰქონდა რა, მოსართავებს უსწორებდა. საველიჩი ბუზღუნებდა. მე ოთხივ კუთხე ვიხედებოდი, ეგებ სადმე შემემჩნია ან გზა, ან მახლობელი სოფლის რაიმე ნიშნაი, მაგრამ კორიანტელის გადა არა მოჩანდა რა. . . უეცრად რაღაც შავი წერტილი დავინახე.

- ეი, მეეტლევ! - დავუყვირე , - ხედავ; ეგერ რაღაც მოჩანს შავად!

მეეტლე ჩაუკვირდა, შემდეგ თავის ადგილას დაჯდა და ასე მითხრა:

- აბა, რა ვიცი, რა არის: ურემია, ურემს არა ჰგავს; ხეა, ხეს არა ჰგავს. ისე კი თითქოს იძვრის რაღაც, უთუოდ ან მგელია ან ადამიანი.

ვუბრძანე, რომ ამ უცნობი საგნისაკენ წასულიყო და სწორედ იმავე წამს ეს საგანიც ჩვენკენ დაიძრა, ორი წუთის შემდეგ ჩვენ წინ ვიღაცა კაცი იდგა.

- აბა, კაი კაცო, ერთი გვითხარი, გზა აქ საით არის? - შეეხმაურა ჩვენი მეეტლე.

უცნობმა უპასუხა:

- გზა ეს არის; მე სწორედ გზაზე ვდგავარ. მაგრამ მერე რა აზრი აქვს?

ახლე მე მივმართე:

- გლეხუჭა, გამიგონე! ამ მხარეს იცნობ თუ არა? იქნებ სადმე ღამის გასათევამდე მიმაცილო?

- მხარეს როგორ არ ვიცნობ. მადლობა ღმერთს, მთელი მისი სიგრძე-სიგანით შემოვლილი მაქვს. მაგრამ ხომ ხედავ, რა ამინდია: ადვილად შეიძლება გზა დაგვებნეს. სჯობს ისევ აქ შევიცადოთ, შეიძლება ქარბუქმა იკლოს და ცაც მოიწმინდოს, მაშინ ვარსკვლავებზე გზასაც მოვნახავთ.

მზავრის ასეთმა წყნარმა კილომ გამამხნევა. გადავწყვიტე ღვთის განგებას მივნდობოდი და ამ ტრიალ მინდორში გამეთია, მაგრამ უეცრად მგზავრი მარდად შეხტა კოფოზე და მეეტლეს მიმართა: "მადლობა ღმერთს. სოფელი ახლოს ყოფილა; მარჯვნივ გაუსვიე და გასწი!" - "რატომ უნდა წავიდე მარჯვნივ? - უკმაყოფილოდ შეუბრუნა მეეტლემ. - გზას სადა ხედავ? შენ რა გენაღვლება, არც ცხენებია შენი და არც მისი მოსართავი". - მეეტლე მართალი მომეჩვენა და მეც ასე მივმართე: "მართლაც და რათა ფიქრობ, რომ სოფელი ახლოსაა? - "იმიტომ, - მიპასუხა მგზავრმა, - რომ ქარმა წამოიქროლა იქიდან და კვამლის სუნი მეცა; მაშასადამე, სოფელი ახლოს ყოფილა".

მისმა ალღომ და გამჭრიახობამ გამაკვირვა. მეეტლეს ვუბრძანე დაძრულიყო, ცხენებს ფეხი ეფლობოდათ ღრმა თოვლში. ეტლი ნელა იძროდა - ხან მოზვინულ თოვლზე

შეკოლიკდებოდა, ხან ღრანტეებში ვარდებოდ, ხან ერთY მხარეზე იყო გადახრილი, ხან მეორეზე. ეს აღელვებულ ზღვაზე გემით ცურვას ჰგავდა. საველიჩი ხვნეშოდა და ოხრავდა, წამდაუწუმ ფერდზე მეტაკებოდა. მე ჭილოფი ჩამოვუშვი, ქურში გავეხვიე და ეტლის აკვანივით რწევას და ქარიშხლის სიმღერაზე ჩამთვლიმა.

ვნახე სიზმარი, რომელიც არასოდეს დამვიწყნია, და დღესაც, როდესაც კი გავიხსენებ მასთან დაკავშირებით ჩემი შემდეგი ცხოვრების უცნაურ ამბებს, იგი წინასწარმეტყველური მგონია. მკითხველი მომიტევებს, რადგანაც, ცხადია, მან გამოცდილებით იცის, რაც უნდა აგდებით ვუყურებდეთ ცრუმორწმუნეობას, მაინც ადმიანებს გვჩვევია, ზოგჯერ ავყვეთ მის გავლენას.

იმჟამად ისეთი სულიერი განწყობილება მქონდა, რომ ყოველი სინამდვილე გზას უთმობდა ოცნებას და ბურანის მკრთალ სახეობაში ერთიმეორესთან იყო შედუღებული. მეზმანა, თითქოს ქარიშხალი კვლავ მძვინვარებდა და ჩვენც ჯერ კიდევ თოვლიან უდაბნოში დავხეტიალობდით. . . უეცრად ჭიშკარი დავინახე და ჩვენ სამოსახლო ეზოში კი შევედი. პირველი, რამაც თავში გამირბინა, იყო შიში: მამაჩემი არ გამიწყრეს, რომ უნებლიეთ დავბრუნდი მშობლიურ სახლში და ურჩობად არ ჩამითვალოს-მეთქი. შეწუხებული გადმოვხტი ეტლიდან და დავინახე: დედა კიბეზე გამომეგება, მაგრამ სახეზე ღრმა მწუხარება ეწერა. "ჩუმად, - მითხრა დედამ, - მამა ავად არის, მომაკვდავია და სურს გამოგეთხოვოს". - შიშმა ამიტანა და საწოლ ოთახში შევყევი დედას. ვხედავ, ოთახი ოდნავ არის განათებული: საწოლთან დაღონებული ხალხი დგას. მეც ნელა მივდივარ ლოგინთან; დედამ ფარდის კალთა გადასწია და ეუბნება: "ანდრეი პეტროვიჩ, პეტრუშა ჩამოვიდა, შენი ავადმყოფობის გამო დაბრუნდა; დალოცე". მე დავიჩოქე და თვალები ავადმყოფს მივაპყარ. რას ვხედავ? მამაჩემის მაგივრად ვიღაც შავწვერა გლეხი დაწოლილა და მხიარულად შემომცქერის. გაკვირვებული მივუბრუნდი დედას და ვუთხარი: "ეს რა ამბავია? ეს მამა არ არის? ან ვიღაც გლეხს დალოცვა რაში უნდა გამოვთხოვო?" - "სულერთია, პეტრუშ, - მიბრძანა დედამ, - ეგ შენი მამობილია, ხელზე ეამბორე და დაგლოცავს". - არ ვეთანხმებოდი.

მაშინ გლეხი საწოლიდან წამოხტა, ზურაგს უკანიდან ნაჯახი ამოაძრო და აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი; ოთახი მკვდრების ლეშებით აივსო, მედებოდნენ ეს მკვდრები და ფეხი მათ სისხლში მისხლტებოდა. . . საშინელი გლეხი ალერსიანად მიყვიროდა: "ნუ გეშინია, ახლოს მოდი, დაგლოცავ". . . საშინელებამ და განცვიფრება მომიცვა, სწორედ ამ დროს გამომეღვიძა; ეტლი გაჩერებულიყო, საველიჩს ჩემზე ხელი ეკიდა და მეუბნებოდა:

- ჩამობრძანდი, ბატონო, მოვედით.

- სად მოვედით? - შევეკითხე თვალების სრესით.

- ტრაქტირში, - მიპასუხა საველიჩმა, - ღმერთი შეგეწია და პირდაპირ ღობეს წამოვედევით. მალე ჩამობრძანდი, ბატონიშვილო, და გათბი კარგად.

ეტლიდან ჩამოვედი. ქარბუქი გრძელდებოდა, მაგრამ ისე ძლიერი აღარ იყო. ისე კი ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ იტაკებდი. ტრაქტირის პატრონი ჭიშკარზე მოგვეგება,

სანათი კალათის ქვეშ ჰქონდა შემალული, პატარა, სუფთად დალაგებულ სანთიობოში შემიყვანა. კვარი ანათებდა. კედელზე შაშხანა და კაზაკური მაღალი ქუდი ეკიდა.

მასპინძელი იაიკელი კაზაკი გამოდგა, სამოც წელს მიღწეული, მაგრამ ჭარმაგი მოხუცი. საველიჩმა ჩვენი საჭურჭლე შემოიტანა, ჩაის მოსადუღEბლად ცეცხლი მოითხოვა. სწორედ მისწრება იყო. ჩაი ასე არასოდეს არა მნდომებია. მასპინძელი გავიდა სათადარიგოდ.

- გამძღოლი სად არის? - შევეკითხე საველიჩს.

- აქ გახლავარ, თქვენო კეთილშობილებავ, - მომესმა ზემოდან. ავხედე ღუმლის ტაროს და დავინახე შავი წვერი და ორი ანთებული თვალი.

- გაიყინე, ძმობილო?

- აბა, როგორ არ გავიყინებოდი ამ გაცვეთილ ჯუბაში! მქონდა ქურქი, მაგრამ, აბა რა დასამალია, საღამოთი მედუქნესთნ დავაგირავე: ყინვა ძლიერი არ მეჩვენებოდა.

ამ დროს მასპინძელმა ადუღებული სამოვარი შემოიტანა; ჩვენს გამძღოლს ფინჯანი ჩაი შევთავაზე, იგი ღუმლიდან ჩამოძვრა. მისი გარეგნობა მაშინვე თვალში მეცა, ორმოცი წლის თუ იქნებოდა, შუატანის, გამხდარი და მხარბეჭიანი. შავ წვერებში ჭაღარა შეჰპრვოდა. ცოცხალ, შავ დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სახის გამომეტყველება სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ იმავე დროს სიცუღლუტეც ახლდა, თმა მრგვალად ჰქონდა შემოკრეჭილი; ეცვა ჩამოფლეთილი ჯუბა და თათრული შარვალი. ფინჯნით ჩაი მივაწოდე, ერთი მოხვრიპა და წარბი შეიკრა.

- თქვენო კეთილშობილებავ, მოიღეთ მოწყალება და ერთი ჭიქა ღვინო დამალევინეთ. ჩაი ჩვენი, კაზაკური სასმელი როდი არის.

სიამოვნებით შევუსრულე სურვილი. მასპინძელმა განჯინიდან ერთი ხელადი და ჭიქა გამოიღო, მივიდა მასთან და სახეში ჩახედა: - ეჰე, ისევ ჩვენ მხარეში იმყოფები? რომელმა ქარმა მოგიტანა ?

ჩემმა გამძღოლმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი და სხაპასხუპით უთხრა:

- ბოსტანში შევფრინდი, კანაფის თესლი ავკენკე; ბებიამკენჭი მესროლა და ამაცდინა, ჩვენები როგორღა არიან?

მასპინძელმაც ამაზე ნართაულად უპასუხა:

- ჩვენებისა რა გითხრა? ის იყო მწუხრის ჩამორეკეს კიდეც, მაგრამ ხუცის ცოლი მეტად გაჯავარდა, - მღვდელი სახლში არ მეგულება და საყდარს ეშმაკები დაჰპატრონებიანო.

- ჩუმად იყავ, ძია, - კვლავ სიტყვა შეუბრუნა ჩემმა მაწანწალამ, - თუ წვიმა წამოვიდა, სოკოც ამოვა, ხოლო თუ სოკო ამოვიდა, კოჭობიც გაჩნდება. ახლა კი (და აქ ისევ ჩაუქნია თვალი) გაიჩარე წალდი წელში: მეტყევე მოდის. თქვენო კეთილშობილებავ! იდღეგრძელეთ! - ამ სიტყვებზე ჭიქა აიღო, პირჯვარი გადაიწერა და ამოუსუნთქვად დალია. შემდეგ თავი დამიკრა და ისევ ღუმელზე შეძვრა.

ამ ქურდული ლაპარაკიდან მაშინ მე ვერა გავიგე რა, მხოლოდ მივხვდი, რომ საქმე 1772 წლის შემდეგ ახლად ჩაქრობილ იაიკელ ჯარის ნაწილების აჯანყებას შეეხებოდა. საველიჩი უსმენდ ყოველივე ამას და ეტყობოდა, დიდად უკმაყოფილო იყო. ხან მასპინძელს მიაჩერდებოდა ეჭვის თვალით და ხან ჩვენ გამძღოლს. ჩვენი ტრაქტირი ანუ იმათებურად მანზილი, ტრიალ მინდორში იყო მოთავსებული, ყოველივე სოფელს მოშორებული და უფრო ყაჩაღების ბუნაგს წააგავდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო. იმჟამად არსად არ წაისვლებოდა, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. საველიჩის ასეთი შეშფოთება კი დიდად მართობდა. ამასობაში მეც დასაძინებლად გავემზადე და ძელსკამზე წამოვწექი. საველიჩი ღუმელზე შეძვრა; მასპინძელი იატაკზე დაწვა. ქოხში მალე ყველამ ხვრინვა ამოუშვა და მეც მკვდარივით დამეძინა.

დილით კარგა გვიან გამომეღვიძა. ქარიშხალი ჩამდგარიყო. მზე ბრწყინავდა. თვალუწვდენ უდაბნოს თვალისმომჭრელი ზეწარი გადაჰფენოდა. ცხენები უკვე შებმული იყო. მასპინძელს ნახარჯი გადავუხადე, მან ისე ცოტა გამოგვართვა, რომ საველიჩმაც კი ჩვეულებრისამებრ ჯიჯღინი არ დაუწყო. ასე რომ საველიჩს გუშინდელი მისი ეჭვი სრულიად გაუქარწყლდა. მე გამძღოლს დავუძახე. დახმარებისათვის მადლობა გადავუხადე და საველიჩს ვუბრძანე, მისთვის არყისთვის ათი შაური ეჩუქებინა. საველიჩი მოიღუშა.

"არყისთვის ათი შაური? რათა ვითომ? იმისთვის, რომ ტრაქტირამდე შენ თვითონ მოიყვანე? შენი ნებაა, ბატონო ჩემო, მაგრმა ჩვენ ზედმეტი ათი შაურები არ მოგვეპოვება. ყევლას რომ არყისთვის ფული ვაჩუქოთ, მალე ჩვენ თვითონ მოგვშივდება",

საველიჩთან კამათი აღარ შემეძლო, რადგან ჩემი დაპირებისამებრ ფულს სრულიად ის განაგებდა. მწყინდა კი, რომ არ შემეძლო მადლობა გადამეხადა იმ კაცისათვის, რომელმაც დიდ უბედურებას თუ არა, დიდ გაჭირვებას მაინც გადამარჩინა. - კარგი, - წამოვიძახე გულდამშვიდებით, - თუ ათი შაურის მოცემა არ გინდა, ჩემი ტანისამოსიდან გამოურჩიე რამე. ძალიან ცუდად არის ჩაცმული. მიეცი ჩემი კურდღლის ჯუბა.

- აბა, რას ბრძანებ, პიოტრ ანდრეიჩ, რა მაგის საქმეა თქენი კურდღლის ჯუბა? ეგ ძაღლი, ეგა, პირველსავე დუქანში ღვინოში გაყიდის მაგ თქვენს ჯუბას.

- ეგ, მოხუცო, შენ რა გენაღვლება, - ჩამოგვერია მაწანწალა, - ღვინოში გავყიდი თუ როგორც მოვიხმარ, აბა რა შენი საქმეა, მისმა კეთილშობილებამ საკუთარი ქურქი მიწყალობა, ეს მისი ნებაა, ბატონი ის არის, შენ კი მისი შინაყმა ხარ, მისი მხლებელი და შენი ვალია, ბრძანება შეუსრულო და სიტყვა არ შეუბრუნო.

- ღვთისა არ გეშინია, შე ავაზაკო შენა! - გაჯავრებით მიმართა საველიჩმა. - ხედავ, რომ ჯერ ბალღია და კარგად ვერ ერკვევა, შენ კი გაგეხარდა და გინდა გაძარცვო ეს გულუბრყვილო ჭაბუკი. რაში გამოგადგება შენ ბატონის ჯუბა? მაგ წყეულ მხრებზედაც კი არ ჩამოგეტევა.

- ახლა ჭკუსი დარიგებას კი ნუ მოჰყვები, - შევუძახე ჩემს გამდელს, - ახლავე ჯუბა აქ მოიტა.

- უფალო და მეუფეო! - ამოიხვნეშა ჩემმა საველიჩმა. - კურდღლის ჯუბა ხომ სულ ახალთახალია! ხეირიანი ვინმე მაინც იყოს! ლოთია და სალახანა!

მაგრმ ჯუბა მაინც მოიტანა. გლეხმა მაშინვე გასინჯა. ჯუბა, რომელშიც მე ვეღარ ვეტეოდი. მართლაც ვიწრო იყო მისთვის. ბოლოს მაწანწალამ მოახერხა და ჩაიცვა, მაგრამ ნაკერი აქა-იქ გაარღვია. ნაკერავის ფხრიწინ-ფხრიწინი რომ მოესმა, საველიჩი კინაღამ აღმუვლდა. მაწანწალა კი, ეტყობოდა, მადლიერი იყო ჩემი საჩუქრისა. ეტლამდე მიმაცილა და დაბლა თავდახრით ასე მომმართა.

- დიდი მადლობელი ვარ, თქვნო კეთილშობილეავ! სიკეთისათვის ღმერთმა გიზღოთ. საუკუნოდ არ დამავიწყდება თქვენი წყალობა.

ის თავის გზაზე წავიდა და მეც ჩემი გზა განვაგრძე. საველიჩის ბუზღუნისათვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და ძალიან მალე დამავიწყდა გუშინდელი ქარბუქიც, ჩემი გამძღოლიც და კურდღლის ჯუბაც.

ორენბურგში ჩასვლისთანავე გენერალთან გამოვხადდი. მაღალი კაცი იყო, მხოლოდ სიბერეს ცოტა წელში მოეხარა. გრძელი თმა სრულიად გაჭაღარავებული ჰქონდა. ძველი გამოხუნებული მუნდირი ანა იოანოვნას დროინდელ მხედარს მოგაგონებდათ და გამოთქმასაც დიდად ეტყობოდა გერმანელი იერი. მამაჩემის ბარათი მივართვი. მამის სახელის გაგონებაზე თავი ჩემკენ მოიბრუნა და შემომხედა.

- ღმერთო ჩემო, განა დიდი ხანია მას აქეთ, რაც თვით ანდრეი პატროვიჩი შენხელა იყო, ახლა კი შეხეთ უკვე როგორი ვაჟკაცი ჰყოლია! ეჰ, დრონი, დრონი! - ბარათი გახსნა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, თან ალაგ-ალაგ თავის შენიშვნები ჩაურთო: "მოწყალეო ხელმწიფევ, ივან კირილოვიჩ, იმედი მაქვს, რომ თქვენს აღმატებულებას". . . ეს კიდევ რაღა ცერემონიაა? უჰ, როგორ არა რცხვენია! რასაკვირველია, დისციპლინა პირველი საქმეა, მაგრამ ძველი კამრადს[1] განა სწერენ?. . . "თქვენს აღმატებულებას არ დავიწყნია". . . ჰმ. . . "და აგრეთვე. . . კაროლინკა". . . ეე,

---

1 ამხანაგი (გერმან.)

ბრუდერ! კიდევ ახსოვს ჩვენი ბავშვობის სიცელქე! "ახლა საქმეზე. . . გიგზავნით ჩემს გაუხედნელს". . . ჰმ. . . "და გთხოვთ იყოლიოთ ხუნდებში". რას ნიშნავს "იყოლიოთ ხუნდებში". აჰა, ეს უთუოდ რუსული ანდაზაა! რა არის "იყოლიოთ ხუნდებში"? გაიმეორა მან და მე მომიბრუნდა.

მე შევეცადე, რაც შეიძლება გულუბრყვილო გამომეტყველება მიმეცა სახისათვის და ვუპასუხე:

- ეს იმას ნიშნავს, რომ ალერსიანად მომეპყროთ, სიმკაცრე შეანელოთ, თავისუფლება მომანიჭოთ, ხუნდებში მიყოლიოთ.

"ჰმ. . . მესმის. . ."და თავის ნებაზე არ მიუშვათ". . . არა, არა, ეტყობა, რომ "ხუნდებში იყოლიოთ" სულ სხვა რასმე ნიშნავს. . . "ამასთანავე . . . ბაშფორთი". . . მერმე სად არის? აჰა, აგერ. . . "გადმორიცხულ იქნას სემიონოვის პოლკიდან". . . კარგი, ზალიან კარგი. ყველაფერი შესრულებული იქნება. . . "ახლა ნება მიბოძე ყოველგვარი ხარისხისა და მდგომარეობის მიუხედავდა გადაგეხვიო, როგორც. . . ძველ ამხანაგსა და მეგობარს". - აჰა! ძლივს არ მიხვდა. . . და სხვა და სხვა. . . გაათავა როგორც იყო ბარათის კითხვა და ჩემი პასპორტიც განზე გადადო. - ყველაფერი შესრულებული იქნება: შენ ჩაირიცხები ოფიცრად***-ს პოლკში და, დრო რომ არ დაკარგო, ხვალვე წახვალ ბელოგორის ციხეში, სადაც იმსახურებ ყოვლად პატიოსანი და კეთილი კაცის, კაპიტან მირონოვის ხელქვეითად, იქ შეისწავლი დისციპლინას და ჩაებმები ნამდვილ სამსახურში. ორენბურგში არაფერი საქმე არა გაქვს: უქმად ყოფნა ახალგაზრდა კაცისათვის მავნებელია. დღეს კი გთხოვ ჩემთან ისადილო".

ჩემი საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა! აბა, რ გამიკეთა იმან, რომ თითქმის დედის საშოში გვარდიის სერჟანტად ვიყავ ჩარიცხული-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, აბა, სად მიმიყვანა?***-ს პოლკში, სადღაც მიყრუებულ ციხე-სიმაგრეში, ყირგიზ-ყაისის ტრამალების საზღვარზე. . .

ანდრეი კირილოვიჩთან სადილზე მხოლოდ სამნი ვიყავით: ის, მე და მისი მოხუცი ადიუტანტნი. სუფრას გერმანული მომჭირნეობა ეტყობოდა, და მე მგონია, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ჩემი ასე სწრაფად თავიდან მოშორებისა ისიც იყო, რომ შეეშინდა მარტოხელას სუფრაზე ზედმეტი სტუმარი არა ჰყოლოდა ხოლმე. მეორე დღეს გამოვეთხოვე გენერალს და დანიშნულების ადგილისაკენ გავწიე.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ც ი ხ ე - ს ი მ ა გ რ ე

ჩვენა ვცხოვრობთ ციხეში

პურსა ვჭამთ, წყალს ვაყოლებთ;

მტრები თუ თავს დაგვესხნენ -

არაერს გავაყოლებთ!

მოვულხენთ და ვეტყვით ბანს:

გავტენით ჩვენ ზარაზანს.

ს ა ლ დ ა თ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

ძველი ხალხი გახლავთ, ბატონო ჩემო.

"ნ ე დ ო რ ო ს ლ ი"

ბელოგორის ციხე-სიმაგრე ორენბურგიდან ორმოცი ვერსის მანძილზე იყო. მისკენ გზა იაიკის დაქანებულ ნაპირს მიჰყვებოდა. მდინარე ჯერ კიდევ არ იყო გაყინული და მისი ტყვიისფერი ტალღები თეთრი თოვლით დაფარულ ეთფეროვან ნაპირებში სევდიანად გამოიყურებოდნენ. ამ კიდეებს მოჰყვებოდა ყირგიზეთის ტრამალი. ნაღვლიანმა ფიქრებმა მომიცვა, გარნიზონის ცხოვრება ნაკლებად მიტაცებდა. კაპიტანი მორონოვი, ჩემი მომავალი უფროსი, ისე მყავდა წარმოდგენილი, როგორ მკაცრი, ბრაზიანი მოხუცი, რომელსაც თავისი სამსახურის გარდა არაფერი სწამდა და რომელიც მზად იყო. სულ უბრალო რამისათვის დავეტუსაღებინე და ხმელ პურსა და წყალზე დავეტოვებინე. ამასობაში შებინდდა. რაც შეიძლებოდა ჩქარა მივდიოდით. "შორს არის კდიევ ციხე?" - შევეკითხე მეეტლეს, "არა, - მიპასუხა, - შორს აღარ არის, აგერ, მოჩანს კიდეც". - ვიხედებოდი ირგვლივ, მოველოდი, რომ დავინახავდი მრისხანე ცხიე-სიმაგრეს, აყუდებულ კოშკებს, ღრმა თხრილებს, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ვერ დავინახე. მოჩანდა მხოლოდ უბრალო, პაწია სოფელი, რომელიც ირგვლივ ხის მესრით იყო შემოღობილი. ეთი მხრით თივის სამი თუ ოთხი ზვინი იდგა,

ნახევარზე თოვლით დაფარული, მეორე მხრით - განზე გადაზნექილი ქარის წისქვილი, უბრალო ფრთებით, რომლებიც იმჟამად ზარმაცად იყვნენ ჩამოშვებულნი. "სიმაგრე სადღა არის?" - ვკითხე გაკვირვებულმა. "აი აგერ",- მიპასუხა მეეტლემ, მიმითითა სოფელზე და ამ სიტყვებთან ერთად შევედით კიდეც სოფელში. ჭიშკართან ზველი თუჯის ზარბაზანი დავინახე. ქუჩები მრუდე და ვიწრო იყო, ქოხები დაბალი და უფრო ხშირად ჩალით დახურული. ვუბრძანე, რომ კომენდატთან მივეყვანეთ. ერთი წუთის შემდეგ ეტლი შეჩერდა ერთ ხის სახლთან, რომელიც მაღლობზე იყო წამომდგარი ხისავე ეკლესიის გვერდით.

არავინ არ გამომეგება. ავედი კიბეზე და დერეფნის კარი შევაღე, მაგიდაზე მოხუცი ინვალიდი იჯდა და მწვანე მუნდირის სახელოს იდაყვთან ლურჯ ნაჭერს აკერებდა. ვუბრძანე, რომ მოეხსენებინა ჩემი მისვლა.

- მიბრძანდი, გეთაყვა, - მიპასუხა ინვალიდმა, - ჩვენები ყველანი შინ არიან!

შევედი. ძველებურად მორთული სუფთა ოთახი იყო. კუთხეში კარადა იდგა ჭურჭლით; კედელზე ჩარჩოში ჩასმული ოფიცრის დიპლომი ეკიდა და ზედ მინა ჰქონდა გაკეთებული; მის გვერდით უბრალო, მდაბიური სურათები ამკობდნენ კედელს. სურათებზე გამოსახული იყო კისტრინის და ოჩაკოვის აღება და აგრეთვე სარძლოს არჩევანი და კატის დასაფლაება. ფანჯარასთან ქათიბიანი, მარნდილთავწაკრული მოხუცი ქალი იჯდა. ძაფს ახვევდა. ძაფი კი ხელებზე ჰქონდა გადაბლანდული ერთ ცალთვალა ბერიკაცს, რომელიც ოფიცრის მუნდირში იყო გამოწყობილი. ქალს თავისი ხელსაქმე არ შეუწყვეტია, ისე შემეკითხა: "რა გნებავთ, ბატონო ჩემო". ვუპასუხე, რომ სამსახურში ვარ ჩამოსული და მოვალეობის გამო გამოვხადდი ჩემი უფროსის, კაპიტანის წინაშე-მეთქი; ის-ის იყო ვაპირებდი ცალთვალა ბერიკაცისათვის მიმემართნა, რადგანაც კაპიტანი ის მეგონა, მაგრამ დიასახლისმა არ დამაცალა გაზეპირებული სიტყვის წარმოთქმა:

- ივან კუზმიჩი ამჟამად შინ არ არის. მამა გერასიმესთან წავიდა სტუმრად, მაგრმ მაინც სულერთია, დიასახლისი მე ვარ აქა, გთხოვთ მიცნობდეთ და მოკეთედ მიგულოთ. დაბრძანდით, ჩემო ბატონო.

მოსამსახურე გოგონ მოიხმო და უბრძანა, რომ ურიადნიკისათვის დაეძახა. ბერიკაცი თავის ცალი თვალით ცნობისმოყვარეობით მსინჯავდა. შემდეგ მომმართა: "ნებას ვაძლევ ჩემს თავს, რომ შეგეკითხოთ - რომელ პოლკში მსახურობდით?" დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა. ის კი განაგრძობდა: "ახლა ეს მიბრძანეთ, რად ინებეთ, რომ გვარდიიდან გარნიზონში გადმოხვედით?" ვუპასუხე, რომ ჩემმა უფროსებმა ასე მოისურვეს-მეთქი. შემკითხველი მაინც არ ისვენებდა: "ალბათ გვარდიის ოფიცრისათვის შეუფერებელი საქციელის გამო". მაგრამ კაპიტანის მეუღლე შემოსწყრა:

- კარგი, გეყოფა ლაყბობა, ვერა ხედავ, ყმაწვილი კაცი ნამგზავრია, დაღლილი, რა შენი თავი აქვს. . . (ხელებგი სწორად დაიჭირე. . .) შენ კი, ბატონო ჩემო, - ახლა მე მომმართა, - ნუ ინაღვლებ, რომ ასეთ მიყრუებულ ადგილას გიკრეს თავი. პირველი შენ არა ხარ და უკანასკნელიც შენ არ იქნები. შეეჩვევი, შეგიყვარდება, აგერ შვაბრინი, ალექსი ივანიჩი, მეხუთე წელიწადია, რაც კაცის მკვლელობისათვის ჩვენთნ გადმოიყვანეს. ღმერთმა იცის, რა ცოდვა აუდუღდა. წარმოიდგინე, ერთ ვიღაც პორუჩიკს ქალაქგარეთ გაჰყოლია, ხმლები

წაუღიათ და ერთიმეორისათვის უტაკებიათ. ალექსეი ივანიჩს სასიკვდილოდ დაუკოდნია კიდეც საბრალო პორუჩიკი და ისიც ისე, რომ ორი მოწმეც დაუსწვრიათ! რას იზამ? ცოდვას თავისი ოსტატი არ ჰყავს.

ამ დროს ოთახში ურიადნიკი შემოვიდა, ახალგაზრდა, წამოსადეგი კაზაკი, კაპიტნის მეუღლემ მაშინვე მიმართა:

- აბა, მაქსიმიჩ, ბატონ ოფიცერს უშოვნე ბინა, იცოდე სუფთა იყოს.

- მესმის, ვასილა ეგოროვნა, - უპასუხა ურიადნიკმა - ივან პოლეჟაევთან დავაყენებ მის კეთილშობილებას.

- ნუ ჩერჩეტობ, ივან პოლეჟაევთან ისედაც ვიწროდ არიან. ჩემი ნათლიმამაა და ახსოვს კარგად, რომ ჩვენ მისი უფროსები ვართ, - შემოსწყრა კაპიტნის მეუღლე, - წაიყვანე ბატონი ოფიცერი, თქვენი სახელი და მამის სახელი, ბატონო ჩემო? პიოტრ ანდრეიჩი, წაიყვანე პიოტრ ანდრეიჩი სემიონ კუზოვთან. მართალია, გაიძვერაა, თავისი ცხენი ჩემს ბოსტანში შემოუშვა, მაგრამ. . . სხვა, მაქსიმიჩ, ხომ ყოველივე რიგზეა?

- მადლობა ღმერთს, სიწყნარეა, - უპასუხა კაზაკმა, - მხოლოდ კაპრალი პროხოროვი აბანოში ერთი თუნგი ცხელი წყლის გულისათვის უსტინა ნეგულინას წაეჩხუბა.

- ივან იგნატიჩ! - მიმართა კაპიტნის მეუღლემ ცალთვალა ბერიკაცს, - პროხოროვისა და უსტინას საქმე შენ გაარჩიე; ნახე, რომელია მტყუანი, რომელი მართალი და ორთავენი დასაჯე. ახლა კი, მაქსიმიჩ, გასწი, ღმერთი იყოს შენი შემწე. პიოტრ ანდრეიჩ, მაქსიმიჩი გაგაცილებთ თქვენს ბინაზე.

თავი დავუკარი და წამოვედი. ურიადნიკმა მიმიყვანა მდინარის ნაპირას, მაღლობზე წამომდგარ ქოხში, ციხე-სიმაგრის სულ განაპირა ალაგას. ნახევარი ქოხი სემიონ კუზოვის ოჯახს ეჭირა, ნახევარი კი მე დამითმეს. ეს ნახევარი წამოადგენდა ერთ საკმაოდ სუფთა სანთიობს, რომელიც შუაზე იყო გადატიხრული. საველიჩი მაშინვე დაფაცურდა და დალაგებას შეუდგა, მე კი ვიწრო სარკმელში დავიწყე ყურება. ჩემ წინ გადაშლილიყო სევდიანი უდაბნო. განზე რამდენიმე ქოხმახი იდგა; ქუჩაზე რამდნეიმე ქათამი დაყიალობდა. ვიღაც მოხუცი ქალი გობით ხელში კიბეზე გადმომდგარიყო და ღორებს ეძახდა. ღორებიც ამ ძახილს შეწყობილი ღრუტუნით ეგებებოდნენ. აი სად ვიყავი გადმოგდებული, რა ადგილას უნდა გამეტარებინა ჩემი ახალგაზრდობა. გულს კაეშანი მოაწვა. სარკმელს ჩამოვშორდი და უვახშმოდ დავწექი. ბევრი მეხვეწაქ საველიჩი, ბევრიც იკრუსუნა: "უფალო და მეუფეო, შენ შემეწიე, არაფრის მირტმევა არ ინება! რას იტყვის ქალბატონი, თუ ბავშვი ავად გამიხდაო".

მეორე დღეს დილით, ის იყო ტანთ ვიცვამდი, რომ ჩემთნ შემოვიდა ახალგაზრდა ოფიცერი. არცთუ მაღალი ტანის. შავგვრემანი კაცი იყო და ძალზე ულამაზოც, მხოლოდ ძალიან ცოცხალი სახე კი ჰქონდა. ფრანგულად მომმართა: "მომიტევეთ, რომ უცერემონიოდ მოვედი თქვენს გასაცნობად. გუშინ გავიგე თქვენი ჩამოსვლა და მეც ისე მომინდა ცოცხალი და ახალი ადამიანის სახის დანახვა, რომ ვერ მოვითმინე. აქ რომ ცოტა ხანს დაჰყოფთ, თქვან ამას გაიგებთ. მივხვდი, რომ ეს ის ოფიცერი იყო, რომნელიც გვარდიიდან დუელის გამო იყო დათხოვნილი. გამვეცნაურეთ ერთიმეორეს. შავბრინი სრულიადაც არ იყო უჭკუო კაცი. მისი

საუბარი ენამახვილიც იყო და გამრთობიც. ძალიან მოსწრებულად ამიწერა კომენდატის ოჯახი, საზოგადოება, რომელიც კონმენდატის სახლში იკრიბებოდა, და საერთოდ ის კუთხე, საცა ბედმა მომახვედრა. მე გულიანად ვიცინოდი. სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ის ინვალიდი, რომელი კომენდატის დერეფანში მუნდირს ასუფთავებდა და ვასილისა ეგოროვნას სახელით სადილაე დამპატიჯა. შვაბრინმა მოისურვა ერთად წავსულიყავით.

როდესაც კომენდატის სახლშ მივუახლოვდით, მოედანზე ოციოდე დაბერებული ინვალიდი დავინახეთ. ყველას უკან ნაწნავი ჰქონდა და სამკუთხიანი ქუდი ეხურა. ერთ რიგზე იყვნენ გამწკრივებულნი. მათ წინ თვითონ კომენდატი იდგა, ჭარმაგი, მხნე მოხუცი, მაღალი ტანისა. თავზე ჩაჩი ეხურა და ტანზე კიდევ ჩინური ხალათი ეცვა. დაგვინახა თუ არა, ჩვენთნა მოვიდა, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა და ისევ მეცადინეობას შეუდგა. ჩვენ შევჩერდით და ვარჯიშობას ცქერა დავუწყეთ, მაგრამ გვთხოვა ვასილისა ეგოროვნასთან წავსულიყავით და დაგვპირდა, რომ თვითონაც მალე მოვიდოდა. "აქ კი, - დაუმატა, -თქვენი საყურებელი არაფერია".

ვასილისა ეგოროვნამ ძალიან უბრალოდ და გულღიად მიგვიღო. ისე მომეპყრო, თითქოს მთელი ჩვენი დღენი ერთიმეორეს ნაცნობები ვყოფილიყავით. ინვალიდი და პალაშკა სუფრას შლიდნენ. "რა ამბავია, დღეს ძალიან იგვიანებს, - წარმოთქვა კაპიტანის მეუღლემ. - პალაშკა, დაუძახე ბატონი ისადილოს. მაშა სადღაა?"

ამ დროს შემოვიდა ასე თორმეტი წლის ქალიშვილი, პირმრგვალი, თეთრ-ყირმიზი, ქერათმიანი, თმა ყურებზე ჰქონდა გადავარცხნილი, ყურები აწითლებული. პირველ შეხვედრაზე ბევრად არაფრად მომეწონა. მე მის შესახვედრად მომზადებული ვიყავი, რადგანაც შვაბრინმა ამიწერა, თუ როგორი სულელი ასება იყო კაპიტანის ქალიშვილი. მარია ივანოვნა მიჯდა კუთხეში და საკერავს მოჰკიდა ხელი. ამასობაში შჩი შემოიტანეს. როცა ვასილისა ეგოროვნამ დაინახა, რომ ქმარი კიდევ არ იყო მოსული, პალაშკა ხელახლა გაგზანვა მის დასაძახებლად:

- ბატონს მოახსენე, რომ სტუმრები უცდიან და შჩიც გაცივდება: მადლობა ღმერთს, სწავლას და ვარჯიშობას ვერსად გაექცევა: მოასწრებს, რომ ყვირილით გული იჯეროს.

ამის სემდეგ კაპიტანიც მალე მოვიდ და თან მოიყოლა ცალთვალა ბერიკაცი.

- რა ამბავია, ივან კუზმიც, - უთხრა ცოლმა, - რამდენი ხანია სადილი მოტანილია, შენ კი ვერაფრით ვერ გაგაგონეთ.

- გესმის თუ არა შენ, ვასილისა ეგოროვნა, - უპასუხა ივან კუზმიჩმა, - მოუცლელი ვიყავი, ჯარისკაცებს ვასწავლიდი.

- კარგი, გეყოფა! - შეუბრუნა მეუღლემ, - მხოლოდ სახელი გაგივარდა, თითქოს ასწავლიდე, თორემ აქამდე ვერც ისინი ჩახვდნენ მაგ სწავლას და შენც მაგისი არაფერი გაგეგება. შინ რომ იჯდე და ლოცულობდე, ის გირჩევნია. აბა, ძვირფასო სტუმრებო, ახლა კი გთხოვთ.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

სადილს მივუსხედით. ვასილისა ეგოროვნას ერთი წუთითაც ყბა არ გაუჩერებია, სულ მე მეკითხებოდა, ვინ არიან შენი მშობლები, ცოცხლები არიან თუ არა, სად ცხოვრობენ, რა შეძლების პატრონი არიანო? გაიგო თუ არა, რომ მამაჩემს სამასი სული ყმა ჰყავდა, - ადვილად კი ითქმისო! - წარმოთქვა. - კიდევ მოიპოვება ქვეყნად ასეთი მდიდარი ხალხი! ჩვენ კი, ბატონო ჩემო, ერთადერთი სული გვყავს, ჩვენი გოგო პალაშკა, და მადლობა ღმერთს, ვცხოვრობთ ნელა-ნელა. მხოლოდ აი უბედურება: მაშა უკვე გასათხოვარი ქალია და აბა, რა მზითევი უნდა ჰქონდეს? ერთი წმინდა სავარცხელი, ერთი ცოცხი და ერთიც ორშაურიანი (ღმერთო, შენ შემეწიე!), რომ აანოში იბანაოს. კიდევ კარგი, თუ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდა; თორემ, შენი მტერი! მთელი თავისი დღენი ქალწულად უნდა დამჟავდეს.

გადავხედე მარია ივანოვნას; სრულიად გაწითლებულიყო და ორიოდე ცრემლიც კი დაეცა მის თეფშზე. შემეცოდა და დავეშურე, რომ საუბარი სხვა საგანზე გადამეტანა, ამისათვის დავიწყე და სრულიად შეუსაბამო რამე ვთქვი: "მე გავიგონე, რომ ამ თქვენ ციხე-სიმაგრეზე ბაშკირელები თავდასხმას აპირებენ". - "ეგ ვინ მოგახსენათ?" - შემეკითხა ივან კუზმიჩი. - "ორენბურგში მითხრეს" - ვუთხარი მე.

- ო, ეგ არაფერია! - წარმოთქვა კომენდატმა, - ჩვენთან ამაზე დიდი ხანია არა ისმის-რა. ბაშკირელები დაშინებული ხალხია და ყირგიზელებს კიდევ ჩვენ კარგა ვასწავლეთ ჭკუა. ტყუილია, ვერაფერს გაბედავენ. გაბედავენ და ისეთს დავცხებ, რომ ერთი ათი წლით მაინც ჩავაჩუმებ.

- თქვენ კი არ გეშინიათ, - ახლა კაპიტნის მეუღლეს მივმართე. - არ გეშინიათ იყვეთ იმ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ხიფათი მოელის?

- მიჩვეული ვარ, - მიპასუხა. - ოცი წლის წინათ პოლკიდან აქ გადმომიყვანეს და ღმერთმა უწყის, როგორ მეშინოდა ყველა ამ წყეული ურჯულოსი! დავინახავდი თუ არა მატ ფოცხვერის ქუდებს და გავიგონებდი თუ არა მათ ჭყივილს, დაიჯერებთ, გული მებინდებოდა! ახლა კი ისე ვარ შეჩვეული, რომ ადგილიდანაც არ დავიძვრები. თუნდა მოვიდნენ და მითხრან, რომ ეს ავსულები ამ ჩვენი სიმაგრის გარშემო დატანტალებენო.

- ვასილისა ეგოროვნა მეტად გულადი ქალია, - შენიშნა შვაბრინმა, - ივან კუზმიჩი ამას დაადასტურებს.

- ჰო, გესმის, - წარმოთქვა ივან კუზმიჩმა, - უშიშარი დედაკაცია.

- მარია ივანოვნა? თქვენ? თქვენც ეგეთივე გულადი ბრძანდებით, როგორც დედათქენი? - შევეკითხე მე.

ჩემ კითხვაზე დედამ გამცა პასუხი:

- მაშა და გულადი? არა, მაშა მხდალია. აქამდე თოფის სროლის ხმას ვერ იტანს. სულ ერთიან ათრთოლედა ხოლმე. ამ ორი წლის წინათ ჩემს დღეობაზე ივან კუზმიჩმა ზარბაზანი რამდენჯერმე გაასროლინა და ჩემი გვრიტუნია შიშისაგან კინაღამ ამ სოფლეს გამოეთხოვა. ამის შემდეგ აღარ ვისვრით იმ წყეულ ზარბაზანს.

სუფრიდან წამოვიშალეთ. კაპიტანი და მისი მეუღლე დასაძინებლად წავიდნენ: მე კი შვაბრინს გავყევი და მთელი საღამო მასთან გავატარე.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

დ უ ე ლ ი

მაშ ინებე, დადექ პოზიტურაში,

ვით განგგმირავ, ნახავ, მაგ ფიგურაში.

კ ნ ი ა ჟ ნ ი ნ ი

გავიდა რამდენიმე კვირა და ბელოგორის ციხე-სიმგარეში ყოფნა ჩემთვის არამც თუ ასატანი, საამურიც კი შეიქმნა. კომენდატის სახლში ისე ვიყავი მიღებული, როგორც ღვიძლი ნათესავი. ცოლ-ქმარი მეტაედ საპატიო ხალხი იყო. ივან კუზმიჩი წარმოშობით სალდათის ოჯახიდან იყო, ოფიცრობა ჰქონდა მიღებული და, მართალია, გაუნათლებელი და უბრალო კაცი იყო, მაგრამ მეტად პატიოსანი და კეთილი. ცოლი, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა და ეს სწორედ შეჰფეროდა მის დაუდევრობას. ვასილისა ეგოროვნა სამსახურის საქმეებსაც ისე უყურებდა, როგორადაც საშინაო, საოჯახო საქმეებს და ციხე-სიმაგრესაც ისევე განაგებდა, როგორადაც საკუთარ ოჯახს. მარია ივანოვნაც წინანდებურად აღარ მიფრთხოდა. ჩვენ ერთიმეორე გავიცანით. აღმოვაჩინე, რომ ის მეტად კეთილოგნიერი და მგრძნობიარე ქალიშვილი იყო. შეუმჩნევლად შევეჩვიე ამ კეთილ ოჯახს და თვით ივან იგნატიჩსაც, გარნიზონის ამ ცალთვალა პორუჩიკს, რომელზედაც შვაბრინი ჭორაობდა, მას ვასილისა ეგოროვნასთნ უწესო კავშირი აქვს დაჭერილიო, რაიცა ოდნავადაც არ შეეფერებოდა სიმართლეს. მაგრამ შავბრინს ამის დარდი არა ჰქონდა.

მე ოფიცრის ხარისხი მომანიჭეს. სამსახური არ მამძიმებდა. ამ დალოცვილს ციცხე-სიმაგრეში არც აღლუმები იყო, არც სწავლა, არც დარაჯობა. კომენდატი თავისი სურვილისამებრ ხანდახან ასწავლიდა თავის ჯარისკაცებს, მაგრამ იმდენი კიდევ ვერ მოეხერხებინა, რომ ყველას სცოდნოდა - რომელი მხარეა მარჯვენა და რომელი მარცხენა. შვაბრინს რამდენიმე ფრანგული წიგნი ჰქონდა. შევუდექი იმათ კითხვას და დამებადა სიყვარული ლიტერატურისადმი. დილით ვკითხულობდი, ვვარჯიშობდი თარგმანებში და ხანდახან ვთხზავდი ლექსებს. სადილად თითქმის ყოველდღე კომენდატისას ვიყავი და

დანარჩენ დღესაც იქ ვატარებდი. ზოგჯერ საღამოობით კაპიტანთან მღვდელი გერასიმე მოდიდოა თავისი მეუღლით აკულინა პამფილოვნათი. ეს ქალი მთელს იმ არემარეში პირველ მაუწყებლად და მოამბედ ითვლებოდა. შვაბრინს ხომ ყოველდღე ვხდევადი, მაგრამ თანდათან მისი საუბარი ჩემთვის უსიამოვნო გახდა. მუდმივი მისი ოხუნჯობა კაპიტანის ოჯახის შესახებ არ მიამებოდა, განსაკუთრებიტ მისი გესლიანი შენიშვნები მარია ივანოვნაზე. სხვა საზოგადოება იქ არ იყო, მაგრამ მე სხვა არც მინდოდა.

მიუხედავად წინასწარმეტყველებისა, ბაშკირელები, ეტყობოდა, აჯანყებას არ აპირებდნენ. სრული სიწყნარე სუფევდა ჩვენი ციხე-სიმაგრის გარშემო. მაგრამ ეს სიწყნარე უეცრად დაირღვა შინაური განხეთქილების გამო.

მე უკვე ვთქვი, ლიტერატურაში ვვარჯიშობდი-მეთქი. ჩემი გამოცდილება იმ დროს უკვე თვალსაჩინო იყო და რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი მაშინდელი ნაწარმოები ძლიერ შეაქო ალექსანდრე პეტროვიჩ სუმარკოვმა. ერთხელ ერთი სასიმღერო ლექსი დავწერე, რომელიც ძლიერ მომეწონა. ცნობილია, რომ მწერლებს ზოგჯერ სურთ იყოლიონ კეთილგანწყობილი მსმენელები და მოისმინონ მათი რჩევა-დარიგება. მეც გადავწერე ჩემი ლექსი და წავუღე შვაბრინს, რადგანაც ამ არე-მარეზე ის ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც მოშაირის შეფასება შეეძლო. პატარა წინასიტყვაობის შემდეგ ჯიბიდან ამოვიღე ჩემი რვეული და წავუკითხე შემდეგი ლექსი:

ვანადგურებდი აზრსა ტრფობისას,

დავიწყებასა სატრფოს ვცდილობდი,

და ოჰ, მაშასთან განრიდებული,

თავისუფლადა ჩემ თავს ვგონებდი.

მაგრამ თვალები, რომელთ დამიპყრეს

თვალწინ მიდგანან წამითი წამად.

მათ შემიშფოთეს სულის მშვიდობა

და მოსვენება ჩემს გასაწამად.

გაიგე, მაშა, რა ფათერაკსაც

მე შევემთხვიე შენგან ვნებული,

მომხედე ტანჯულს და შემიბრალე

შენი ტრფობითა დატყვევებული.

- აბა, როგორია? - შევეკითხე შვაბრინს და მოველოდი, რომ მისგან ქებას მივიღებდი, რადგანაც მეგონა, რომ აუცილებლად ქების ღირსი ვიყავ. მაგრამ, ჩემდა გასაკვირველად და

საწყენად, შვაბრინმა, რომელიც ჩვეულებრივ შემწყნარებელი იყო, პირდაპირ გადაჭრით გამომიცხადა, რომ ლექსი არ ვარგაო.

- რატომ? - შევეკითხე და ვეცადე, რომ წყენა დამემალა.

- იმისთვის, - მიპასუხა მან, რომ ასეთი ლექსები ჩემს მასწავლებელს ვასილ კირილიჩ ტრედიაკოვსკის უფრო შეეფერება და ძალიანაც მაგონებს მის სასიყვარულო ტაეპებს.

აქ აიღო ჩემი რვეული და დაუნდობლად გაარჩია ყოველი ლექსი, ყოველი სიტყვა და მეტად გესლიანად სასაცილოდ ამიგდო. ვეღარ მოვითმინე, რვეული ხელიდან გამოვგლიჯე და გამოვუცხადე, რომ ამიერიდან ჩემს ნაწერებს არ გიჩვენებ-მეთქი. "კარგი, ვნახოთ, - მითხრა შვაბრინმა, - ვნახოთ, შენს სიტყვას როგორ დაიცავ: მოლექსეებს მსმენელი სჭირდება ისე, როგორც ივან კუზმიჩს სადილობის წინ ერთი გრაფინი არაყი. ანდა ვინ არის ეს მაშა. შენ რომ ასეთი ნაზი გრძნობით ელოლიავები და სიყვარულს უცხადებ? მარია ივანოვნა ხომ არ არის?"

- ეგ შენი საქმე არ არის, - ვუპასუხე და მოვიღუშე. - ვინც უნდა იყოს ეს მაშა, შენ არ გეკითხება. არც შენი აზრი მჭირდება და არც შენი გამოცნობა?

- ოჰო! თავმოყვარე მოშაირე და თავმდაბალი შეყვარებული! - განაგრძო შვაბრინმა და თანდათან გამაღიზიანა. - მხოლოდ ისმინე ჩემი მეგობრული რჩევა: შენ თუ გინდა მაშასთან რასმე გახდე, ლექსებით როდი უნდა მოქმედებდე.

- რას ნიშნავს ეს, ბატონო? ინებე და ამიხსენი ახლავე.

- სიამოვნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გინდა მაშა მირონოვნამ შებინდებისას შენთან იაროს, ნაზი ლექსების მაგივრად, სჯობს საყურეები აჩუქო.

სისხლი ამემღვრა. თავს ძლივს ვიკავებდი.

- შენ რად ხარ იმაზე ასეთი აზრისა?

- იმიტომ, რომ გამოცდილებით ვიცი მისი ზნე და ჩვეულება, - და თან ამ სიტყვებს ჯოჯოხეთური ღიმილი დაატანა.ლ

- ცრუობ, შე საზიზღარო, შენა! - შევყვირე გაბრაზებულმა. - უნამუსოდ ცრუობ და არც კი გრცხვენია!

შვაბრინი სახეზე შეიცვალა, ხელი ხელზე მომიჭირა და მითხრა.

- ეს კი ასე არ ჩაგივლის. თქვენ ამისათვის სატისფაქციას მომცემთ.

- ინებე, როცა გნებავს! - სიხარულით შევძახე მე. იმ წუთას მზად ვიყავი შუაზე გამეგლიჯა.

იმწამსვე ივან იგნატოვიჩთან გავწიე და შევუსწარი, რომ კაპიტანის მეუღლის დავალებით ძაფგაყრილი ნემსით სოკოებს აცვამდა ზამთრისათვის გასახმობად.

- ა, პიოტრ ანდრეიჩ! მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! რა ქარმა მოგიტანათ? რა საქმისათვის? - მეკითხებოდა ივან იგნატიჩი.

მოკლედ ავუხსენი. მე ალექსეი ივანიჩს წავეკიდე და ახლა იმისათვის ვარ მოსული, რომ სეკუნდანტად გამომყვე-მეთქი. ივან იგნატიჩმა თავისი ერთადერთი თვალი მომაშტერა და გულმოდგინედ მომისმინა.

- თქვენა ბრძანეთ, რომ გნებავთ ალექსეი ივანიჩი მოკლათ, განგმიროთ და მე ამას მოწმედ დავესწრო? ნება მიბოძეთ გკითხოთ?

- დიახ, სწორედ ასეა.

- აბა, რას ბრძანებთ, პიტორ ანდრეიჩ! ეს რა გიფიქრიათ! თქვენა და ალექსეი ივანიჩი ერთიმეორეს წაეკიდეთ˜ მერე რა˜ დიდი ამბავი მომხდარა! საგინებელ სიტყვებს ქარი წაიღებს. მან შეურაცხგყოთ, თქვენ კიდევ გალანძღეთ, შეაგინეთ. იმან სახეში გაგარტყათ, თქვენ ყვრიმალში უთავაზეთ ორჯერ, სამჯერ და შემდეგ გაიყარენით. ჩვენ კი შეგარიგებთ. თორემ, ერთი მიბრძანეთ, აბა რა საკადრისია, რომ მოჰკლა მოყვასი შენი? კიდევ კარგი, თუ თქვენ მოჰკალით, ჯანდაბას მისი თავი; არცთუ ისე მომწონს ეგ კაცი. მაგრამ ერთიც ვნახოთ და დამარცხდეთ? ეს რას ემგვანება? ვინ იქნება მაშინ ბრიყვი და სულელი? ნება მიბოძეთ გკითხოთ?

გონიერი პორუჩიკის მოსაზღებებმა გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინეს.

- როგორ გნებავთ, - მითხრა მაშინ ივან იგნატიჩმა, - მოიქეცით ისე, როგორც თქვენი სურვილია, მაგრამ მოწმე რაღასი გჭირდებათ, რა შუაშია? ხალხი ერთიმეორეს ეჩხუბება, მერე რა, არ მინახავს თუ? მადლობა ღმერთს, შვეიცელებთანაც მიომნია და თურქებთანაც, ყველაფერი მინახავს.

რამდენადაც შემეძლო, ავუხსენი სეკუდნტანტის მოვალეობა, მაგრამ ივან იგნატიჩმა ვერაფერით ვერ გამიგო.

- თქვენი ნებაა, - მითხრა მან. - მაგრამ თუ მე ამ საქმეში ჩავერიე, ჩემი ჩარევა ის იქნება, რომ წავალ და სამსახურის მოვალეობის გამო მოვახსენებ ივან კუზმიჩს, რომ ფორტეციაში ხაზინის ინტერესების საწინააღმდეგო ბოროტმოქმედება მზადდება და კეთილ ინებებთ თუ არა სათანადო ზომები მიიღოთ-მეთქი. . .

ამის შემეშინდა და ივან იგნატიჩს ვთხოვე, კომენდატისათვის არაფერი ეთქვა. ძლივს დავითანხმე, სიტყვა მომცა და მეც თავი მივანებე.

საღამო ჩვეულებისამებრ კომენდატთან გავატარე. ვცდილობდი მხიარული და უდარდელი მოვჩვენებოდი, რომ არავითარი ეჭვი არ აღმეძრა და მომაბეზრებელი შეკითხვებისათვი თავი ამერიდებინა, მაგრამ, გამოვტყდები, ისე გულგრილი მაინც ვე ვიყავი, როგორც ზოგიერთი ჩემ მდგომარეობაში მყოფი იკვეხის ხოლმე. ამ საღამოს მე უფრო ალერსი და მოფერება მწყუროდა. მარია ივანოვნაც ჩვეულებრივზე უფრო მომწონდა. გულში ვფიქრობდი, შეიძლება უკანასკნელადაც ვხედავ-მეთქი, და ეს ფიქრი მას ჩემ თვალში კიდევ

უფრო მეტ სინაზეს აძლევდა. შვაბრინიც იქ მოვიდა. განზე გავიყვანე და გადავეცი ჩემი საუბარი ივან იგნატიჩთან.

- რა საჭიროა სეკუნდანტები? - უგულოდ მითხრა შვაბრინმა, - უიმისოდაც იოლად წავალთ.

ერთიმეორე შევიპირეთ, რომ თივის ზვინების გადაღმა შევხდებოდით მეორე დღის დილით შვიდ საათზე. ჩვენ, როგორც ეტყობოდა, ისე მეგობრულად ვსაუბრობდით, რომ ივან იგნატიჩმა სიხარულით წამოაყრანტალა.:

- ესე არა სჯობს! უხეირო მშვიდობა სჯობს ხეირიან ჩხუბსა, თუ პატივს არა, ჯან-ღონეს მაინც შეინარჩუნებ.

- რაო, რაო, ივან იგნატიჩ?- ყური ცქვიტა კომენდატის მეუღლემ, რომელიც კუთხეში იჯდა და ქაღალდით მარჩიელობდა: - ვერ გავიგონე.

ივან იგნატიჩმა შეამჩნია, რომ მე უკმაყოფილო ვიყავი, გაახსენდა თავისი დაპირება და შერცხვა, არ იცოდა, რა ეპასუხნა. შავბრინმა გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან. იმან თქვა:

- ივან იგნატიჩს მოსწონს, რომ შევრიგდით.

- ვისთან იყავით წაჩხუბებული?

- მე და პიოტრ ანდრეიჩი კარგა შევლაპარაკდით ამას წინათ.

- რადაო, ვითომ?

- სულ უბრალო რამეზე, ვასილა ეგოროვნა, ერთ პაწია ლექსზე.

- თქვენც მოგინახავთ საჩხუბარი! ლექსზე! . . . ეს როგორ მოგივიდათ?

- ის, პიოტრ ანდრეიჩმა ამას წინათ ერთი სასიმღერო ლექსი გამოთქვა და მიმღერა, მე კი ჩემი საყვარელი სიმღერა შემოვძახე:

შენ კაპიტნის ქალო,

ღამე ნუ დახვალო.

ამაზე ავიშალენით, პიოტრ ანდრეიჩი გაბრაზდა, მაგრამ შემდეგში დარწმუნდა, რომ ყველას შეუძლია ის იმღეროს, რაც მოესურვება. ამითი დასრულდა ყოველივე.

შვაბრინის უნამუსობამ კინაღამ ამაფეთქა, მაგრამ მისი ტლანქი ნართაული სიტყვები ჩემს მეტს არავის გაუგია, ყოველ შემთხვევაში, ყურადღება არავის მიუქცევია. სიმღერიდან საუბარი ლექსის მწერლებზე გადავიდა და კომენდატმა შენიშნა, საერთოდ მოლექსეები დაღუპული ხალხია, თავაღებული ლოთებიო და მეგობრულად მირჩევდა ხელი ამეღო ლექსების წერაზე: არც შენს სამსახურს შეეფერება, კარგსაც არაფერს გიქადისო.

შვაბრინის აქ ყოფნა ვერ ამეტანა, მეხამუშებოდა. ჩქარა გამოვეთხოვე კომენტადტსა და მის ოჯახს. მივედი სახლში, ხმალი დავათვალიერე, წვერი გავუსინჯე და დასაძინებლად დავწექი. თან ვუბრძანე საველიჩს, შვიდი საათი რომ დაიწყებოდა, გავეღვიძებინე.

მეორე დღეს დანისნულ დროზე უკვე ვიდექი თივის ზვინებს იქით და მოწინააღმდეგეს ველოდებოდი. მალე ისიც მოვიდა.

- შეიძლება მოგვისწრონ, ავჩქარდეთ, - მითხრა მან.

გავიხადეთ მუნდირები. მარტო კამზოლებში დავრჩით და ხმლები ვიშიშვლეთ. სწორედ ამ დროს ზვინის უკანიდან ივან იგნატიჩი და ერთი ხუთიოდე ინვალიდი გამოჩნდა. მან მოგვთხოვა, კომენდატთნ წავყოლოდით. გულდაწვეყტილები დავემორჩილეთ; ჯარისკაცები შემოგვერტყნენ და ჩვენც ივან იგნატიჩს გავყევით. ივან იგნატიჩი გამარჯვებულივით წინ მიგვიძღოდა. შევედით კომენდანტის სახლში. ივან იგნატიჩმა კარი შეაღო თუ არა, მაშინვე დიდი ამბით გამოაცხადა:

- მოვიყვანე!

ჩვენ მოგვეგება ვასილა ეგოროვნა.

- აბა, ეს რასა ჰგავს, როგორ გეკადრებათ! როგორ? რაო? ჩვენ ციხე-სიმაგრეში კაცის მკვლელობა უნდა მოხდეს? ივან კუზმიჩ, ახლავე დაატუსაღე ორთავენი. პიოტრ ანდრეიჩ! ალექსეი ივანიჩ! მოიტათ აქ თქვენი ხმლები, მოიტათ, მოიტათ. პლაშკა, ეს ხმლები საკუჭნაოში წაიღე. პიოტრ ანდრეიჩ! ამას შენგან სწორედ რომ არ მოველოდი. როგორ არ გრცხვენია? ალექსეი ივანიჩის ქცევა კიდევ გასაგებია. სული წაიწყმიდა და ამისთვის გვარდიიდან გამორიცხეს, მაგას ღმერთიც კი არა სწამს; შენ კი რა, გინდა მაგას გაუთოლდე?

ივან კუზმიჩი თავის მეუღლეს სრულიად ეთანხმებოდა და კვერს უკრავდა:

- ხომ გესმით, ვასილისა ეგოროვნა მართალს ლაპარაკობს. დუელი სამხედრო არტიკულის ძალით ფორმალურად აკრძაულია.

ამასობაში პალაშკამ ხმლები ჩამოგვართვა და საკუჭნაოში წაიღო. მე სიცილი ვერ შევიკავე. შვაბრინს კი სახე არ გახსნია და დიასახლისს გულგრილად მიმართა:

- დიდად პატივსა გცემთ, მაგრამ არ შემიძლია არ შეგნიშნოთ, რომ ტყუილუბრალოდ იწუხებთ თავს. ჩვენი განსჯა თქვენ არ გეკითხებათ. ივან კუზმიჩს დაანებეთ, ეგ იმის საქმეა.

- აბა, რას ამბობთ, რასა - უპასუხა კომენდატის მეუღლემ, - განა ქმარი და ცოლი ერთსულ და ერთხორც არ არიან? ივან კუზმიჩ! აბა, გულს ხელი რას დაგიკრეფია? ორივე ახლავე საკანში დაამწყვდიე ხმელ პურსა და წყალზე, ცალ-ცალკე, რომ თავიდან ეგ სისულელე გამოიბერტყონ; მამა გერასიმეაც ეპიტიმია დაადოს, რომ ღმერთს მოტევება გამოსთხოვა და ადამიანთა წინაშე თავიანთი ცოდვები მოინანიონ.

ივაკნ კუზმიჩმა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. მარია ივანოვნას ადამიანის ფერი არ ედავა. ნელ-ნელა ქარიშხალი ჩადგა; კომენდატის მეუღლე დამშვიდდა და ერთმანეთი

გადაგვაკოცნინა. პალაშკამ ხმლები მოგვიტანა. კომენდატის სახლიდან თითქოს შერიგებულები გამოვედით. ივან იგნატიჩი გამოგვყვა. გაგულისებულმა მივმართე:

- როგორ არა გრცხვენიათ, რომ ჯაშუშობა გაგვიწიეთ და ისიც მას შემდეგ, რაც მე სიტყვა ჩამოგართვით, რომ კომენდატისათვის არაფერი გაგემხილათ.

- ღმერთია მოწამე, ივან კუზმიჩისათვის არაფერი მითქვამს, - თავს იმართლებდა მოხუცი, - ვაისილისა ეგოროვნამ გამომტყუა და კომენდატისათვის არც შეუტყობინებია, თვითონ მიიღო ზომები. თუმცა მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე გათავდა. - ესა თქვა და შინისაკენ შეუხვია. მე და შვაბრინი კი მარტო დავრჩით. - ჩვენი საქმე ასე ვერ გათავდება- მეთქი, ვუთხარი შვაბრინს.

- რასაკვირველია, - მიპასუხა, - თქვენ თქვენი სისხლით უნდა გამცეთ პასუხი თქვენი თავხედობისათვის; მხოლოდ ჩვენ უთუოდ თვალყურს დევნებას დაგვიწყებენ და საჭიროა, რამდენიმე დღით თავი შევიკავოთ. ნახვამდის! - და ჩვენ ორთავენი ერთიმეორეს ისე გავშორდით, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყოს.

მე კომენდანტისასა დავბრუნდი და ჩვეულებისამებრ მარია ივანოვნას მივუჯექი გვერდით. ივან კუზმიჩი სახლში არ იყო. ვასილიას ეგოროვნა მეოჯახეობდა. ჩვენ ხმადაბლა ვსაუბრობდით. მარია ივანოვნა ნაზად მისაყვედურებდა, რომ მე და შვაბრინის წაჩხუბებამ ყველას ასეთი მწუხარება მიაყენა.

- მე კინაღამ სულთქმა შემეკრა, როდესაც გავიგე, რომ თქვენ შვაბრინს ხმალში უნდა გაჰყოლოდით. რა უცნაურები ხართ ეს მამაკაცები, ერთი უბრალო სიტყვისათვის, რომელსაც უთუოდ ერთი კვირის შემდეგ დაივიწყებთ კიდეც, მზადა ხართ არამც თუ თქვენი სიცოცხლე გასწიროთ, არამედ იმათი კეთილდღეობა და ნამუსიც, ვინც. . . მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, წაჩხუბების მიზეზი თქვენ არ იქნებოდით. ცხადია, ალექსეი ივანიჩი იქნებოდა დამნაშავე.

- ეგრე რადა ფიქრობთ, მარია ივანოვნა?

- იმიტომ, რომ. . . ის ისეთი მქირდავია, სხვისი გაკილვა უყვარს! მე არ მიყვარს ალექსეი ივანიჩი: მეზიზღება კიდეც და უცნაურია. . . არაფრის გულისათვის არ მინდა, რომ იმასაც არ მოვწონდე. ეს მე ძალიან შემაშფოთებდა.

- თქვენ კი, როგორა ფიქრობთ, მარია ივანოვნა, მოსწონხართ?

მარია ივანოვნას თქმა გაუჭირდა და გაწითლდა. . .

- მე მგონია, - წარმოთქვა, - მე მგონაი, მოვწონვარ.

- რად გგონიათ?

- იმიტომ, რომ ჩემი შერთვა უნდოდა.

- შეერთვა უნდოდა? თქვენი შერთვა? როდის?

- შარშან. ორი თვით ადრე თქვენს ჩამოსვლამდე.

- მერმე, არ გაჰყევით?

- როგორც ხედავთ. ალექსეი ივანიჩი, რასაკვირველია, ჭკვიანი კაცია, კარგი გვარიშვილიც არის და შეძლების პატრონიცაა, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ, რომ ჯვარისწერის დროს საჯაროდ უნდა გადავკოცნო . . . არ შემიძლია! ამას ვერ ვიზამ! არაფერის გულსიათვის!

მარია ივანოვნას სიტყვებმა თვალი ამხილა და ბევრი რამ გამაგებინა. მივხვდი, ასე გაჯიუტებით რად ლანძღავდა და ავად იხსენიებდა შავბრინი მარია ივანოვნას. უთუოდ ჩვენს ერთიმეორისადმი მისწრაფებას კარგად ამჩნევდა და უნდოდა დავშორებულიყავით. ის სიტყვები, რომლებმაც ჩვენი წაჩხუბება გამოიწვია, ახლა კიდევ უფრო უხიაგად მომეჩვენა, რადგან დავრწმუნდი, რომ ეს მარტო ტლანქი და უხამსი გაკილვა კი არ იყო, არამედ წინასწარ მოფიქრებული ცილისწამება. თავხედი და ბოროტი ენის პატრონის დასჯა კიდევ უფრო მომინდა და მოუთმენლად ველოდებოდი მოხერხებულ შემთხვევას.

ლოდინი დიდხანს არ დამჭირდა. მეორე დღეს, როდესაც მე ელეგიას ვუჯექი და რითმის მოლოდინში კალმისტარს ვღრღნიდი, შვაბრინმა ფანჯარაზე დამიკაკუნა. მაშინვე ხელი ვუშვი კალამს, ხმალი ავიღე და მასთან გავედი.

- რას ველოდბით, - მითხრა შვაბრინმა, - ჩვენ არ გვითვალთვალებენ, ჩავიდეთ მდინარესთან, იქ არავინ შეგვიშვლის ხელს.

ჩვენ მდუმარენი გავემართეთ. დაქანებულ ბილიკზე ჩავედით, დავდექით მდინარის ნაპირას და ხმლები ვიშიშვლეთ. შვაბრინი ჩემზე უფრო დახელოვნებული იყო, მაგრამ მე იმაზე ღონიერი და გაბედული ვიყავი, Monsieur ბოპრე ოდესღაც ჯარისკაცად იყო ნამყოფი და ფარიკაობის რამდენიმე გაკვეთილი ჰქონდა ჩემთვის მოცემული. მეც ეს გამოვიყენე. შვაბრინი არ მოელოდა, რომ მე მისთვის ასეთი საშიში მოწინააღმდეგე ვიქნებოდი. დიდხანს ვერაფერი დავაკელით ერთიმეორეს. ბოლოს შევამჩნიე, რომ შავბრინი სუსტდებოდა და მეც ისე ფიცხლად შევუტიე, რომ თითქმის ზედ მდინარეზე მივაგდე. უეცრად მომესმა, ხმამაღლა ჩემს სახელს იძახდნენ. მოვიხედე და დავინახე, საველიჩი ბილიკზე ჩამორბოდა და ხმამაღლა მეძახდა. . . სწორედ ამ დროს მარჯვენა მხრის ქვემოთ მკერდში რაღაცამ ძლიერ მიჩხვლიტა; წავიქეცი და გრძნობა დავკარგე.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ჰაი, გოგონავ, წითელლოყებავ,

ქმარს ნუ გაჰყვები აჩქარებითა.

გოგოვ, იკითხე საქმროს დედ-მამა,

დედა და მამა, გვარი, ოჯახი;

შემოიკრიბე, გოგოვ, გონება

ჭკუა-გონება, კარგი მზითევი.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

უკეთესს ნახავ - დაგავიწყდები,

უარესს შეხვდე - გაგახსენდები

ი გ ი ვ ე

როდესაც გამოვფხიზლდი, დიდხანს გონს ვერ მოვედი და არ ვიცოდი, რ მომსვლოდა. უცხო ოთახში ვიწექი ლოგინზე და დიდ სისუსტეს ვგრძნობდი. ჩემ წინ სანთლით ხელში საველიჩი იდგა. ვიღაც ფრთხილად მიხსნიდა არტაშნებს, რომლითაც მკერდი და მხრები მქონდა შეკრული. ნელ-ნელა აზრი მეწმინდებოდა. გავიხსენე, რომ დუელი მქონდა და მივხდი, რომ დაჭრილი ვიყავი. ამ დროს კარებმა გაიჭრიალა. - "რაო? როგორ არის?" - ვიღაცამ ჩურჩულით წარმოთქვა და ამის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- იმავე მდგომარეობაში, - უპასუხა საველიჩმა და თან ამოიოხრა, - აგერ მეხუთE დღეა და გრძნობაზე ვერ მოსულა.

მინდოდა თავი მომებრუნებინა, მაგრამ ვერ შევძელი.

- სად ვარ? აქ ვინ არის? - ძლივს წამოვიკნავლე. მარია ივანოვნა მოადგა ჩემს ლოგინს, ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:

- რა თქვით? თავს როგორა გრძნობთ?

- მადლობა ღმერთს, - ძლივგასაგონად ვუპასუხე. . . - ეს თქვანა ხართ, მარია ივანოვნა? მითხარით. . . - მაგრამ მეტი ვეღარ შევძელ და დავჩუმდი. საველიჩმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. სახეზე სიხარული დაეტყო:

- გონს მოვიდა, გონს! - იმეორებდა იგი. - მადლობა ღმერთს! უჰ, ბატონიშვილო, პიოტრ ანდრეიჩ! რარიგ შემაშინე! ხუმრობა საქმე ხომ არ არის? მეხუთე დღეა! . . .

მარია ივანოვნამ შეაწყვეტინა:

- საველიჩ, ბევრს ნუ ელაპარაკებით. ჯერ კიდევ სუსტად არის, - უთხრა მან, გავიდა ოთახიდან და კარი ნელა მიიხურა. ამაღელვებელი ფიქრები მიტრიალებდა. ესე იგი კომენდატის სახლში ვიყავი. მარია ივანოვნა ჩემთან შემოდიოდა. მინდოდა ზოგი რამ გამომეკითხა საველიჩისათვის, მაგრამ მოხუცმა თავი გააქნია და ყურებში თითები დაიცო. ნაწყენმა თვალები დავხუჭე და მალე ღრმა ძილში წავედი.

გამეღვიძა თუ არა, მაშინვე საველიჩს დავუძახე, მაგრამ მის მაგიერ ჩემს წინ მარია ივანოვნა დავინახე; ანგელოზისებური ხმით მომეგება იგი. გამოუთქმელია ის ტკბილი გრძნობა, რომელმაც მე იმ წუთას მომიცვა. ხელი გამოვტაცე და ზედ ვეამბორე. თან სიხარულის ცრემლები დავაფრქვიე. მაშას ხელი არ მოუშორებია. . . უეცრად ჩემს ლოყაზე ვიგრძენი მისი ტუჩები და მხურვალე, უბიწო კოცნა, ცეცხლმა დამიარა ტანში. "კეთილო, სასურველო, მარია ივანოვნა, იყავით ჩემი ცოლი, - ვუთხარი მე მას, - გამაბედნიერეთ, დამეთანხმეთ". იგი გონს მოვიდა, ხელი გამომტაცა და მითხრა:

- თუ ღმერთი გწამთ, დამშვიდდით. ჯერ კიდევ საშიშია თქვენი მდგომარეობა. ჭრილობა შეიძლება გაგეხსნათ. გაუფრთხილდით თავს, ჩემი გულისათვის მაინც. - ამ სიტყვებთან ერთად იგი გამშორდა. მე კი დამტოვა აღტაცების ბურანში. ბედნიერებამ მომარჩინა. ის ჩემი იქნება! იმას ვუყვარვარ! ეს ფიქრი მთელს ჩემს არსებას ავსებდა და ანეტარებდა.

მას შემდეგ ძალიან მალე გამოვკეთდი, საათობით ვიკურნებოდი, მმკურნალობდა პოლკის დალაქი, რადგანაც მთელს ციხე-სიმაგრეში სხვა ექიმი არ იყო და. . . მადლი ღმერთს, ჭკუას ძალას არ ატანდა. ახალგაზრდობამ და ბუნებამ დააჩქარა ჩემი მორჩენა. კომენდატის მთელი ოჯახი მივლიდა. მარია ივანოვნა არა მშორდებოდა. ცხადია, როგორც კი მოხერხებული დრო ვიხელთე, მე მას გავუმეორე ჩემი წინადადება და მარია ივანოვნამაც იმჟამად უფრო მოთმინებით მომისმინა. თითონაც, სრულიად არ გაპრანჭულა, გამომიტყდა, რომ ვუყვარდი და რომ მის მშობლებსაც ეს ამბავი, რასაკვირველია, გაახარებდა. "მაგრამ, - დაუმატა მან, - კარგად დაფიქრდი, შენი მშობლების მხრივ დაბრკოლებას ხომ არ წავაწყდებით?" მე ჩავფიქრდი. დედის ნაზი გულისა არ მეფიქრებოდა, მხოლოდ მამაჩემი. . . მისი ხასიათი და შეხედულებანი რომ გამახსენდებოდა, ვგრძნობდი, ჩემი სიყვარული მას მაიცნდამაინც ვერ მოალბობდა; იგი ამ ამბავს ისე შეხედავდა, როგორადაც ყმაწვილი კაცის ერთგვარ აფეთქებას. ყოველივე ეს გულწრფელად გავუმჟღავნე მარია ივანოვნას, მაგრამ მამასთან ბარათის მიწერა მაინც გადავწყვიტე: მინდოდა, რაც შეიძლება მეტი მჭევრმეტყველებით გამომეთხოვა მშობლების ლოცვაკურთხევა. ბარათი მარია ივანოვნას წავაკითხე, რომელმაც ის იმდენად გრძნობიერად და დამაჯერებლად მიიჩნია, რომ ეჭვი არ ჰქონდა მის გამარჯვებაში. თვითონ კი მთელი თავისი ახალგაზრდული ნდობით და სიყვარულით თავი მისცა გულის ნაზ გრძნობებს.

შვაბრინს გამოკეთებისთანავე შევურიგდი, უფრო იმიტომ, რომ ივან კუზმიჩმა, მოვრჩი თუ არა, ასეთი საყვედურით მომმართა:

- ეჰ, პიოტრ ანდრეიჩ, ისედაც საკმაოდ დასჯილი ხარ, თორემ მე აქამდე უნდა დამეპატიმრებინე, ახლა რა გიყო! ალექსეი ივანიჩი კი პურის ბეღელში მყავს დამწყვდეული და მცველი მიყენია მისი ხმალი ვასილისა ეგოროვნას აქვს ჩაკეტილი. დეე, შვაბრინი ცოტა გონებაზე მოეგოს და ცოდვები მოინანიოს.

მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ მტრულ გრძობას გულში ვერ დავისადგურებდი. ვთხოვე ეპატიებინათ შვაბრინისავის და გულკეთილმა კომენდატმა, თავისი მეუღლის თანხმობით, იგი გაათავისუფლა. ისიც მაშინვე ჩემთან მოვიდა. ჩვენს შორის მომხდარი ამბის გამო დიდად შეწუხებული იყო; გამოტყდა, რომ ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე და მთხოვა

ყოველივე დამევიწყნა. ბუნებით გულჩახვეული კაცი არ ვიყვავი და გულწრფელად მივუტევე ჩვენი წაჩხუბებაც და ის ჭრილობაც, რომელიც მან მომაყენა. მისი ცილისწამება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის და უარყოფილი სიყვარულის ნაყოფად მივიჩნიე და დიდსულოვნად შევუნდე ჩემს ბედშავ მეტოქეს.

მალე სრულია მოვრჩი კიდეც და ჩემს ბინაზე გადავბარგდი. მოუთმენლად მოველოდი ჩემი ბოლო ბარათის პასუხს, ვერ ვბედავდი იმედიანად ვყოფილიყავი და ვცდილობდი უსიამოვნო წინათგრძნობანი როგორმე ჩამეხშო. ვასილისა ეგოროვნასა და მის ქმარს ჯერ არ მოვლაპარაკებოდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ჩემი წინადადება იმათ არ გააკვირვებდა. არც მე, არც მარია ივანოვნა არა ვცდილობდით, ჩვენი გრძნობები მათთვის დაგვემალა და წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავით, რომ მათგან თანხმობას მივიღებდით.

ბოლოს, ერთ დილას საველიჩი ჩემთან შემოვიდა, ხელში ბარათი ეჭირა. ათრთოლებულმა ჩამოვართვი. მისამართი მამაჩემის ხელით იყო დაწერილი. ამან თითქო რაღაც დიდი ამბისათვის გამამზადა, რადგანაც საერთოდ წერილებს დედაჩემი მწერდა და მამა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს თუ მიაწერდა ხოლმე ბოლოში. დიდხანს არ გამიხსნია დაბეჭდილი ბარათი და რამდენჯერმე გადავიკითხე ასე დიდის ამბით დაწერილი მისამართი: "ჩემს შვილს პიოტრ ანდრეიჩ გრინოვს, ორენბურგის გუბერნიის ბელოგორის ციხე-სიმაგრეში". მინდოდა თვით ამ ნაწერში გამომეცნო, თუ როგორ გუენბაზე იყო დაწერილი ბარათი; ბოლოს, როგორც იქნა, გავხსენი და პირველსავე სტრიქონებიდან ვიგრძენი, რომ საქმე წაგებულია. ბარათის შინაარსი ასეთი იყო:

"შვილო ჩემო პიოტრ! შენი ბარათი, რომლითაც გვთხოვ, შენმა მშობლებმა ლოცვა-კურთხევა მოგცეთ და დაგეთანხმოთ, რომ შენ შეეუღლო მირონოვის ასულს, მარია ივანოვნას, ჩვენ მივიღEთ ამა თვის 15-ს და არამც თუ ჩემი კურთხევისა და ჩემი თანხმობის მოცემას არ ვაპირებ, არამედ მინდა მანდ მოგწვდე და შენი ცუღლუტობისათვის კარგა ჭკუა გასწავლო, როგორც თავაშვებულ ბავშვს, მიუხედავად იმისა, რომ შენ ახლა ოფიცრის ხარისხი უკვე მიღებული გაქვს. შენ დაამტკიცე, რომ ჯერ კიდევ ღირსი არა ხარ ატარო ხმალი, რომელიც ბოძებული გაქვს სამშობლოს დასაცავად და არა დუელში სახმარებლად იმისთანავე ქარაფშუტა ადამიანებთან, როგორიც შენა ხარ. დაუყოვნებლივ მივწერ ანდრეი კარლოვიჩს და ვთხოვ ბელოგორი ციხე-სიმაგრიდან გადაგიყვანოს სადმე შორს, რომ ეგ შენი სიჩერჩეტე თავიდან სრულიად გამოიბერტყო. დედაშენი, როდესაც კი შენი დუელის ამბავი შეიტყო და გაიგო, რომ დაჭრილი ხარ, მწუხარებისაგან ლოგინად ჩავარდა და ახლაც მწოლიარეა. რა გამოვა შენგან? ღმერთსა ვთხოვ გამოსწორდე, თუმცა იმედი არა მაქვს ასეთი დიდი მოწყალებისა.

მამაშენი ა. გ."

ამ ბარათის წაკითხვამ სხვადასხვაგვარი გრძნობა აღმიძრა. მამაჩემის მკაცრმა კილომ სულის სიღრმემდე შეურაცხმყო. მარია ივანოვნას ასეთი უგულებელყოფა მის წერილში შეუფერებლადაც მომეჩვენა და უსამართლოდაც. ბელოგორის ციხიდან ჩემი გადაწყვანის აზრმა გული მომიკლა, მაგრამ ყველაზე უფრო მემწვავა დედაჩემის ავადმყოფობა. საველიჩზე ავღრინდი, რადგან ეჭვი არ იყო, რომ ჩემი დუელის ამბავი მშობლებმა მისგან შეიტყვეს.

აღელვებულმა ჩემს ვიწრო ოთახში სიარული დავიწყე, შემდეგ მის წინ შევჩერდი, მრისხანედ შევხედე და ვუთხარი:

- გეტყობა, შენთვის საკმარისი არ არის, რომ მე შენის მეოხებით დამჭრეს და მთელ ერთ თვეს სამარეში მედგა ფეხი. შენ გინდა დედაჩემიც მოინელო?

საველიჩმა, თითქოს თავზარი დაეცაო, თითქმის ქვითინით მომმართა:

- აბა რას მიბრძანებთ, ბატონო? მე ვარ მიზეზი თქვენის დაჭრისა? ღმერთმა ხომ იცის, იმისთვის მოვრბოდი, რომ თქვენ წაგფარებოდით და ალექსეი ივანიჩის ხმლისათვის ჩემი მკერდი მიმეშვირა. ამ წყეულმა სიბერემ ხელი შემიშალა. დედათქვენის საზიანო კი, აბა რა ჩავიდინე ისეთი?

- რაო? - ვუპასუხე მე. - ვინა გთხოვა, რომ შობლებთან დაგიბეზღებივარ? შენ რა, ჩემ ჯაშუშად კი არ დაუყენებიხართ აქა!

- მე? დაბეზღება? - აქ უკვე ცრემლები გადმოღვარა საველიჩმა, - ჰოი, ზეციერო უფალო! აი, წაიკითხე რასა მწერს დიდი ბატონი: აქედან გაიგებ, როგორადაც დამიბეზღებიხარ, ჯიბიდან ბარათი ამოიღო და მე წავიკითხე შემდეგი:

"გრცხვენოდეს, შე ბებერო ქოფაკო, რომ მიუხედავად ჩემი დარიგებისა, ჩემი შვილის, პიოტრ ანდრეიჩის შესახებ არაფერი მომახსენე და სხვები იძულებულნი არიან, რომ მისი ცუღლუტობის ამბავი გამაგებინონ. განა ასე ასრულებ შენ შენს მოვალეობას და ბატონის დავალებას? მე შენ, ბებერ ქოფაკს, ღორების მწყემსად გაგგზავნი, რაკი სიმართლე დამიმალე და ყმაწვილ კაცს მხარი დაუჭირე. ამის მიღებისთანავე, გიბრძანებ დაუყოვნებლივ აღმიწერო, თუ როგორ მდგომარეობაშია მისი სიმრთელე, რომელზედაც მწერენ, რომ უკეთ არისო; სად, რა ალაგას არის დაჭრილი და კარგა უექიმეს თუ არა"?

ცხადი გახდა, საველიჩი ჩემს წინაშე მართალი იყო და მე ტყუილ-უბრალოდ შეურაცხვყავი ჩემი ეჭვითა და საყვედურებით. მოტევება გამოვთხოვე, მაგრამ მოხუცი უნუგეშოდ იყო:

- აი, რას მოვესწარ, - იმეორებდა იგი, - აი როგორი მოწყალება მივიღე ჩემი ბატონებისაგან! ბებერი ქოფაკიცა ვარ, ღორის მწყემსიც და თქვენი ჭრილობის მიზეზიც მე ვარ! არა, ჩემო ბატონიშვილო, არა, პიოტრ ანდრეიჩ! მე კი არა, ყველაფერში ის წყეული მუსიო არის დამნაშავე; ეგ იმან გასწავლა რკინის შემფურების ტრიალი და ფეხების ბაკი-ბუკი, თითქოს სუსურით და ბაკი-ბუკით ბოროტი კაცისაგან თავს გადაირჩენდნენ! განა საჭირო იყო მუსიოს დაქირავება და ზედმეტი ფულის ხარჯვა!

მაშ ვინ იკისრა და ვინ შეატყობინა მამაჩემს ჩემი ამბავი? გენერალმა? რომ არ ეტყობა, რომ ის ჩემზე მაინცდამაინც ძალიან ზრუნავდეს? ივან კუზმიჩსაც ჩემი დუელის შესახებ მისთვის პატაკი არ გაუგზავნია. მაშ ვინ? ვერ გამომეცნო. მაგრამ ჩემი ეჭვი მაინც შვაბრინზე შეჩერდა. ერთადერთი მისთვის იყო სასარგებლო, რომ მე დავებეზღებინე: ეს გამოიწვევდა ჩემს აქედან გადაყვანას და კომენდანტის ოჯახის ჩამოშორებას. წავედი, რომ ეს ყოველივე მარია ივანოვნასთვის გამეცხადებინა. მარია ივანოვნა კიბეზე შემხვდა. დამინახა თუ არა, მომაძახა:

- რა დაგმართნიათ, რად ხართ ეგეთი ფერმკრთალი?

- ყველაფერი გათავდა, - ვუპასუხე და მამის ბარათი გადავეცი. ახლა ის გაფითრდა. წაიკითხა, ათრთოლებული ხელით ბარათი დამიბრუნა და ათრთოლებულივე ხმით მითხრა:

- ეტყობა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა. . . თქვენს მშობლებს არა სურთ, რომ მათი ოჯახის წევრი გავხდე. . . აღსრულდეს ნება ღვთისა! უფალმა უკეთ უწყის, როგორ სჯობია. რა გაეწყობა, პიოტრ ანდრეიჩ, თქვენ მაინც იყავით ბედნიერი. . .

- არა, ეს არ მოხდება! - შევყვირე და ხელი ხელში ჩავავლე. - შენ მე გიყვარვარ, მე ყველაფრისთვის მზადა ვარ. წავიდეთ, მუხლებში ჩავუვარდთ შენს მშობლებს; უბრალო ხალხია და არა გულქვა ამპარტავნები. . . ისინი დაგვლოცავენ, ჩვენ ჯვარს დავიწერთ. . . შემდეგ კი დრო მოიტანს და დარწმუნებული ვარ მამაჩემს გულს მოვულბობთ, დედა ჩვენ მოგვემხრობა და მამაც მოგვიტევებს. . .

- არა, პიოტრ ანდრეიჩ, არა, - მიპასუხა მაშამ, - შენი მშობლების დაულოცველად მე არ გამოგყვები. თუ იმათ არ დაგვლოცეს, ისე ბედნიერი არ იქნები. დავყვეთ ღვთის ნებას. თუკი ვინმეს სხვას შეხვდები და შეიყვარებ, ღმერთი იყოს შენი შემწე; მე კი ორთავესთვის ვილოცებ. . . - აქ იგი ატირდა და გამშორდა; მინდოდა დავდევნებოდი და ოთახში შევყოლოდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ თავს ვერ შევიკავებდი და შინ დავბრუნდი.

ვიჯექი და ღრმა ფიქრებში ვიყავი წასული, რომ უეცრად საველიჩმა დამირღვია ფიქრები.

- აი, ბატონო ჩემო, - განმიცხადა და დაწერილი ქაღალდის ფურცელი მომაწოდა, - აგერ დახედე, მაბეზღარა ვარ ჩემი ბატონისა და მამა-შვილს შუა შუღლი მინდა ჩამოვაგდო თუ არა. - ქაღალდი ჩამოვართვი; ეს იყო საველიჩის პასუხი მიღებულ ბარათზე. აი ისიც სიტყვა-სიტყვით:

"ხელმწიფეო ჩემო, ანდრეი პეტროვიჩ, მოწყალეო ბატონო ჩემო! მოწყალე წერილი შენი მივიღე, საცა ჩემზე, შენს მონაზე, მოიღე რისხვასა და მარცხვენ, თუ რატომ არ აღვასრულე ბრძანებანი ბატონისა ჩემისა. მე ბებერი ქოფაკი კი არა ვარ, არამედ ვარ ერთგული თქვენი მსახური, ბატონების ბრძანების ვარ მუდამ გამგონე. გულმოდგინეობით გემსახურებოდით მარადის და აგერ ჭაღარა თმებამდისაც მივაღწიე. პიოტრ ანდრეიჩის დაჭრაზე იმიტომ არ მომიწერია რა, რომ ტყუილუბრალოდ არ შემეშფოთებინეთ, ისედაც გვემცნო, რომ ქალბატონი ჩვენი და დედა ჩვენი ავდოტია ვასილევნა შიშისაგან ლოგინად ჩაწოლილა, და მე ღმერთსა ვთხოვ მის სიმრთელეს და დღეგრძელობას. პიოტრ ანდრეიჩი დაჭრილი იყო მარჯვენა მხრის ქვეშ, მკერდში, ზედ ძვლის ქვეშ ერთ გოჯნახევარ სიღრმეზე და იწვა კომენდანტის სახლში, საცა იგი ამოვიყვანეთ წყლის პირიდან. ექიმობდა ადგილობრივი დალაქი სტეპან პარამონოვი; ახლა კი პიოტრ ანდრეიჩი, მადლობა ღმერთს, ჯანსაღად არის და მის შესახებ კარგის მეტს ვერაფერს ვერ დავწერ. კომანდირება, ეტყობა, მისი კმაყოფილები არიან და ვასილისა ეგოროვნას ხომ ისე ჰყავს მიღებული, როგორც ღვიძლი შვილი. ხოლო თუ ასეთი ფათერაკი შეემთხვა, ამისთვის ყმაწვილს არ ესაყვედურება; ცხენს ხომ ოთხი ფეხი აბია, მაგრამ ისიც წაიფორხილებს ხოლმე. თქვენ გინებებიათ მოგეწერათ რომ მე ღორის

მწყემსად გამგზავნით. ესეც თქვენი ბატონური ნება იყვეს. შემდეგ ამისა გეთაყვანებით მონურად.

ერთგული ფერხთა მტვერი თქვენი

ა რ ხ ი პ ს ა ვ ე ლ ი ე ვ ი".

ამ კეთილი მოხუის უსტარის წაკითხვისას თავი ვერ შევიკავე და რამდენჯერმე გამეღიმა. მე მამასთან ბარათის მიწერა არ შემეძლო; დედის დასამშვიდებლად კი საველიჩის მინაწერი საკმაოდ მივიჩნიე.

მას შემდეგ ჩემი მდგომარეობა შეიცვალა. მარია ივანოვნა თითქმის აღარ მელაპარაკებოდა და ყოველგვარად ცდილობდა თავი მოერიდებინა. კომენდატის სახლში ყოფნა აღარ მეხალისებოდა. ნელ-ნელა შევეჩვიე შინ მარტოხელა ჯდომას. პირველ ხანებში ვასილისა ეგოროვნა მისაყვედურებდა, მაგრამ ჩემი გაჯიუტება რომ დაინახა თავი მიმანება. ივან კუზმიჩმს კი მხოლოდ მაშინ ვხედავდი, როდესაც ამას სამსახური მოითხოვდა, ხოლო შვაბრინს ძვირად თუ შევეყრებოდი და ისიც უხალისოდ, რადგან ვამჩნევდი, რომ ჩემდამი ფარული მტრობით იყო გამსჭვალული და ეს კიდევ უფრო მიღვივებდა ეჭვებს. ცხოვრება გამიუფერულდა. შავმა ფიქრებმა მომიცვა. იმათ ასაზრდოებდა მარტოობა და უმოქმედობა. ამ მარტოობაში სიყვარული კიდევ უფრო მიღვივდებოდა და თანდათანობით უფრო და უფრო მიმძიმდა. დაკვარგე სიტყვიერებისა და კითხვის ხალისიც. სულიერად დავიჩაგრე, მოვდუნდი, მეშინოდა ჭკუაზე არ შევშლილიყავი, ან გარყვნილებას არ მივცემოდი. მაგრამ უეცრად მოულოდნელმა მოვლენებმა, რომელთაც მთელს ჩემს ცხოვრებაზე დიდი გალვნეა იქონიეს, ჩემი ასეთი სულიერ განწყობილება მძლავრად და სასიკეთოდ შეარყიეს.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

პუგაჩოვშჩინა

თქვენ, ახალგაზრა ბიჭუნებო, ყური დაგვიგდეთ,

თუ რას გიამბობთ, ჩვენ - ძველები, მოხუცებულნი.

ს ი მ ღ ე რ ა

სანამ იმ უცნაური ამბების აღწერას შევუდგებოდე, რომელთა მოწმედ მე შევიქმენი, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ორენბურგის გუბერნია 1773 წლის დამლევს.

ეს ვრცელი და მდიდარი გუბერნია დასახლებული იყო მრავალი სხვადასხვა ნახევრადველური ხალხით, რომელთაც სულ ახლო წარსულში ეცნოთ თავის თავზე რუს ხელმწიფეთა მფლობელობა. მაგრამ ისინი მაინც წამდაუწუმ მღელვარებდნენ, ჯანყდებოდნენ, არ იყვნენ შეჩვეული კანონებსა და სამოქალაქო ცხოვრებას, იყვნენ დაუნდობელნი და მერყევნი. ყველაფერი ეს კი მთავრობის მხრივ მოითხოვდა გამუდმებულ თვალყურს, რომ ეს ხალხი მორჩილებაში ჰყოლოდა. საჭირო ადგილებში აგებული იყო ციხეები და ჩასახლებული იყო მეტწილად კაზაკები, როლებიც იაიკის სანაპიროების დიდი ხნის მფლობელები იყვნენ. მაგრამ იაკის კაზაკები, რომელთაც უნდა დაეცვათ მშვიდობა და უშიშროება ამ მხარისა, ერთი ხანი იყო თვით გახდნენ მთავრობისათვის მოუსვენარ და საშიშარ ქვეშევრდომებად. 1772 წ. მათ მთავარ ქალაქში ამბოხებამ იფეთქა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯარის სათანადო მორჩილებაში მოსაყვანად გენერალ-მაიორმა ტრაუბენბერგმა მკაცრი ზომები მიიღო. ამას მოჰყვა თვით ტრაუბენბერგის ბარბაროსული მოკვლა, მმართველობის თვითნებური შეცვლა და დასასრულ აჯანყებულების თოფ-იარაღით დამორჩილება და მათი სასტიკად დასჯა.

ეს ამბები ბელოგრორში ჩემს ჩამოსვლამდე ცოტა ხნი წინ მოხდა. ჩემს დროს კი ყველაფერი დამშვიდებული იყო. ყველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეჩვენებოდა. მთავრობამ ძალიან ადვილად დაიჯერა თვალთმაქცური მონანიება ცბიერი მეამბოხეებისა, რომელნიც ჩუმად გულში ღვარძლს ინახავდნენ და მოხერხებულ დროს უცდიდნენ, რომ არეულობა კვლავ განეახლებინათ.

ვუბრუნდები ჩემს მოთხრობას.

ერთ საღამოს (ეს იყო 1773 წლის ოქტომბერის დამდეგს) შინ მარტოკა ვიჯექი, ყურს ვუგდებდი შემოდგომის ქარის ღრიალსა და ფანჯრიდან გავცქეროდი მთვარის გვერდზე მომცურავ ღრუბლებს. მოვიდნენ და კომენდანტთან დამიძახეს. მაშინვე წავედი. კომენდატთან შვაბრინი, ივან იგნატიჩი და კაზაკი ურიადნიკი დამიხვდნენ. ოთახში არც ვასილისა ეგოროვნა იყო, არც მარია ივანოვნა. კომენდატნი მომესალმა, მაგრმ ეტყობოდა, რაღაც საფიქრალი გასჩენოდა. კარი დაკეტა, ყველანი, ურიადნიკს გარდა, რომელიც კართან იდგა, დაგვსხა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გვითხრა:

- ბატონო ოფიცრებო! მეტად მნიშვნელოვანი ახალი ამბავია. ყური დაუგდეთ, რასა გვწერს გენერალი. სათვალე გაიკეთე და წაგვიკითხე შემდეგი:

'"ბელოგორის ციხის კომენდანტს, კაპიტანს, ბატონ მირონოვს.

ს ა ი დ უ მ ლ ო ო დ.

"ამით გაუწყებთ, რომ პატიმრობიდან გაქცეულმა დონის კაზაკმამ და რასკოლნიკმა ემელიან პუგაჩოვმა ჩაიდინა მიუტევებელი კადნიერება და მიიღო სახელი განსვენებული იმპერატორის პეტრე III-სა, შეკრიბა ბოროტმოქმედთა ბრბო, ააჯანყა იაიკელთა სოფლები, უკვე აიღო და გაანადგურა რამდენიმე ციხე და ყველგან მიჰყო ხელი ძარცვა-გლეჯას და კაცის კვლას. ამისათვის, ამის მიღEბისთანავე თქვენ, ბატონო კაპიტანო, გმართებთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ სათანადო ზომები ხსენებული ბოროტმოქმედის და ცრუმოსახელის მოსაგერიებლად, და თუკი შეძლებთ, სრულიად მის გასანადგურებლადაც. უკეთუ იგი მოადგება ციხეს, რომელიც იმყოფება თქვენი მზრუნველობის ქვეშ".

აქ კომენდატმა სათვალე ჩამოიხსნა, ქაღალდი დაკეცა და წარმოთქვა:

- გესმის შენ, ადვილი სათქმელია, სათანადო ზომები მიიღეო! ბოროტმოქმედი, ეტყობა, ძლიერია. ჩვენ კი კაზაკები რომ არ ვიანგარიშოთ, სულ ასოცდაათი კაცი გვყავს, მეტი არა. შენ სასაყვედუროდ როდი ვამბობ, მაგრამ არც ისინი არიან საიმედონი, მაქსიმიჩ! (ურიადნიკმა ჩაიცინა). მაგრამ ასეა თუ ისე მეტი ჩარა არ არის, ბატონო ოფიცრებო! უნდა მზად იყვეთ, დააყენოთ დარაჯები და ღამის ყარაულები. თუ თავს დაგვესხნენ, მაშინ ჭიშკრები ჩაკეტეთ და ჯარისკაცები გამოიყვანეთ. შენ კი, მაქსიმიჩ, კარგა თვალყური იქონიე შენს კაზაკებზე. ზარბზანი უნდა გაისინჯოს და კარგად გაიწმინდოს. ყველაფერზე უფრო დიდი საქმე კი ის არის, რომ ყოველივე ეს საიდუმლოდ შეინახოთ, რომ დრომდე არავინ ჩვენს ციხე-სიმაგრეში არაფერი იცოდეს.

ამ განკარგულების შემდეგ ივან კუზმიჩმა დაგვითხოვა. მე შავბრინთან ერთად გმოვედი და გაგონილზე შეგვექნა სჯა-ბაასი.

- შენ როგორა ფიქრობ, რითი გათავდება ეს საქმე? - ვკითხე მას.

- ღმერთმა იცის, - მიპასუხა, - ვნახოთ. ჯერჯერობით საგულისხმოს ვერას ვხედავ და თუ რაიმე მოხდა. . . - აქ ჩაფიქრდა და გულისყურგაფანტულმა ფრანგული არიის სტყვენა დაიწყო.

ჩვენმა ყოველგვარმა გაფრთხილებამ საქმეს ვერ უშველა. პუგაჩოვის გამოჩენის ამბავი მთელს ციხე-სიმაგრეს მოედო. ივან კუზმიჩი, მართალია, ძალიან პატივს სცემდა ცოლს, მაგრმ სამსახურის საიდუმლოს მაინც არაფრის გულსაითვის გაუმხელდა. მიიღო თუ არა გენერლის მოწერილობა, ვასილისა ეგოროვნა სახლიდან ძალიან მოხერხებულად გაისტუმრა. უთხრა, მამა გერასიმეს ორენბურგიდან რაღაც საკვირველი ამბები მოსვლია, რაც ძალიან საიდუმლო უნდა იყოსო. ვასილისა ეგოროვნამაც მაშინვე მოისურვა მღვდლის ცოლთან წასვლა და ივან კუზმიჩის რჩევით, რათა არ მოსწყენოდა, მაშაც თან წაიყვანა.

როდესაც ივან კუზმიჩი სრულიად მარტო დარჩა, მაშინვე კაცი აფრინა ჩვენთან. პალაშკა კი საკუჭნაოში ჩაკეტა, რომ ჩვენი არაფერი გაეგონა.

ვასილისა ეგოროვნა შინ ისე დაბრუნდა, რომ ვერ მოასწრო მღვდლის მეუღლისაგან რაიმე გაეგო, აქ კი შეიტყო, რომ მისი შინ არყოფნი დროს ივან კუზმიჩს თათბირი ჰქონდა და რომ პალაშკა ჩაკეტილი იყო. მიხვდა, ქმარმა მოატყუა და შეუდგა ჩვენების ჩამორთმევას. მაგრამ

ივან კუზმიჩი მზად დაუხვდა იერიშს. იგი სრულიებით არ შემკრთალა, ისე განუმარტა თავის ცნობისმოყვარე თანამეცხედრეს:

- გესმის შენ, ჩვენი დედაკაცები ბზით ახურებენ თურმე ღუმელებს და რომ რაიმე უბედურებან არ მოხდეს, მე სასტიკი ბრძანება გავეცი, ამიერიდან ღუმლები ბზით აღარ გაახურონ, არამედ ფიჩხითა და შეშით.

- მერედა პალაშკა რად ჩაკეტე, - შეეკითხა ცოლი. - საბრალო გოგო ჩვენ დაბრუნებამდე საკუჭნაოსი რად იჯდა?

ასეთ შეკითხვას ივან კუზმიჩი აღარ მოელოდა. იგი დაიბნა და პასუხად რაღაც უხიაგი წაიდუდუნა. ვასილისა ეგოროვნა მიუხვდა ქმარს ცბიერებას, მაგრამ აღარ მიაცივდა, რადგან იცოდა, მაინც ვერაფერს გააწყობდა და საუბარი გადაიტანა წნილზე, რომელსაც აკულინა პამფილოვნა განსაკუთრებული ხელოვნებით ამზადებდა. მიუხედავად ამისა, ვასილისა ეგოროვნას მთელ ღამეს არ დასძინებია და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა ჰქონოდა ფიქრად ივან კუზმიჩს ისეთი, რისი გაგებინებაც მისთვის არ შეიძლებოდა.

მეორე დღეს, წირვიდან დაბრუნებული, ივან იგნატიჩს წააწყდა. ივან იგნატიჩს ზარბაზნიდან გამოჰქონდა სხვადასხვა ძონძები, კენჭები, ნაფოტები, კოჭები და ათასგვარი ნაგავი, რომლებიც ბავშვებს ლულაში ჩაეტენათ. "ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს საომარი მზაება, - გაიფიქრა კომენდატის მეუღლემ, - ყირგიზელთა თავდასხმას ხომ არ მოელიან? მაგრამ ასეთ წვრილმანს რასმე ივან კუზმიჩი აბა, რაზე დამიმალავდა?" და დაუძახა ივან იგნატიჩს. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამისაგან გაეგო საიდუმლო, რომელის ასე აწვალებდა მის დედაკაცურ ცნობისმოყვარეობას.

ვასილისა ეგოროვნამ მეოჯახეობაზე გააბა ლაპარაკი, როგორც მოსამართლემ, რომელიც გარეშე კითხვებით იწყებს დაკითხვას, რათა მიაძინოს მოპასუხის სიფხიზლე. შემდეგ რამდენიმე წუთით დაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა და თავის ქნევით წარმოთქვა: "ჰოი უფალო, ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავს შევესწარით! რა მოგველის, ნეტა?"

- არაფერიც არ მოგვივა, - უპასუხა ივან იგნატიჩმა. - ღმერთი მოწყალეა: სალდათები ბლომად გვყავს, ტყვია-წამალი ბევრი გვაქვს. ზარბაზანი გამოწმინდე. შევძლებთ, რომ პუგაჩოვს გავუძალიანდეთ. ღმერთი მოწყალეა, ღორს არ შევეჭმევინებით.

- მერმე და რა კაცია ეს პუგაჩოვი? - შეეკითხა კომენდატის მეუღლე.

აქ ივან იგნატიჩი მიხვდა, რომ საიდუმლო წამოცდა და ენაზე იკბინა, მაგრამ რაღა დროსი იყო. ვასილისა ეგოროვნამ ყველაფერი გადმოაყაჭვინა, თუმცა თავის მხრით სიტყვა მისცა, რომ არავის არაფერს ეტყოდა.

ვასილისა ეგოროვნამ თავისი დაპირება შეასრულა და არავისათვის არაფერი უთქვამს, გარდა მღვდლის ცოლისა. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძროხა ჯერ კიდევ მინდვრად დაუდიოდა და ბოროტმოქმედთ შეეძლოთ დაეჭირათ.

მალე პუგაჩოვზე ყველა ალაპარაკდა; სულ სხვადასხვა ხმები დაქროდა. კომენდატმა ურიადნიკი გაგზავნა და მიანდო, რომ მეზობელ სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებში ყვლაფერი

კარგად გაეგო. ორი დღის შემდეგ ურიადნიკი დაბრუდნა და განაცხადა, რომ მინდვრად, სიმაგრიდან სამოცი ვერსის მანძილზე ბევრგან დავინახე ანთებული კოცონები და ბაშკირელებისაგან შევიტყვე, დიდი რამ ურდო მოდისო. დანამდვილებით კი მაინც ვერაფრის თქმა ვერ შეძლო, რადგან უფრო შორს წასვლისა შეშინებოდა.

ჩვენს ციხე-სიმაგრეში კაზაკებს მღელვარება დაეტყოთ: ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ჩუმად რაღაცაზე მსჯელობდნენ, ხოლო როგორც კი დრაგუნს, ან გარნიზონის ჯარისკაცს დაინახავდნენ, მაშინვე გაიფანტებოდნენ. ჩვენ მათ ჯაშუშები შევუჩინეთ. იულიამ, მონათლულმა კალმუხმა, კომენდანტს მეტად საყურადღებო რამ აცნობა. იულიას სიტყვით, ურიადნიკის მოტანილი ამბავი ტყუილი იყო. დაბრუდნა თუ არა ეს ცბიერი კაზაკი, თავის ამხანაგებს განუცხადა, აჯანყებულები ვინახულე, მათ წინამძღოლს წარვუდექი, ხელზეც ვეამბორე და დიდხანს ვესაუბრეო. კომენდანტმა ურიადნიკი დაუყოვნებლივ დაატუსაღა და მის ადგილზე იულია დანიშნა. ეს ამბავი კაზაკებს არ მოეწონათ. ისინი ხმამაღლა დრტვინავდნენ და თავის უკმაყოფილებას აცხადებდნენ. ივან იგნატიჩმა, რომელმაც კომენდატის დავალება აღასრულა, თავისი ყურით გაიგონა, თუ როგორ ემუქრებოდნენ იულიას: "დაგვაცადოს მაგ გარნიზონის ვირთაგვამ, მაგანო!" კომენდატს უნდოდა, იმ დღესვე ჩამოერტმია ჩვენება დატუსაღებულისათვის, მაგრამ ურიადნიკი დარაჯებს გაჰპარვოდა და გაქცეულიყო. საფიქრალია, რომ ამაში თანამოაზრე კაზაკები დაეხმარნენ.

ახალმა გარემოებამ კიდევ უფრო ააღლევა კომენდატი. დაიჭირეს ბაშკირელი, რომელსაც ამაშფოთებელი ფურცლები უნახეს. შემთხვევის გამო კომენდატმა მოინდომა, თავისი ოფიცრებისათვის კვლავ თავი მოეყარა და ვასილისა ეგოროვნა რაიმე უეჭვო მიზეზით განერიდებინა, მაგრამ რადგანაც ივან კუზმიჩი მეტად პირდაპირი და მართალი კაცი იყო, ამიტომაც სხვა ვერაფერი მოახერხა და ისევ ძველ ნაცად გზას მიმართა.

- მისმინე, ვასილისა ეგოროვნა, - მიმართა მან თავის მეუღლეს და თან ჩაახველა. - მამა გერასიმეს, ამბობენ, რომ ქალაქიდან. . .- მაგრამ ვასილისა ეგოროვნამ გათავება აღარ დააცალა, შეუტია:

- კარგია, გეყოფა ამდენი ტყუილები! გეტყობა, გინდა თათბირი მოიწვიო და ემელინა პუგაჩოვზე უჩემოდ მოილაპარაკო, მაგრამ უხეირო ხარ, ვერ მომატყუებ.

ამაზე კუზმიჩმა თვალები დააჭყიტა. "რაკი ეგრეა, - დამორჩილდა ბედს კომენდატი, - რა გაეწყობა, ყველაფერი გცოდნია და დარჩი ჩვენთან, შენი თანდასწრებითაც შეგვიძლია მოვილაპარაკოთო". "მაშ როგორ გეგონა, - შეუბრუნა ცოლმა, - ეშმაკობა შენი საქმე არ არის. სჯობს ოფიცრები მოიწვიო".

და ჩვენც შევიკრიბენით. ცოლის თანდასწრებით ივან კუზმიჩმა წაგვიკითხა პუგაჩოვის მოწოდება, რომელიც წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე კაზაკისაგან იყო დაწერილი. ის ავაზაკი აცხადებდა, რომ დაუყოვნებლივ აპირებდა ჩვენს ციხე-სიმაგრეზე იერიშის მოტანას; კაზაკებს და ჯარისკაცებს იწვევდა, რომ მის გუნდს შეერთებოდნენ, მეთაურებს კი ურჩევდა წინააღმდეგობა არ გაეწიათ, არადა სიკვდილით დასჯით იმუქრებოდა. მოწოდება უხეშად,

მაგრამ ძლიერად იყო დაწერილი და შეიძლებოდა გულუბრყვილო ადამიანებზე საშიში გავლენა ჰქონოდა.

- ხედავთ ამ არამზადას, - წამოიყვირა კომენდატის მეუღლემ. - რეებს გვიბედავს! შემომეგებეთ და დროშები ჩემ ფეხთა ქვეშ დამილაგეთო! აჰა, ის ძაღლის შვილი, ისა! ნუთუ არ იცის, რომ ჩვენ აგერ ორმოცი წელიწადია, რაც ვმსახურობთ და, მადლობა ღმერთს, გვინახავს სანახავები? ნუთუ აღმოჩნდა ვინმე ისეთი, რომელმაც დაუჯერა იმ ავაზაკს, იმას?

- მე არა მგონია, - უპასუხა ივან კუზმიჩ, - ისე კი ამბობენ, ბევრი ციხე აიღოო.

- ეტყობა მაღტლა ძლიერია, - შენიშნა შვაბრინმა.

- აი ახლავე გავიგებთ მის ნამდვილ ძლიერება, - წარმოთქვა კომენდატმა და თავის ცოლს მიმართა:

- მომეცი ბეღლის გასაღები. ივან იგნატიჩ, ის ბაშკირელი მოიყვანე, აქა და იულისასაც უბრძანე წკეპლები მოიტანოს.

- დაიცა, ივან კუზმიჩ, - თქვა ვასილისა ეგოროვნამ და წამოდგა. მაშას წავიყვან სადმე, თორემ ყვირილს გაიგონებს და შეეშინდება. მართალი რომ ვთქვა, არც მე მიყვარს ასეთების ყურება, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ძველად, სამართლის წამოების დროს, წამება ისე ღრმად იყო ფესვგამდგარი, რომ დიდხანს მას შემდეგაც, როდესაც კანონით გაუქმდა იგი, მაინც ხმარობდნენ. ეგონათ, დამნაშვის პირდი გამოტეხა აუცილებელი იყო მისი სრულიად გასამტყუენებლად, მაგრამ ასეთი შეხედულება სრულიად უსაფუძვლოა და სრულიად ეწინააღმდეგება იურიუდიულ გონიერ მოსაზრებას. იმიტომ, რომ თუკი დამნაშავის უარი მისაღები და საკმაო არ არის მისი უდანაშაულობის გამოსარკვევად, მისი გამოტეხაც კიდევ უფრო ნაკლებ დამამტკიცებელი უნდა იყოს მისივე დამნაშავეობისა. ახლაც კი ხშირად ნანობენ ხოლმე ძველი მოსამართლეები, რომ ეს ბარბაროსული ჩვეულება გადაგდებულ იქნა. ჩვენ დროს კი არავის ეჭვი არ შეჰქონდა, რომ წამება საჭირო იყო: არც მოსამართლეებს, არც დამნაშავეებს. ასე, რომ კომენდატის ბრძანებას არც ერთი ჩვენგანი არც გაუკვირვებია, არც შეუშფოთებია. ივან იგნატიჩი წავიდა ბაშკირელის მოსაყვანად, რომელიც კომენდატის მეუღლეს ბეღელში ჰყავდა ჩაკეტილი. რამდენიმე წუთის შემდეგ ტყვე დერეფანში შემოიყვანეს და კომენდატმა ბრძანა ჩვენთვის წარმოედგინათ.

ბაშკირელმა კარის ზღურბლზე ძლივს გადმოაბიჯა (ხუნდი ჰქონდა გაკეთებული). მოიხადა თავისი წოწოლა ქუდი და კარებთან დადგა. შევხედე და შევკრთი. არასოდეს არ დამავიწყდება ეს კაცი. ეტყობოდა, სამოცდაათი წლისაზე მეტისა იყო. არ გააჩნდა არც ცხვირი, არც ყურები. თავი გადაპარსული ჰქონდა; წვერის მაგივრად ორი ღერი ჭაღარა ბალანი ჩამოკონწიალებდა; მომცრო ტანის იყო, გამხდარი და მოკუზული;პ ვიწრო თვალებში კი ჯერ კიდევ ენთო ცეცხლი.

- ეჰე! - წამოიძახა კომენდატმა. საშინელ ნიშნებზე მან შეიცნო 1741 წელს დასჯილი ერთ-ერთი აჯანყებულთაგანი. - შენ, გეტყობა, ბებერი მგელი ყოფილხარ და ჩვენი ხაფანგიც

გიგემნია. გეტყობა, პირველად არ ურევიყხარ აჯანყებულებში, ისე გაქვს ეგ თავი გარანდული. აბა, ცოტა ახლოს მოიწი. თქვი, ვინ მოგგზავნა?

ბებერი ბაშკირელი ჩუმად იყო და კომენდანტს სრულიად უაზროდ შეჰყურებდა.

- რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე! - განაგრძობდა ივან კუზმიჩი. - შეიძლება რუსული ინჩინ არ იცი. აბა, იულია, ერთი შეეკითხე თქვენებურად ვინ გამოგზავნა ჩვენს სიმაგრეში?

იულიამ თათრულად გაუმეორა ივან კუზმიჩის შეკითხვა, მაგრამ ბაშკირელი ისევ ისე გამოიყურებოდა და არაფერს ამბობდა.

- იახში, - წარმოთქვა კომენდატმა: - მე შენ მალე აგალაპარაკებ. აბა, ბიჭებო, გახადეთ ეგ მისი ბრიყვული ჭრელი ხალათი და ზურგი აუგვირისტეთ. იულია, აბა შენ იცი, როგორც რიგია.

ორმა ინვალიდმა ტანთ გახდა დაუწყო. უბედურს სახეზე შეშფოთება დაემჩნა. აქეთ-იქით ისე იხედებოდა, როგორადაც ბავშვებისაგან დაჭერილი რამე ნადირი. როდესაც ერთმა ინვალიდმა ბაშკირელის ხელები თავის კისერზე გადაიდო და თავის მხრებით ზეასწია, ხოლო იულიამ მათრახი მოიმარჯვა და მოუქნია, მაშინ მოხუც ბაშკირელს მიკნავნებული, შემთხოვი კვნესა აღმოხდა, თვის ქნევა დაიწყო და პირი გააღო. ჩვენ დავინახეთ, რომ ენის მაგივრად იქ რაღაც ნაჭერი მოძრობოდა.

როდესაც გავიხსენებ, რომ ეს მოხდა ჩემს სიცოცხლეში და ახლა კი იმპერატორ ალექსანდრეს სათნო მეფობას მოვესწარი, არ შემიძლია არ გავიკვირვო, თუ როგორი სისწრაფით გავრცელდა ჩვენში განათლება და სათნო მოპყრობა ადამიანებისადმი. ყმაწვილო კაცო! თუ ეს ჩემი ჩანაწერი ხელთ ჩაგივარდეს, გახსოვდეს, რომ საუკეთესო და უმტკიცესი ცვლილებები ცხოვრებაში ის არის, რომლებიც ზნეობას შეეხება და დაუძალადბლად და ყოველგვარი ძალმომრეობითი ძვრის გარეშ ხდება ხოლმე.

ყველანი გავვოცდით, შემდეგ ისევ კომენდატმა დაილაპრაკა:

- ჩანს, მაგისაგან ვერაფერს გავიგებთ, იულია, წაიყვანე ბეღელში ეგ ბაშკირელი. ჩვენ კი, ბატონებო, ზოგ რამეზე წავითათბიროთ.

დავიწყეთ კიდც მსჯელობა, რომ უეცრად მეტად აღელვებული და აქოშინებული ვასილისა ეგოროვნა შემოვიდა ოთახში.

- რა დაგემართნია? - მიმართა გაკვირვებულმა კომენდატმა.

- უბედურებაა, უბედურება! - წამოიძახა ვასილისამ. - ამ დილით ნიჟნეოზერის ციხე აუღიათ. გერასიმე მღვდლის მოჯამაგირე ეს არის ახლა იქიდან დაბრუნდა. თავისი თვალით უნახავს, როგორ აიღეც ციხე. კომენდატიცა და ყველა ოფიცერი ჩამოუხრჩვიათ. ჯარისკაცები დაუტყვევებიათ, ნახავ, თუ აქაც არ მოგვადგნენ ის ავაზაკები, ისა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა გამაოცა. ნიჟნეოზერის ციხისათვის მეტად წყნარი და თავმდაბალი ყმაწვილი კაცი იყო. მე მას ვიცნობდი. ორი თვის წინათ ორენბურგიდან გზად ჩამოგვიარა თავის ახალგაზრდა ცოლით და ივან კუზმიჩს სტუმრად ეწვია. ნიჟნეოზერის

ციხე ჩვენგან ოცდახუთი ვერსის მანძილზე მდებარეობდა. ჩვენც ყოველ წუთს პუგაჩოვის თავდასხმის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით. მარია ივანოვნას ბედიც ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ და გული მომიკვდა.

- მისმინეთ, კუზმიჩ! - მივმართე კომენდანტს, - ჩვენი მოვალეობაა, უკანასკნელ სულისთქმამდე დავიცვათ ჩვენი ციხე, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს, მაგრამ საჭიროა, ხიფათისაგან ქალების გადარჩენაზე ვიფიქროთ. გაგზავნეთ ისინი ორენბურგს თუ გზა ჯერ კიდევ თავისუფალია, ან უფრო შორეულ, საიმედო, ციხე-სიმაგრეშიც, სადაც ავაზაკებს ხელი არ მიუწვდებათ.

ივან კუზმიჩი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

- გეყურება შენ, ვასილისა. მართლაც კარგი იქნება, სადმე შორს გაგაგზავნოთ, სანამ ჩვენ აქ მეამბოხეებს გავუსწორდებით.

- აბა, რა სისულელეა! - თქვა კომენდატის ცოლმა, - ისეთ ციხეს სად მონახავ, რომ ტყვია არ მისწვდეს? ბელოგორის ციხე ვითომ რითია უიმედო? მადლობა ღმერთს, მეოცდაორე წელია აქ ვცხოვრობთ, ბაშკირელებიც გვინახავს და ყირგიზელებიც: შეიძლება პუგაჩოვსაც გავუძლოთ!

ამაზე ივან კუზმიჩმა მიუგო:

- კარგი, თუ შენ ჩვენი ციხის იმედი გაქვს, დარჩი, რა გაეწყობა, მაგრამ მაშას რა ვუყოთ? თუ გავუძელით, ან სიკურსი მოგვეშველა, ხომ კარგი, მაგრამ ავაზაკებმა ციხე რომ აიღონ?

- მაშინ. . . . მაშინ. . . - ვასილისა ეგოროვნას ენა დაება და ფრიად აღელვებული ჩაჩუმდა.

- არა, ვასილისა ეგოროვნა, - განაგრძო კომენდატმა, რაკი შეამჩნია, რომ სიცოცხლეში პირველად იმოქმედა მისმა სიტყვებმა, - მაშას აქ დატოვება არ გამოგვადგება. გავგზავნოთ ორენბურგს ნათლიასთან: იქ ჯარიც ბევრია, ზარბაზნებიც საკმაო და კედელიც ქვისა. შენც გირჩევნია, თან გაჰყოლოდი. რა ვუყოთ, რომ მოხუცი ხარ, აბა ნახე რა მოგივიდეს, თუკი ჩვენი ფორტეცია იერიშით აიღეს.

- კარგი, აგრე იყოს, მაშ გავგზავნოთ, - დაეთანხმა მეუღლე, - მხოლოდ ჩემი წასვლა კი გულშიც არ გაივლო: სულერთია, არ წავალ, ამ მოხუცებულობის დროს მე შენ ვერ გაგეყრები და სადღაც უცხო მხარს განმარტოებულ საფლავს ძებნას ვერ დავუწყებ. ერთად გვიცხოვრია, ერთად მოვკდეთ.

- ეგეც მართალია, - წარმოთქვა კომენდატმა. - მხოლოდ დაყოვნება არა გვმართებს. წადი და მაშა სამგზავროდ მოამზადე. ხვალ უთენია გავგზავნოთ და, მართალია, ჩვენ ზედმეტი ხალხი არა გვყავს, მაგრამ მცველებიც ვაახლოთ. მართლა, სად არის მაშა?

- აკულინა პამფილოვნასთან. როგორც კი ნიჟნეოზერის ციხის აღების ამბავი გაიგო, გული შეუწუხდა. მეშინია, ავად არ გამიხდეს. ჰეი, უფალო დ მეუფეო, ეს რა დღეს შეგვასწარი!

წარმოთქვა ეს ვასილისა ეგოროვნამ და გავიდა ოთახიდან, რომ შვილის გამგზავრებაზე ეზრუნა. კომენდატთან თათბირი გაგრძელდა; მაგრმ მე არ ჩავრეულვარ და არც ყური

დამიგდია. ვახშამზე გაფითრებული და ნამტირალევი მარია ივანოვნაც მოვიდა, ხმა არცერთს არ ამოგვიღია და ჩვეულებრივზე ადრე წამოვდექით, გამოვეთხოვეთ ყველას და ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ გავემართეთ, მაგრამ მე განგებ დავივიწყე ჩემი ხმალი და შევბრუნდი. ვგრძნობდი, რომ მარია ივანოვნას მარტო ვნახავდი, ასეც მოხდა: კარებში შემომეგება და ხმალი მომაწოდა.

- მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ, - მომმართა აცრემლებულმა: - მე ორენბურგსა მგზავნიან. იცოცხლეთ და ბედნიერი იყავით; შეიძლება ღმერთმა კიდევ გვაჩვენოს ერთმანეთი, თუ არა და. . . - აქ აქვითინდა. მე მოვეხვიე, - მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, - ვუთხარი, - მშვიდობით ჩემო სასურველო, ჩემო კარგო! რაც უნდა მომივიდეს, ჩემი უკანასკნელი საფიქრალი და სალოცავი შენ იქნები! - მაშა ჩემ მკერდზე მოყრდნობილი მწარედ ქვითინებდა. მხურვალედ ვაკოცე და სწრაფად გავედი ოთახიდან.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ი ე რ ი შ ი

შენ, ჩემო თავო, საწყალო,

თავო დატანჯულ-გვემულო!

მემსახურე, ჩემო თავო,

სწორედ ოცდაცამეტ წელსა!

თავო, მაინც ვერ მიშოვნე

ვერც სიმდიდრე, ვერცა ლხენა,

ვერცა რამე დიდკაცობა.

თავო ჩემო, მომიპოვე

მხოლოდ ორი დიდი ბოძი,

ზედ ხარიხა გადებული,

ყელზე აბრეშუმის ყულფი.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

იმ ღამეს არ დამიძნებია და არც ტანთ გამიხდია. განზრახული მქონდა უთენია ციხე ჭიშკართან მოვსულიყავი, საიდანაც მარია ივანოვნა უნდა გამოსულიყო და უკანასკნელად გამოვთხოვებოდი. ვატყობდი, რომ ძალიან გამოვიცვალე: ჩემი სულიერი მღელვარება იმჟამად ბევრად უფრო ნაკლებ სამძიმო იყო, ვიდრე ის სევდა, რომლითაც იმას წინათ ვიყავი მოცული. განშორება გულს მიწუხებდა, მაგრამ იმავე დროს რაღაც ტკბილი იმედები მესახებოდა. საშიშროება თითქოს თავისკენ მიზიდავდა და ვერ ვითმენდი, მეჩქარებოდა მას პირდაპირ შევგებებოდი, კეთილშობილი პატივმოყვარეობა ხელსა მრევდა. ღამე შეუმჩნევლად გავიდა. ის იყო შინიდან გასვლას ვეპირებოდი, რომ კარი გაიღო და შემოვიდა კაპრალი, რომელმაც მოხსენება გამიკეთა: ღამით კაზაკები ციხიდან გავიდნენ, იულიაც ძალით თან წაიყვანეს და ციხის ახლო ვიღაც საეჭვო პირები დაძრწიანო. გავიფიქრე, მარია ივანოვნა გასვლას ვეღარ მოასწრებს-მეთქი და ამ ფიქრებმა შემაძრწუნა; საჩქაროდ კაპრალს ცოტა რამ დარიგება მივეცი და მეც იმ წამსვე კომენდატისკენ გავექანე.

უკვე თენდებოდა. ქუჩაში მივქროდი, უეცრად შემომესმა, რომ მეძახიან. შევჩერდი.

- საით მიდიხართ? - დამეწია ივან იგნატიჩი, - ივან კუზმიჩი უკვე ციხის გარეთ არის, სანგრებზე გასული, და თქვენთნ გამომგზავნა. პუგაჩოვი მოვიდა.

- მარია ივანოვნა წავიდა თუ არა? - შევეკითხე მე გულის კანკალით.

- ვერა, ვერ მოასწრო, - მიპასუხა. - ორენბურგის გზა მოჭრილია და ციხესაც ალყა აქვს შემორტყმული. ცუდად არის საქმე, პიოტრ ანდრეიჩ!

გავედით სანგრებზე. ეს იყო ამაღლებული, თვით ბუნების მიერ შექმნილი და მესერით გამაგრებული ადგილი. ციხის მცხოვრებლები აქ შემოკრებილიყვნენ. გარნიზონი შეიარაღებული იყო. ზარბაზანი წინათვე მოეტანათ. კომენდატი თავის მცირერიცხოვანი რაზმის წინ მიდი-მოდიოდა. საშიშროების სიახლოვე აღაფრთოვანებდა და უჩვეულო სიმხნეს აძლევდა ძველ მხედარს. მინდვრად, ციხის არცთუ ძალიან მოშორებით, ოციოდე ცხენოსანი მოჩანდა. ეტყობოდა, კაზაკები იყვნენ, მაგრამ მათ შორის ბაშკირელებიც ერივნენ. ამის გამოცნობა ადვილი იყო მათი ფოცხვერის ქუდებით და მშვილდისრებით. კომენდატმა შემოუარა თავის ჯარს და ასე შეაგულიანა:

- აბა, შვილებო! დღეს თავი უნდა გამოვიჩინოთ და ვასახელოთ დედობილი ხელმწიფე-დედოფალი. მთელ ქვეყანას უნდა დავუმტკიცოთ, რომ მამაცი და ერთგული ადამიანები ვართ!

ჯარისკაცებმა ხმამაღლა გამოთქვეს თავიანთი ერთგულება.

შავბრინი იდგა ჩემს გვერდით და დაჟინებით გასცქეროდა მტრის რაზმს. მინდვრად გაფანტულმა ცხენოსნებმა შეამჩნიეს, რომ ციხე-სიმაგრე ამოძრავდა, ერთად შეჯგუფდნენ და თათბირი დაიწყეს. ივან იგნატიჩმა უბრძანა ზარბაზანი სწორედ ამ ჯგუფისათვის დაემიზნებინათ და პატრუქს თვითონ მოუკიდა. ყუმბარამ გაიზუზუნა, ჯგუფს თავს გადაევლო და არა ავნო რა. ცხენოსნები მაშინვე გაიფანტნენ, ჭენებ-ჭენებით გაეცალნენ იქაურობას და მინდორ-ველიც დაცარიელდა.

ამასობაში ჩვენთან ვასილისა ეგოროვნა მოვიდა. მაშაც თან მოჰყვა. არ მოესუვებინა დედასთან დაშორება.

- აბა, რა ამბავია? - იკითხა კომენდატის მეუღლემ, - ბრძოლა დაიწყეთ? როგორ მიდის საქმე? მტერი სად არის?

- მტერი შორს არ არის, - უპასუხა ივან კუზმიჩმა. - ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგად იქნება. შენ, მაშა, გეშინია?

- არა, მამილო. თქვენთან აქ არ მეშინია. შინ მარტოკა უფრო ვწუხვარ. - მე გადმომხედა და ძალდატანებით გაიღიმა.

უნებლიეთ ჩემი ხმლის ტარს ხელი მოვუჭირე, გამახსენდა, რომ წინა დღით ეს ხმალი მან გადმომცა თითქოს იმისათვის, რომ სატრფო დამეცვა. გულს ცეცხლი მედებოდა. თავი რაინდად მყავდა წარმოდგენილი. მწყუროდა დამემტკიცებინა, რომ მისი ნდობის ღირსი ვიყავი და მოუთმენლად მოველოდი გადამწყვეტ წუთს.

ამ დროს გაღმა ფერდობიდან, ნახევარი ვერსის მანძილზე, ცხენოსნების ახალი გუნდი წამოიშალა და ძალიან მალე ჩვენს წინ მდებარე მინდორი შუბებითა და ოროლებით შეიარაღებული ხლხით აივსო. მათ შორის თეთრ ცხენზე შემჯდარი, წითელკაფტანიანი და ხმალამოწვდილი კაცი მოდიოდა. ეს იყო თვითონ პუგაჩოვი. ერთგან შეჩერდა. გარს შემოეხვივნენ. მალე, ეტყობა, მისი ბრძანების თანახმად, ოთხი ცხენოსანი გამოეყო მის ჯგუფს და პირდაპირ ჩვენს ციხე-სიმაგრესთან მოაჭენეს ცხენები. ვიცანით, რომ ესენი იყვნენ ჩვენი მოღალატეები. ერთ მათგანს ქუდზევით ქაღალდის ფურცელი ეჭირა, მეორეს - შუბზე ჩამოცმული იულიას თავი, რომელიც შეარხია და მესერს აქეთ გადმოგვიგდო. საბრალო კალმუხის თავი კომენდატის ფეხებთან დაეცა. მოღალატეები გვიყვიროდნენ.

- არ ისროლოთ! ეახელით ხელმწიფეს. ხელმწიფე აქა ბრძნდება!

- დაიკარგეთ, მე თქვენ გიჩვენებთ ხელმწიფეს! - დაუყვირა ივან კუზმიჩმა და უბრძანა: - აბა ბიჭებო, მისცხეთ მაგათ!

ჩვენმა ჯარისკაცებმა გაისროლეს. ხელში რომ წერილი ეჭირა, ის კაზაკი შეირყა და ცხენიდან ჩამოვარდა, სხვებიც გაიქცნენ. მე მარია ივანოვნას გადავხედე. იულიას გასისხლიანებულინ თავის დანახვით და სროლით გაბრუებული გულშეღონებულსა ჰგავდა. კოემნდატმა კაპრალს დაუძახა და მოკლული კაზაკის ქაღალდის ჩამორთმევა უბრძანა. კაპრალი მინდვრად გავიდა და მოკლულის ცხენიც სადავით თან მოიყვანა. წერილი კი კომენდატს გადასცა. ივან კუზმიჩმა თავისთვის გადაიკითხა და შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ამასობაში მეამბოხეებს დაეტყოთ, რომ სამოქმედოდ გაეზადნენ. მალე ჩვენს ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნეს და რამდენიმე ისარი ჩაერჭო მიწაში და მესერზედაც.

- ვასილისა ეგოროვნა! - მიმართა კომენდატმა, - აქ დედაკაცდებს არა ესაქმებათ რა. გასწი და მაშაც თან წაიყვანე, ხომ ხედავ, გოგოს ფერი აღარ აძევს.

ვასილისა ეგოროვნა ტყვიების ზუზუნს თითქოს მოერბილებინა. ერთი კი გახედა ველს, საცა უკვე დიდი მოძრაობა იყო: შემდეგ ქმარს მოუბრუნდა და ასე უთხრა:

- ივან კუზმიჩ, ჩვენი სიცოცხლეც და სიკვდილიც ღვთის ხელთ არის: დალოცე მაშა. მაშა, ეახლა მამას.

ფერმიხდილი და ათრთოლებული მაშა მივიდა ივან კუძმიჩთან, დაიჩოქა და მიწამდე თაყვანი სცა. მოხუცმა კომენდატმა სამჯერ პირჯვარი გადასწერა, შემდეგ ზეზე წამოაყენა, აკოცა და ხმაათრთოლებულმა ასე უთხრა:

- აბა, მაშა, ბედნიერი იყავი. ღმერთს შეევედრე და ის არ დაგტოვეს უნუგეშოდ. თუკი ვინმე კეთილი კაცი გამოჩნდა, ღმერმა მოგანიჭოთ, შვილო ერთიმეორის სიყვარული და მშვიდობა. იცხოვრეთ ისე, როგორც მე და ვასილისა ეგოროვნა ვცხოვრობდით. მშვიდობით, მაშა. ვასილისა ეგოროვნა, წაიყვანე ჩქარა (მაშა ყელზე მოეხივა და აქვითინდა).

- ჩვენც გადავკოცნოთ ერთიმეორე, - თქვა ატირებულმა კომენდატის მეუღლემ, - ივან კუზმიჩ, მომიტევე, თუ შენთვის რამე მიწყენინებია!

- მშვიდობით, მშვიდობით, დედავ და თვალო! - მოხუციც გადაეხვია თავის დედაკაცს. - ახლა კი კმარა, გასწით გასწით შინ; თუ მოასწრო, მაშას სარაფანი ჩააცვი.

კომენდატის მეუღლე და ქალიშვილი გაგვშორდნენ. მე მივჩერებოდი მიმავალ მარია ივანოვნას; იგი მობრუნდა და თავი დამიქნია; ამასობაში ივან კუზმიჩი ჩვენ მოგვიბრუნდა და მთელი ყურადღება მტერს მიაპყრო. აჯანყებულები თავის წინამძღოლის გარშემო იკრიბებოდნენ და უეცრად ცხენიდან ჩამოხტომა იწყეს. "აბა, ახლა კი გამაგრდით! ეტყობა, იერიშის მოტანას აპირებენ", - გაგვაფრთხილა კომენდატმა. სწორედ ამ დროს საშინელი წივილ-კივილი გაისმა: აჯანყებულები სირბილით მოეშურებოდნენ ციხისაკენ, ჩვენი ზარბაზანი ფინდიხით იყო გატენილი. კოემდნატმა მტერი კარგა ახლოს მოუშვა და უეცრად დაუგრიალა. ფინდიხი ბრბოს შუაგულში გაიბნა. აჯანყებლები შედრკნენ, ორივე მხარეზე გაიფანტნენ და უკანაც დაიხიეს. მხოლოდ წინამძღოლი დარჩა წინ. . . იგი ხმალს იქნევდა, ეტყობა, გაცხარებული აგულიანებდა თავის რაზმს. . . ერთ წუთს შეწყვეტილი კივილი და წივილი კვლავ განახლდა.

- აბა ბიჭებო, - შემოგვძახა კომენდატმა, - გააღეთ ჭიშკარი, დოლს დაჰკარით. წინ, შეტევაზე! აბა, მომყევით!

კომენდატი, ივან იგნატიჩი და მე თვალის დახამხამებაზე გალავანს გარეთ აღმოვჩნდით, შემკრთალი გარნიზონი კი ადგილიდან არ დაძრულა.

- ბიჭებო, რას სჩადიხართ, - შეჰყვირა ივან კუზმიჩმა. - თუ სიკვდილი გვიწერია, უნდა მოვკვდეთ კიდეც! ჩვენი სამსახური ამას მოითხოვს.

ამასობაში მეამბოხენი მოგვაწყდნენ და ციხე-სიმაგრეში შეიჭრნენ. დოლის ხმა შეწყდა; გარნიზონმა იარაღი დაყარა, მეც წამაქციეს, მაგრამ მალე ფეხზე წამოვდექ და აჯანყებულებთან ერთად სიმაგრეში შევედი. კომენდატი თავში იყო დაჭრილი, გარს აჯანყებულთა ჯგუფი შემორტყმოდა და ციხის გასაღებსა სთხოვდნენ. გავექანე მისაშველებლად, მაგრამ რამდენიმე ბრგე კაზაკი მომვარდა და ქამრებით ხელები გამიკრეს. თან დამძახოდნენ: "ახლა ნახეთ, რა მოგივათ, ჩვენ ხელმწიფეს რომ ურჩობა გაუწიეთო". ქუჩა-

ქუჩა წაგვათრიეს. ხალხი სახლებიდან გამოდიოდა და პურ-მარილით ეგებებოდა შემოსულებს. ზარებს რეკავდნენ. უეცრად დაიყვირეს, რომ ხელმწიფე მოედანზე ტყვეებს ელოდება და ფიცს ღებულობსო. ხალხი მოედნისკენ გაეშურა. ჩვენც იქით წაგვათრიეს.

პუგაჩოვი კომენდატის სახლის წინ, პარმაღზე სავარძელში იჯდა. წითელი, სირმამოვლებული, კაზაკური კაფტანი ეცვა. მაღალი, ოქროს ფოჩებიანი სიასამურის ქუდი მოელვარე თვალებზე ჩამოეფხატა. მისი სახე მეცნაურა. კაზაკების მამასახლისები ერტყნენ გარს. გერასიმე მღვდელი, ფერმიხდილი და აძიგძიგებული, ჯვრით ხელში იდგა პარმაღზე და თითქოს იდუმლად ევედრებოდა, რომ მოსალოდნელი მსხვერპლი არ გაეღო. მოედანზე საჩქაროდ მართავდნენ სახრჩობელას. როდესაც ჩვენ მივუახლოვდით, ბაშკირელებმა ხალხი გაფანტეს და პუგაუჩოვს წარგვიდგინეს. ზარების რეკვა მინელდა, ჩამოვარდა სრული სიჩუმე. "კომენდატი რომელია" - იკითხა ცრუმოსახელემ. წინ წამოდგა ჩვენი ურიადნიკი და ივან კუზმიჩზე მიუთიტა. პუგაჩოვმა მოხუცს მრისხანედ გადახედა და უთხრა:

- როგორ გაბედე და მეურჩე მე, შენ ხელმწიფეს? - კომენდატს ჭრილობისაგან არაქათი ელეოდა, მაგრამ შემოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და მტკიცედ უპასუხა:

- შენ ჩემი ხელმწიფე არა ხარ, ქურდი ხარ და ცრუმოსახელე, გესმის თუ არა?!

პუგაჩოვმა შუბლი შეიჭმუხნა და თეთრი ხელსახოცი გაიქნია. რამდენიმე კაზაკი მივარდა მოხუც კაპიტანს და სახრჩობელასკენ წაათრიეს. . . სახრჩობელას ლარძაყინს შემოაჯდა ის და დასახიჩრებული ბაშკირელი, რომელსაც წინა დღით ჩვენება ჩამოვართვით. ხელში თოკი ეჭირა. ერთ წუთის შემდეგ დავინახე, როგორ პორწიალობდა ჰაერში საბრალო ივან კუზმიჩი. ამის შემდეგ პუგაჩოვს ივან იგნატიჩი წარუდგინეს. პუგაჩოვმა უთხრა:

- შეჰფიცე ხელმწიფესა შენსა, პიოტრ ფიოდორივჩს!

- შენ ჩემი ხელმწიფე არა ხარ, - გაიმეორა კაპიტნის სიტყვები ივან იგნატიჩმა, - შენ, ჩემო ბიძია, ქურდი ხარ და ცრუმოსხელე!

პუგაჩოვმა კვლავ გაიქნია ხელსახოცი და კეთილი პორუჩიკიც თავისი ძველი უფროსის გვერდით ჩამოეკიდა.

რიგირ ჩემზე მოდგა. პუგაჩოვს გაბედულად შევცქეროდი და მზად ვიყავი ჩემი სულგრძელი ამხანაგების სიტყვები გამემეორებინა, რომ უცებ გაოცებისაგან სახტად დავრჩი: აჯანყებულთა უხუცესთა შორის დავინახე დავინახე შვაბრინი, რომელსაც თმა მრგვლად შემოეკრიჭა და კაზაკური კაფტანი ჩაეცვა, შვაბრინი პუგაჩოვთან მივიდა და ყურში რაღაც წასჩურჩულა.

- ჩამოახრჩეთ! - ბრძანა პუგაჩოვმა და ჩემთვის არც კი შემოუხედნია. კისერზე მარყუჟი გადამიგდეს. მე ჩუმად ლოცვა აღვავლინე: გულწრფელად ვინანიებდი ჩემს შეცდომათ და ღმერთს ვავედრევდი ყველას, ვინც გულით საყვარელი მყავდა. სახრჩობელასთნა მიმათრიეს. "ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო", - მეუბნებოდნენ ჩემი დამღუპველები. - ვინ იცის, ეგებ მართლაც გამხნევება უნდოდათ. უცებ ყვირილით შემომესმა: "შეჩერდით, თქვე შეჩვენებულებო!

დაიცადეთ!". . . ჯალათები შეჩერდნენ. ვხედავ, საველიჩი ჩავარდნია პუგაჩოვს ფეხებში და გულამოსკვნილი ევედრება:

- რად გინდა, რომ ბატონის ბავშვი მოჰკლა? რაში გამოგადგება? გაუშვი, ამისთვის შენ სასყიდელს მოგცემენ, ხოლო სამაგალითოდ და სხვების დასაშინებლად ბრძანე, რომ თუნდაც მე, მოხუცი, ჩამომახრჩონ!

პუგაჩოვმა ნიშანი მისცა, მაშინვე შემომხსნეს მარყუჟი და თავი დამანებეს. "ჩვენება მბრძანებელმა შეგიწყალაო" - მეუბნებოდნენ. იმ წუთს არ შემეძლო მეთქვა, გამეხარდა გადარჩენა, თუ არა. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ მეწყინა-მეთქი. გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ისევ მიმიყვანეს ცრუმოსახელესთან და მის წინ დამაჩოქეს. პუგაჩოვმა თავისი ძარღვებიანი ხელი გამომიწოდა. "ემთხვიე ხელზე, ემთხვიე ხელზე! - მეუბნებოდნენ გარშემო. მაგრამ მე ასეთი სამარცხვინო დამცირებას უსაშინელესს სასჯელ ვარჩევდი.

- შვილო პიოტრ ანდრეიჩ! - ჩამჩურჩულებდა საველიჩი და უკნიდან ხელსა მკრავდა. - ნუ ჯიუტობ. რა გენაღვლება? მიაფურთხე და ემთხვიე ხელზე ამ საზიზღ. . .(ფუჰ. . .) აკოცე ხელზე.

მე არ ვიძროდი. პუგაჩოვმა ხელი ჩამოუშვა და ღიმილით თქვა:

- მისი კეთილშობილება უთუოდ გაბრუებულია სიხარულიაგან. ააყენეთ! - ამაყენეს და თავისუფლად დამტოვეს. მე ვუცქეროდი საშინელი კომედიის გაგრძელებას.

მცხოვრებლებმა ფიცი მისცემა დაიწყეს. თითო-თითოდ მოდიოდნენ, ემთხვეოდნენ ჯვარცმას და მერე თაყვანს სცემდნენ ცრუმოსახელეს. გარნიზონის ჯარისკაცებიც იქვე იდგნენ. როტის თერძიც იქ იყო და თავისი ბლაგვი მაკრატლით მან ნაწნავებს აჭრიდა. ისინი იბერტყებოდნენ, ემთხვეოდნენ პუგაჩოვს ხელზე, იგიც პატიებას უცხადებდა და თავის ბრბოში იღებდა. ყოველივე ამან სამ საათამდე გასტანა. ბოლოს პუგაჩოვი წამოდგა სავარძლიდან და ჩამოვიდა კიბეზე თავისი მამასახლისების თანხლებით. მას მდიდრულად შეკმაზული თეთრი ცხენი მიჰგვარეს. ორმა კაზაკმა უნაგირზე შესვა. მან მღვდელ გერასიმეს გამოუცხადა, სადილად შენთან ვარო. ამ დროს გაისმა ქალის კივილი. რამდნეიმე ავაზაკმა კიბესთან გამოათრია გაწეწილი და მთლად გაშიშვლებული ვასილისა ეგოროვნა. ერთი მათგანი უკვე გამოწყობილიყო იმის ქათიბში, სხვები მიათრევდნენ ყურთუკის ბალიშებს, სკივრებს, ჩაის მოწყობილობას, თეთრეულობას და ყოველივე ხარახურას.

- ხალხო! - ყვიროდა საცოდავი დედაბერი. - მომკალით! გევედრებით. მიმიყვანეთ ივან კუზმიჩთან! უცებ მან შეხედა სახრჩობელას და იცნო თავისი ქმარი. - მხეცებო! - შეჰკივლა სასოწარკვეთით. - ეს რა უყავით მას? ჩემო თვალის სინათლევ, ივან კუზმიჩ, მამაცო მეომარო! შენ ვერ შეგეხო ვერც პრუსიელი ხიშტი, ვერც თურქების ტყვიები: სახელოვან ბრძოლაში კი გასწირე სიცოცხლე. არამედ გამოქცეული კატორღელის ხელით დაიღუპე!

- გააჩუმეთ ეგ კუდიანი ბებერი! - თქვა პუგაჩოვმა. ამ დროს ახალგაზრდა კაზაკმა დაჰკრა თავში ხმალი და ვასილისა ეგოროვნა უსულოდ დაეცა კიბეზე. პუგაჩოვი წავიდა; ხალხი მას გამოუდგა.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

დაუპატიჟებელი სტუმარი

დაუპატიჟებელი სტუმარი

თათარზე უარესია

ა ნ დ ა ზ ა

მოედანი დაცარიელდა. მე ისევ ერთ ადგილზე ვიდექი და ამდენ საზარელ შთაბეჭდილებათაგან აფორიაქებული აზრები ვერ მომეწესრიგებინა.

მარია ივანოვნას უამბობთ უზომოდ შეწუხებული ვიყავი, სადაა? რა დღეშია? მოასწრო თუ არა დამალვა? საიმედოა მისი თავშესაფარი? მშფოთვარე ფიქრებით აღსავსე შევედი კომენდატის სახლში. . .

სრული სიცარიელე სუფევდა; სკამები, მაგიდები, სკივრები დამტვრეული ეყარა, ჭურჭელი დალეწილი, ყოველივე დატაცებული იყო. პატარა კიბეზე ავირბინე და პირველად ჩემს სიცოცხლეში შევედი მარია ივანოვნას ოთახში. მისი საწოლი ავაზაკებს აეწეწათ; კარადა დაემტვრიათ და გაეძარცვათ; ბაზმაკი ჯერ კიდევ ბჟუტავდა დაცარიელებული სახატის წინ. პატარა სარკეც გადარჩენილიყო, ნიშში რომ ეკიდა. . . სადღა იყო ამ კდემამოსილი, საქალწულე საკნის პატრონი? საშილენმა აზრმა გამიელვა: მე იგი ავაზაკების ხელში წარმოვიდგინე. . . გული შემეკუმშა. . . მწარედ ავქვითინდი და ხმამაღლა წარმოვთქვი ჩემი მიჯნურის სახელი. . . იმავე წუთში რაღაცა ოდნავ გაიხმაურა და კარადის უკნიდან გაფითრებული და აკანკალებული პალაშა გამომეცხადა.

- აჰ, პიოტრ ანდრეიჩ? - წამოიძახა მან და ხელები გაასავსავა. - ეს რა დღე გაგვითენდა! რა საშინელებას მოვესწარით!

- მარია ივანოვნა? - მოუთმენლად შევეკითხე, - რა დღეშია მარია ივანოვნა?

- ქალბატონი ცოცხალია, - მიპასუხა პალაშამ, - აკულინა პაფილოვნასთანაა დამალული.

- მღვდლის ცოლთან! - შევყვირე თავზარდაცემულმა. - ღმერთო ჩემო, იქ ხომ პუგაჩოვია!. . .

ოთახიდან გამოვვარდი, თვალისდახამხამებაში ქუჩაში გავჩნდი და მღვდლის სახლისაკენ თავპირისმტვრევით გავქანდი; ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვგრძნობდი. იქ ყვირილი, ხარხარი და სიმღერა ისმოდა. . . პუგაჩოვი ქეიფობდა ამხანაგებითურთ. პალაშა სირბილით მომყვა და აკულინა პამფილოვნას გამოსაძახებლად შევგზავნე. მღვდლის ცოლი იმავე წუთას გამოვიდა.

ხელში ცარიელი შტოფი ეჭირა.

- ღვთის გულისათვის! სადაა მარია ივანოვნა? - შევეკითხე უზომოდ აღელვებული.

- ჩემს საწოლში წევს ჩემი გვრიტიკო, ტიხარს იქით, - მიპასუხა მღვდლის ცოლმა. - იცით, პიოტრ ანდრეიჩ! ცოტა გაწყდა, უბედურება არ გადგვატყდა თავს, მაგრამ, მადლობა უფალს, ყველაფერი კეთილად დასრულდა: ის იყო სუფრას მოუჯდა ის ავაზაკი, რომ ერთი ამოიოხრა იმ საბრალომ. . . იქვე გავქვავდი. ყური მოჰკრა: "ეს ვინაა შენთან რომ ოხრავს, შე ბებრუცანაო?"

- ჩემი ძმისწულია, ხელმწიფევ; ავადაა, ეს მეორე კვირაა წევს-მეთქი, - მოვახსენე და თაყვანი ვეც მაწანწალას.

- ახალგაზრდაა შენი ძმისწული?

- ახალგაზრდა გახლავთ, ჩემო ხელმწიფევ!

- აბა, მიჩვენე, ბებრუცანა, ეგ შენი ძმისწული. - გული მუცელში ჩამივარდა, მაგრამ რას ვიზამდი!

- ინებე, ხელმწიფეო, მხოლოდ გომბიო ვერ ადგება და ვერ გეახლება?

- არა უშავს რა, ბებრუცანა, მე თვითონ წავალ და ვნახავ. . .- და როგორა გგონია? შევიდა ტიხრულში ღვთისგან შეჩვენებული, გასწია კიდეც ფარდა, დააცქერდა თავის ქორის თვალებითდა. . . არაფერი. . . უფალმა დაგვიფარა. დაიჯერებ თუ არა, შვილო, მე და ჩემი ქმარი უკვე განვემზადეთ მოწამებრივი სიკვდილისათვის. საბედნიეროდ, ჩემმა გვრიტმა იგი ვერ იცნო. ღმერთო ძლიერო, მოვესწარით დღესასწაულსა და ეგ არის! საბრალო ივან კუზმიჩ! ვინ წარმოიდგენდა!. . . ვასილისა ეგოროვნა?! ივან იგნატიჩი? და რიღასთვის? თქვენ კი როგორღა გადაურჩით? შვაბრინი უნდა განახათ, ალექსეი ივანიჩი! თავი მრგვლად შეიკრიჭა და აგერ ჩვენსა იმათთან ერთად ქეიფობს! მოხერხებულია, თქმა არ უნდა. მე რომ ავადმყოფი ძმისწული ვახსენე, დაიჯერებ თუ არა, ისე შემომხედა, თითქოს გულში დანა გამიტარაო; არც კი გამცხა: ამისთვისაც მადლობელი ვარ. . .

ამ დრო გაისმა გალეშილი სტუმრების ყვირილი და მამა გერასიმეს ხმა. სტუმრები ღვინოს მოითხოვნდნენ, სახლის პატრონი დიასახლისს ეძახდა. მღვდლის ცოლი დაფაცურდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

- წადით შინ, პიოტრ ანდრეიჩ, - მითხრა მან; - თქვენთვის არა მცალია, ქეიფობენ შეჩვენებულები. უფალმა გაშოროთ მთვრალებს ხელში ჩაუვარდეთ. მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ, რაც იქნება - იქნება, ვინძლო უფალმა არ გაგვწიროს!

მღვდლის ცოლი წავიდა; მეც შინ წამოვედი, ოდნავ დამშვიდებული ვიყავი. მოედანს რომ ჩავუარე, რამდენიმე ბაშკირელი დავინახე სახრჩობელასთან ფუსფუსებდნენ, ჩამოხრჩობილთ ჩექმებს ხდიდნენ; ძლივს დავიცრე აღფოთება, ვგრძნობდი, რომ თავგამოდება საქმეს ვერ უშველიდა. ციხე-სიმაგრეში ავაზაკები დარბოდნენ და ოფიცრების სახლებს ძარცვავდნენ. ყველგან გაისმოდა გალეშილ აჯანყებულთა ყვირილი. მივედი შინ. საველიჩი კარებშივე მომეგება.

- მადლი უფალს! - დაიყვირა მან, - ვიფიქრე, წყეულებმა ისევ ხომ არ დაიჭირეს-მეთქი. პიოტრ ანდრეიჩ! დაიჯერებ თუ არა? მთლიანად გაგვძარცვეს ამ ავაზაკებმა. ტანისამოსი, საცვლები, ნივთები, ჭურჭლეულობა - არაფერი შეგვარჩინეს. რა გაეწყობა, მადლი უფალს, რომ შენ ცოცხალი გამოგიშვეს. ატამანი კი ვერ იცანი?

- ვერა, ვერ ვიცანი, ვინ არის ვითომ?

- როგორ! დაგავიწყდა კიდეც ის ლოთი, ტრაქტირში ბეწვის ჯუბა რომ დაგცინცლა?! სრულიად ახალი იყო კურდღლის ტყავის ჯუბა, იმ პიურტყვმა კი ნაკერებზე გაფხრიწა, ძალით რომ იცვამდა.

გავვოცდი. მართლაც, პუგაჩოვსა და ჩემს გამძღოლს შორის საოცარი მსგავსება იყო. დავრწმუნდი, რომ პუგაჩოვი და ის ერთი და იგივე პირი იყო და მაშინ მივხვდი ჩემი შეწყალების მიზეზს. გარემოებათა უცნაურმა გადახლართვამ გამაოცა: ბავშვის ჯუბამ, მაწანწალას რომ ვაჩუქე, მარყუჟისაგან დამიხსნა და ლოთი, რომელიც ტრაქტირში დაძრწოდა, ახალ ციხე-სიმაგრეებს ალყას არტყამდა და სახელმწიფოს აზანზარებდა!

- არაფერს მიირთმევ? - შემეკითხა საველიჩი ჩვეულებისამებრ. - შინ არაფერი მოგვეძებნება. წავალ, გავქექავს და რასმე მოგიმზადებ.

მარტო რომ დავრჩი, თავი ფიქრებს მივეცი. როგორ მოვიქცე? დარჩენა იმ ციხში, რომელიც ბოროტმოქმედებს ემორჩილებოდა, ან მისი ბრბოს გაყოლა, ოფიცერს არ ეკადრებოდა. ვალდებული ვიყავი იქ გამოვცხადებულიყავი, სადაც შეიძლებოდა ამ გასაჭირში ჩემი სამსახური კიდევ გამოსდგომოდა სამშობლოს. . . მაგრამ სიყვარული დაჟინებით მირჩევდა მარია ივანოვნასთან დავრჩენილიყავი და ვყოფილიყავი მისი მფარველი და შემწე. თუმცა წინასწარ ვხედავდი, რომ გარემოება გამოიცვლებოდა, მაგრამ მას რომ განსაცდელში წარმოვიდგენდი, ჟრუანტელი მივილია.

ეს ფიქრები ერთმა კაზაკმა შემაწყვეტინა, უეცრად მოირბინა და გამომიცხადა:

- დიდებული ხელმწიფე გიბარებს.

- სად არის? - შევეკითხე და მზად ვიყავი დავმორჩილებოდი.

- საკომენდანტონში, - მიპასუხა ავაზაკმა. - ნასადილევს ჩვენი ხელმწიფე აბანოში წაბრძანდა და ახლა ისვენებს. ყველაფერში ეტყობა, რომ დიდი კაცია, თქვენო კეთილშობილებავ! სადილად ორი შემწვარი გოჭი მიირთვა, ორთქლს კი აბანოში ისეთს იკეთებს, რომ ტარას კურიჩკინმავ კი ვერ გაუძლო, ცოცხი ფომკა ბიკბაევს გადასცა და ცივი წყლით ძლივს მოსულიერდა. თქმა არ უნდა: ყველაფერში დიდკაცური ქცევა აქვს. . . ამბოენ, აბანოში სამეფო ნიშნებიც უჩვენებია მკერდზე: ერთ გვერდზე ორთავიანი არწივი, შაურიანის სიფართე, მეორეზე კიდევ თავისი სახე.

საჭიროდ არ ვცანი კაზაკს გამოვდავებოდი და მასთან ერთად კომნდატის სახლისაკენ გავწიე. წარმოვიდგინე პუგაჩოვთან შეხვედრა და ვცდილობდი წინასწარ მივხვედრილიყავი, რით გათავდებოდა ის. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მე არ შემეძლო ვყოფილიყავი დამშვიდებული.

ბინდდებოდა, კომენდატის სახლთან რომ მივედი. შავ საშინელებად მოჩანდა სახრჩობელა თავისი მსხვერპლებით. კომენდანტის საცოდავი მეუღლის გვამი ისევ ისევ ისე კიბესთან ეგდო, სადაც ორი კაზაკი იდგა ყარაულად. ჩემი მომყვანი კაზაკი მოსახსენებლად შევიდა, უმალვე დაბრუდნა და იმ ოთახში შემიყვანა, სადაც წინადღით ეგზომ ნაზად ვეთხოვებოდი მარია ივანოვნას.

უჩვეულო სურათი წარმომიდგან. სუფრაგადაფარებულ მაგიდას, რომელიც შტოფებითა და ჭიქებით იყო სავსე, უსხდნენ პუგაჩოვი და კაზაკთა ათიოდე უხუცესი, ქუდმოხდილნი, ფერად ხალათებში გამოწყობილნი. ღვინით შეხურებულნი იყვნენ, სახე უღაჟღაჟებდათ, თვალები გაბრწყინებული ჰქონდათ. მათ შორის არ იყო არც შვაბრინი, არც ჩვენი ურიადნიკი, ახლადშეძენილი მოღალატენი.

- აა, თქვენო კეთილშობილებავ! - თქვა პუგაჩოვმა ჩემს დანახვაზე, - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; პატივისცემა და ადგილი, გთხოვთ!

თანამოსაუბრეებმა მიიწ-მოიწიეს. მე უხმოდ ჩამოვჯექი მაგიდის კუთხეში. ჩემმა მზეობელმა, ტანადმა და ლამაზმა ახალგაზრდა კაზაკმა დამისხა ერთი ჭიქა უბრალო ღვინო, რომელსაც არ მივკარებივარ. ცნობისმოყვარეობით შევათვალიერე ეს ყრილობა. პუგაჩოვი სუფრის თავში იჯდა, მაგიდას დაყრდნობოდა და თავისი ფართო მუშტი შავ წვერ ქვეშ ამოედო. სწორი და საკმაოდ სასიამოვნო სახის მოყვანილეობა სისასტიკეს სრულიად არ გამოხატავდა. ხშირად მიმართავდა ორმოციოდე წლის კაცს, ხან გრაფს ეძახდა მას, ხან ტიმოფეიჩს, ხან ბიძას. ერთმანეთშ ამხანაგურად ეპყრობოდნენ და არავითარ განსაკუთრებულ უპირატესობას არ ამჟღავნებდნენ თავიანთი წინამძღოლისადმი. ბაასი შეეხებოდა დილანდელ იერიშს, აჯანყების წარმატებებს და მომავალ მოქმედებას. ყველა ტრაბახობდა, ყველა თვის აზრს გამოთქვამდა და თავისუფლად ედავებოდა პუგაჩოვს. ამ უცნაურ სამხედრო თათბირზე გადაწყდა ორენბურგზე გალაშქრება, ეს თავხედი მოძრაობა, რომელიც, ცოტას გაწყდა, საუბერუდო წარმატებით არ გათავდა. ლაშქრობა მეორე დღისათვის გამოცხადდა.

- აბა, ძმებო! - წამოიძახა პუგაჩოვმა, - ძილის წინ ჩემი საყვარელი სიმღერა შემოვძახოთ, დაიყწე ჩუმკოვ!

ჩემმა მეზობელმა წვრილი ხმით გააბა ნაღვლიანი ბურლაკური სიმღერა და ყველამ ერთად ხმა მისცა:

ნუ ხმაურობ, დედილო, ქოჩრიანო მუხნარო,

ხელს ნუ შემიშლი მზეჭაბუკმა ფიქრი ვიფიქრო.

ხვალ უნდა წარვუდგე მზეჭაბუკი მრისხანე მსაჯულს,

თვითონ ხელმწიფემ ეს ტლუ ბიჭი უნდა დამკითხოს.

და აჰა, მკითხავს მეფე-ხელმწიფე ტახტზე მჯდომარე:

აბა, მითხარი გულახდილად შენ, გლეხისშვილო,

ვისთან ქურდობდი, ავაზაკობდი, ვინ იყვნენ შენთან ამხანაგებად?

სიმართლეს გეტყვი, ქრისტიანო, ჩემო ხელმწიფევ!

სიმართლეს გეტყვი - ოთხნი მყავდნენ ამხანაგებად:

ჩემი პირველი ამხანაგი ბნელი ღამეა,

და მეორე ამხანაგი - ფოლადის დანა;

მესამეა ჩემი ცხენი, ჭირში ერთგული,

და მეოთხე - მომართული მშვილდის კამარა,

შიკრიკები კი ისრებია გამოწყობილი,

გამომიცხადებს მაშინ მეფე ქრისე მოსილი.

დიდება შენდა, გლეხისშვილო, ომახიანო,

ქურდობაც იცი, ენაც გიჭრის პასუხისათვის!

სამაგიეროდ, ღირსეულად დაგასაჩუქრებ:

სასახლეს მოგცემ ორ ბოძზე დამდგარს, დირეგადებულს.

შეუძლებელია გადმოცემით, როგორ იმოქმედა ჩემზე ამ მარტივმა ხალხურმა სიმღერამ სახრჩობელაზე, რომელსაც მღეროდნენ ისინი, ვისაც თვითონ ელოდა სახრჩობელა. მათმა მრისხანე სახეებმა, შეწყობილმა ხმებმა, ამ ისედაც ნაღვლიანი სიტყვების ნაღვლიანმა გამოთქმამ, სულ მთლად შემაძრწუნა.

სტუმრებმა თითო კიდევ გადაკრეს, წამოიშალნენ და პუგაჩოვს გამოეთხოვნენ. მეც დავაპირე მათი გაყოლა, მაგრამ პუგაჩოვმა მითხრა: "დაჯექ, მინდა მოგელაპარაკოო". პირისპირ დავრჩით.

რამდენიმე წუთს ორივენი ვდუმდით. პუგაჩოვი დაკვირვებით მაცქერდებოდა და ხანდახან მარცხენა თვალს მოჭუტავდა უცნაური, ცბიერი და დამცინავი გამომეტყველებით. უეცრად ისე მხიარულად გაიცინა, რომ მისმა შემხედვარემ, არ ვიცი რისთვის, მეც სიცილი დავიწყე.

- რაო, თქვენო კეთილშობილებავ? - მითხრა მან. - გამოტყდი, ხომ შეგეშინდა, ჩემმა ბიჭებმა კისერზე თოკი რომ შეგაბეს?. . ვგონებ, ცა ცხვრის ტყავად მოგეჩვენა, ჰა!. . . აპორწიალდებოდი კია, შენი მსახური რომ არა. . . მაშინვე ვიცანი ის გადაღრძუებული. ჰა? იფიქებდი კი, თქვენო კეთილშობილებავ, რომ კაცი, რომელმაც ტრაქტირში მიგიყვანა, თვით დიდი ხელმწიფე იყო? (აქ მან დარბაისლური და იდუმალი გამომეტყველება მიიღო). შენ ძლიერ დააშავე ჩემთან, - განაგრძო მან, - მაგრამ მე შენ შენი გულკეთილობისათვის შეგიბრალე, შეგიბრალე იმიტომ, რომ სამსახური გამიწიე მაშინ, როდესაც იძულებული ვიყავი ჩემს მტრებს დავმალვოდი. ჯერ სადა ხარ! აგრე დაგაჯილდოებ, როცა ჩემს სამეფოს მივიღებ! მპირდები გულმოდგინედ მემსახურო?

ამ სალახანას კითხვა და მისი უტიფრობა იმდენად უცნაური მომეჩვენა, რომ ჩამეცინა.

- რაზე იცინი? - შემეკითხა მოღუშული. - ეგებ არა გჯერა, რომ მე დიდი ხელმწიფე ვარ? პირდაპირ მიპასუხე.

შევკრტი. მე არ შემეძლო მაწანწალა ხელმწიფედ მიმეჩნია: ეს მიუტევებელ სულმდაბლობად მიმაჩნდა. თვალდათვალ მატყუარა დამეძახა, თავის დაღუპვა იქნებოდა თანაც ის, რისთვისაც მზად ვიყავი სახრჩობელასთან, საჯაროდ და პირველი აღშფოთების წუთებში, აქ უბრალო მეტიჩრობად ჩავთვალე.

შევყოყმანდი. პუგაჩოვი მოღუშული ელოდა ჩემს პასუხს (დღესაც კმაყოფილების ვიგონებ ამ წუთებს), მოვალეობის გრძნობამ დათრგუნა ჩემი ადამიანური სისუსტე. მე ვუპასუხე პუგაჩოვს:

- მისმინე, სრულ სიმართლეს გეტყვი. განსაჯე თვითონ, შემიძლია ხელმწიფედ გცნო? მიხვედრილი კაცი ხარ და თვითონ დაინახავდი, რომ მე ვთვალთმაქცობ.

- მაშ ვინა ვარ, შენი აზრით?

- ღმერთმა უწყის, მაგრამ ვინც უნდა იყო, სახიფათოდ ხუმრობ.

პუგაჩოვმა უცებ შემომხედა.

- მაშ შენ არა გჯერა, რომ მე მეფე ვარ, პიოტრ ფეოდოროვიჩი? - თქვა მან. - კეთილი, მაგრმ განა გაბედულს არ გაუმარჯვდება? ძველად განა გრიშკა ოტრეპიევმა არ იმეფა? ჩემზე რაც გინდა ის იფიქრე, მხოლოდ ნუ ჩამომშორდები. რაში გესაქმება სხვა რამე-რუმე? ვინც მღვდელი არაა, ხუცესია. მემსახურე ერთგულად და მე შენ ფელდმარშლობას, თავადობას მოგცემ. რას იტყვი?

- არა, - ვუპასუხე მე მტკიცედ. - მე წარმოშობით აზნაური ვარ; ხელმწიფე-იმპერატრიცასთვის ფიცი მიმიცია; შენი სამსახური არ შემიძლია. თუ შენ ჩემთვის მართლაც სიკეთე გსურს, გამიშვი ორენბურგს.

პუგაჩოვი ჩაფიქრდა.

- რომ გაგიშვა, იმის პირობას მაინც მომცემ, რომ ჩემს წინააღმდეგ არ იმსახურებ?

- აბა, როგორ შემიძლია მაგას დაგპირდე? - ვუპასუხე მე, - თვითონ იცი, ჩემი ნება არაა: მიბრძანებენ შენს წინააღმდეგ წამოვიდე, წამოვა - რას გავაწყობ. შენ თვითონ ხარ ახლა უფროსი, თვითონ მოითხოვ შენებისგან მორჩილებას. რას ემსგავსება სამსახურზე უარი განვაცხადო, როცა საჭირო იქნება? ჩემი თავი შენს ხელთ არის: გამიშვებ - მადლობელი ვიქნები; დამსჯი და, ღმერთი იქნება შენი განმსჯელი, მე კი სიმართლე გითხარი.

ჩემმა გულწრფელობამ გააოცა პუგაჩოვი.

- აგრე იყოს, - თქვა მან და მხარზე ხელი დამკრა. - თუ სასჯელია - სასჯელი იყოს, პატიებაა და პატიება. გასწი, ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი გაქვს და რაც გსურს, ისე ჰქენი. ხვალ მ ოდი, გამომეთხოვე, ახლა კი წადი და დაიძინე, მეც ძილი მერევა უკვე.

მოვშორდი პუგაჩოვს და ქუჩაში გამოვედი. მყუდრო და სუსხიანი ღამე იყო. მთვარე და ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და ანათებდნენ მოედანს და სახრჩობელას. ციხეში სიმშვიდე იყო და ბნელოდა. მხოლოდ დუქანში ბჟუტავდ სინათლე და დაგვიანებულ მოქეიფეთა ყვირილი ისმოდა. მღვდლის სახლს შევხედე. დედაბრები და ჭიშკარი დაკეტილი იყო. ეტყობოდა შიგ სრული სიმშვიდე სუფევდა.

შინ დავბრუნდი. იქ შეწუხებული საველიჩი დამხვდა. ჩემზე წუხდა. მაგრამ როცა ჩემი განთავისუფლების ამბავი გაიგო, უზომოდ გაეხარდა.

- მადლობა შენდა, უფალო! - თქვა მან და პირჯვარი გადაიწერა. - ინათოს თუ არა, დავაგდოთ ციხე და წავიდეთ ალალბედზე. ცოტა რამ მოგიმზადე, მიირთვი და მერე დილამდე იძინე დამშვიდებით.

რჩევას დავყევ, მადიანად ვივახშმე, პირდაპირ იატაკზე მივწექი და დავიძინე სულიერად და ფიზიკურად დაქანცულმა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

ტკბილი იყო შენთან შეყრა,

მშვენიერო, ჩინებულო!

ვწუხვარ, ვწუხვარ შენსა გაყრს

თითქოს სულს ვთმობ, ჩემო გულო.

ხ ე რ ა ს კ ო ვ ი

დილაადრიან დოლის ხმამამ გამაღვიძა. წავედი შესაკრებელ ადგილას. პუგაჩოვის ბრბოები უკვე ირაზმებოდნენ სახრჩობელასთან, რომელზედაც ჯერ კიდევ ეკიდნენ გუშინდელი მსხვერპლნი. კაზაკები ცხენებზე ისხდნენ, ჯარისკაცები კი თოფქვეშ იდგნენ. დროშები ფრიალებდა. რამდენიმე ზარბაზანი, რომელთა შორის მე ჩვენი ზარბაზანი ვიცანი, უკვე ზედადგარზე მოეთავსებინათ. მთელი მოსახლეობა აქვე ელოდებოდა ცრუმოსახელეს. კიბესთან ერთ კაზაკს აღვირით ეჭირა ყირგისული ჯიშის მშვენიერი თეთრი ცხენი. მე თვალით კომენდატის მეუღლის გვამს ვეძებდი. ოდნავ გვერდზე გაეთრიათ და ჭილოფი გადაეფარებინათ. პუგაჩოვი ოთახიდნ გამოვიდა. ხალხმა ქუდი მოიხადა. პუგაჩოვი კიბეზე შედგა და ყველას მიესალმა. ერთმა უხუცესთაგანმა მას ტომრით შავი ფული მიაწოდა და მან ხალხში პეშვით ფანტვა დაიწყო, ხალხი ყიჟინით ეცა ასაკრეფად და საქმე დაუსახიჩრებლადაც არ გათავებულა. პუგაჩოვს მისი მთავარი თანაზიარნი შემოეხვივნენ. მთ შორის იდგა შვაბრინიც. თვალი თვალში გავუყარეთ; ჩემს თვალებში მას შეეძლო ზიზღი ამოეკითხა, იგი გაბოროტებული შებრუნდა, თუმცა ცდილობდა დამცინავი გამომეტყველება ჰქონოდა. პუგაჩოვმა ხალხში რომ დამინახა, თავი დამიქნია და თავისთან მიმიხმო.

- გამიგონე, - მომმართა მან, - ამ წუთას გაემგზავრე ორენბურგს და გამოუცხადე გუბერნატორს და ყველა გენერალს, რომ ერთი კვირის შემდეგ მელოდონ. ურჩიე, მშობლიური სიყვარულითა და მორჩილებით დამიხვდნენ, თუ არა და, სასტიკ სასჯელს ვერ ასცდებიან. გზა მშვიდობისა, თქვენო კეთილშობილებავ! შემდეგ მიუბრუნდა ხალხს, შვაბრინზე მიუთითა და თქვა:

- აი, შვილებო, თქვენი ახალი უფროსი. დაემორჩილეთ მას ყველაფერში, ის კი ჩემს წინაშე აგებს პასუხს თქვენზეც და ციხეზეც.

ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. შვაბრინი ციხის უფროსი ხდებოდა, მარია ივანოვნა მის განკარგულებაში რჩებოდა! ღმერთო, რა მოუვა ამ ქალს! პუგაჩოვი კიბეზე ჩამოვიდა. ცხენი მიართვეს. მარდად მოევლო უნაგირს და არ დაუცადა კაზაკებს, რომლებიც მიშველებას აპირებდნენ.

ამ დროს, ვხედავ, ხალხი გამოდის ჩემი საველიჩი, მიდის პუგაჩოვთან და აძლევს მას ერთ ფურცელ ქაღალდს. ვერ მივხვდი, რა ქაღალდი იყო, ან რს გამოელოდა საველიჩი.

- ეს რა არის? - მედიდურად იკითხა პუგაჩოვმა.

- წაიკითხე და მაშინ ინებებ გაგებას, - უპასუხა საველიჩმა.

პუგაჩოვმა ჩამოართვა ქაღალდი და დიდხანს ათვალიერა:

- ეს რა აგიჭრელებია? ჩვენს ბრწყინვალე თვალებს ვერაფერი გაურჩევია. სადაა ჩემი მდივანბეგი?

კაპრალისმუნდირიანი ახალგაზრდა დაუყოვნებლივ მის გვერდით გაჩნდა.

- წაიკითხე ხმამაღლა. - თქვა ცრუმოსახელემ და ქაღალდი მას გადასცა.

მე ძლიერ მაინტერესებდა, რის შესახებ სწერდა ჩემი ლალა პუგაჩოვს. მდივანბეგმა ხმამაღლა, ჩათვლით წაიკითხა შემდეგი:

ორი ხალათი მიტკლისა და ზოლიან აბრეშუმისა, ექვსი მანეთისა.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა პუგაჩოვმა წარბშეკრულმა.

- უბრძანე განაგრძოს. - უპასუხა დამშვიდებით საველიჩმა. მდივანბეგმა განაგრძო:

- მუნდირი წმინდა მწყვანე მაუდის, შვიდი მანეთისა. მაუდის თეთრი შარვალი, ხუთი მანეთისა. თორმეტი პერანგი ჰოლანდიური ტილოსი სამაჯურებით, ათი მანეთისა. სკივრი ჩაის ჭურჭლით ორი და ათი შაურისა.

- რას როშავს? - გააწყვეტინა პუგაჩოვმა, მე რა მესაქმება რაღაც სკივრთან და შარვალთან სამაჯურებით?

საველიჩმა ჩაახველა და განმარტებას შეუდგა:

- ეს, ჩემო ბატონო, უნდა მოგახსენო, ჩემი ბატონის ქონების ნუსხაა, ბოროტმოქმედებმა რომ გაიტაცეს. . .

- რომელმა ბოროტმოქმედებმა? - იკითხა განრიხებულმა პუგაჩოვმა.

- უკაცრავად, შემცდა, - უპასუხა საველიჩმა, - ბოროტმოქმედებმა არა და, შენმა ბიჭებმა კი აურიეს და დაიტაცეს. ნუ გამიჯავრდები, ცხენი ოთხ ფეხზე დგას და ისიც კი წაიფორხილებს. უბრძანე ბარემ ბოლომდე ჩაიკითხოს.

- ჩაიკითხე, - თქვა პუგაჩოვმა. მდივანბეგმა გნაგრძო:

- საბანი ჩითისა, მეორე მერდინისა, ბამბიანი, ოთხი მანეთი. ქურქი მელიისა, ალისფერი რატინზე, ორმოცი მანეთი. კიდევ კურდღლის ჯუბა, ტრაქტირში თქვენი მოწყალებისადმი ნაჩუქარი, 15 მანეთი.

- ეს კიდევ რა ამბავია? - დაიყვირა პუგაჩოვმა და ცეცხლისფრქვევი თვალები დააბრიალა.

მართალი რომ ვთქვათ, შევშინდი საცოდავი ჩემი გამდელისათვის. მას კიდევ უნდოდა რაღაც გენამარტა, მაგრამ პუგაჩოვმა შეაწყვეტინა.

- როგორ გაბედე ჩემთან ასეთი სისულელით მოსვლა? - დაიყვირამან. ქაღალდი ხელიდან გამოგლიჯა მდივანს და საველიჩს სახეში სთხლიშა.

- ჩერჩეტო ბებერო! გაუძარცვიათ! დიდი ამბავი მომხდარა! შენ, შე გადაღრძუებულო ბებერო, შენი დღენი ღმერთს უნდა ევედრო ჩემთვისა და ჩემი ვაჟკაცებისთვის, რომ შენ და შენი ბატონი ამ ჩემი ურჩების გვერდით არ ჰკიდიხართ. . . კურდღლის ჯუბა! მე შენ გიჩვენებ კურდღლის ჯუბას! ვუბრძანებ ცოცხალს გააძრონ ტყავი ჯუბისათვის, იცი თუ არა?

- როგორც გენებოს, - უპასუხა საველიჩმა; - ოღონც მე ყმა გახლავართ და ბატონის ქონებისატვის პასუხისმგებელი.

პუგაჩოვი, ეტყობოდა, სულგრძელად იყო განწყობილი, იგი მიბრუნდა და წავიდა, მეტი არაფერი უთქვამს, შვაბრინი და უხუცესი მას გამოუდგნენ. ბრბო ციხიდან მწყობრად გავიდა. ხალხმა პუგაჩოვი გააცილა. მე მარტო დავრჩი მოედანზე საველიჩთან. ჩემს გამზდელს თავის ნუსხა ხელში ეჭირა და დიდად დანაღვლიანებული სინჯავდა მას.

პუგაჩოვის ჩემდამი კეთილგანწყობილებას რომ ხედავდა, მოინდომა ამით ესარგებლა, მაგრამ ეს ბრძნული განზრახვა არ შეუსრულდა. დატუქსვა მინდოდა მისი ასეთი უადგილო მზურნველობისათვის და სიცილი ვეღარ შევიკავე.

- იცინე, ბატონო, იცინე, - მიპასუხა საველიჩმა. - იცინე და როცა ხელახლა დაგჭირდება მთელი ქოენბის შეძენა, მაშინ ვნახოთ, სასაცილო იქნება თუ არა.

მე მღვდლისას გავეშურე მარია ივანოვნას სანახავად. მღვდლის ცოლმა ცუდი ამბავი დამახვედრა. ღამით მარია ივანოვნასთვი ციებ-ცხელებას დაუწყებინებია. იგი უგონოდ იწვა და ბოდავდა. მღდლის ცოლმა იმის ოთახში შემიყვანა. მე ნელა მივუახლოვდი მის საწოლს. თავზარი დამცა მისი სახის ცვლილებამ. ავადმყოფმა ვერ მიცნო. დიდხანს ვიდექი მის წინ და არაფერი მესმოდა არც მამა გერასიმესი და არც მისი მეუღლისა, რომლებიც მგონი მამშვიდებდნენ. შავი ფიქრები მაღელვებდა. საბრალო, უმწეო ობლის მდგომარეობა, რომელიც გამხეცებული მემაბოხეების ხელში დარცა, და ჩემი უსუსურობა მაშინებდა. შავბრინი, შავბრინი ყველაზე მეტად სტანჯავდა ჩემს წარმოდგენას. ცრუმოსახელისაგან უფლებამოსილი ოფროსი ციხისა, სადაც რჩებოდა უმწეო ქალი, მისი სიძულვილის უნდანაშაულო მსხვერპლი. რა არ შეეძლო მას ჩაედინა? რა უნდა მექნა? როგორ მეშველა? როგორ დამეხსნა იგი ამ ავაზაკის ხელიდან? ერთი საშველიღა იყო: გადავწყვიტე ციხის განთავისუფლება და შეძლებისდაგვარად ხელი შემეწყო ამ მაბისათვის. მე გამოვეთხოვე მღვდელს და აკულინა პამფილოვნას, რომელსაც გულმხურვალედ ჩავაბარე ის, ვისაც უკვე ჩემს მეუღლედ ვთვლიდი, ავწიე საცოდავი ქალის ხელი, ვაკოცე და ცხარე ცრემლებით განვბანე.

- მშვიდობით, - მეუბნებოდა მღდლის ცოლი გაცილებისას, - მშვიდობით პიოტრ ანდრეიჩ! ვინძლო უკეთეს ყოფაში ვნახოთ კიდევ ერთიმეორე. არ დაგვივიწყოთ და ხშირად მოგვწერეთ. სბრალო მარია ივანოვნას ახლა თქვენს მეტი არავინ აბადია ნუგეშად და პატრონად.

მოედანზე გამოვედი, წუთით შევჩერდი, შევხედე სახრჩობელას, თაყვანი ვეცი მას, გავედი ციხიდან და გავწიე ორენბურგის გზაზე საველიჩის თანხლებით, რომელიც არ მშორდებოდა.

ფიქრებში გართული მივდიოდი, რომ უკანიდან ცხენის ფეხის ხმა მომესმა. მივიხედე და ვხედავ: ციხიდან მოაჭენებს კაზაკი, მარქაფად მოჰყავს ბაშკირული ცხენი და ხელს მქნევს. მე შევჩერდი და მალე ვიცანი ჩვენი ურიადნიკი. მოაჭენა, ჩამოხტა თავის ცხენიდან, გადმომცა მეორე ცხენის აღვირი და მითხრა: "თქვენო კეთილშობილებავ! ჩვენმა მამამ გიბოძათ ცხენი და საკუთარი ქურქი (უნაგირზე მიკრული იყო ცხვრის ქურქი). . . და კიდევ, - განაგრძო ბორძიკით ურიადნიკმა, - მან თქვენ გიბოძათ. . . ათი შაური ფულად. . . მაგრამ ის მე გზაში დამეხნა. სულგრძელობით მაპატიეთ".

საველიჩმა ალმაცერად შეხედა და წაიბუზღუნა: - გზაში დაეხნა! მაშ ეგ უბეში რა გიჩხრიალებს? უნამუსო!

- უბეში რა უნდა მიჩხრიალებდეს? - მიუგო ურიადნიკმა უტიფრად, - მოგცლია, მოხუცო! აღვიღი ჩხრიალებს და არა ათი შაური.

- კეთილი, - ვთქვი მე და დავა შევწყვიტე. - მადლობა უთხარი ჩემ მაგიერ, ვინც შენ გამოგგზავნა, ხოლო დაფანტული ათი შაური იქითობას მოძებნე და მისი არაყი გადაჰკარი.

- დიდად გმადლობთ, თქვენო კეთილშობილებავ, - მიპასუხა მან და ცხენი მიაბრუნა, - მარად თქვენი მლოცველი ვიქნები.

ამ სიტყვებით მან უკანვე გააჭენა ცხენი. ცალი ხელინ უბეზე ჰქონდა მიდებული და ერთი წუთის შემდეგ თვალს მიეფარა.

მე ქურქი ჩავიცვი, შევჯექი ცხენზე და საველიჩი უკან შემოვისვი.

- აი, ხომ ხედავ, - მითხრა მოხუცმა, - რომ მე ამაოდ არ მიმიცია არზა ავაზაკისთვის. შერცხვა ქურდს, თუმცა ბაშკირული ჩინდრიკა ცხენი და ცხვრის ქურქის იმის ნახევრადაც არა ღირს, რაც იმ სალახანებმა ჩვენ მოგვპარეს და რაც მას თქვენ თვითონ უბოძეთ, მაგრამ მაინც გამოგვადგება; ყვავს კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ქალაქის გარემოცვა

რა დაიჭირა ველნი, გორანკი,

ვითა არწივი, მაღლიდან ქალაქს გასცქერდა.

ბანაკს ზურგს იქით გააკეთა მან ხაროები,

შიგ ქვემეხები რა დამალა, ღამით ქალაქს სცა.

ორენბურგს რომ მივუახლოვდით, დავინახეთ ჯალათის მარწუხით დასახიჩრებულსხეებიანი, თავგადაპარსული ბრბო ხუნდებიანი ტუსაღების; ისინი სიმაგრეების ახლოს მუშაობდნენ ციხის ინვალიდების ზედამხედველობით. ზოგს ურმებით ამოჰქონდა ნაგავი, რომელსაც თხრილების ამოევსო, ზოგნი მიწას თხრიდნენ. ქვის მუშები აგურს ეზიდებოდნენ და ქალაქის კედელს ამაგრებდნენ. სნგრებთან დარაჯებმა გაგვაჩერეს და პასპორტები მოგვთხოვეს. როგორც კი სერჟანტმა გაიგო, რომ მე ბლოგორის ციხიდან მოვდივარ, იმავე წუთს პირდაპირ გენერლის სახლში წამიყვანა.

მე ის ბაღში დამიხვდა. ვაშლიხ ხეებს ათვალიერებდა, რომლებიც შემოდგომის სუთქვას გაეტიტვლებინა; მოხუცი მებაღის დახმარბით ფრთხილად ფუთნიდა მათ თბილი ჩალით. მისი სახე გამოხატავდა სიმშვიდეს, ჯანრთელობას და გულკეთილობას. მას გაუხარდა ჩემი ნახვა და გამოკითხვა დამიწყო იმ საშინელებების შესახებ, რომელთა მოწმეც მე ვიყავი. ყველაფერი ვუამბე. მოხუცი ყურადღებით მისმენდა და თან ხმელ შტოებს სხეპდა.

- საბრალო მირონოვი! - თქვა მან, როცა დავასრულე ჩემი სამწუხარო მოთხრობა. - მებრალება, კარგი ოფიცერი იყო. მადამ მირონოვიც კეთილი ქალბატონი იყო, ან როგორ ოსტატურად ამარილებდა სოკოს! მაშა როგორღაა, კაპიტანის ქალი?

მე მივუგე, რომ იგი ციხში დარჩა მღვდლის ცოლთან.

- ჰაი, ჰაი! - შენიშნა გენერალმა. - ეს ცუდია, ძალიან ცუდია. ავაზაკების დისციპლინის მინდობა შეუძლებელია. რა მოუვა საბრალო გოგოს?

ვუპასუხე, რომ ბელოგრის ციხემდე შორს არაა და უთოდ, მისი აღმატებულება არ დააყოვნებს ჯარის გაგზავნას საბრალო მცხოვრებთა დასახსნელად. გენერალმა ყოყმანით გაიქნია თავი.

- ვნახოთ, ვნახოთ, - თქვა მან. - ამაზე კიდევ მოვასწრებთ მსჯელობას. გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთან ჩაიზე; დღეს მე სამხედრო თათბირი მექნება. თქვენ შეგიძლიათ სწორი ცნობები მოგვაწოდოთ იმ უქნარა პუგაჩოვზე და მის ჯარზე, ჯერ კიდევ წადით და დაისვენეთ.

წავედი ჩემთვის მიჩენილ ბინაზე, სადაც საველიჩი უკვე ფუსფუსებდა; მოუთმენლად ველოდი დანიშნულ დროს. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რომ მე დაუყოვნებლივ გამოვცხადდი იმ თათბირზე, რომელსაც ესოდენ გავლენა უნდა მოეხდინა ჩემს ბედ-იღბალზე. დანიშნულ საათს უკვე გენერალთან ვიყავი.

მასთან დამხვდა ქალაქის ერთი სქელი მოხელეთაგანი, მახსოვს, საბაჟოს დირექტორი, სქელი და ღაჟღაჟა მოხუცი, გლასეტის კაფტანში. მან დამიწყო გამოკითხვა ივან კუზმიჩზე, რომელსაც ნათილმამობით იხსენიებდა, ხშირად მაწყვეტინებდა ნართაული კითხვებით და დარიგებით, რომელიც თუ მის მიერ სამხედრო ხელოვნების ცოდნას არ მოწმობდა, მის მიხვედრილობას და ბუნებრივ გონიერებას მაინც ამჟღავნებდა. ამასობაში სხვა წვეულნიც შეგროვდნენ. როცა ყველანი დასხდნენ და ყველას მიართვეს თითო ფინჯანი ჩაი, გენერალმა ფრიად ვრცლად და ნათლად მოახსენა საქმის ვითარება:

- ახლა, ბატონებო, - განაგრძო მან, - გადასაწყვეტია, როგორ უნდა ვიმოქმედოთ მეამბოხეთა წინააღმდეგ: შეტევით თუ თავდაცვით? თვითეულ ამ ილეთს თავისი სასარგებლო და საზიანო მხარე აქვს. სეტევითი მოქმედება მეტ იმედზ იძლევა მტრის მალე განადგურებისათვის; თავდაცვითი მოქმედება კი უფრო საიმედოა და უშიშარი. . . მაშ ასე, ხმები შევაგროვოთ კანონიერი წესით, ესე იგი დავიწყოთ ხარისხით ყველაზე უმცროსიდან. ბატონო პრაპოშჩიკო! - განაგრძო მან და მე მომიბრუნდა, - კეთილი ინებეთ და გაგვაცანით თქვენი აზრი.

წამოვდექი და მოკლედ ავწერე ჯერ პუგაჩოვი და მისი ბრბო, მერე მეტკიცედ განვაცხადე, რომ ცრუმოსახლეს საშუალება არა ჰქონდა ნამდვილ იარაღს გამაგრებოდა.

ჩემია ზრი მოხელეებმა აშკარა უკმაყოფილებით მიიღეს. მასში ისინი ახალგაზრდა კაცის თავხედობას და წინდაუხედაობას ხედავდნენ, აყაყანდნენ და მე აშკარად გავიგონე ვიღაცამ დაბალი ხმით რომ თქვა სიტყვა - ძუძუმწოვარა. გენერალი მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა:

- ბატონო პრაპორშჩიკო! პირველი ხმები სამხედრო თათბირზე ჩვეულებრივად შეტევის სასარგებლოდაა ხოლმე, ეს კანონიერია. ახლა განვაგრძოთ ხმების მოგროვება. ბატონო კოლეჟსკი სოვეტნიკო! გვითხარით თქვენი აზრი.

გალესტის კაფტანიანმა მოხუცმა საჩქაროდ დასცალა მესამე ფინჯანი, რომელშიც დიდი რაოდენობის რომი იყო ჩასხმული, და უპასუხა გენერალს:

- მე ვფიქრობ, თქვენო აღმატებულებავ, რომ არ უნდა ვიმოქმედოთ არც შეტევით, არც თავდაცვით.

- ეს როგორიღა იქნება, ბატონო კოლეჟის სოვეტნიკო! - შეეკითხა გაოცებული გენერალი, - სხვა ილეთი ტაქტიკით გათვალისწინებული არ არის: მოძრაობა ან თავდაცვითია, ან შეტევითი. . .

- თქვენო აღმატებულებავ, იმოქმედეთ მოსყიდვით.

- ე-ჰე-ჰე! თქვენი აზრი ფრიად გონიერია. მოსყიდვით მოძრაობას ტაქტიკა იწყნარებს და ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი რჩევით. შეიძლება იმ მაწანაწალას თავში დავპირდთ სამოცდაათ, ან ას მანეთსაც კი. . . საიდუმლო თანხიდან. . .

- და მაშინ, - გააწყვეტინა საბაჟოს დირექტორმა, - ყირგიზული ცხვარი ვიყო და არა კოლეჟსკი სოვეტნიკი, თუ ეს ქურდები თავის ატამანს ხელფეხშეკრულს არ ჩაგვაბარებენ.

- ჩვენ ამაზე კიდევ ვიფიქრებთ და ვითათბირებთ, - უპასუხა გენერალმა, - მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა სამხედრო ზომების მიღებაც. ბატონებო, მიეცით თქვენი მხები კანონიერი წესით.

ყველა აზრი ჩემი აზრის საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ყველა მოხელე ლაპარაკობდა, ჯარები სანდო არ არიანო, გამარჯვება საეგებიო არის ხოლმეო; მოითხოვდნენ სიფრთხილესა და სხვა ამგვარებს. ყველა იმ აზრისა იყო, რომ უფრო გონიერია მაგარი ქვის კედლებს იქით

ზარბაზნების საფარველქვეშ ყოფნა, ვიდრე გაშლილ ველზე იარაღით ბედის ცდაო. დაბოლოს, გენერალმა ყველა აზრი რომ მოისმინა, გამობერტყა ჩიბუხიდან ნაცარი და შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

- უფალნო ჩემნო! მე უნდა გაგიცხადოთ, რომ ჩემი მხრით სრულიად ვეთანხმები ბატონი პრაპორჩიკის აზრს, ეს აზრი დამყარებულია საღი ტაქტიკის ყველა ილეთზე, რომელიც თითქმის ყოველთვის თავდაცვითი მოძრაობის წინაშე უპირატესობას შეტევას აკუთვნებდა.

აქ ის შეჩერდა და ჩიბუხის ტენა დაიწყო. ჩემი თავმოყვარეობა ზეიმობდა. მე მედიდურად გადავხედე მოხელეებს, რომლებიც ერთმანეთში უკმაყოფილო და შეწუხებული სახით ჩურჩულებდნენ.

- მაგრამ, უფალნო ჩემნო! - განაგრძო მან და ღრმად ამოოხვრას ბოლის მთელი ნაკადი ამოაყოლა, - მე ვერ გავბედავ ჩემს თავზე ავიღო ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა, როდესაც საქმე შეეხება მისი იმპერატორობით უდიდებულესობის, ჩემი მოწყალე დედოფლისაგან ჩემდამი მონდობილი პროვინციების უშიშროებას. ამრიგად, მე ვეთანხმები ხმების უმრავლესობა, რომლითაც გადაწყდა, რომ ყველაზე გონიერი და უშიშარია ვუცადოთ ქალაქის გარემოცვას, ხოლო მტრის იერიშები არტილერიითა და (თუ შესაძლო გახდება) ციხიდან თავდასხმით მოვიგერიოთ.

ახლა მოხელეებმა შემომხედეს დაცინვით. თათბირი დამთავრდა. მე არ შემეძლო არ დავღონებულიყავი პატივცემული მეომრის სისუსტის გამო, რომელმაც საკუთარი რწმენის წინააღმდეგ გადაწყვიტა მიმხრობოდა უცოდინარ და გამოუცდელ პირთა აზრს.

ამ შესანისნავი თათბირის რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ პუგაჩოვი დაპირებისამებრ ორენბურგს უახლოვდებოდა. მე დავინახე მეამბოხეთა ჯარი ქალაქის კედლების მაღლობებიდან. ისე მომეჩვენა, რომ მათი რიცხვი გაათკაცებულიყო უკანასკნელი იერიშის შემდეგ, რომლის მნახველიც მე ვიყავი. მათ ჰქონდათ არტილერიაც, რომელიც, პუგაჩოვმა ხელთ იგდო მის მიერ უკვე დაპყრობილი პატარა ციხეებში. თათბირის გადაწყვეტილება რომ მომაგონდა, წინასარ განვსჭვრიტე, რომ ორენბურგის კედლებში დიდი ხნით ვიყავით მომწყვდეული და ბრაზით თითქმის ვტიროდით.

ორენბურგს გარემოცვას აღარ ავწერ, ვინაიდანის ისტორიას ეკუთვნის და არა ოჯახურ ჩანაწერებს. მოკლედ ვიტყვი, რომ ეს გარემოცვა ადგილობრვი ხელისუფლების გაუფრთხილებლობის გამო დამღუპველი გამოდგა მცხოვრებთათვის, რომლებმაც შიმშილი და მრავალი უბედურება გადაიტანეს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ცხოვრება ორენბურგში აუტანელი იყო. ყველანი დაღონებული ელოდნენ თავის ხვედრს; ყველა კვნესოდა საშინელი სიძვირის გამო. მცხოვრებნი მეიჩვივნენ ყუმბარებს, რომლებიც მათ ეზოებში შემოფრინდებოდა ხოლმე; - პუგაჩოვის იერიშებიც კი აღარ იპყრობდა საერთო ყურადღEბას. მე მოწყენილობა მკლავდა. დრო გადიოდა. ბელოგოროსი ციხისან წერილები არ მომდიოდა. გზები ყველგან შეკრული იყო. მარია ივანოვნასთან განშორება მოუთმენელი ხდებოდა. ერთადერთი ჩემი გასართობი თარეში იყო. პუგაჩოვის წყალობით მე გვარიანი ცხენი მყავდა, რომელსაც ვუყოფდი ჩემს მწირ საჭმელს და რომლითაც ყოველდღე გავდიოდი ქალაქგარეთ და პუგაჩოვის მხედრებს ვესროდი. ამ თარეშის დროს უპირატესობა ჩვეულებრივად მაძღარი,

მთვრალი და კარგცხენებიანი ავაზაკების მხარეზე იყო. ქალაქის გაძვალტყავებული მხედრობა მათ ვერა სჯობნიდა. ველზე ხანდახან ჩვენი მშიერი ქვეითი ჯარიც გამოდიოდა, მაგრამ ღრმა თოვლი უშლიდათ გაფანტული მხედრების წინააღმდეგ მოქმედებას. არტილერია ამაოდ სჭექდა სიმაგრის მაღლობებიდან, ველზე კი იფლობოდა და ვერ იძროდა ცხენების დაქანცულობის გამო. ასეთი იყო სამხედრო მოქმედება და ამას ეძახდნენ ორენბურგელი მოხელეები სიფრთხილეს და კეთილგონიერებას. ერთხელ, როდესაც, როგორც იყო, შევძელით კარგა მოზრდილი ბრბოს გაფანტვა და განდევნა, თავისიანებს ჩამორჩენილ ერთ კაზაკს წავაწყდი; ის იყო ჩემი თათრული ხმალი უნდა დამეკრა, რომ უცებ მან ქუდი მოიშვლიპა და დაიყვირა: "გამარჯობა, პიოტრ ანდრეიჩ, როგორა ბრძანდებით?"

შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი ჩვენი ურიადნიკი. გამოუთქმელად გამეხარდა მისი ნახვა. "გამარჯობა, მაქსიმიჩ! - ვუპასუხე მას. - დიდი ხანია, რაც ბელოგორში იყავი?"

- არა, მხოლოდ გუშინ დავბრუნდი, პიოტრ ანდრეიჩ! წერილი მაქვს თქვენთან.

- აბა, სადაა? - შევყვირე მე აღშფოთებულმა.

- აქა მაქვს, - მიპასუხა მაქსიმიჩმა და უბეში ჩაიყო ხელი. - პალაშას დავპირდი როგორმე მომეწოდებინა თქვენთვის. მან დაკეცილი ქაღალდი გადმომცა და უმალვე მოკურცხლა.

გავხსენი და ათრთოლებულმა შემდეგი წავიკითხე:

"ღმერთმა ინება ერთბაშად წაერთმია ჩემთვის დედაცა და მამაც. ქვეყნად არ მომეპოვება არც ნათესავები, არც მფარველები. მოგმართავთ თქვენ, რადგანაც ვიცი, რომ ჩემთვის ყოველთვის კარგი გსურდათ და მზადა ხართმ ყველა ადამიანს დაეხმაროთ. უფალსა ვთხოვ, მა წერილმა როგორმე თქვენამდე მოაღწიოს! მაქსიმიჩი დამპირდა, რომ მოგიტანთ. პლაშას აგრეთვე მაქსიმიჩისაგან გაუგონია, რომ ის თქვენ ხშირად გხედავთ ველზე მოთარეშეს. თურმე თავს სრულიად არ უფრთხილდებით და არა ფიქრობთ იმათზე, ვინც თქვენთვის თვალცრემლიანები უფალს ევედრებიან. მე დიდხანს ვიყავი ავად და როდესაჩ Mმოვრჩი, ალექსეი ივანიჩი, რომელიც უფროსობს ჩვენთან მამაჩემის ნაცვლად, მამა გერასიმეს პუგაჩოვით დაემუქრა და აიძულა მე მისთვის გადავეცი, მე ჩვენს სახლში ვცხოვრობ და მდარაჯობენ. ალექსეი იავნიჩი ძალას მატანს ცოლად გავყვე. ის ამბობს: სიკვდილს გადაგარჩინე იმით, რომ აკულინა პამფილოვნას სიცრუე დავფარე, როცა ავაზაკებს უთხრა, ჩემი ძმისწულიაო. ჩემთვის კი გაცილებით ადვილი იყო სიკვდილი, ვიდრე ისეთი კაცის ცოლობა, როგორიცაა ალექსეი ივანიჩი. ის მე ძალიან სასტიკად მექცევა და მემუქრება: თუ არ მოჭკვიანდები და არ დამთანხმდები, ავაზაკთა ბანაკში წაგიყვან და შენც ის მოგივა, რაც ლიზავეტა ხარლოვასო. მე ვთხოვე ალექსეი ივანიჩს მოფიქრების დრო მოეცა. ის დათანხმდა კიდევ სამ დღეს დაიცადოს, და თუ სამი დღის შემდეგ მისი ცოლი არ გავხდები, აღარ დამინდობს. კეთილო პიოტრ ანდრეიჩ! თქვენ ერთიღა მყავხართ მფარველი. გამომექომაგეთ მე უბედურს. დაითანხმეთ გენერალი და ყველა უფროსი, დაჩქარებით გამოგვიგზავნონ სიკურსი, თვითონაც მოდით, თუ შეგიძლიათ.

ვრჩები თქვენი მორჩილი საბრალო ობოლი

ეს წრილი რომ წავიკითხე, კინაღამ ჭკუაზე შევცდი. ქალაქისაკენ გავქუსლე, თან უწყალოდ ვუტრყამდი დეზებს საბრალო ჩემს ცხენს. გზაში ხან რა ვიფიქრე, ხან რა საბრალო ქალის დასახსნელად და ვერაფერი კი ვერ მოვისაზრე. მივიჭერი თუ არა ქალაქში, პირდაპირ გენერლისაკენ გავწიე და საჩქაროდ შევვარდი მასთნა.

გენერალი ოთახში ბოლთასა სცემდა და თავის ჩიბუხს სწევდა. რომ დამინახა, შეჩერდა; ალბათ ჩემმა სახემ გააოცა; იგი მზურნველობით შემეკითხა ასეთი სისწრაფით მისვლის მიზეზს.

- თქვენო აღმატებულებავ! - ვუთხარი მე. - მოგმართავთ, როგორც საკუთარ მამას, ღვთის გულისათვის, უარი არ მითხრათ ჩემს თხოვნაზე: საქმე შეეხება მთელ ჩემს სიცოცხლესა და ბედნიერებას.

- რა ამბავია, შვილო? - შემეკითხა გაოცებული მოხუცი, - რა შემიძლია შენთვის გავაკეთო? სთქვი.

- თქვენო აღმატებულებავ, მიბრძანეთ წავიყვანო ჯარისკაცთა ერთი რტოა და კაზაკთა ნახევარი ასეული და გამიშვით ბელოგორის ციხის გასაწმენდად.

გენერალი ისე დამაცქერდა, თითქოს გიჟი ვგონებოდე (რაშიაც თითქმის არა სცდებოდა).

- როგორ თუ ბელოგორის ციხის გასაწმენდად? - შემეკითხა იგი.

- პასუხს ვაგებ გამარჯვებისათვის, ოღონდ კი გამიშვით, - ვუპასუხე გაცხარებულმა.

- არა, ჭაბუკო, - თქვა მან თავის ქნევით, - ასეთ დიდ მანძილზე მტერი ადვილად მოგწყვეტს მთავარი სტრატეგიული პუნქტის კომუნიკაციისაგან და სავსებით დაგამარცხებს. მოწყვეტილი კომუნიკაცია. . .

მე შევშინდი, როცა დავინახე, როლმ მან სამხედრო საქმეზე მსჯელობაში შესტოპა და შევეცადე შემეწყვეტინებინა.

- კაპიტანი მირონოვის ქალი, - ვუთხარი მას, - წერილსა მწერს; იგი შველას თხოულობს; შვაბრინი მას ძალას ატანს, რომ ცოლად გაჰყვეს.

- ნუთუ? ოო, ეს შვაბრინი დიდი Schelm-აა[1] და თუ ხელში ჩამივარდა, ვბრძანებ 24 საათში გაასამართლონ, ჩვენ მას ციხის პარაპეტზე დავხვრეტთ! მაგრამ ჯერჯერობით უნდა მოვითმინოთ. . .

- უნდა მოვითმინოთ! - შევყვირე მე გაგიჟებულმა, - ის კი ამასობაში ცოლად გაიხდის მარია ივანოვნას!

- ოჰო! - მიპასუხა გენერალმა, - ეს არცთუ ისეთი დიდი უბედურებაა: მისთვის უმჯობესია ჯერჯერობით შვაბრინის ცოლი იყოს; ახლა შვაბრინს შეუძლია პროტექცია გაუწიოს და როცა დავხვრეტავთ, ღმერთი მოწყალეა და საქმროებიც გამოუჩნდებიან. ცუგრუმელა ქვრივები

ქალწულებად არ რჩებიან, ესე იგი მე მინდოდა მეთქვა, რომ ქვრივი უფრო მალე იშოვის ქმარს, ვიდრე ქალიშვილი.

- უმალ სიკვდილს ვირჩევ, - დავიყვირე გახელებულმა, - ვიდრე მას შვაბრინს დავუთმობდე!

_____

1 არამზადა.

- ბა, ბა, ბა, ბა! - გაიკვირვა მოხუცმა. - ახლა კი მესმის: გეტყობა, შენ მარია ივანოვნა გყვარებია. ჰო, ეს სხვა საქმეა! საბრალო ბიჭი! მაგრამ მე მაინც არ ძალმიძს მოგცე ჯარისკაცთა როტა და კაზაკთა ნახევარი ასეული. ეს ექსპედიცია უგუნური იქნებოდა, მე ვერ ვიკისრებ პასუხისმგებლობას.

მე თავი ჩავქინდრე; სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. უცებ თავში აზრმა გამიელვა: რაში მდგომარეობდა იგი, ამას მკითხველი შემდეგ თავში დაინახავს, როგორც იტყვიან ხომლე მოძველებური რომანების დამწერები.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

აჯანყებული დაბა

იმჟამად ლომინ მაძღრად იყო, თუმცა ჯიშით ზარდამცემია.

- რისთვის გარჯილხარ და მობრძანდი ჩემსა ბუნაგში? ჰკითხა

ალერსით მან მისულსა.

ა. ს უ მ ა რ ო კ ო ვ ი

მოვშორდი გენერალს და ჩემი ბინისკენ გავეშურე. საველიჩი თავისი ჩვეულებრივი დარიგებით დამიხვდა.

- რაში გეჭირვება, ბატონო ჩემო, ამ გალეშილ ავაზაკებთან შეხლა-შემოხლა! განა ეს შეშვენის ბოიარინს? ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს: ტყუილუბრალოდ დაიღუპები. კიდევ მესმის, თათარზე მიდიოდე, ან შვეციელზე, თორემა, თქმაც კი უხერხულია. ვისზე. . .

მე მას კითხვით შევაწყვეტინე:

- რამდენი მაქვს სულ ფული?

- გეყოფა, - თქვა მან კმაყოფილებით. - ძალიან აგვაფორიაქეს იმ მაწანწალებმა, მაგრამ მაინც მოვახერხე გადამალვა, - და ამ სიტყვებით მან ჯიბიდან ამოიღო ვერცხლით სავსე ქისა.

- აბა, საველიჩ! - ვუთხარი მას, - ნახევარი მომეცი მე, დანარჩენი კი შენ აიღე, მე ბელოგორის ციხეში მივდივარ.

- პიოტრ ანდრეიჩ! - შეჰყვირა საბრალო გამდელმა აკანკალებული ხმით. - იწამე ღმეთი! როგორ უნდა გაემგზავროთ ისეთ დროს როდესაც იმ ავაზაკების გაო გავლა არსად არ შეიძლება! შენი მშობლები მაინც შეიბრალე, თუ შენი თავი არ გებრალება. სად უნდა წახვიდე? რისთვის? ცოტა დაიცადე: ჯარები მოვლენ, თითო-თითოდ დაიჭერენ იმ მაწანწალებს და მაშინ იარე ოთხივე კუთხივ.

მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო.

- გვიანაა მსჯელობა, - ვუპასუხე მოხუცს. - მე უნდა წავიდე. არ შემიძლია არ არ წავიდე. ნუ იდარდებ, საველიჩ: ღმერთია მოწყალე, ვინძლო კიდევ ვნახოთ ერთმანეთი. იცოდე, ნუ გრცხვენია და არ იძუნწო. იყიდე ხოლმე, რაც დაგჭირდეს, თუნდაც სამკეც ფასად. ეს ფულები შენთვის მიჩუქნია. თუ სამი დღის შემდეგ არ დავბრუნდი. . .

- აბა, რაებს ამბობ, შენი ჭირიმე? - გამაწყვეტინა საველიჩმა. - მე შენ მარტო გაგიშვებ! ერთი წუთით არ გაიფიქრო. რაკი წასვლა გადაგიწყვეტია, ქვეითადაც რომ იყოს, უკან გამოგიდგები და კი არ მოგშორდები. მე უშენოდ ქვის კედლებს იქით დავჯდები? ჭკუაზე ხომ არ შევშლილვარ? როგორც გენებოს, მაგრამ მე კი არ მოგშორდები.

ვიცოდი, საველიჩთან კამათი ამაო იყო და ნება დავრთე წამოსასვლელად მომზადებულიყო. ნახევარ საათში შევჯექი ჩემს ერთგულ ცხენზე, საველიჩი კი კოჭლ ჯახრაკზე მოთავსდა, რომელიც მას მუქთად მისცა ერთმა ქალაქელმა, რადგანაც მისი კვების საშუალება არა ჰქონდა. მივადექით ქალაქის კარიბჭეს. დარაჯებმა გაგვატარეს. ჩვენ გავედით ორენბურგიდან.

ბინდდებოდა. ჩემი გზა პუგაჩოვის სამყოფელ დაბა ბერდზე მიდიოდა. პირდაპირი გზა თოვლით იყო დაფარული, მაგრამ მთელ ველს ცხნების ახალი ნაკვალევი ემჩნეოდა. საველიჩი ძლივს მომდევდა და წამდაუწუმ მეძახდა:

- ნელა, გენაცვალე, ნელა, თუ ღმერთი გწამს! ეს ჩემი წყეული ჯაგლაგი ვერ მოსდევს მაგ შენ გრძელფეხება ეშმაკს. სად მიგეჩქარის! მესმის მეჯლისზე მიდიოდე, თორემ, ვინ იცის, ეგებ ნაჯახის ყუა გელის. . . პიოტრ ანდრეიჩ. . . გენაცვალე, პიოტრ ანდრეიჩ! ნუ დამღუპე. . . ღმეთო, ძლიერო, დაიღუპება ბატონის შვილი!

მალე ბერდიდან სინათლეები გამოჩნდა. ჩვენ მივადექით ხეებს, დაბის ბუნებრივ სიმაგრეებს. საველიჩი არც მცილდებოდა და განუწყვეტლივ წუწუნებდა. მე იმედი მქონდა, რომ დაბას კეთილად ავუვლიდი, მაგრამ სიბნელეში გავარჩიე კეტებით შეიარაღებული ხუთიოდე გლეხი: ესენი იყვნენ პუგაჩოვის სამყოფელის მოწინავე დარაჯები. დაგვიძახეს. მე პაროლი არ ვიცოდი და ხმის გაუცემლად მინდოდა ჩამევლო, მაგრამ ისინი მაშინვე შემომეხვივნენ და ერთმა მათგანმა აღვირს მიტაცა ხელი. ვიშიშვლე ხმალი და გლეხს თავში

დავკარი. ქუდმა იპატივა. მაგრამ მაინც დატორტმანდა და აღვირს ხელი უშვა. მე ამით ვისარგებლე, ვკარი ცხენს ქუსლი და გავაჭენე.

მოახლოებულ ღამის წყვდიადს შეეძლო მე ყოველი ხიფათისგან გადავერჩინე, მაგრამ მოვიხედე და დავინახე, რომ საველიჩი არ მომდევდა. საბრალო მოხუცი თავისი კოჭლი ცხენით ავაზაკებს ვერ გაექცა. რა უნდა მექნა? რამდენიმე წუთს დავუცადე, დავრწმუნდი, რომ იგი დაიჭირეს, მოვაბრუნე ცხენი და წამოვედი მის დასახსნელად. ხევს რომ მივადექი, შორიდა მომესმა ხმაურობა, ყვირილი და ჩემი საველიჩის ხმა. უფრო ჩქარა წავედი და მალე ისევ გავჩნდი მოდარაჯე გლეხებს შორის, რომლებმაც რამდენიმე წუთის წინ გამაჩერეს. საველიჩის მათ შორის იყო. მათ ჩამოეთრიათ მოხუცი ცხენიდან და შეკვრას უპირბდნენ. ჩემმა მისვლამ ისინი გაახარა, მომცვივდნენ ყვირილით და წამსვე ცხენიდან ჩამომათრიეს, ერთმა მათგანმა, უთუოდ უფრომსა, გამოგვიცხადა, რომ ის ჩვენ ახლავე მეფესთან წაგვიყვანს.

- ხოლო ჩვენ მამის ნებაზეა, - დაუმატა მან, - ახლავე ბრძანებს ჩამოგახრჩოთ, თუ ღვთის ნათელს დავუცადოთ.

მე აღარ გავუძალიანდი. საველიჩმაც მე მომბაძა და დარაჯებმა ზეიმით წაგვასხეს.

ხევს გადავედით და დაბაში შევედით. ყველა ქოხში სინათლე ენთო. ყოველგან ყვირილი და ხმაურობა იყო. ქუჩაში აუარებელი ხალხი ირეოდა, მაგრამ ბნელში ვერავინ დაგვინახა და ვერ გამარჩიეს ორენბურგელი ოფიცერი. მიგვიყვანეს გზაჯვარედინზე მდგარ ქოხთან. ჭიშკართან იდგა რამდენიმე ღვინის კასრი და ორი ზარბაზანი.

- აი სასახლეც. - თქვა ერთმა გლეხთაგანმა. -ახლავე მოვახსენებ თქვენს შესახებ. - ის ქოხში შევიდა. მე საველიჩს გადავხედე; მოხუცი პირჯვარს იწერდა და ლოცვებს ბუტბუტებდა. დიდხანს ველოდე, ბოლოს დაბრუნდა გლეხი და გამომიცხადა:

- მოდი. ჩვენმა მამამ ბრძანა ოფიცრის შეშვება.

მე შევედი ქოხში, ან როგორც გლეხები ეძახდნენ, სასახლეში.

ის ორი ქონის სანთლით იყო განათებული, კედლებზე კი ოქროს ხელსაბანი, პისახოცი ლურმანზე, ორკაპი კუთხეში და ფართო ღუმლის პირი, რომელზედაც ქოთნები ელაგა, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩვეულებრივ ქოხში. პუგაჩოვი დოინჯშემოყრილი, წითელი კაფტანით და მაღალი ქუდით იჯდა ხატების ქვეშ. მის ახლოს რამდენიმე მისი უფროსი ამხანაგი იდგა ხელოვნური მოწიწებით. ეტყობოდა, ორენბურგიდან ოფიცრის მოსვლამ აჯაყნებულებში დიდი ცნობისმოყვარეობა გააღვიძა და ისინი მოემზადნენ, რომ ზეიმით მივეღეთ. პუგაჩოვმა პირველი შეხედვითვე მიცნო. მისი ნაძალადევი მედიდურობა უმალვე გაქრა.

- ჰა, თქვენო კეთილშობილებავ! შემომძახა მან მხიარულად. - როგორა ცხოვრობ? რისთვის გარჯილხარ?

მე ვუპასუხე, რომ ჩემს საქმეზე მივდიოდი და მისმა კაცებმა შემაჩერეს.

- რა საქმეზე? - შემეკითხა იგი.

არ ვიცოდი, რა მეპასუხნა. პუგაჩოვმა იფიქრა, რომ მოწმეებთან არა მსურდა ლაპარაკი და თავის ამხანაგებს უბრძანა, გარეთ გასულიყვნენ. ყველანი დაემორჩილნენ, ორის გარდა, რომლებიც ადგილიდან არ დაძრულან.

- სთქვი ამათთან თამამად, - მითხრა პუგაჩოვმა, - ამათთან არაფერს ვფარავ.

მე ქვეშ-ქვეშ გავხედე ცრუმოსახელის კარისკაცთ. ერთ მათგანს, ჭაღარაწვერიან, გამხდარ და წახრილ მოხუცს, შესამჩნევი არაფერი ჰქონდა, გარდა ცისფერი ლენტისა მხარზე ძველი არმიაკის ზემოდან. მაგრამ მისი ამხანაგი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ის მაღალი იყო, მოყვანილი, მხარბეჭიანი, დაახლოებით ორმოცდახუთი წლისა. ხშირი წითური წვერი, ბრწყინვალე ნაცრისფერი თვალები, უნესტოებო ცხვირი და წითელი ლაქები შუბლსა და ლოყებზე მის ჭორფლიან, ფართო სახეს გამოუთქმელ გამომეტყველებას აძლევდა. მას წითელი პერანგი, ყირგიზული ხალათი და კაზაკური შარვალი ეცვა. პირველი (როგორც შემდეგში გავიგე) იყო გამოქცეული კაპრალი ბელობორდოევი; მეორე - ათანასე სოკოლოვი (ხლოპუშად წოდებული), გაციმბირებული ბოროტმოქმედი, სამჯერ გამოქცეული ციმბირის მაღაროებიდან. მიუხედავად იმ გრძნობებისა, რომელიც მე მაშინ მაღელვებდა, საზოგდოება, რომელშიც მე მოვხვდი, ძლიერ ართობდა ჩემს გონებას. მაგრამ პუგაჩოვმა გამომაფხიზლა თავისი კითხვით:

- სთქვი, რა საქმისათვის წამოსულხარ ორენბურგიდან?

უცნაური აზრი მომივიდა თავში. მე მომეჩვენა, რომ განგება, რომელმაც ეს მეორედ მომიყვანა პუგაჩოვთან, შემთხვევას მაძლევდა ჩემი განზრახვა შემესრულებინა. მე გადავწყვიტე მით მესარგებლნა და სანამ მოვისაზრებდი, რა გადამეწყვიტა, კითხვაზე ვუპასუხე პუგაჩოვს:

მე ბელოგორის ციხეში მივდიოდი ობლის დასახსნელად, რომელსაც იქ აწვალებენ.

პუგაჩოვმა თვალები დააბრიალა.

- რომელი ჩემი კაცთაგანი ბედავს ობლის შეწუხებას! - დიყვირა მან. - ვინც უნდა იყოს იგი, ჩემს მსჯავრს ის ვერ გაექცევა. თქვი, ვინაა დამნაშავე?

- შვაბრინია ეს დამნაშავე, - ვუპასუხე მე. - მას დაპატიმრებული ჰყავს ის ქალიშვილი, რომელიც შენ ავადმყოფი ნახე მღვდლის ცოლთან, და ძალით უნდა იგი შეირთოს.

- მე ვასწავლი ჭკუას შვაბრინს, - თქვა მრისხანედ პუგაჩოვმა. - ის გაიგებს, თუ როგორ უნდა ჩემთან თვითნებობა და ხალხის შევიწროება, მე მას ჩამოვახრჩობ.

- მიბრძანე სიტყვა მოგახსენო, - თქვა ხლოპუშამ ხრინწიანი ხმით.

- შენ აჩქარდი, რომ ციხის კომნდატად შვაბრინი დანიშნე და ახლა მისი ჩამოხრჩობით ჩქარობ. შენ კაზაკებს მით აწყენინე, რომ აზნაური უფროსად დაუყენე, ნუღარ დააფრთხობ აზნაურებს მით, რომ პირველივე დაბეზღებით მათ სჯი.

- არც შებრალებაა მათი საჭირო, არც დასაჩუქრება! - თქვა ცისფერლენტიანმა მოხუცმა.

- იოლი საქმეა შვაბრინის დასჯა, მაგრამ არც ბატონი ოფიცრის კარგად გამოკითხვა იქნებოდა ცუდი: რისთვის უნებებია მობრძანება? თუ შენ მეფედ არა გცნობს, არც შენი სამართალი უნდა ეძიოს, და თუ გცნობს, რაღაც უჯდა დღემდე ორენბურგში შენს მტრებს? ხომ არ მიბრზანებ წავიყვანო ის სასამართლოში და პატარა ცეცხლი გავაჩაღო? მე მგონია, მათი კეთილშობილება ორენბურგელი უფროსებიდან უნდა იყოს მოგზავნილი.

ბებერი ავაზაკის ლოგიკა საკმაოდ დამაჯერებლად მეჩვენა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა წარმოვიდგინე, თუ ვის ხელში ვიმყოვებოდი. პუგაჩოვმა შეამჩნია ჩემი შეკრთობა.

- ჰა? რას იტყვი თქვენო კეთილშობილებავ? - მითხრა მან დოინჯშემოყრით. - ჩემი ფელდმარშალი, ვგონებ, საქმეს ლაპარაკობს, როგორა გგონია? - პუგაჩოვის დაცინვამ გაბედულება დამიბრუნა. მე დინჯად ვუპასუხე, რომ მის ხელთა ვარ და მისი ნებაა, როგორცა სურს, ისე მომექცეს. - კეთილი, - თქვა პუგაჩოვმა. - ახლა თქვი, რა მდგომარეობაშია თქვენი ქალაქი?

- მადლობა ღმერთს, - ვუპასუხე მე, - ყველაფერი რიგზეა.

- რიგზეა? - გაიმეორა პუგაჩოვმა. - ხალხი კი შიმშილით იხოცება!

მართალს ამბობდა, მაგრამ მე ფიცისამებრ დავუწყე რწმუნება, რომ ეს სულ ცრუ ხმებია და რომ ორენბურგში ყოველივე სურსათსანოვეგე საკმაოდაა.

- ხედავ? - ჩაერია ბებერი, - თვალდათვალ რომ გატყუებს. ყველა გამოქცეული ერთხმად გვეუბნება, რომ ორენბურგში შიმშილია, ხალხი წყდება, ლეშით იკვებებიან და ესეც ბედნიერებად მიაჩნიათ, ეს ვაჟბატონი კი გვარწმუნებს საკმაოაო. თუ გინდა შვაბრინი სახრჩობელაზე ჩამოჰკიდო, იმავე სახრჩობელაზე ეს ჭაბუკიც ჩამოჰკიდე, რომ გულნაკლული არავინ დარჩეს.

შეჩვენებული ბებრის სიტყვებმა პუგაჩოვი თითქოს შეარყია. საბედნიეროდ, ხლოპუშა გამოედავა თავის ამხანაგს.

- გეყოფა, ნაუმიჩ! - თქვა მან, - შენ ოღონდ გახრჩობინონ და გახოცინონ: რა დიდი მდევკაცი შენა ხარ? კაცმა შემოგხედოს, გაოცდება, სული რაში გიდგას! თვითონ სამარეში ფეხი გიდგას და სხვებს კი ღუპავ. განა ცოტა სისხლი აწევს შენს სინდისს?

- ნეტა შენ რომელი ღვთისმოსავი ხარ? - უპასუხა ბელობოროდოვმა. - შენ საიდანღა გაგეღვიძა სიბრალული?

- მართალია, - მიუგო ხლოპუშამ, - მე ცოდვილი ვარ, ეს მარჯვენაც (აქ მან მოკუმშა თვისი ხმელი მუშტი, დაიმკლავა და თავისი ბანჯგვლიანი მკლავი გაიშიშვლა), ეს მარჯვენაც დამნაშავეა ქრისტიანთა სისხლის ღვრაში, მაგამ ვანადგურებდი მოწინააღმდეგეს და არა სტუმარს, ჯვარედინ გზაზე, ბნელ ტყეში და არა შინ, ღუმელთან მიმჯდარი; ლახტითა და ნაჯახით და არა დედაბრული დაბეზღებით.

მოხუცი მიბრუნდა და ჩაიბუზღუნა: "ნესტოებდაგლეჯილო!"

- რას ჩურჩულებ იქა, გადაღრძუებულო ბებერო? - დაუყვირა ხლოპუშამ. - მე შენ გიჩვენებ დაგლეჯილ ნესტოებს; დაიცა, შენი დროც მოვა; ღვთის წყალობით, შენც დასუნავ მარწუხებს. . . მანამდე კი მიფრთხილდი, წვერები არ დაგაგლიჯო!

- ბატონო ღენერლებო! - წარმოთქვა დინჯად პუგაჩოვმა, - გეყოფათ ჩხუბი. ცუდი არ იქნებოდა, ორენბურგელ ყველა ძაღლს ერთ სახრჩობელაზე ექნია ფეხი, ცუდი ისაა, თუ ჩვენი ნაგაზები ერთმანეთს წაახშობენ, აბა, შერიგდით!

ხლოპუშას და ბელობორდოვს ხმა არ ამოუღიათ და მოღუშულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. მე საჭიროდ დავინახე ბაასი შემეცვალა, რადგანაც შეიძლებოდა ის ჩემთვის ძლიერ ცუდად დამთავრებულიყო. მივუბრუნდი პუგაჩოვს და მხიარულად ვუთხარი:

- ეჰ, კინაღამ დამავიწყდა მადლობა მეთქვა ცხენისა და ჯუბისათვის. უშენოდ ქალაქამდე ვერ ჩავაღწევდი და გაზასი გავიყინებოდი.

ჩემმა ხერხმა გასჭრა. პუგაჩოვი გამხიარულდა.

- ვალს გადახდა უნდა, - მითხრა მან, - თვალი ჩამიკრა და თან ეშმაკურად მოჭუტა.

- აბა, ახლა მიამბე, რა საქმე გაქვს შენ იმ გოგოსთან, რომელსაც შვაბრინი აწუხებს? შენინ გულის მურაზი ხომ არ არის? ჰა?

- ის ჩემი საცოლეა, - მივუგე მე პუგაჩოვს. გამოდარება რომ დავინახე, სიმართლის დამალვა საჭიროდ არ ვცანი.

- შენი საცოლეა! - დაიყვირა პუგაჩოვმა. - წინათვე რატომ არ მითხარი? ცოლსაც შეგრთავთ და შენს ქორწილშიაც ვიქეიფებთ. მერე მიუბრუნდა ბელობორდოვს:

- გაიგონე, ფერლდმარშალო! მე და მისი კეთილშობილება ძველი მეგობრები ვართ; დავსხდეთ, ერთი კარგად ვივახშმოთ, დილა საღამოზე გონიერია; ხვალ ვნახოთ, ამას როგორ მოვექცეთ.

მე მოხარული ვიქნებოდი ასეთ პატივისცემაზე უარი მეთქვა, მაგრამ რას გავაწყობდი! ქოხის პატრონი კაზაკის ორმა ახალგაზრდა ქალმა თეთრი სუფრა გაშალა; მოიტანეს პური, თევზი, წვნიანი, ღვინო და ლუდი შტოფებით, მე მეორედ მოვხვდი პუგაჩოვათან და მის საშინელ ამხანაგებთან ერთად სუფრაზე.

ღრეობა, რომლის მოწმეც მე გავხდი, გვიან ღამემდე გაგრძელდა. დაბოლოს თანამობაასეთ ღვინო მოერიათ. პუგაჩოვს ჯდომელა ჩასთვლიმა; მისი ამხანაგები ადგნენ და მანიშნეს მისთვის თავი დამენებებინა. მათთან ერთად გამოვედი. ხლოპუშას განკარგულებით დარაჯმა სამსჯავროსი გამიყვანა, სადაც დამიხვდა საველიჩიც, და იქ მასთან ერთად ჩამკეტეს. გამზრდელი იმდენად გაოცებული იყო ყოველივე ნახულით, რომ არაფერი უკითხავს. მიწვა სიბნელეში და დიდხანს ოხრავდა და კვნესოდა; ბოლოს ხვრინვა ამოუშვა, მე კი ფიქრებს მივეცი თავი, რომლებმაც მთელი ღამე თვალი არ მომახუჭინა.

დილით პუგაჩოვთან დამიძახეს. მე წავედი მასთნა. კარიბჭესთან სამი თათრული ცხენით შებმული კიბიტკა იდგა. ხალხი ქუჩაში ირეოდა. გამოსავალში შევხვდი პუგაჩოვს.

სამგზავროდ იყო გამოწყობილი, ქურქითა და ყირგიზული ქუდით. გუშინდელი თანამობაასენი გარშემო ეხვეოდნენ დიდი მოწიწებით, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რისი მნახველიც წინაღამით ვიყავი. პუგაჩოვი მხიარულად მომესალმა და მიბრძანა მასთან ჩავმჯდარიყავი კიბიტკაში.

ჩავსხედით.

- ბელოგორის ციხეში! - უთხრა პუგაჩოვმა მხარბეჭიან თათარს, რომელსაც დგომელა მიჰყავდა ეტლი. გული ძალუმად ამიტოკდა. ცხენები დაიძრენ, ზანზალაკები აჟღარუნდნენ, კიბიტკა გაფრინდა. . .

- გააჩერე! გააჩერე! - მოგვესმა ჩემთვის კარგად ნაცნობი ხმა და დავინახე საველიჩი, რომელიც ჩვენკენ მორბოდა. პუგაჩოვმა ბრძანა გაჩერება. - გენაცვალე, პიოტრ ანდრეიჩ! - ყვიროდა გამზრდელი, - ნუ ჩამტოვებ ამ სიბერისას ამ მაწან!. . .

- აა, გადაღრძუებულო! - უთხრა მას პუგაჩოვმა, - ღმერთმა ისევ შეგვახვედრა. ჰა, დაჯე კოფოზე!

- გმადლობ, მბრძანებელო, გმადლობ, კეთილო მამავ, - ამბობდა საველიჩი და ჯდებოდა, - ღმერთმა ასი წელი გაცოცხლოს, მოხუცი რომ შემივრდომე და დამამშვიდე. მარად შენი მლოცველი ვიქნები და კურდღლის ჯუბას არც კი გავიხსენებ.

ამ კურდღლის ჯუბას შეეძლო პუგაჩოვი ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოეყვანა; საბედნიეროდ, ცრუმოსახელემ ან ვერ გაიგონა, ან ყურადღება არ მიაქცია უადგილო ქარაგმას. ცხენები გაჭენდნენ. ხალხი ქუჩაში ჩერდებოდა და დაბალ სალამს იძლეოდა. პუგაჩოვი ორივე მხარეს თავს უკრავდა. ერთ წუთში გავშორდით დაბას და სწორ გზაზე გავქროლდით.

ადვილი წარმოსადგენია, რას ვფიქრობდი მე ამ დროს. რამდნიმე საათის შემდეგ უნდა მენახა ის, ვისაც ჩემთვის დაკარგულდ ვთვლიდი. წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრის წუთები. . . ვფიქრობდი აგრეთვე იმ კაცზე, რომლის ხელშიაც იყო ჩემი ბედი და რომელიც გარემოებათა საოცარი გადახლართვის წყალობით, რაღაც იდუმალად იყო ჩემთნ დაკავშირებული. ვიხსენებდი წინდუხედავ სიმკაცრეს, სისხლმოყვარეობას იმისას, ვისაც ჩემი სატროფს მხსენალად მოჰქონდა თავი! პუგაჩოვმა არ იცოდა, რომ იგი კაპიტანი მირონოვის ქალი იყო; გაბრაზებულ შვაბრინს შეეძლო ყველაფერი გაემჟღავნებინა; პუგაჩოვს სხვა გზითაც შეეძლო სიმართლე გაეგო. . . მაშინ რა მოუვა მარია ივანოვნას! ტანში ჟრუანტელი მივლიდა და თმები ყალყზე მიდგებოდა.

უცებ პუგაჩოვმა ფიქრები შემაწყვეტინა და მკითხა:

- რაზე ჩაფიქრებულა თქვენ კეთილშობილება?

- როგორ არ უნდა ჩავფიქრდე, - ვუპასუხე მე, - ოფიცერი და აზნაური, ჯერ კიდევ გუშინ შენს წინააღმდეგ ვიბრძოდი. დღეს კი შენთან ერთად მივდივარ ერთ კიბიტკაში და მთელი ჩემი სიცოცხლის ბედნიერბა შენზეა დამოკიდებული.

- მერე რა? - შემეკითხა იგი, - გეშინია?

მე ვუპასუხე, რომ რაკი ერთხელ შემინდე, იმედი მაქვს არათუ შეწყალებისა, არამედ დახმარებისაც-მეთქი.

- და შენ მართალი ხარ, ღვთის მადლმა, მართალი ხარ! - თქვა მან, - ხედავდი, რა ალმაცერად გიცქეროდნენ ჩემი კაცები? მოხუცი კი დღესაც ამტკიცებდა, რომ შენ ჯაშუში ხარ და რომ წამებით უნდა დავკითხოთ და ჩამოვახრჩოთო, მაგრამ მე არ დავთანხმდი, - და შემდეგ დაუმატა დაბალი ხმით, რათა საველიჩსა და თათარს არ გაეგონათ, - შენი ჭიქა ღვინო და კურდღელის ჯუბა მე მახსოვს. ხომ ხედავ, რომ მე არც ისეთი სისხლისმსმელი ვარ, როგორც თქვენიანები ამბობენ.

მე ბელოგორის ციხის აღება მომაგონდა, მაგრამ შეკამათება საჭიროდ არ ვცანი და არაფერი ვუპასუხე.

- რას ამბობენ ჩემზე ორენბურგში? - შემეკითხა პუგაჩოვი ცოტა სიჩუმის შემდეგ.

- ამბობენ, რომ არც ისე ადვილია შენთან გასწორება; მართალი უნდა ითქვას, საგონებელში კი ჩაგვაგდე.

ცრუმოსახელის სახეზე კმაყოფილება აღიბეჭდა.

- დიახ! - თქვა მან მხიარულად, - ყოჩაღ ვიბრძვი. იციან ორენბურგში იუზეევთან ბრძოლის ამბები? ორმოცი ღენერალია მოკლული, ოთხი არმია ტყვედაა ჩავარდნილი. როგორა გგონია, პურსიის მეფეც კი ვერ გამიმკლავდება, არა?

ავაზაკის ტრაბახმა გამართო.

- შენ თვითონ როგორ გგონია? - შევეკითხე მე, - გაუმკლავდებოდი ფრიდერიკს?

- ფეოდორ ფეოდოროვიჩს? რატომაც არა! თქვენს ღენერლებს ხომ ვუმკლავდები და მათ იგი უმარცხებიათ. აქამდე ჩემი იარაღი იმარჯვებდა. გვადროვე, შენ მაშინ ნახე, მოსკოვზე რომ გავილაშქრებ.

- შენ მათლა აპირებ მოსკოვზე გალაშქრებას?

პუგაჩოვი ოდნავ ჩაფიქრდა და ხმადაბლა მითხრა:

- უფალმა უწყის. ჩემს ქუჩაბანდზე ვიწროობაა, სრულუფლებიანი არა ვარ. ჩემი კაცები ჭკუას ძალას ატანენ. ქურდები არიან. ყურები დაცქვეტილი უნდა მქონდეს: პირველსავე წაფორხილებაზე ისინი თავიანთ კისერს ჩემი თავით გამისყიდიან.

- ჰოდა, უმჯობესი არ იქნება, თვითონ დაანებო მათ თავი, სანამ დროა, და მიენდო დედოფლის მოწყალებას? - ვუპასუხე მე პუგაჩოვს.

პუგაჩოვმა მწარედ ჩაიცინა.

- არა, -თქვა მან; - სინანული გვიანაა, ჩემი შეწყნარება არ იქნების. გავნაგრძობ, როგორც დავიწყე. ვინ იცის, ეგებ გავიტანო კიდეცა! გრიშკა ოტრეპიევმა ხომ იმეფა მოსკოვში!

- და იცი როგორ გაათავა? იგი ფანჯრიდან გადმოაგდეს, დაკლეს, დაწვეს, მისი ფერფლით ზარბაზანი გატენეს და გაისროლეს.

- მისმინე, - თქვა პუგაჩოვმა რაღაც ველური აღფრთოვანებით: - მე შენ არაკს გიამბობ, რომელიც ჩემს ბავშვობაში მოხუცმა კალმუხმა ქალმა მითხრა. ერთხელ არწივმა ჰკითხა ყვავსა: მითხარი ყვავო-ყვანჩალაო, რატომ ცოცხლობ შენ ქვეყნად სამას წელს და მე კი, დიდი-დიდი ოცდაცამეტსო? - იმიტომაო, - უპასუხა ყვავმა, - რომ შენ თბილ სისხლსა სვამ და მე კი ლეშით ვიკვებებიო. არწივმა იფიქრა: მოდი, ჩვენც ამით ვისაზრდოვოთო. კეთილი, არწივი და ყვავი გაფრინდნენ. აგერ, ცხენის ლესი. დაეშვნენ და დასხდნენ. ჰკორტნის ყვავი და აქებს. არწივმა დაჰკორტნა ერთი, დაჰკორტნა მეორე, დაიქნია ფრთები და უთხრა ყვავს: - არა, ძმობილო ყვავო! სამასი წელი ლეშით კვებას ისა სჯობს ერთხელ თბილი სისხლი დალიო და მერე იყოს ნება უფლისაო!

- როგორია კალმუხური ზღაპარი?

- ეშმაკურია, - ვუპასუხე მე, - მაგრამ მკვლელობითა და მძარცველობით ცხოვრება, ჩემი აზრით, ლეშის კორტნაა.

პუგაჩოვმა გაოცებით შემომხედა და არაფერი მიპასუხა. ორივენი დავდუმდით და ჩვენ-ჩვენს ფიქრებში გავერთვეთ. თათარმა ნაღვლიანი სიმღერა გააბა. საველიჩი თვლემდა და კოფოზე ქანაობდა. კიბიტკა მიჰქროდა ზამთრის გლუვ გზაზე. . . უცებ მე დავინახე სოფელი იაიკი კლდოვან ნაპირეზე, მესრებითა და სამრეკლოთი, და თხუთმეტ წუთში შევედით კიდეც ბელოგორის ციხეში.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ო ბ ო ლ ი

ჩვენებიანთ ვაშლის ხესა

არც წვერო აქვს არც ტოტები.

ჩვენებიანთ საპატარძლოს

არც დედა ჰყავს, არცა მამა.

ნეტავი ვინ გამოაწყობს,

ან ვინ დაულოცავს გზასა?

ს ა ქ ო რ წ ი ლ ო ს ი მ ღ ე რ ა

კიბიტკა კომენდანტის სახლის მიადგა. ხალხმა იცნო პუგაჩოვის ზანზალაკები და გროვად გამოგვედევნა. შვაბრინი კიბისთავზე მიეგება. მას კაზაკურად ეცვა და წვერიც მოეშვა. მოღალატემ უშველა პუგაჩოვს კიბიტკიდან ჩამოსვლა და საზიზღარი მლიქვნელობით გამოუცხადა სიხარული და მორჩილება. მე რომ დამინახა, შეკრთა, მაგრამ მალე გასწორდა, ხელი გამომიწოდა და თქვა:

- შენც ჩვენი ხარ? აქამდისაც ასე უნდა ყოფილიყავი! - მე პირი მივიბრუნე და არაფერი ვუპასუხე.

გული ამიკვნესდა, დიდი ხნის ნაცნობ ოთახში რომ გავჩერდით, სადაც კედელზე ჯერ ისევ ეკიდა განსვენებული კომენდანტის დიპლომი, ვით წარსული დროის ნაღვლიანი ეპიტაფია. პუგაჩოვი იმ სავარძელში ჩაჯდა, ივან კუზმიჩი რომ თვლემდა ხოლმე თავისი მეუღლის ბუზღუნით მობეზრებული. შვაბრინმა მას თვითონ მიართვა არაყი. პუგაჩოვმა დალია, ჩემზე მიუთითა და უთხრა:

- მიაწოდე მის კეთილშობილებასაც.

შვაბრინი მოვიდა ჩემთან ხონჩით, მაგრამ მე მეორედ მოვარიდე პირი. თავგზა აებნა. გონიერი კაცი იყო და, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ პუგაჩოვი მისი უკმაყოფილოა. ეშინოდა მისი და მეც უნდობლად შემომცქერდა. პუგაჩოვმა გამოიკითხა ციხის მდგომარეობა, ცნობები მტრის შესახებ, სხვა ამგავარი და უცებ მოულოდნელად შეეკითხა მას:

- ერთი მითხარი, ძმობილი, ვინ ქალი გყავს შენ აქ დატუსაღებული? აბა ერთი მიჩვენე!

შვაბრინს მკვდრის ფერი დაედო.

- მბრძანებელო! - თქვა მან აკანკალებული ხმით. . .

- მბრძანებელო, ის დატუსაღებული არაა, იგი ავადაა. . . ოთახში წევს.

- წამიყვანეთ მასთან, - თქვა ცრუმოსახელემ და წამოდგა.

უარის თქმა შეუძლებელი შეიქმნა. შვაბრინმა წაიყვანა პუგაჩოვი მარია ივანოვნას ოთახში. მეც მათ გავყევი.

შვაბრინი კიბეზე შეჩერდა.

- მბრძანებელო! - თქვა მან. - თქვენ უფლებამოსილი ხართ, რაცა გსურთ მომთხოვეთ, მაგრამ ნუ ბრძანებთ ჩემი ცოლის საწოლში უცხო კაცი შევიდეს.

- მე ავცახცახდი.

- მაშ, შენ შეგირთავს! - დავუყვირე შვაბრინს და მზად ვიყავი გამეგლიჯა იგი.

- წყნარად! - შემაწყვეტინა პუგაჩოვმა. - ეს ჩემი საქმეა. შენ კი, - განაგრძო მან და მიუბრუნდა შვაბრინს, - ჭკუას ძალას ნუ ატან და ნუ იმანჭები: ცოლია ის სენი თუ არაა ცოლი, მე ვინცა მსურს, ის მიმყავს მასთან. თქვენო კეთილშობილებავ, მომყევი!

კართან შვაბრინი ისევ შეჩერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

- მბრძანებელო, გაფრთხილებ, რომ ციებ-ცხელება აქვს და მესამე დღეა განუწყვეტლივ ბოდავს.

- გააღე! - თქვა პუგაჩოვმა.

შვაბრინმა ჯიბეები მოისინა და განაცხადა, გასაღები არ წამომიღიაო. პუგაჩოვმა ჰკრა ფეხი კარს; კლიტე ავარდა: კარი გაიღო და ჩვენ შევედით.

შევხედე და გავქვავდი. იატაკზე, გლეხურ, უბრალო, დაფლეთილ ტანისამოსში იჯდა გაფითრებული, გამხდარი, თმაგაწეწილი მარია ივანოვნა. მის წინ წყლის დოქი იდგა და ზედ პურის ნატეხი იდო. მე რომ დამინახა, შეკრთა და შეჰკივლა. მე რა დამემართა, არ მახსოვს.

პუგაჩოვმა შეხედა შვაბრინს და მწარე ღიმილით უთხრა:

- საუცხოო ლაზარეთი კი გქონია! - შემდეგ მიუახლოვდა მარია ივანოვნას: - მითხარი, გვრიტიკო, რისთვის გსჯის შენი ქმარი? რა დაუშავე მას?

- ჩემი ქმარი? - გაიმეორა მან. - ის ჩემი ქმარი არ არის. მე არასოდეს მისი ცოლი არ გავხდბი. გადაწყვეტილი მაქვს უმალ თავი მოვიკლა და მოვკდები კიდეც, თუ არ დამიხსნიან. - პუგაჩოვმა მრისხანედ შეხედა შვაბრინს.

- და შენ გაბედე ჩემი მოტყუება! -უთხრა მას, - იცი თუ არა, სალახანავ, რისი ღირსი ხარ?

შვაბრინი მუხლებზე დაეცა. . . ამ წუთას ზიზღი ჩაახრჩო ჩემში ყოველივე სიძულვილისა და ბრაზიზ გრძნობა. ზიზღით შევცქეროდი აზნაურს, რომელიც ფეხქვეშ უვარდებოდა გაქცეულ კაზაკს. პუგაჩოვი დაცხრა.

- ამჟამად მიპატიებია შენთვის, - უთხრა მან შვაბრინს, - მაგრამ იცოდე, პირველი შეცოდებისთანავე ესეც მოგეკითხება. - მერე მიუბრუნდა მარია ივანოვნას და დაყვავებით უთხრა:

- გამოდი, ლამაზო, გამითავისუფლებიხარ, მე ხელმწიფე ვარ.

მარია ივანოვნამ უცებ ახედა მას და მიხვდა, რომ მის წინ მისი მშობელების მკვლელი იდგა. მან ორივე ხელი სახეზე მიიფარა და უგონოდ დაეცა. მე მივარდი, მაგრამ იმავე წუთს ოთახში თამამად შემოძვრა ჩვენი ძველი ნაცნობი პალაშა და მიეშველა თავის ქალბატონს, პუგაჩოვი გამოვიდა და სამივე სასტუმრო ოთახში ჩავედით.

- რაო, თქვენო კეთილშობილებავ! - მითხრა სიცილით პუგაჩოვმა. - დაიხსენით თქვენი მზეთუნახავი? რას იტყვი? არ გავგზავნო მღვდელთან და არ ვაიძულო ჯვარი გადაგწეროს თავის ძმისწულს? მე მამობილი ვიქნები, შვაბრინი - მდადი, და ერტი ისეთი წავიქეიფოთ, რომ ქუდი ჭერს. . .

რისიც მეშინოდა ის მოხდა. შვაბრინმა პუგაჩოვის მოსაზრება რომ გაიგო, მოთმინება დაკარგა.

- მბრძანებელო! - დაიყვირა მან გაცოფებულმა. - მე დამნაშავე ვარ, მოგატყუეთ, მაგრამ გრინოვიც გატყუებს: ეს აქაური მღვდლის ძმისწული კი არ არის, არამედ ქალიშვილია ივანე მირონოვისა, რომელიც სიკვდილით დაისაჯა ამ ციხის აღებისას.

პუგაჩოვმა მომაპყრო თავისი ცეცხლისმფრქვეველი თვალები.

- ეს კიდევ რაღას ნიშნავს? - შემეკითხა იგი გაკვირვებით.

- შვაბრინმა მართალი გითხრათ, - ვუპასუხე მე მტკიცედ.

- შენ კი ეგ ჩემთვის არ გითქვამს, - შემნიშნა პუგაჩოვმა და სახე მოეღუშა.

- თვითონ განსაჯე, - ვუპასუხე მე, -შესაძლებელი იყო განა შენს კაცებთან მეთქვა, რომ მირონოვის ქალი ცოცხალია? ხომ ცოცხლივ შეჭამდნენ, ვეღარაფერი იხსნიდა!

- ეგეც მართალია, -Mთქვა სიცილით პუგაჩოვმა. - ჩემი ლოთები არ დაზოგავდნენ საცოდავ გოგოს. კარგი ქნა სვინამ, მღვდლის ცოლმა, რომ ისინი მოატყუა.

- გამიგონე! - განვაგრძე მე, ის რომ კარგ გუნებაზე დავინახე. - რა დაგიძახო, არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე. . . მაგრამ, ღმერთი მოწყალეა, ჩემს სიცოცხლეს სიხარულით შემოგწირავდი იმის სამაგიეროდ, რაც შენ ჩემთვის ჩაიდინე. მხოლოდ ნუ მომთხოვ, რაც ჩემს ღირსებას და ქრისტიანულ სინდისს ეწინააღმდეგება. შენ ჩემი კეთილისმყოფელი ხარ. დაასრულე ისე, როგორც დაიწყე: გამიშვი მე საბრალო ობოლითურთ, საითაც ღმერთი გზას გვიჩვენებს, და ჩვენ, სადაც უნდა იყო და რაც უნდა შეგემთხვეს, დღემუდამ შევავედრებთ უფალს შენს ცოდვილ სულს. . .

თითქოს მოლბა სასტიკი სული პუგაჩოვისა.

- დეე, იყოს შენებურად! - თქვა მან. - დასჯა თუა, დასჯა იყოს, შეწყნარებაა და შეწყნარება. ასეთია ჩემი ჩვეულება. წაიყვანე შენი ლამაზი, წაიყვანე საითაც გენებოს, ღმერთმა მოგცეთ სიყვარული და ტკბილი ცხოვრება.

მერე მოუბრუნდა შვაბრინს და უბრძანა მოეცა ჩემთვის ქაღალდი, რომ დაუბრკოლებლივ გავეტარებინეთ მის ხელქვეით ციხესა და თხრილებზე. შვაბრინი სრულიად განადგურებული, გაქვევებული იდგა.

პუგაჩოვი ციხის დასათვალიერებლად გაემართა, შვაბრინი მას ეახლა, მე კი დავრჩი წასასვლელად მომზადების მომიზეზებით.

გავქანდი მაშას ოთახისაკენ. კარები დაკეტილი იყო.

- ვინ არის? - იკითხა პალაშამ. ვუთხარი ვინც ვიყავი. კარიდან მომესმა მარია ივანოვნას საამური ხმა:

- დაიცადეთ, პიოტრ ანდრეიჩ! ტანისამოსს ვიცვლი, აკულინა პამფილოვნასთან წადით და მეც ამ წუთს იქ ვიქნები.

დავემორჩილე და წავედი მამა გერასიმეს სახლში. იგი და მისი მეუღლე, ორივე მომეგებნენ. საველიჩმა უკვე ყველაფერი უამბო მათ.

- გამარჯობა, პიოტრ ანდრეიჩ! - ამბობდა მღვდლის ცოლი, - უფალმა ინება და ისევ ვნახეთ ერთმანეთი. როგორა ცხოვრობთ? ჩვენ ყოველდღე გიგონებდით. მარია ივანოვნას, ჩემს გვრიტიკოს, რა არ გადახდა უთქვენოდ! . . . ერთი ეს გვითხარი, ამმილო, როგორ შეეწყვეთ პუგაჩოვს? როგორ არ ჩაგკლა? კეთილი, ამისთვისაც მადლობა მაგ ავკაცს.

- კმარა ბებრუხანა, - გააწყვეტინა მამაო გერასიმემ.

- ყველაფერი როდი უნდა დაფქვა, რაც რამ იცი. მრავალი მეტყველებითა არავინ ცხონდების. პიოტრ ანდრეიჩ, შემობრძანდით, გთხოვთ! რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს!

მღვდლის ცოლი გამიმასპინზლდა, ღვთის მოცემული რაცა ჰქონდათ და თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მან მიამბო, თუ როგორ აიძულა იშ შვაბრინმა დაეთმოთ მარია ივანოვნა; როგორ ტიროდა მარია ივანოვნა და არ უნდოდა მათთან დაშორება; როგორ ჰქონდათ მარია ივანოვნასთან განუწყვეტელი კავშირი პალაშას მეოხებით (ამ მოხერხებული გოგოს საშუალებით, რომელიც ურიადნიკსაც კი თავის გუნებაზე ათამაშებს); როგორ ურჩია მან მარია ივანოვნას ჩემთვის წერილი მოწერა. ჩემი მხრით მე მათ ჩემი თავგადასავალი ვუამბე მოკლედ. მღვდელი და მისი მეუღლე სულ პირჯვარს იწერდნენ, როცა გაიგეს, რომ პუგაჩოვმა იცოდა, როგორ მოატყუეს იგი. "ჯვარი აქაურობას!" - იძახდა აკულინა პამფილოვნა. "ღმერთო, გაფანტე შავი ღრუბლები! ეხ, ეხ, ალექსეი ივანიჩ! კარგი ვინმე კი გამოდგა, აი!"

სწორედ ამ დროს გაიღო კარი და მარია ივანოვნა შემოვიდა გაფითრებული სახე უღიმოდა. მას გადაეგდო გლეხური ტანისამოსი და ისევ ძველებურად, საამურად და სადად იყო ჩაცმული.

მე ვწვდი ხელში და კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. ორივენი ვდუმდით მოზღვავებული გრძნობებისაგან. მასპინძლები მიხვდნენ, რომ მათთვის არ გვეცალა და დაგვტოვეს. მარტო დავრჩით. ყოველივე დავიწყებას მიეცა. ვლაპარაკობდით და ლაპარაკით ვერა ვძღებოდით. მარია ივანოვნამ მიამბო ყველაფერი, რაც კი მას შემთხვეოდა ციხის აღების შემდეგ, ამიწერა თავისი საშინელი მდგომარეობა, ყველა განსაცდელი, რაც კი მისთვის საზიზღარ შვაბრინს მიეყენებინა. ჩვენ უწინდელი ბედნიერი დროც მოვიგონეთ. . . ორივენი ვტიროდით. . . ბოლოს, მე მას ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი. მისი დარჩენა პუგაჩოვის ხელქვეით და შვაბრინის გამგებლობაში მყოფ ციხეში შეუძლებელი იყო. არ ორენბურგზე შეიძლებოდა ფიქრი, რომელიც გარემოცვის ყოველივე უბედურებას იტანდა. მას ქვეყანაზე ერთი მახლობელიც კი არ ჰყავდა. მე მივეცი წინადადება, წასულიყო სოფელში ჩემს მშობლებთან. იგი ჯერ ყოყმანობდა: იცოდა, რომ მამაჩემი არ იყო მისდამი კარგად განწყობილი და ეს აშინებდა. მე იგი დავამშვიდე. ვიცოდი, რომ მამა ბედნიერად ჩათვლიდა თავი თავს და

მოვალეობად დაისახავდა მიეღო ქალი დამსახურებული მეომრისა, რომელიც სამშობლოსათვის დაიღუპა.

- ძვირფასო მარია ივანოვნა! - მივმართე ბოლოს. - მე შენ ჩემს მეუღლედ გთვლი. საოცარმა გარემოებებმა შეგვაერთა ჩვენ და არაფერს შეუძლია ჩვენი ამ ქვეყნად გაყრა.

მარია ივანოვნამ დინჯად მომისმინა, ყოველივე ხელოვნური დარცხვენის და ეშმაკური უარის გარეშე. იგი გრძნობდა, რომ მისი ბედი ჩემს ბედთან იყო შეერთებული. მაგრამ გაიმეორა, რომ ჩემი ცოლი გახდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მშობლების თანხმობით. მე ამაზე აღარ გამოვედავე. ცვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი მხურვალედ, გულწრფელად და ჩვენს შორის ყოველივე გადაწყდა.

ერთი საათის შემდეგ ურიადნიკმა მომიტანა გასვლის ნებართვა, რომელზედაც პუგაჩოვის დაჯღაბნილი ხელწერა იყო, და მისი სახელით მასთან დამიბარა. პუგაჩოვი წასასვლელად გამზადებული დამხვდა. ვერ გამომითქვამს, რას ვგრძნობდი, როცა ვეთხოვებოდი ამ საშინელ სისხლისმსმელს, ყველასათვის ბოროტ ადამიანს, გარდა ჩემისა. რატომ არ უნდა ითქვას სიმართლე? იმ წუთას ძლიერი თანაგრძნობა მიმიწევდა მისკენ. მე გულითადად მსურდა გამომეგლიჯა იგი ამ ავაზაკთა წრიდან, რომელსაც მეთაურობდა, და გადამერჩინა. სანამ ჯერ კდიევ დრო იყო. შვაბრინმა და ხალხმა, რომელიც გარს გვეხვია, ხელი შემიშალეს გამომეთქვა ყველაფერი, რითაც მქონდა გული სავსე.

ჩვენ მეგობრულად გავიყარენით. პუგაჩოვმა ხალხში აკულიან პამფილოვნა დაინახა, თითით დაემუქრა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი. მერე კიბიტკაში ჩაჯდა, ბერდში წასვლა უბრძანა. ცხენები, რომ დაიძრნენ, ერთხელ კიდევ გამოჰყო თავი კიბიტკიდან და დამიყვირა:

- მშვიდობით თქვენო კეთილშობილებავ! ვინძლო კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს!

ჩვენ ვნახეთ კიდეც ერთმანეთი, მაგრამ რა ყოფაში! . . .

პუგაჩოვი წავიდა. მე დიდხანს გავცქეროდი თეთრ ტრამალებს, სადაც მისი ეტლი მიჰქროდა, ხალხი დაიშალა. შვაბრინი მიეფარა. მე დავბრუნდი მღვდლის სახლში.

ჩვენს წასასვლელად ყველაფერი მზად იყო და მეტი დაყოვნება აღარ მინდოდა. მთელი ჩვენი ავლა-დიდება ჩალაგებული იყო კომენდატის ძველ ეტლში, მეეტლეებმა სწრაფად შეაბეს. მარია ივანოვნა მშობლების საფლავთან გამოსათხოვრად წავიდა. ისინი ეკლესიის უკან იყვნენ დასაფლავებული. მინდოდა მისი გაცილება, მაგრამ მთხოვა მარტო დამეტოვებინა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა; მდუღარედ იცრემლებოდა. ეტლი მოაყენეს. მამა გერასიმე და მისი მეუღლე კიბისთავზე გამოვიდნენ. ეტლში სამნი ჩავსხედით: მარია ივანოვნა, პალაშა და მე. საველიჩი კოფოზე აბობღდა.

- მშვიდობით, მარია ივანოვნა, ჩემო გვრიტო! მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ, ჩვენო შევარდენო! - გვეუბნებოდა მღვდელის გულკეთილი ცოლი. - კეთილი მგზავრობა გქონდეთ, ორივემ იბედნიერეთ!

ჩვენ გავემგზავრეთ. კომენდატის სახლის ფანჯარასთან შვაბრინი დავინახე. ბოროტი გამომეტყველება ჰქონდა. მე არ მინდოდა განადგურებული მოწინააღმდეგის კიდევ ჩაწიხვლა და თვალი ავარიდე. ბოლოს ჩვენ გავცდით ციხის კარიბჭეს და სამუდამოდ დავტოვე ბელოგორის ციხე.

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

დ ა ტ უ ს ა ღ ე ბ ა

ნურას იწყენთ, ბატონო ჩემო: მე ვალად მაწევს საპყ-

რობილეში ფიცხლავ გიკრათ ახლავე თავი.

- ინებეთ, მზად ვარ! იმედი მაქვს გამარკვევინოთ,

პატიმრობამდის ჩემი საქმის კარგი და ავი

კ ნ ი ა ჟ ნ ი ნ ი

ასე მოულოდნელად შეერთებული იმ ქალთან, რომელისათვაც ჯერ კიდევ დილით ასე ძალუმად ვწუხდი, მე ჩემს თავს არ ვუჯეროდი და ასე მეგონა, ყოველივე ფუჭი სიზმარია-მეთქი. მარია ივანოვნა ჩაფიქრებული, ხან მე შემომცქეროდა, ხან გზას; ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო და გონს ვერ მოსულიყო. ჩვენ მეტისმეტად გადაგვექანცა გული. ორიოდე საათის შემდეგ შეუმჩნევლად გავჩნდით უახლოეს ციხეში, რომელიც აგრეთვე პუგაჩოვს ემორჩილებოდა. აქ ჩვენ ცხნები გამოვცვალეთ. იმ სისწრაფის მიხედვით, როგორითაც ცხენებს აბამდნენ, იმის მიხედვით, თუ როგორ ფაცურობდა წვერიანი კაზაკი, რომელიც აქ პუგაჩოვს დაეყენებინა კომენდანტად, მე მივხვდი, რომ ჩვენი ენაჭარტალა მეეტლის წყალობით მე პუგაჩოვის ახალი კარისკაცი ვეგონე.

განვაგრძეთ გზა. ბინდი ჩამოწვა. ჩვენ მივუახლოვდით პატარა ქალაქს, სადაც, წვერიანი კაზაკის თქმით, ძლიერი რაზმი იდგა, რომელიც პუგაჩოვთან შესაერთებლად მოდიოდა. დარაჯებმა შეგვაჩერეს. შეკითხვაზე: "ვინ ოდის"? ჩვენ მეეტლმე დაიღრიალა: "მეფის სვინა თავისი დიასახლისით!" უცებ ჰუსართა გუნდი შემოგვერტყა საშინელი ლანძღვა-გინებით. "გამოდი, ეშმაკის ნათლულო!- მითხრა მე ულვაშიანმა ჰუსარმა, - კარგ აბანოს გაგიმართავთ შენა და შენს დიასახლისს!"

კიბიტკიდან გადმოვედი და მოვითხოვე უფროსთან წავეყვანეთ. ოფიცერი რომ დამინახეს, ჯარისკაცებმა გინება შეწყვიტეს. ვახმისტრმა მაიორთან წამიყვანა. საველიჩი არ მშორდებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა: "ესეც შენი ხელმწიფის სვინა! ვაის გავეყარე, უის შევეყარეო. ღმერთო ძლიერო, რით გათავდება ყოველივე ეს?" კიბიტკა ნელა გამოგვყვა.

ხუთ წუთში განათებულ სახლთან მივედით. ვახმისტრმა დარაჯთან დამტოვა და თვითონ მოსახსენებლად წავიდა. იგი იმ წუთშივე დაბრუნდა და გამომიცხადა: მის მაღალკეთილშობილებას დრო არა აქვს თქვენს მისაღებად და ბრძანა საპატიმროში წაგიყვანოთ, ხოლო დიასახლისი მას მივგვაროთო.

- ეს რას ნიშნავს? - შევყვირე მე გახელებულმა, - გაგიჟდა თუ არ არი?

- რა მოგახსენოთ, თქვენო კეთილშობილებავ, - მიპასუხა ვახმისტრმა, - მაგრამ მისმა მაღალკეთილშობილებამ ბრძანა თქვენი კეთილშობილება საპატიმროში წავიყვანო, ხოლო მისი კეთილშობილება დიასახლისი მივგვარო მათ კეთილშობილებას, თქვენო კეთილშობილებავ.

მე კიბეზე ავვარი. დარაჯებს არც კი უფიქრიათ შეჩერება და პირდაპირ შევიჭერი ოთახში, სადაც ექვსიოდე კაცი, ჰუსართა ოფიცრები ბანკს თამაშობდნენ. მაიორი ბანქოს არიგებდა. საზღვარი არა ჰქონდა ჩემს გაოცებას, როდესაც მას შევხედე და ვიცანი იავნ ივანიჩ ზურინი, რომელმაც ოდესღაც სიმბრისკის ტრაქტირში ფულები მომიგო!

- ნუთუ? - შევყვირე მე. - ივან ივანიჩ! ნუთუ შენა ხარ?!

- ბა, ბა, ბა, პიოტრ ანდრეიჩ! საიდან, როგორ! გამარჯობა, ძმაო! გინდა შენც მოგაწოდო?

- გმადლობთ. უმჯობესია, უბრძანო ერთი ბინა მომიჩინონ.

- რა ბინა გინდა? დარჩი ჩემთან.

- არ შემიძლია: მარტო როდი ვარ.

- მოიყვა აქ შენი ამხანაგიც.

- მე ამხანაგთან არა ვარ, ჩემთან. . . მანდილოსანია.

- მანდილოსანიაო! სად გამოგიკრავს ხელი? ეჰე, ჩემო ძმაო!

(ამ სიტყვებთან ზურინმა ისეთი გამომეტყველებით დაუსტვინა, რომ ყველამ გადაიხარხარა და მე კი სრულიად დავიბენი).

- კეთილი, რა გაეწყობა, - განაგრძო ზურინმა, - ბინა გექნებათ. მწყინს კია. . . ერთი ძველებურად წავიქეიფებდით. . . ჰეი, ბიჭო! რატომ აქამდე არ მოჰყავთ პუგაჩოვის ნათლული? ან შეიძლება ჯიუტობს? უთხარით, ნუ ეშინია: საუცხოო ბატონი არის-თქო; არ გაწყენინებს-თქო და ერთი უთაქეთ ქეჩოში.

- რას ამბობ კაცო? - ვუთხარი ზურინს. - ვინ პუგაჩოვის ნათლულიო? იგი განსვენებული კაპიტანის, მირონოვის ქალია. ტყვეობიდან დავიხსენი და ახლა მამაჩემის სოფელში ვაცილებ, სადაც უნდა დავტოვო კიდეც.

- როგორ! მაშ ამ წუთებში შენს შესახებ მომახსენეს? ღვთის მადლსა, რას ნიშნავს ეს?

- შემდეგ ყველაფერს გიამბობ. ახლა კი ღვთის გულისათვის, დაამშვიდე საბრალო ქალი, რომელიც შენმა ჰუსარებმა შეაშინეს.

ზურინმა მაშინვე გასცა განკარგულება. იგი თვითონ გამოვიდა ქუჩაში უნებლიე გაუგებროვისათვის ბოდიშის მოსახდელად და ვახმისტრს უბრძანა ქალაქში საუკეთესო ბინა მიეჩინა მისთვის: მე კი ზურინთან დავრჩი.

ვივახშმეთ და როცა მარტონი დავრჩით, ვუამბე ჩემი თავგადასავალი. ზურინი დიდი ყურადღEბით მისმენდა. რომ დავასრულე, თავი გაიქნია და თქვა:

- ეს ყველაფერი კარგია, ჩემო ძმაო; ერთი რამ კი არ ვარგა: რა ეშმაკად გინდა, ცოლს რომ ირთავ? მე, პატიოსანი ოფიცერი, შენ არ მოგატყუებ; მერწმუნე, ცოლის შერთვა სისულელა, აბა, რა შენი საქმეა ცოლის მოვლა-პატრონობა და ბავშვების ლალაობა? მოდი, მიაფურთხე. დამიჯერე, მოშორდი ამ კაპიტნის ქალს. სიმბირსკზე გზა მე გავწმინდე და სრულიად უშიშარია. ხვალვე გააგზავნი იგი მარტო შენს მშობლებთან, თვითონ კი დარჩი ჩემთან რაზმში. ორენბურგს საჭირო არაა შენი დაბრუნება. ისევ ჩაუვარდები მეამბოხეებს და შეიძლება უკვე ვეღარც გადაურჩე. ამასობაში სიყვარულის ხუშტურიც გაივლის და ყველაფერი რიგზე იქნება.

სავსებით თანახმა თუმცა არ ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი კია, რომ მოვალეობა მოითხოვდა იმპერატრიცას ჯარში ვყოფილიყავი. გადავწყვიტე ზურინის რჩევა მიმეღო: მარია ივანოვნა სოფელში გამეგზავნა, მე კი მის რაზმში დავრჩენილიყავი.

მოვიდა საველიჩი, რომ გახდაში დამხმარებოდა. მე მას გამოვუცხადე, მეორე დღეს მზად ყოფილიყო მარია ივანოვნასთან ერთად გასამგზავრებლად. მან გაჯიუტება დააპირა.

- რასა ბრძანებ, გენაცვალე, თავს როგორ დაგანებებ? ვინ მოგივლის? შენი მშობლები რას იტყვიან?

ვიცოდი რა ჩემი გამზრდელის ჯიუტობა, გადავწყვიტე მოფერებით და გულახდილობით დამეჯერებინა.

- ჩემო მეგობარო, არხიპ საველიჩ; - მივმართე მას. - უარს ნუ მეტყვი, იყავი ჩემი კთილისმყოფელი. აქ მოსამსახურე არ დამჭირდება, ხოლო მე მშვიდად ვერ ვიქნები, თუ მარია ივანოვნა გზას უშენოდ გაუდგა. მისი სამსახურით მეც მემსახურები, ვინაიდან მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რა წამს გარემოება ნებას მოგვცემს, იგი ცოლად შევირთო.

აქ უზომოდ გაოცებულმა საველიჩმა ტაში შემოჰკრა. - "ცოლად შეირთო! - გაიმეორა მან. - ღლაპს ცოლის შერთვა სურს! რას იტყვის მამა, დედა რაღას იფიქრებს?"

- დამთანხმდებიან, ვიცი დამთანხმდებიან, - ვუპასუხე მე, - როცა გაიცნობენ მარია ივანოვნას. მე შენი იმედიც მაქვს. დედა და მამა შენ გენდობიან: ხომ გვიშუამდგომლებ?

მოხუცი მოლბა.

- ოჰ, ჩემო კარგო, პიოტრ ანდრეიჩ! - მიპასუხა მან, - თუმცა ადრე კი გიფიქრია ცოლის შერთვა, მაგრამ სამაგიეროდ მარია ივანოვნა იმდენად კეთილი ქალია, რომ ცოდვაც იქნება შემთხვევა ხელიდან გაუშვა. დეე, იყოს ნება შენი! გავაცილებ ამ ღვთის ანგელოზს და შენს მშობლებს მორჩილებით მოვახსენებ, რომ ასეთს რძალს მზითევიც არ უნდა.

მადლობა გადავუხადე საველიჩს და დავწექი ზურინთან ერთად ოთხში. შეხურებული და აღელვებული ვიყავი და ავლაპარაკდი. თავდაპირველად ზურინი სიამოვნებით მებაასებოდა, მაგრმ თანდათანობით შეანელა ლაპარაკი და სიტყვებსაც უაზროდ ამბობდა. შემდეგ, რომელიღაც შეკითხვაზე მან ხვრინვა ამოუშვა და თან სტვენაც მიაყოლა. მე გავჩუმდი და მალე მის მაგალითს მივბაძე.

მეორე დღეს მივედი მარია ივანოვნასთნა, ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი, მან გონიერად მიიჩნია იგი და უმალვე დამთანხმდა. ზურინის რაზმი იმავე დღეს უნდა გასულიყო ქალაქიდან. დაყოვნება საჭირო არ იყო. მე იქვე გამოვეთხოვე მარია ივანოვნას, ჩავაბარე საველიჩს და დედ-მამასთან წერილი გადავეცი. მარია ივანოვნამ იტირა.

- მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ! - მითხრა მან ნელი ხმით, - კიდევ ვნახავთ თუ არა ერთმანეთს, ღმერთმა იცის, მაგრამ თქვენ კი საუკუნოდ არ დაგივიწყებთ. შენ ერთიღა დარჩები ჩემს გულში სამარემდე.

მე ვერაფერი ვუპასუხე. ხალხი გვეხვეოდა და მათთან არ მინდოდა იმ გრძნობათა გამომჟღავნება, რომლებიც მე მაღელვებდა. ბოლოს იგი გაემგზავრა. მე დავბრუნდი ზურინთან დაღონებული და მდუმარე. მას სურდა ჩემი გართობა, მეც მინდოდა სხვა რამეზე გადამეტანა ფიქრი. დღე ჩვენ აურზაურს და ქეიფში გავატარეთ და საღამოს გავილაშქრეთ.

ეს იყო თებერვლის დამლევს. ზამთარი, რომელიც სამხედრო მოქმედებას აძნელებდა, თავდებოდა და ჩვენი გენერლები საერთო მოქმედებისათვის ემზადებოდნენ. პუგაჩოვი ჯერ კიდევ ორენბურგთან იდგა. ამასობაში მის გარშემო რაზმები ერთიანდებოდნენ და ყოველი მხრით უერთდებოდნენ ბოროტმოქმედის ბუდეს. აჯანყებული სოფლები ჩვენ ჯარებს რომ დაინახავდნენ, უმალვე გვნებდებოდნენ. ავაზაკთა ბრბოები ყველგან გაგვირბოდნენ და ყველაფერი სწრაფსა და კეთილ ბოლოს გვიქადდა.

მალე თავადმა გოლიცინმა ციხე ტატიშჩევოსთნა დაამარცხა პუგაჩოვი, მისი ბრბოები გაფანტა და გაათავისუფლა ორენბურგი; ეს იყო თითქმის უკანასკნელი და გადამწყვეტი დაკვრა. ზურინს მაშინ ნაბრძანები ჰქონდა ემოქმედა მეამბოხე ბაშკირელების წინააღმდეგ, რომლებიც, ჯერ თვალიც არ მოგვეკრა, რომ გაიფანტნენ. გაზაფხულმა ერთი თათრის სოფელში მოგვიმწყვდია. მდინარეები ადიდდა, გადმოვიდა და გზებზე გავლა შეუძლებელი შეიქმნა. ჩვენ უსაქმოდ ვიყავით და თავს იმით ვინუგეშებდით, რომ მალე გათავდებოდა ეს თავმომაბეზრებელი და უბადრუკი ომი ავაზაკებთან და ველურებთან.

მაგრამ პუგაჩოვი არ იყო შეპყრობილი. იგი გამოჩნდა ციმბირის ქარხნებში, იქ ახალი ბრბოები შეაგროვა და ისევ დაიწყო ავკაცობა. ისვ გაისმა მისი გამარჯვების ხმა. ჩვენ გავიგეთ ციმბირის ციხე-სიმაგრეების განადგურების ამბავი. მალე ხმებმა ყაზანის აღებასა და მოსკოვზე პუგაჩოვის გალაშქრებაზე შეაშფოთა ჯარების უფროსები, რომლებიც უზრუნველად თვლემდნენ იმ იმედით, რომ საზიზღარი მეამბოხე უძლურიაო. ზურინმა ბრძანება მიიღო ვოლგაზე გადასულიყო.

ჩვენი ლაშქრობისა და ომის დასასრულის აღწერას აღარ შევუდგები. მოკლედ ვიტყვი, რომ გაჭირვება უკიდურესი იყო. ჩვენ მივდიოდით აჯანყებულების მიერ განადგურებულ

სოფლებზე და ძალაუნებურად ვართმევდით ღატაკ მოსახლეობას იმას, რისი გადამალვაც მოესწროთ. მმართველობა ყველგან მოიშალა; მემამულეები ტყე-ღრეში იმალებოდნენ; ყაჩაღთა ბრბოები ყველგან თარეშობდნენ; ცალკე რაზმების უფროსები თავის ნებაზე სჯიდნენ და იწყალებდნენ; მთელი ვრცელი მხარის მდგომარეობა, სადაც ხანძარი გიზგიზებდა, საშინელი იყო. . . ღმერთმა ნუ განახოთ რუსული ჯანყი, უაზრო და დაუნდობელი!

პუგაჩოვი გაიქცა; მას მისდევდა ივან ივანიჩი მიხელსონი. მალე გავიგეთ მისი საბოლოო დამარცხება. როგორც იქნა, ზურინს მოუვიდა პუგაჩოვის შეპყრობის ცნობა და თან ბრძანება შეჩერებისა. ომი გათავდა. ახლა მე შემეძლო მშობლებთნა წასვლა. მე მაღფრთოვანებდა იმის ფიქრი, რომ მათ გადავეხვეოდი, ვნახავდი მარია ივანოვნას, რომლისგან არავითარი ცნობა არა მქონდა. მე ბავშვივით ვხტოდი. ზურინი იცინოდა და მხრებაჩეჩვით ამბოდა: - "არა, შენ ვერაფერი გიშველის! შეირთავ ცოლსა და ტყუილუბრალოდ დაიღუპები!"

მაგრამ იმავე დროს რაღაც ბუნდოვანი გრძნობა მიწამლავდა სიხრულს. უნებურად მაღელვებდა ფიქრი ბოროტმოქმედებზე, რომელიც ამდენ უდანაშაულოთა სისხლით იყო მოთხვრილი და რომელსაც სასტიკი სასჯელი მოელოდა.

- ემილია, ემელია! - ვფიქრობდი მე ნაღვლიანად. - რატომ ხიშტზე არ წამოეგე, ან ფინდიხქვეშ არ მოჰყევი? უკეთესს ვერას მოიგონებდი. რა მექნა! ჩემი ფიქრი განუყრელი იყო იმასთან, რომ მე მან შემიწყალა თავისი სიცოცხლის უსაშინლეს მომენტში და ჩემი საცოლე უნამუსო შვაბრინის ხელებიდან დაიხსნა.

ზურინმა მომცა შვებულება. რანდემიე დღეში მე ისევ ჩემებთან გავჩნდებოდი, ისევ ვნახავდი ჩემს მარია ივანოვნას!. . . უცებ მოულოდნელი მეხი დამეცა.

წასვლის დღეს, სწორედ იმ წამს, როცა გზას უნდა დავდგომოდი, ჩემთან ქოხში ზურინი შემოვიდა; ხელში ქაღალდი ეჭირა და ძლიერ შეშფოთებული იყო. გულში რაღაცამ გამკრა. თვითონ არ ვიცი, რისი შემეშინდა, მან დენშციკი გარეთ გაისტუმრა და გამომიცხადა, საქმე მაქვს შენთანო.

- რა ამბავია? - შევეკითხე აღელვებული.

- ცოტაოდენი უსიამოვნება, - მიპასუხა მან და ქაღალდი გადმომცა, - წაიკითხე, რა მივიღე ამ წუთას.

მე დავიწყე კითხვა: ეს იყო საიდუმლო ბრძანება ყველა ცალკე უფროსისადმი, რომ მე დავეტუსაღებინეთ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, და დაუყოვნებლივ გავეგზავნეთ დარაჯთა თანხლებით ყაზანს, საგამოძიებლო კომისიაში, რომელიც პუგაჩოვის საქმეზე იყო დაარსებული.

ქაღალდი კინაღამ გამივარდა ხელიდან.

- რას იზამ! - თქვა ზურინმა, - ჩემი მოვალეობაა, ბრძანებას დავემორჩილო. უთუოდ პუგაჩოვთან ერთად შენი მეგობრული მგზავრობის შესახებ ხმებმა მთავრობამდე მიაღწია. იმედი მაქვს, საქმეს ცუდი ბოლო არ ექნება და კომისიის წინაშე გამერთლდები.

ნუ დაღონდები და გასწიე!

ჩემი სინდისი წმინდა იყო: გასამართლებისა არ მეშინოდა: მაშინებდა იმის ფიქრი, რომ ტკბილი შეხვედრის წუთები შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე თვით გადადებულიყო. ეტლი მზად იყო. ზურინი მეგობრულად გამომეთხოვა, ჩემსავე ეტლში, ორი ხმალამოწვდილი ჰუსარი ჩამიჯდა და გავსწიეთ.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

გასამართლება

ხმა ქვეყნისა ზღვათა მღელვარე.

ა ნ დ ა ზ ა

დარწმუნებული ვიყავი, რომ ორენბურგიდან თვითნებობით წამოსვლა იყო ყველაფრის მიზეზი. ადვილდ შემეძლო თავი მემართლებინა: თარეში არათუ აკრძალული არ იყო, პირიქით, საამისოდ ყოველნაირად აქზებდნენ კიდეც. შეიძლებოდა მე ბრალი დამდებოდა გადამეტებაში და არა უმოქმედობაში. მაგრამ პუგაჩოვთან მეგობრული ურთიერთობა შეიძლებოდა მრავალი მოწმის საშუალებით დამტკიცებულიყო და ეს ძლიერ საეჭვოდ მოსჩვენებოდათ. მთელი გზა ჩემს მომავალ დაკითხვაზე ვფიქრობდი. ვამზადებდი პასუხებს და გადავწყვიტე, სრული სიმართლე მეღიარებინა, ვინაიდან თავის დაცვის ეს წესი მივიჩნიე ყველაზე მარტივად და ყველაზე საიმედოდ.

ჩავედი აოხრებულ და გადამწვარ ყაზანში. ქუჩებში სახლების ნაცვლად ნახშირის გორები იდგა და უსახურაო და უფანჯრო გამურული კედლები იყო აყუდებული. ასეთი იყო პუგაჩოვის ნაკვალევი. მე მიმიყვანეს შუა ქალაქში, გადარჩენილ ციხეში. ჰუსარებმა მორიგე ოფიცერს გადამცემს. მან ბრძანა მჭედელის დაძახება. ფეხებზე ბორკილები დამადეს და მაგრად დაჭედეს. შემდეგ წამივყანეს სატუსაღოში და დამტოვეს ვიწრო, ბნელ საკანში, შიშველი კედლებით და ფანჯრებით, რომელიც რკინის ბადით იყო აჭედილი.

ასეთი დასაწყისი კარგს არას მიქადდა. მაგრამ მაინც ყოჩაღად ვიყავი და იმედს არ ვკარგავდი. მე მივმართე ყველა მწუხარეთა ნუგეშს და ვიგემე რა პირველად სიტკბოება ლოცვისა, რომელიც წრფელი, მაგრამ დაფლეთილი გულიდან გამომდინარეობდა, მშვიდად დავიძინე და იმის დარდი არ ჩამყოლია, თუ რა მომივიდოდა.

მეორე დღეს საპყრობილის დარაჯმა გამაღვიძა და გამომიცხადა, კომისიაში გიბარებენ. ორმა ჯარისკაცმა ეზოზე გამატარა კომენდატმა სახლისაკენ; ისინი წინა ოთახში შეჩერდნენ და მარტო შემიშვეს ოთახში.

მე შევედი საკმაოდ ვრცელ დარბაზში. ქაღალდებგადაფარებულ მაგიდას ორი კაცი უჯდა: მკაცრი და ცივი შეხედულების მოხუცი გენერალი და გვარდიის ახალგაზრდა კაპიტანი; იგი 28 წლისა იქნებოდა, ძალიან სასიამოვნო გარეგნობისა იყო და სხარტი და თავისუფალი ქცევა ჰქონდა. ფანჯარასთან ცალკე მაგიდას უჯდა მდივანი. ყურზე კალამი ჰქონდა გადებული, ქაღალდს დასცქეროდა და მზად იყო ჩემი ჩვენების ჩასაწერად. დაკითხვა დაიწყო. სახელი და წოდება მკითხეს. გენერალმა იკითხა, ანდრეი პეტროვიჩ გრინოვის შვილი ხომ არა ხარო და ჩემს პასუხზე მკაცრად მომიგო:

- სამწუხაროა, რომ ასეთ პატივცემულ კაცს ასეთი უღირსი შვილი ჰყავს!

მე დამშვიდებულმა ვუპასუხე, რომ რაც უნდა ბრალდება მქონდეს წაყენებული, იმედი მაქვს გავფანტო სიმართლის გულწრფელი აღიარებით-მეთქი. ჩემი ასეთი რწმენა არ მოეწონა მას.

- შენ ცქვიტობ, ჩემო ძმაო, მაგრამ შენზე უკეთესებიც გვინახავს, - მიპასუხა მოღუშულმა.

მაშინ ახალგაზრდა შემეკითხა: - რა შემთხვევის გამო და როდის შევედი მე პუგაჩოვის სამსახურში და რა დავალებისათვის გამომიყენა მან?

მე აღშფოთებით ვუპასუხე, რომ როგორც ოფიცერს და როგორც აზნაურს, პუგაჩოვის არავითარ სამსახურსი შესვლა, არც რაიმე დავალების მიღება მისგან არ შემეძლო.

- მაშ როგორ მოხდა, - განაგრძო ჩემმა დამკითხველმა, - რომ ეს აზნაური და ოფიცერი ერთიღა შეიწყალა ცრუმოსახელემ მაშინ, როდესაც ყველა მისი ამხანაგი მუხანათურად იქნა მოკლული? როგორღა ქეიფობს მეგობრულად სწორედ ეს აზნაური და ოფიცერი მეამბოხეებთან, როგორღა იღებს იგი მთავარი მუხანათისაგან საჩუქრებს, ქურქს, ცხენს და ათ შაურს ფულად? საიდან წამოდგა ასეთი უცნაური მეგობრობა და რაზეა იგი დამყარებული, თუ არა ღალატზე, ან, ყოველ შემთხვევაში, საზიზღარ და დანაშაულებრივ სულმოკლეობაზე?

მე დიდად აღმაშფოთა გვარდიის ოფიცრის სიტყვებმა და გაცხარებით დავიწყე თავის მართლება. ვუამბე, როგორ დაიწყო ჩემი ნაცნობობა პუგაჩოვთან ტრამალებში ქარბუქის დროს; როგორ მიცნო მან ბელოგორის ციხის აღების დროს და შემიწყალა; მე ვაღიარე, რომ ქურქისა და ცხენის მიღება მისგან არ ვითაკილე, მაგრამ ბელოგორის ციხეს მუხანათებისაგან უკანასკნელ შესაძლებლობამდე ვიცავდი. ბოლოს ჩემი გენერალიც დავასახელე, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა ჩემი თავგამოდება ორნბურგის საუბედურო გარემოცვისას.

მკაცრმა მოხუცმა აიღო მაგიდიდან ღია წერილი და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

"თქვენი აღმატებულების შეკითხვაზე პრაპორშიკ გრინიოვის შესახებ, რომელიც თითქოს გარეული იყოს ახლანდელს არეულობაში და მთავარ მუხანათთან ჰქონოდეს სამსახურით აკრზალული და ფიცის საწინააღმდეგო ურთიერთობა, შემდეგს მოგახსენებთ: პრაპორშჩიკი

ესე გრინოვი ორენბურგში სამსახურში ითვლებოდა გასული 1773 წლიდან ამა წლის თებერვლის 24-მდე, რომელ რიცხვშიაც იგი ქალაქიდან გავიდა და მას შემდეგ ჩემს ნაწილში არ გამოცხადებულა: გამოქცეულთაგან გაგებული გვაქვს, რომ იგი იყო პუგაჩოვთან დაბაში, მასთანე ერთად გაემგზავრა ბელოგორის ციხეში, სადაც წინათ მსახურობდა; რაც შეეხება მის ქცევას, მე შემიძლია". . . აქ მან შეწყვიტა კითხვა და მკაცრად მითხრა: "რას იტყვი, ახლა, თავის გასამართლებელს?"

მე დავაპირე განმეგრძო, როგორც დავიწყე, და ამეხსნა ჩემი ურთიერთობა მარია ივანოვნასთან ისევე გულწრფელად, როგორც სხვა ყველაფერი; მაგრამ უცებ დაუძლეველი ზიზღი ვიგრძენი. მე გავიფიქრე, რომ თუ ქალს დავასახელებდი, კომისია მასაც მოსთხოვდა პასუხს, და როდესაც წარმოვიდგინე, რომ ამით მის სახელს გავხვევდი მუხანათების საზიზღარ საქმეებში და მასაც ჩემთან დასაპირისპირებლად გამოითხოვდნენ, შევკრთი და დავიბენი.

ჩემი მოსამართლენი თითქოს თანდათან უფრო კეთილგანწყობილად ისმენდნენ ჩემს პასუხებს, მაგრამ ისევ დადარაჯდნენ, ჩემი შეკრთომა რომ დაინახეს. გვარდიის ოფიცერმა მოითხოვა პირისპირ დავეყენებინეთ მთავარ დამბეზღებელთან. გენერალმა ბრძანა დაეძახათ "გუშინდელი ბოროტმოქმედისათვის". მე გაფაციცებით მივბრუნდი კარებისაკენ და ვუცდიდი ჩემს მამტყუნებელს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბორკილებმა დაიჟღარუნა, კარი გაიღო და შემოვიდა შვაბრინი. მე გამაოცა მისმა ცვლილებაბმ. იგი საშინელი გამხდარი და გაფითრებული იყო. ამას წინათ მისი კუნაპეტივით შავი თმა სრულიად გაჭაღარავებულიყო; გრძელი წვერი აბურძნილი ჰქონდა. მან თავისი ბრალდებები გაიმეორა სუსტი, მაგრამ თამამი ხმით. მისი თქმით, პუგაჩოვმა მე ჯაშუშად გამგზავნა ორენბურგში; ყოველდღე გავდიოდი ველზე, რომ წერილობითი ცნობები გადამეცა ყველაფერზე. რაც ქალაქში ხდებოდა; რომ ბოლოს სრულიად აშკარად გადავედი ცრუმოსახელის მხარეზე, მივდი-მოვდიოდი მასთან ერთად ციხიდან ციხეში, ვცდილობდი ყველანაირად დამეღუპა მოღალატე ჩემი ამხანაგები, რათა მათი ადგილი დამეჭირა და მესარგებლა საჩუქრებით, რომელთაც ცრუმოსახელე არიგებდა. - მე ჩუმად მოვუსმინე მას და ერთი რამით ვიყავი კმაყოფილი: მარია ივანოვნას სახელი არ იყო ნახსენები საზიზღარი მუხანათის მიერ, არ ვიცი, იმიტომ ხომ არა, რომ მისი თავმოყვარეობა ილახებოდა იმ ქალის გახსენებაზე, რომელმაც ზიზღით უარყო იგი. ან შეიძლება იმიტომ, რომ მის გულშიაც ღვიოდა ის ნაპერწკალი, რომელმაც მეც მაიძულა გავჩუმებულიყავი. ასე იყო თუ ისე, ბელგორის კომენდატის ქალიშვილის სახელი კომისიაში არ ყოფილა წარმოთქმული. მე უფრო განმიმტკიცდა ჩემი გადაწყვეტილება და მოსამართლეები რომ შემეკითხნენ, რითი შეგიძლია შვაბრინის ჩვენების გაბათილებაო, ვუპასუხე: ვადასტურებ ჩემს პირველს განმარტებებს და თავის გასამართლებლად სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია-მეთქი. გენერალმა ბრძანა ჩვენი გაყვანა. ჩვენ ერთად გავედით. მე დამშვიდებულად შევხედე შვაბრინის, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მითქვამს. მან ბოროტად ჩაიცინა, აკრიფა თავისი ბორკილები, გამასწრო და ნაბიჯს მოუჩქარა. მე ისევ წამიყვანეს საპყრობილეში და მას შემდეგ დასაკითხად არ გამოუძახებივართ.

მე არ ვყოფილვარ ყოველივე იმის მოწმე, რაც სათქმელი დამრჩა მკითხველისათვის, მაგრამ ეს იმდენჯერ მსმენია, რომ ყოველივე წვრილმანი დამამახსოვრდა და ასე მგონია, მეც იქ ვიყავი უხილავად-მეთქი.

მარია ივანოვნა ჩემმა მშობლებმა ისეთი გულწრფელობით მიიღეს, როგორიც დამახასიათებელი იყო ძველი საუკუნის ადამიანთათვის. მათ ღვთის წყალობად მიაჩნდათ ის, რომ შემთხვევა ჰქონდათ მიეღოთ და ეპატრონათ საბრალო ობლისათვის. მალე მას გულწრფელად შეეჩვივნენ, რადგანაც არ შეიძლებოდა იგი არ შეჰყვარებოდა, ვინც გაიცნობდა. ჩემი სიყვარული მამაჩემს უკვე აღარ მიაჩნდა სისულელედ, დედას კი ისღა ენატრებოდა, რომ მის პეტრუშას შეერთო საყვარელი კაპიტანის ქალი.

ჩემი დატუსაღების ამბავმა მეხი დასცა მთელ ჩემს ოჯახს. მარია ივანოვნამ იმდენად მარტივად უამბო ჩემს მშობლებს პუგაჩოვთან ჩემი უცნაური ნაცნობობა, რომ ეს არათუ არ აწუხებდა მათ, არამედ ხშირად გულწრფელად აცინებდა კიდეც. მამას ვერ დაეჯერებინა, რომ მე შემეძლო მონაწილეობა მიმეღო საზიზღარ ჯანყში, რომელსაც მიზნად ჰქონდა ტახტის დამხობა და კეთილშობილთა მოდგმის გაწყვეტა. მან სასტიკად გამოჰკითხა საველიჩს. გამზრდელმა არ დამალა, რომ ბატონი იყო სტუმრად ემელკა პუგაჩოვთან და რომ მუხანათი მას წყალობდა, მაგრამ იფიცავდა, რომ არავითარ ღალატზე მას არაფერი გაუგონია. მოხუცები დამშვიდნენ და მოუთმენლად ელოდნენ კარგ ამბავს. მარია ივანოვნა ძლიერ და მოუთმენლად, მაგრამ სდუმდა, ვინაიდან ზედმიწევნით მოკრძალებული და ფრთხილი იყო.

გავიდა რამდენიმე კვირა. . . უცებ მამას მოსდის პეტერბურგიდან წერილი ჩემი ნათესავი თავადი ბ-სგან. თავადი ჩემს შესახებ სწედა. ჩვეულებრივი შესვლის შემდეგ იგი აცხადებდა, რომ ეჭვები მეამბოხეთა განზრახვებში ჩემი მონაწილეობის შესახებ საუბედუროდ მეტად საფუძვლიანი გამოდგა, რომსამაგალითოდ მე სიკვდილით უნდა დავესაჯეთ, მაგრამ დედოფალმამ მიიღო მხედველობაში მამის ხნოვანება და დამსახურება, აპატია დამნაშავე შვილს, სამარცხვინო სასჯელისაგან გაათავისუფლა და ბრძანა მხოლოდ ციმბირის შორეულ მხარეში გაგზავნა სამუდამოდ საცხოვრებლად.

ამ მოულოდნელმა უბედურობამ კინაღამ მოკლა მამაჩემი. მან დაკარგა ჩვეულებრივი სიმტკიცე და მწუხარება (ჩვეულებრივად ჩუმი) მწარე ჩივილად გადმინთხეოდა ხოლმე.

- როგორ! - იმეორებდა იგი ბრაზმორეული, - ჩემი სვილი მონაწილეობას იღებდა პუგაჩოვის განზრახვაში! ღმერთო ძლიერო, რას მოვესწარი! დედოფალმა სიკვდილით სასჯელისაგან გაათავისუფლა! განა ეს საკმარისია ჩემთვის! საშიშარი სასჯელი როდია: ჩემი პაპისპაპა გოლგოთაზე მოკვდა, მაგრამ იმას იცავდა, რაც თავისი სინდისით წმიდათაწმინდად მიაჩნდა; ჩემი მამა ვოლინსკისა და ხრუჩოვთან ერთად დაისაჯა. მაგრამ აზნაურმა ფიცი გატეხოს, მიეკედლოს ავაზაკებს, მკვლელებს, გამოქცეულ ყმებს! . . . მთელი გვარის შერცხვენა და გაბიაბურებაა! - მისი სასოწარკვეთილებით შეშინებული დედა მასთან ტირილს ვეღარ ბედავდა და განხნევებას მით ცდილობდა, რომ ეუბნებოდა: ტყუილი იქნება ეს ხმებიო, ხალხის ხმას არ დაეჯერებაო, მაგრამ მამა უნუგეშო გახდა.

მარია ივანოვნა ყველაზე მეტად იტანჯებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მე შემეძლო თავი მემართლებინა, თუ მოვისურვებდი. იგი მიხვედრილი იყო სინამდვილეს და თავის

თავს თვლიდა ჩემი უბედურების მიზეზად. ყველას უმალავდა თავის ცრემლებს, ტანჯვას და მასთანვე განუწყვეტლივ ჩემი დახსნის საშუალებაზე ფიქრობდა.

ერთხელ, საღამოს მამაჩემი სავარძელში იჯდა და სასახლის კალენდარს ფურცლავდა, მაგრამ მისი გონება შორს იყო და კითხვა ჩვეულებრივ გავლენას არ ახდენდა მასზე. იგი ძველ მარშს უსტვენდა. დედა ჩუმად ქსოვდა მატყლის სათბუნებელს და ცრემლით ბანდა თავის ხელსაქმეს. უცებ მარია ივანოვნამ, რომელიც იქვე იჯდა და მუშაობდა, განაცხადა, საჭიროება მოითხოვს ჩემს წასვლას პეტერბურგშიო და სთხოვა მიეცათ წასასვლელი საშუალება. დედა ძლიერ შეწუხდა.

- პეტერბურგში რა გინდა? - შეეკითხა იგი, - ნუთუ, მარია ივანოვნა, შენც გინდა მიგვატოვო?

მარია ივანოვნამ უპასუხა, რომ მთელი მისი ბედ-იღბალი ამ მგზავრობაზე ჰკიდია, რომ მიდის დიდკაცებთან მფარველობის სათხოვნელად, როგორც ქალიშვილი ისეთი კაცისა, რომელიც ერთგულებისათვის დაიღუპა.

მამაჩემმა თავი დახარა; ყოველი სიტყვა, რომელიც კი შვილის ვითომდა დანაშაულს მოაგონებდა, მძიმე იყო მისთვის და მწვავე საყვედურად მაიჩნდა.

- წაბრძანდი, შვილო! - უთხრა მან ოხვრით, - შენს ბედნიერებას ჩვენ ხელს არ შევუშლით. ღმერთმა მოგცეს ქმრად ღისეული კაცი და არა შერცხვენილი მუხანათი. - იგი ადგა და ოთახიდან გავიდა.

მარია ივანოვნამ, დედასთან მარტო რომ დარჩა, დაახლოებით აუხსნა თავისი განზრახვა. დედამ ტირილით გადაჰკოცნა იგი და ღმერთს შეევედრა კეთილად დაებოლებინა წამოწყებული საქმე. მარია ივანოვნა გამოაწყვეს და რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაუდგა გზას თავის ერთგული პალაშათი და ერთგული საველიჩით, რომელიც რაკი ჩემთან ნაძალადვად იყო გაყრილი, იმ აზრით ინუგეშებდა თავს, რომ ჩემს დანიშნულს ემსახურებოდა.

მარია ივანოვნა მშვიდობით მივიდა სოფიას და როცა გაიგო, რომ სასახლეც ცარსკოე სელოში იმყოფებოდა იმჟამად, გადაწყვიტა იქ დარჩენილიყო. მას ტიხარს იქით მისცეს კუთხე. ზედამხეველის ცოლი მაშივნე გამოელაპარაკა, განუცხადა, სასახლის ცეცხლფარეშის ძმისწული ვარო და უმალვე გააცნო სასახლის ყოველივე საიდუმლოება. მან უამბო, დედოფალი ჩვეულებრივ რომელ საათზე იღვიძებდა, რომელზე მიირთმევდა ყავას, რომელზე სეირნობდა; რომელი წარჩინებული იყვნენ ამ დროს მასთან; რისი თქმა ინება გუშინ მან სუფრაზე, საღამოს ვინ მიიღო, ერთი სიტყვით, ანა ვლასიევნას ნაამბობი ისტორიული ნაწერების რამდენიმე გვერდად ღირდა და ძვრიფასი იქნებოდა შთამომავლობისათვის. მარია ივანოვნა ყურადღებით უსმენდა მას. ისინი ბაღში გავიდნენ. ანა ვლასიევნამ უამბო თითოეული ხეივნის და ხიდის ისტორია; ბევრი სეირნობის შემდეგ ისინი სადგურზე დაბრუნდნენ ერთიმეორით ძლიერ კმაყოფილნი.

მეორე დღეს დილაადრიან მარია ივანოვნამ გაიღვიძა, ჩაიცვა და ნელა გავიდა ბაღში. მშვენიერი დილა იყო; მზე აშუქებდა ცაცხვების კენწეროებს, რომლებიც უკვე

შეყვითლებული იყო შემოდგომის სუთქვისაგან. ფართო ტბა უძარვად კაშკაშებდა, გამოღვიძებული გედები დინჯად მოცურავდნენ ბუჩქებიდან, რომლებითაც დაჩრდილული იყო ნაპირები. მარია ივანოვნა მიდიოდა მშვენიერი კორდის ახლოს, სადაც ახლახან აღემართა ძეგლი გრაფი პეტერე ალექსანდრეს ძის ურმიანცევის გამარჯვებათა სასახელოდ. უცებ ინგლისური ჯიშის პატარა თეთრი ძაღლი გამოექანა მარია ივანოვნასაკენ: უკანასკნელი შეშინდა და შეჩერდა სწორედ ამ დროს გაისმა ქალის საამური ხმა: - "ნუ გეშომოათ, არ გიკბენთ". . . მარია ივანოვნამ დაინახა ძეგლის პირდაპირ მჯდომარე მანდილოსანი. მარია ივანოვნა დაჯდა მერხის მეორე ბოლოში. მანდილოსანი დაკვირვებით უცქერდა მას; მარია ივანოვნამაც ერთი განზე გახედვით უკვე თავით-ფეხამდე დაათვალიერა იგი. დილის თეთრ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, საღამური თავსახური ჰქონდა და თბილი კურტაკი ეცვა. იგი ასე, ორმოცი წლისა ჩანდა. მსუქანი და თეთრ ყირმიზ სახეზე იხატებოდა დიდებულება და სიმშვიდე, ხოლო ცისფერი თვალები და ოდნავი ღიმი გამოუთქმელად მომხიბვლელი იყო. მანდილოსანმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

- თქვენ უთუოდ აქაური იქნებით? - უთხრა მან.

- დიახ; მე გუშინ ჩამოვედი.

- მშობლებთან ერთად ჩამოხვედით?

- არა, მე მარტო ჩამოვედი.

- მარტო! მაგრამ თქვენ ერთობ ახალგაზრდა ხართ.

- მე არა მყავს არც მამა და არც დედა!

- უთუოდ რამე საქმეზე იქნებით აქ?

- დიახ, მე ჩამოვედი, რომ დედოფალს არზა მივართვა.

- თქვენ ობოლი ხართ: ალბათ უსამართლობას და შევიწროებას უჩივით?

- არა, ჩამოვედი მოწყალებისა და არა მართლმსაჯულების სათხოვნელად.

- შეიძლება გკითხოთ, თქვენ ვინა ხართ.

- მე კაპიტანი მირონოვის ქალიშვილი გახლავართ.

- კაპიტანი მირონოვისა! იმისი ხომ არა, რომელიც კომენდანტად იყო ორენბურგის ერთ-ერთ ციხეში?

- დიახ.

მანდილოსანი თითქოს უფრო დატკბა.

- მაპატიეთ, - უთხრა მან უფრო ალერსიანად, - შეიძლება მე თქვენს საქმეში ვერევი, მაგრამ სასახლეში ხშირად ვარ ხოლმე; განმიმარტეთ, რაში მდგომარეობს თქვენი სათხოვარი და შეიძლება შევძლო დაგეხმაროთ.

მარია ივანოვნა ადგა და მოწიწებით მადლობა გადაუხადა. ყველაფერი ამ უცნობ ქალში მიმზიდველი იყო და ნდობას იწვევდა. მარია ივანოვნამ ამოიღო უბიდან დაკეცილი ქაღალდი და გადასცა თავის უცნობ მფარველს, რომელმაც ჩუმად დაიწყო მისი კითხვა.

თავდაპირველად იგი ყურადღებით და კეთილგანწყობილად კითხულობდა, მაგრამ უცებ სახე ეცვალა და მარია ივანოვნას, რომელიც თვალყურს ადევნებდა ყველა მის მოძრაობას, შეეშინდა ამ წუთიწ წინათ საამური და მშვიდი სახის ასეთი მკაცრი გამომეტყველებისა.

- თქვენ გრინოვის საქმეზე ხართ? - შეეკითხა მანდილოსანი ცივად, - იმპერატრიცას არ შეუძლია მისი პატიება. იგი ცრუმოსახელეს მიეკედლა არა უვიცობით და გულუბრყვილოდ, არამედ, როგორც უზნეო და მავნე სალახანა.

- აჰ, ეს არაა მართალი! - წამოიზახა მარია ივანოვმან.

- როგორ თუ არაა მართალი! - უპასუხა მანდილოსანმა და მთლად გაფიცხდა.

- ტყუილია, ღმერთმანი, ტყუილია! მე ყველაფერი ვიცი, მე თქვენ ყველაფერს გიამბობთ. იმან მხოლოდ ჩემი გულისთვის გადაიტანა ყოველივე, რაც მას მოეწია. თუ იმან არ იმართლა თავი სასამართლოს წინაშე, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოისურვა ამ საქმეში ჩემი ჩარევა. - აქ მან გულმართლივ უამბო ყველაფერი, რაც ჩემმა მკითხველმა უკვე იცის.

მანდილოსანმა მას ყურადღებით მოუსმინა:

- თქვენ სად ჩამოხტით? - ჰკითხა მან ბოლოს, და როცა გაიგო, რომ ანა ვლასიევნასთან იყო, ღიმილით დაუმატა: - ჰა, ვიცი! მშვიდობით, ჩვენს შეხვედრას ნურავის ეტყვით. იმედი მაქვს, დიდხანს არ მოგიხდებათ თქვენი წერილის პასუხის ცდა.

ამ სიტყვებით იგი ადგა და დახურულ ხეივანში შევიდა, მარია ივანოვნა კი ანა ვლასიევნასთან დაბრუნდა იმედებით აღსავსე.

დიასახლისმა იგი დატუქსა შემოდგომით ასე დილაადრიან სეირნობისათვის, რაც, მისი სიტყვით, მავნებელი იყო ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელობისათვის. მან სამოვარი შემოიტანა და ის იყო, უნდა მოჰყოლოდა სასახლის შესახებ დაუსრულებელ ამბებს, რომ უცებ კიბესთან სასახლის კარეტა გაჩერდა. შემოვიდა კამერლაქია და გამოაცხადა, დედოფალი თავისთან იბარებს მირონოვის ქალიშვილსო.

ანა ვასილევნა გაოცდა და აწრიალდა.

- ღმერთო ჩემო! - შეჰკივლა მან. - დედოფალი თავისთან გიბარებთ. საიდან გაიგო თქვენი ამბავი? როგორღა წარუდგებით იმპერატრიცას? დარწმუნებული ვარ, ფეხის გადადგმაც კი არ იცით, როგორც სასახლეს ეკადრება. . . ხომ არ გაგაცილოთ? ცოტა რამეს მაინც მიგახვედრებდი. ან ამ საგზაო ტანისამოსში მაინც როგორღა შეიძლება? მოდი, ბებია ქალთან მაინც გავგზავნი და ყვითელ სობრონს მაინც ვთხოვ! - კამერლაქიამ განაცხდა, რომ დედოფალს ნებავს, მარია ივანოვნა მარტო წამოვიდეს და ისე, როგორც არისო. რა გაეწყობოდა: მარია ივანოვნა ჩაჯდა კარეტაში და სასახლეში წავიდა. ანა ვასილევნამ დარიგება და ლოცვა გაატანა თან.

მარია ივანოვნა გრძნობდა ჩვენი ბედის გადაწყვეტას, გული უტოკავდა და ეკუმშებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარეტა სახალესთან გაჩერდა. მარია ივანოვნა კანკალით ავიდა კიბეზე. კარები მის წინაშე ფართოდ გაიღო. მან გაიარა მთელი წყება მშვენიერი ცარიელი ოთახებისა; კამერლაქია უჩვენებდა გზას. ბოლოს დახშულ კარებთან მივიდა, გამოუცხდა, ახლავე მოვახსენებო, და მარტო დატოვა.

იმის ფიქრმა, რომ საცაა იმპერატრიცა პირისპირ უნდა ვნახოო, მარია ივანოვნა ისე შეაშინა, რომ ფეხზე ძლივს იდგა. იმავე წუთს კარი გაიღო და იგი ხელმწიფის საპირფარეშოში შევიდა.

იმპერატრიცა თავის ტუალეტს უჯდა. რამდენიმე კარისკაცი ეხვია მას და მარია ივანოვნა მორიდებით გაატარეს. დედოფალმა ალესით მიმართა მას და მარია ივანოვნამ იცნო ის მანდილოსანი, ვისაც ამ რამდენიმე წუთის წინათ ასე გულახდილად უამბო თავისი გასაჭირი. დედოფალმა იგი მოიხმო თავისთან და ღიმილით უთხრა: - მე მოხარული ვარ, რომ შეგისრულეთ დაპირება და თქვენი სათხოვარი დაკმაყოფილებულია. თქვენი საქმე დასრულდა. მე დარწმუნებული ვარ თქვენი საქმროს უდანაშაულობაში. აი, წერილი, რომელსაც თვითონ წაუღებთ თქვენს მომავალ მამამთილს.

მარია ივანოვნამ წერილი ჩამოართვა აკანკალებული ხელებით, ატირდა და დედოფასლ ფეხებში ჩაუვარდა: მან იგი წამოაყენა და აკოცა. დედოფალი მას გამოელაპარაკა: - ვიცი, თქვენ მდიდარი არა ხართ, - უთხრა მან, - მაგრამ მე კაპიტანი მირონოვის ქალის ვალი მმართებს. თქვენი მომავლისათვის ნუ იდარდებთ. მე ვკისრულობ თქვენი ცხოვრების მოწყობას.

ასეთი დაყვავებით გამოისტუმრა დედოფალმა საბრალო ობოლი. მარია ივანოვნა იმავე სასახლის კარეტით დაბრუნდა. ანა ვასილევნა მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას, აუარებელი კითხვები დააყარა, რომლებზედაც მარია ივანოვნა ზლივს პასუხობდა. ანა ვასილევნა თუმცა უკმაყოფილო იყო მისი ცუდი მეხსიერებისა, მაგრამ ეს მის სოფლურ მორცხვობას მიაწერა და სულგრძელობით შეუნდო.

მარია ივანოვნა არც კი დაინტერესებულა პეტერბურგი დაეთვალიერებინა და იმავე დღეს უკან დაბრუნდა სოფელში.

აქ წყდება პეტრე ანდრიას ძე გრინოვის წერილები. ოჯახური გადმოცემით ცნობილია, რომ იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1774 წლის დამლევს უმაღლესი ბრძანებით; რომ იგი დაესწრო პუგაჩოვის სიკვდილით დასჯას; პუგაჩოვმა იცნო იგი ხალხში, დაუქნია თავი, რომელიც იმავე წუთს მკვდარი და გასისხლიანებული ხალხს დაანავეს. მალე პიოტრ ანდრიჩმა შეირთო მარია ივანოვნა. მათი შთამომავლობა ბედნიერად ცხოვრობს სიმბირსკის გუბერნიაში. ***-დან ოცდაათ ვერსზე იმყოფება სოფელი, რომელიც ათ მემამულეს ეკუთვნის. ერთ-ერთი მებატონის სახლში, ჩარჩოში, მინის ქვეშ უჩვენებენ ეკატერინე II-ს საკუთარი ხელით დაწერილ წერილს. ის მიწერილია პიოტრ ანდრეიჩის მამასთან და შეიცავს მისი შვილის გამართლებას და კაპიტან მირონოვის ქალის ჭკუისა და გულის ქებას. პეტრე ანდრიას ძე გრინოვის ხელნაწერი ჩვენ მოგვიტანა ერთ-ერთმა მისმა შვილიშვილმა. მას

გაეგო, რომ ჩვენ გართული ვიყავით შრომით, რომელიც მისი პაპის მიერ აღწერილ დროს ეხებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, ნათესავების ნებართვით, ის ცალკე გამოგვეცა, თან თითოეულ თავს მოვუძებნეთ შესაფერი ეპიგრაფი და ჩვენს თავს ნება მივეცით, ზოგიერთი საკუთარი სახელი შეგვეცვალა.

(II ვარიანტი)

პატიოსნებას გაუფრთხილდი სიყმაწვილიდან
ა ნ დ ა ზ ა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

გვარდიის სერჟანტი

გვარდიაში იქნებოდა ხვალვე იგი კაპიტანი.
- არაფერი საჭიროა, არმიაში იმსახუროს.
სწორედ კარგი ნათქვამია! დეე, ცოტა
შეახუროს. . .
. . . . . .
მამამისი რომელია?
კ ნ ი ა ჟ ნ ი ნ ი

მამაჩემი, ანდრეი პეტროვიჩ გრინოვი, სიყმაწვილეში გრაფ მინიხთან მსახურობდა და სამსახურიდან გამოვიდა პრემიერ-მაიორად 17. . . წელს. მას შემდეგ ცხოვრობდა სიმბირსკის სოფელში, სადაც ცოლად შეირთო იქაური ღარიბი აზნაურის ქალი ავდოტია ვასილევნა იუ. . . ცხრა შვილი ვყავდით დედ-მამას. ჩემი და-ძმები ბავშვობაში დაიხოცნენ.
მე კი ჩვენი ახლო ნათესავის, გვარდიის მაიორის, თავად ბ-ს მეოხებით დაბადებამდე სერჟანტად ვიქმენ ჩარიცხული სემიონოვის პოლკში.
თუ ვინიცობაა მოულოდნელად დადა ქალიშვილს დაბადებდა, მაშინ მამა გამოაცხადებდა, სადაც საჭირო იყო, ჯერ დაუბადბელი სერჟანტი სიკვდილის შესახებ და საქმე ამით დამთავრდებოდა.
სანამ სწავლას გავათავებდი, შვებულებაში ვითვლებოდი. იმ დროს ახლანდებურად როდი გვზრდიდნენ. ხუთი წლისა ჩვენს მეჯინიბეს, საველიჩს ჩამაბარეს. სიფხიზლე უყვარდა და

გამდელობაც იმიტომ მიანდვეს. მეთორმეტეში ვიყავი, რომ მისი მეთვალყურეობით რუსული წერა-კითხვა შევისწავლე და შემეძლო ძალიან კარგად მელაპარაკა ხვადი მწევრის ნაკლსა და ღირსებაზე. იმავე ხანებში მამაჩემისათვის ფრანგი მუსიო ბოპრე დაიქირავა. ეს კაცი მან მოსკოვიდან გამოიწერა წლიური ღვინის მარაგთან და ზეითუნის ზეთთან ერთად. მისი ჩამოსვლა საველიჩს ძალზე არ ესიამოვნა. "მადლობა ღმერთს, - ბუზღუნებდა იგი თავისთვის, - მგონი რომ ბავშვი პირდაბანილია, დავარცნილია, დანაყრებული. რა საჭიროა ზედმეტი ფულების ხარჯვა და მუსიოს დაქირავება, თითქოს ჩვენი ხალხი არ მოგვეპოვებოდესო!" ბოპრე თავის ქვეყანაში დალაქად მუშაობდა, შემდეგ პრუსიაში იყო ჯარისკაცად, მერე რუსეთში ჩამოვიდა pour etre outchitel 1, თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობა არცთუ ისე კარგად ესმოდა. კარგი კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტი ქარაფშუტა და ფუქსავატი. მისი უმთავრსი სისუსტე მშვენიერი სქესის სიყვარული იყო. თავისი ნაზი გრძნობებისათვის ხშირად მუჯლუგუნებიც უთავაზებიათ, რის შემდეგ მთელი დღეობით კვნესოდა და კრუსუნებდა ხოლმე. ამას გარდა (როგორც თვითონ იტყოდა) ბ ო თ ლ ი ს მ ტ ე რ ი ც იყო, ესე იგი (ჩვენებურად რომ ვთქვათ) ზედმეტის გადახუხვა უყვარდა. ჩვენთან კი სადილზე მხოლოდ თითო ჭიქას ჩამოატარებდნენ და მასწავლებელს არც კი აღირსებდნენ ხოლმე. ამიტომაც ჩემი ბოპრე ძალიან მალე მიეჩვია რუსულად გაოხდილ სასმელს და თავისი ქვეყნის ღვინოებს ეს არჩია, რადგანაც კუჭისათვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნია. ჩვენ მალე შევუთვისდით ერთიმეორეს და თუმცა იმას ხელშეკრულების ძალით ჩემთვის ფრანგული ენა, გერმანული ენა და მეცნიერების ყველა დარგი უნდა ესწავლებინა, მაგრამ ამას არჩია, ჩემგან სახელდახელოდ რუსული ჟღურტული ესწავლა; და ამის შემდეგ ორთავენი ჩვენ-ჩვენი საქმით ვიყავით ხოლმე გართული. ერთმანეთს სულში ვიძვრენდით, უკეთეს მენტორს ვერც კი ვინატრებდი. მაგრამ ძალიან მალე ბედმა ერთიმეორეს დაგვაშორა და აი რატომ:
ჩვენი მრეცხავი პალაშკა, სქელი და ნაყვავილარი გოგო, და ბრუციანი მეძროხე აკულკა როგორღაც შეთანხმდნენ და ერთსა და იმავე დროს ფეხებში ჩაუვარდნენ დედაჩემს. გამოუტყდნენ თავიანთ შეცდომაში და ტირილით და ქვითინით უჩივლეს მუსიოს, - გამოუცდელები ვიყავით და შეგვაცდინაო. დედას ამისთანა საქმეში ხუმრობა არ უყვარდა და მამას შესჩივლა. მამაჩემმა კი ფიცხელი მსჯავრის დადება იცოდა. იმწამსვე დაიბარა თაღლითი ფრანგი. მოახსენეს, რომ მუსიო გაკვეთილს მიტარებდა. მამა ჩემი ოთახისაკენ წამოვიდა, ამ დროს ბოპრეს უმანკო ძილით ეძინა თავის საწოლში. მე კი ჩემი საქმით ვიყავი გართული. უნდა მოგახსენოთ, რომ მოსკოვიდან ჩემთვის გეროგრაფიული რუკა იყო გამოწერილი. ის კედელზე ეკიდა, როგორ ყოვლად გამოუსადეგარი რამ. მე კი დიდი ხანია ამ რუკაზე თვალი მეჭირა, რადგან ქაღალდი კარგიც იყო და ძალზე ფართოც. გადავწყვიტე ფარანი გამეკეთებინა, ვისარგებლე იმით, რომ ბოპრეს ეძინა და საქმეს ხელი მივჰყავ. მამა სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც "კეთილი იმედის კონცხს" ხრალის კუდს ვაბამდი. გეოგრაფიაში ჩემი ასეთი მეცადინეობა რომ დაინახა მამაჩემმა, ყური მაგრად ამიწია, შემდეგ მივარდა ბოპრეს, ძალიან მოურიდებლად გააღვიძა და საყვედურები მიაყარა. აფორიაქებულ ბოპრეს უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა; უბედური ფრანგი ძალზე მთვრალი იყო.
მამამ საყელოში ჩაავლო ხელი, ტახტიდან წამოაყენა, გააგდო კარში და იმ დღესვე დაითხოვა სახლიდან, რამაც საველიჩს გამოუთქმელი სიხარული მოჰფინა. ამით დასრულდა ჩემი სწავლა-განათლება.

ვიზრდებოდი ტლუ ბიჭად. დავდევდი მტრედებს და ოთურმას გადავდიოდი შინაყმა ბიჭებთნ. ამასობაში თექვსემეტი წლისა შევსრულდი. აქ ბედი გამომეცვალა.
ერთხელ შემოდგომაზე დედაჩემი სასტუმრო ოთახში თაფლის მურაბას ადუღედა, ხოლო მე პირს ვილოკადი და ისე დავცქეროდი მდუღარე ქაფს. მამა ფანჯარასთან იჯდა და სახლის კარის კალენდარს კითხულობდა. რომელსაც ყოველწლიურად ღებულობდა. ამ წიგნს დიდი გავლენა ჰქონდა მასზე. ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით კითხულობდა მას და ეს წაკითხვა მუდამ უცნაურ ბრაზს ჰგვრიდა. დედამ ზეპირად იცოდა მამაჩემის ზნე-ჩვეულება და მუდამ ცდილობდა ეს უბედური წიგნი სადმე შორს გადაენახა. ასე, რომ მამა ზოგჯერ მთელი თვეობითაც სასახლის კარის კალენდარს თვალს ვერ მოჰკრავდა ხოლმე. მაგრამ სამაგიეროდ, როგორც კი მოიხელთებდა, მთელი საათობით ხელიდან აღარ უშვებდა. ჰოდა, მამაჩემი სასახლის კარის კალენდარს კითხულობდა, დროგამოშვებით მხრებს იწვდა და გაკვირვებული ამბობდა: "როგორ, გენერალ-პორუჩიკი?!. ეგ ხომ ჩემთან როგრაში სერჟანტი იყო!. . . რუსეთის ორთავე ორდენთა კავალერი! . . მერე დიდი ხანი ხომ არაა, რაც ჩვენ?. . . აქ მამამ კალენდარი სავარძელზე დაანარცხა და ღრმა ფიქრს მიეცა, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.
უეცრად დედას მიმართა:
- ავდოტია ვასილევნა, რამდენი წლის არის ახლა პეტრუშა?
- აი უკვე მეჩვიდმეტეში გადადგა, - უპასუხა დედამ, - პეტრუშა სწორედ იმ წელიწადს არის დაბადებული, როცა დიედა ნატალია გერასიმოვნას დამბლა დაეცა, როდესაც. . .
- კეთილი, - შეაწყვეტინა მამამ, - დროა სამსახურში შევიდეს. ეყოფა სამოახლოში სირბილი და სამტრედეებზე ძვრომა.
იმ აზრმა, რომ ჩემთან მალე უნდა განშორებულიყო, დედაჩემი ისე შეაძრწუნა, რომ კოვზი ქვაბში ჩაუვარდა და სახეზე ცრემლები გადმოედინა. სამაგიეროდ ჩემს აღტაცებს საზღვარი არ ჰქონდა. სამსახურთან ერთად თვალწინ მიდგებოდა თავისუფალი ცხოვრება და ათასგვარი სიამოვნება პეტერბურგში. ჩემი თავი გვარდიის ოფიცრად წარმოვიდგინე და ეს ხომ, ჩემი აზრით, ადამიანისათვის უზენაესი რამ სიკეთე იყო.
მამაჩემს არ უყარდა არც თავისი განზრახვის შეცვლა, არც მისი შესრულების გადადება. ჩემი წასვლის დღე დაინიშნა. წინადღით მამამ ჩემს მომავალ უფროსთნ ბარათის მიწერა მოისურვა და საწერ-კალამი მოითხოვა.
- ანდრეი პეტროვიჩ, არ დაგავიწყდეს ჩემი მხრითაც მოიკითხო თავადი ბ. - უთხრა დედამ. - იმედი მაქვს, ჩემს პეტრუშას თქვენს მოწყალებას არ მოაკლებ-თქო.
ამაზე მამა მოიღუშა და უპასუხა:
- რა სისულელეა, რაში მჭირდება თავად ბ-სთან წერილის მიწერა?
- შენ არ თქვი, პეტრუშას უფროსს ბარათი უნდა მივწეროო?
- მერე რა?
- პეტრუშას უფროსი ხომ თავადი ბ. იქნება. პეტრუშა აკი სემიონოვის პოლკშია ჩარიცხული?
- რა ვუყოთ რომ ჩარიცხულია! მე რა მესაქმება? პეტრუშა პეტერბურგში არ წავა. რა უნდა ისწავლოს პეტერბურგში სამსახურით? ფლანგვა და დარდიმანდობა? არა, დეე, არმიაში იმსახუროს, სწიოს იქაური ჭაპანი, ტყვია-წამალის სუნი იყნოსოს, გახდეს ნამდვილი ჯარისკაცი და არა შამატონი. ჰმ, გვარდიაში ჩარიცხული! სად არის მაგის ბაშფორთი? მოიტა აქა.

ჩემი პასპორტი დედას ჩემი ნათლობის პერანგთან ერთად ყუთში ჰქონდა შენახული, მოძებნა და ათრთოლებული ხელით მამას გადასცა. მამამ ყურდღებით გადაიკითხა ეს ქაღალდი, წინ მაგიდაზე დაიდო და ბარათის წერას შეუდგა.
ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. თუ პეტერბურგს არა, მაშ სად მგზავნიან? თვალი არ მომიშორებია მამის კალმისათვის, რომელიც საკმაოდ ნელა იძვროდა. როგორც იყო, წერა დაასრულა, ბარათი და პასპორტი ერთ კონვერტში ჩადო, სათვალე მოიხსნა, დამიძახა და მითხრა:
- ამას მე ჩემს ძველ ამხანაგს და მეგობარს ანდრეი კირილოვიჩ რ. . . -ს ვუგზავნი. შენ ორენბურგში მიემგზავრები და მის ხელქვეით იმსახურებ.
ამგვარად, ყველა ჩემი ბრწყინვალე იმედი მიცრუვდებოდა! პეტერბურგის მხიარული ცხოვრების მაგივრად, სადღაც გადაკარგულ და ყრუ კუთხეში მოწყენილობა მომელოდა. ის სამსახური, რომელზედაც იმ ერთი წუთის წინ ასე აღტაცებით ვფიქრობდი, საშინელ, დიდ უბედურებად მივიჩნიე. მაგრამ რას ვიზამდი! გამოდავება არ შეიძლებოდა. მეორე დღეს, დილით კიბეს მოაყენეს სამგზავრო ეტლი; ჩამიწყეს შიგ ჩემოდანი, სკივრი ჩაის ჭურჭლით, ბოხჩაში გამოკრული ფუნთუშა პურები და ნამცხვრები, - ეს უკანასკნელი ნიშანი შინაური ნებივრობისა. მშობლებმა დამლოცეს. მამამ მითხრა: "მშვიდობით, პიოტრ. ერთგულად ემსახურე მას, ვისაც შეჰფიცავ; უფროსების გამგონე იყავ: მათი ალერსი ნუ გაგიტაცებს; სამსახურში ნუ შეეტმასნები, მაგრამ ნურც უარს იტყვი მასზე, თან გახსოვდეს ანდაზა: "ტანისამოსს გაუფრთხილდი მისი სიახლიდან, პატიოსნებას კი სიყმაწვილიდან". დედამ ტირილით დამარიგა, რომ ჩემს ჯანმრთელობას გავფრთხილებოდი და საველიჩს კიდევ უბრძანა, ყრმას ყური უგდეო. ჩამაცვეს კურდღლების ჯუბა. ზედ კდიევ მელიის ქურქი. ჩავჯექი ეტლში საველიჩთან ერთად და მწარედ აქვითინებული გავუდექი გზას.
იმავე ღამეს ჩავედი სიმბირსკში, სადაც ერთი დღე უნდა დავრჩენილიყავი საყიდლებისათვის. ყიდვა საველიჩს ჰქონდა დავალებული. ტრაქტირში ჩამოვხტი. საველიჩი დილიდანვე წავიდა საყიდლებისთვის დუქნებში, მე კი მომწყინდა ფანჯრიდან ქუცის ჭუჭყიანი შესახვევის ცქერა და ოთახებში დაივწყე ხეტიალი. საბილიარდოში რომ შევედი, ერთი მაღალი მებატონე დავინახე, ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, გრძელი, შავი ულვაშები ჰქონდა, ხალათი ეცვა, ხელში ბილიადის სათამაშო კი ეჭირა, კბილებში კიდევ ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი. მარკიორთან ბილიარდს თამაშობდა. თუ მარკიორი მოიგებდა, ერთ ჭიქა არაყს გადაკრავდა, და თუ წააგებდა, მაშინ ბილიარდის ქვეშ ოთხზე უნდა ეფოფხა. დავუწყე მათ თამაშს ცქერა. რაც უფრო მეტხანს გრძელდებოდა თამაში, იმდენად უფრო ხშირად დაფოფხავდა მარკიორი ბილიარდის ქვეშ და ბოლოს დარჩა კიდეც იქ. მებატონემ თითქოს წესი აუგოოა, ერთი-ორი მაგრად შეუკურთხა და შემდეგ შემომთავაზა, რომ მე მეთამაშნა. რადგან თამაში არ ვიცოდი, უარი მოვახსენე. ეს კი, ეტყობოდა, გაუკვირდა და როგორღაც სიბრალულით გადმომხედა. მაგრამ მაინც ერთიმეორეს გამოველაპარაკეთ. გვიგე, რომ გვარად ზურანი იყო, ივან ივანოვიჩი, ჰუსართა. . . პოლკის როტისტრი. სიმბირსკში იმჟამად იმტიომ იმყოფებოდა, რომ გასაწვევი ჯარისკაცები მოეკრიფა. ისიც ტრაქტირში იყო ჩამომხტარი.
ზურინმა მთხოვა ერთად გვესადილა, ღვთის ნაწყალობევი რაც გააჩნდა იმით, სალდათურად. მე სიამოვნებით დავეთანხმე. მაგიდას მივუჯექით. ზურინი ბევრსა სვამდა და მეც მთავაზობდა, თან მეუბნეოდა, სამსახურს უნდა შეეჩვიოო, ბევრი ანეკდოტიც მიამბო არმიის ცხოვრებიდან, სიცილით თითქმის ვკოტრიალებდი. ერთი სიტყვით, სადილი რომ

გავათავეთ, უკვე ნამდვილი მეგობრები ვიყავით. სადილის შემდეგ კი მოინდომა ჩემთვის ბილიარდი ესწავლებინა. "ჩვენისთანა სამსახურის კაცისათვის ამის ცოდნა აუცილებელიაო, - მეუბნეოდა, - ვთქვათ, ლაშქრობის დროს სადმე დაბაში მოხვდით. რა უნდა გააკეთოთ? სულ ხომ ურიების ცემა-ტყეპას არ მოუნოდები. ძალაუნებურად შეხვალ ტრაქტირში და ბილიარდის თამაშს დაიწყებ. ამიტომაც საჭიროა თამაში იცოდეო!" სრულიად დამაჯერა და მეც დიდის გულმოდგინებით შევუდექი სწავლას. ზურინმა ხმამაღლა ქება დამიწყო, უკვირდა, ასე მალე როგორ შევითვისე ბილიარდის თამაში. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ შემომთავაზა, რომ ფულზე გვეთამაშნა. თითო გროშზე მაინც, და ისიც მოგებისათვის კი არა, არამედ იმისთვის, რომ უფულოდ თამაში ყველაზე ცუდი ჩვეულებაა. მე ამაზეც დავეთანხმე, ზურინმა კი პუნში მოატანინა და მთხოვდა, მეც მესინჯა; თან გამიმეორა სამსახურს უნდა შეეჩვიოო; უპუნშოდ სამსახური, აბა, ვის ეკადრებაო! მეც დავუჯერე. ამასობაში თამაში გრძელდებოდა. რამდენიც მეტი გადავკარ, იმდენად უფრო გავთამამდი. ბილიარდის ბურთები კალაპოტიდან მიხტებოდნენ, ვფიცხობდი, მარკიორსა ვლანძღავდი, რადგან ერთმა ღმერთმა უწყის, როგორ ანგარიშობდა და ნათამაშევის ჯამს თანდათან ამრავლედა, ერთი სიტყვით, თავი ისე მეჭირა, როგორ თავაშვებულ ბიჭს. ამასობაში დრო შეუმჩნევლად გავიდა. ზურინმა საათს დახედა, ბილიარდის კი ჩამოდვა და გამომიხადა, ასი მანეთი გაქვს წაგებულიო. ამან ცოტა არ იყოს შემაკრთო, ჩემი ფული საველიჩს ჰქონდა ჩაბარებული. ბოდიში მოვიხადე. ზურინმა შემაჩერა: "აბა, რასა ბრძანებთ! ნუ შეწუხდებით. მე შემიძლია დავიცადო კიდეც. მანამ კი აი, არინუშკასთან წავიდეთო!.
რას ვიზამდი! ეს დღე ისევე აბნეულად დავასრულე, როგორც დავიწყე. არინუშკასთან ვივახშმეთ. ზურინი წამდაუწუმ მისხამდა და მიმეორებდა, რომ სამსახურს შევჩვეოდი. ვახშმიდან რომ წამოვდექი, ფეხზე ძლივს ვიდექი; ნაშუაღამევი იყო, როცა ზურინმა ტრაქტირში მიმიყვანა.
საველიჩი კიბეზე დაგხვდა და როდესაც დაინახა სამსახურისადმი ჩემი ასეთი ერთგულება, შეხტა და შემოტრიალდა.
- ეს რა მოგსვლია, ბატონიშვილო, - აწუჭუნდა საწყალი, - ასე სად დამბალხარ? უი, ღმერთო, შენ კი დამიფარე! ეს რა ცოდვა მეკითხა, რა ღვთის რისხვაა ჩემს თავზე!
- გაჩუმდი, ბებერო! - შევუტიე ენის ბორძიკით. - გეტყობა, მთვრალი ხარ. . . წაეთერ, დაიძინე . . . და მეც მომასვენე.
მეორე დღეს გამოვიღვიძე თუ არა, თავის ტკივილი ამყვა და ყოველივე გუშინდელი ბუნდოვნად გამახსენდა. ამ დროს საველიჩი შემოვიდა, ფინჯნით ჩაი შემოიტანა და ფიქრი შემაწყვეტინა.
- ძალიან ადრე იწყებ, - მომმართა თავის ქნევით, - ადრე იწყებ დროს ტარებას, პიოტრ ანდრეიჩ. ან ვის დაემსგავსე? არც მამაშენი, არც პაპაშენი ლოთები არ ყოფილან. დედათქვენზე ხომ ენა ვის მოუტრიალდება! ბურახის გარდა დაბადებიდან პირში არა ჩაუშვია რა. მერე,ვინ არის დამნაშავე? სულ ის წყეული მუსიო. გაიხედავ და მირბის ანტიპიევნასთან: "მადამ, ჟე ვუ პრი1 ვოდქიუ!" ესეც შენი ჟე ვუ პრი! სწორედ კარგი რამ კი შეგასწავლა ძაღლის შვილმა. არა, რა საჭირო იყო მაგ ურჯულოს დაქირავება, თითქოს ბატონს ხალხი არ ეშოვებოდეს! დარცხვენილი ვიყავი. პირი მივიბრუნე და ისე ვუთხარი: - მომშორდი, საველიჩ: არ მინდა ჩაი. - მაგრამ საველიჩი, რაკი ქადაგებას შეუდგებოდა, მისი შეჩერება უკვე ძნელი იყო.
- აი ხომ ხედავ, პიტრ ანდრეიჩ, რა ყოფილა სიმთვრალე. თავიც დამძიმებული გაქვს და მადაც

წაგერთვა. მსმელი კაცი არაფერში არ არის გამოსადეგი. . . ახლა სჯობს, რომ კიტრის წნილის მარილწყალი მიირთვა თაფლით, ანდა უკეთესი იქნება, თუ ნახევარ ჭიქა გამონახადს მიირთმევ. დიდად გარგებს. არ ინანებ?
ამ დროს ბიჭი შემოვიდა და ი. ი ზურინისაგან წერილი მომიტანა. გავშალე და შემდეგი წავიკითხე:
"საყვარელო პიოტრ ანდრეიჩ, გეთაყვა, ჩემი ბიჭის ხელით გამომიგზავნე ასი მანეთი, გუშინ რომ ჩემთან წააგე. ძალიან მჭირდება ფული.
სამსახურად მზადმყოფი
ივან ზ უ რ ი ნ ი"

რა უნდა მექნა. თავი გულგრილად მოვაჩვენე და საველიჩს, რომელიც ჩემი ფულების, თეთრეულისა და საქმეების მეურნე იყო, ვუბრძანე ბიჭისათვის ასი მანეთი გადაეცა. "როგორ? რისთვის?" - მეკითხებოდა გაოცებული საველიჩი. "მმართებს", -რაც შემეძლო დიდი გულგრილობით ვუპასუხე. "გმართებს!" - თანდათან მეტი განცვიფრება იპყრობდა საველიჩს, მერე და როდის მოასწარ, ბატონო ჩემო, რომ მისი ვალი დაგდებოდა? აქ საქმე როგორღაც კარგად ვერ არის. როგორც გენებოს, ბატონო ჩემო, მაგრამ მე კი ფულს არ გავიღებ".
მაშინ კი გავიფიქრე - თუ ახლავე, ამ გადამწყეტ წუთს, ამ ჯიუტ მოხუცს არ ვაჯობე, შემდეგში დიდად გამიძნელდება მისი მზრუნველობისაგან თავი დავიხსნა-მეთქი. ამაყად გადავხედე და ვუთხარი: - მე შენი ბატონი ვარ და შენ ჩემი მსახური. ფულები ჩემია. წავაგე. წავაგე იმიტომ, რომ ასე მომეპრიანა. შენ კი გირჩევ ჭკუას ძალას ნუ ატან და ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებენ.
საველიჩი ისა განაცვიფრა ჩემმა სიტყვებმა, რომ ხელი ხელს შემოჰკრა და გაშეშდა.
- რას უდგეხარ! - დავუყვირე გაგულისებულმა. საველიჩმა ტირილი მორთო.
- ჩემო ბატონო, პიოტრ ანდრეიჩ, - აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან, - მწუხარებით ნუ მომკალ კაცი. ჩემო თვალის სინათლევ! გამიგონე მოხუცს. მისწერე იმ ავაზაკს იმას, როჯმ შენ იხუმრე, რომ ასეთი ფულები ჩვენ არც კი მოგვეძევება. ასი მანეთი! ღმერთო, შენ გვიშველე! უთხარ, რომ მშობლებმა დაბეჯითებით დაგაბარეს, კოჭაობის მეტი არაფერი ითამაშოო.
- კარგია, გეყოფა ტყუილები, - შევუტიე, - მოიტა აქ ფული, თორემ სულ კინწისკვრით გაგაგდებ.
საველიჩმა ღრმა მწუხარებით გადმომხედა და წავიდა ვალის გადასახდელად. შემეცოდა საბრალო მოხუცი, მაგრამ მე მინდოდა თვისუფლება მომეპოვებინა და დამემტკიცებინა, რომ უკვე ბავშვი აღარ ვარ. ზურინს ფული მიუტანეს. საველიჩი დაეშურა, რომ როგორმე გავეყვანა იმ წყეული ტრაქტირიდან. მოვიდა ჩემთან და მაცნობა, ცხენები მზად არისო. სიმბირსკიდან ისე წავედი, რომ ჩემს მასწავლებელს არ გამოვთხოვებივარ და არც მიფიქრია მას როდისმე შევხვედროდი. სინდისის ქენჯნას განვიცდიდი და გულში უსიტყვო სინანულს ვგრძნობდი

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

გ ა მ ძ ღ ო ლ ი

მხარეო, კარგო მხარეო!

უცნობო ჩემთვის არეო,
აქ როგორ მოვხვდი, ვით მოველ?
საიდან მოგიარეო?
ფეხით მოვედი, თუ ჩემმა
ცხენმა მომგვარა, განაო?. . .
არა, კი ვიცი, თუ რამაც
შენს კარზე მომიყვანაო:
მე მომიყვანა სიმხნევემ,
ყმაწვილის სიკისკასემა,
ახალგაზრდულმა სიფხიზლემ,
ბადიამ ღვინით სავსემა.
ძ ვ ე ლ ი ს ი მ ღ ე რ ა

ჩემი ფიქრები გზასი არ იყო მაინცდამაინც საამური. წანაგები იმ დროის მიხედვით, ცოტა არ იყო. არ შემეძლო ჩემს თავს არ გამოვტეხოდი, რომ სიმბირსკის ტრაქტირში სულელურად მოვიქეცი და საველიჩის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ყველაფერი ეს ძალიან მაწუხებდა. მოხუცი დაღვრემილი იჯდა კოფოზე, ჩემკენ არ იხედებოდა, ჩუმად იყო და მხოლოდ ხანდახან ამოიხვნეშებდა. აუცილებლად მინდოდა შევრიგებოდი, მხოლოდ არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. ბოლოს, როგორც იყო, ვუთხარი:
- კარგი ახლა, საველიჩ, შევრიგდეთ, კარგადა ვხედავ, რომ დამნაშავე ვარ. გუშინ მე ვიცუღლუტე, შენ კი ტყუილუბრალოდ შეურაცხყოფა მოგაყენე. პირობას ვდებ, რომ მომავალში უფრო გონიერი ვიყო და ყველაფერში შენ გაგიგონო. კარგია, ჰო, შევრიგდეთ.
- ეჰ, ჩემო ბატონო, პიოტრ ანდრეიჩ! - და ერთი მაგრად ამოიოხრა, - ჩემს თავზე მომდის გული: ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, როგორ მომივიდა, რომ ტრაქტირში მარტო დაგტოვე, მაგრამ რას იზამ! ეშმაკმა მაცდინა: დიაკვანის ცოლის ნახვა მოვისურვე, ჩემი ნათლიდედა გახლავთ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: თუ ინახულე სვინაო, მოხვდები სატუსაღოსა შინაო! უბედურება მომივიდა და ეგ არის! ახლა რაღა თვალით უნდა ვეჩვენო ჩემს ბატონებს! რას იტყვიან, როდესაც გაიგონებენ, რომ მათი შვილი კიდეც სვამს და კიდეცა თამაშობს. საველიჩისათვის რომ ნუგეში მეცა, დავპირდი, მომავალში მასთან შეუთანხმებლად ერთი კაპიკიც აღარ დამეხარჯა, ისიც თანდათან დამშვიდდა, თუმცა ზოგჯერ მაინც ბუზღუნით და თავის ქნევით წამოიძახებდა:
- ასი მანეთი! ხუმრობა საქმე კი არ არის!
ვუახლოვდებოდი ჩემი სამსახურის ადგილს. ჩემს ირგვლივ გადაშლილი იყო სევდიანი უდაბნო აქა-იქ ამობურცული გორაკებითა და ჩაქანებული ხრამებით. ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. მზე ჩადიოდა. ეტლი ვიწრო გზას მიჰყვებოდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გლეხის მარხილის ნაკვალევზე მიდიოდა. უეცრად მეეტლემ განზე დაიწყო ყურება, ხოლო შემდეგ მე მომმართა:
- ბატონო, უკან დაბრუნებას ხომ არ მიბძანებ?
- ეგ რაღად?
- ცუდი დროა, ძნელი სანდობია: ქარი თანდათან ძლიერდება, ხედავ, როგორ ატრიალებს ფიფქ თოვლს.

- მერე რა ვუყოთ!
- ეგერ ვერა ხედავ? (მეეტლემ აღმოსავლეთისაკენ გაიწოდა თავისი შოლტი).
- ვერაფერს ვხედავ გადათეთრებული ველისა და ნათელი ცის მეტს.
- ა, ეგერ, პაწია ღრუბელი.
მართლაც, ცის კიდურზე დავინახე თეთრი პატარა ღრუბელი, რომელიც პირველად გორაკი მეგონა. მეეტლემ ამიხსნა, ეს ღრუბელი ქარბუქის მომასწავებელი არისო.
იქაური ქარიშხლის ამბავი გაგონილი მქონდა და ვიცოდი, რომ ხშირად მთელი ქარავანიც მიუბუქავს. საველიჩიც მეეტლეს ეთანხმებოდა და დაბრუნებას მირჩევდა, მაგრამ ქარი ის ძლიერად არ მომეჩვენა; იმედიც მქონდა, შემდეგ სადგურზე დროით ჩავაღწევთმეთქი და ამიტომ ვუბრძანე სწრაფად წასულიყო.
მეეტლემ ცხენები გააქანა; მაგრამ სულ აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა. ცხენები მწყობრად გარბოდნენ. ქარი კი თანდათან ძლიერდბოდა. პაწია ქულა უზარმაზარ თეთრ ღრუბლად იქცა, რომელიც ნელ-ნელა ზევით იზიდებოდა, იშლებოდა და მთელ ცას ფარავდა. წვრილი თოვლი წამოვიდა, შემდეგ კი ბარდნა დაიწყო. ქარმა ღრიალი მორთო; ქარბუქი დაიწყო, ჩაბნელებული ცა ერთ წუთში თოვლის ზღვას გაუერთიანდა. თითქოს ყველაფერი გაქრა, მეეტლემ წამოიყვირა:
- აი, ბატონო, დავიღპეთ, ქარბუქია!
ეტლიდან გამოვიხედე: ყოველივე წყვდიადად და კორიანტელად ქცეულიყო. ქარი ისეთი მძვინვაებით ღმუოდა, რომ სულიერი გეგონებოდათ; თოვლმა სრულიად დაგვფარა მე და საველიჩი; ცხენები ნელი ნაბიჯით მიემართებოდნენ და მალე გაჩერდნენ.
- რას გაუჩერდი, რატომ არ მიდიხარ? - მოუთმენლად შვეკითხე მეეტლეს.
- აბა, საით წავიდე, - მიპასუხა მან და კოფოდან ჩამოვიდა. - ღმერთმა უწყის, სად შემოვეხეტეთ, გზა არ მოჩანს, ირგვლივ წყვდიადია.
მეეტლეს ლანძღვა დავუწყე, საველიჩი გამოესარჩლა:
- რატომ არ დაუჯერეთ. - გაბრაზებით ამბობდა იგი, - შევუხვევდით სადმე დასასვენებელ ადგილას, ჩაის მიირთმევდი, დილამდე გამოიძინებდი, ამასობაში ქარბუქიც ჩადგებოდა და ჩვენს გზას განვაგრძოვბდით. ან კი საით მივეჩქარებით, ნეტა? ქორწილში სადმე მაინც მივდიოდეთ!
საველიჩი მართალი იყო. მაგრამ ახლა რაღა გაეწყობოდა თოვლი მოდიოდა და მოდიოდა. ეტლის გვერდით მთელი ბორცვი აიმართა. თავჩაღუნული იდგნენ ცხენები. დროგამოშვებით ტანი უძაგძაგებდათ. მეეტლე გარშემო უტრიალებდა და სხვა საქმე რომ არ ჰქონდა რა, მოსართავებს უსწორებდა. საველიჩი ბუზღუნებდა. მე ოთხივ კუთხე ვიხედებოდი, ეგებ სადმე შემემჩნია ან გზა, ან მახლობელი სოფლის რაიმე ნიშნაი, მაგრამ კორიანტელის გადა არა მოჩანდა რა. . . უეცრად რაღაც შავი წერტილი დავინახე.
- ეი, მეეტლევ! - დავუყვირე , - ხედავ; ეგერ რაღაც მოჩანს შავად!
მეეტლე ჩაუკვირდა, შემდეგ თავის ადგილას დაჯდა და ასე მითხრა:
- აბა, რა ვიცი, რა არის: ურემია, ურემს არა ჰგავს; ხეა, ხეს არა ჰგავს. ისე კი თითქოს იძვრის რაღაც, უთუოდ ან მგელია ან ადამიანი.
ვუბრძანე, რომ ამ უცნობი საგნისაკენ წასულიყო და სწორედ იმავე წამს ეს საგანიც ჩვენკენ დაიძრა, ორი წუთის შემდეგ ჩვენ წინ ვიღაცა კაცი იდგა.
- აბა, კაი კაცო, ერთი გვითხარი, გზა აქ საით არის? - შეეხმაურა ჩვენი მეეტლე.

უცნობმა უპასუხა:
- გზა ეს არის; მე სწორედ გზაზე ვდგავარ. მაგრამ მერე რა აზრი აქვს?
ახლე მე მივმართე:
- გლეხუჭა, გამიგონე! ამ მხარეს იცნობ თუ არა? იქნებ სადმე ღამის გასათევამდე მიმაცილო?
- მხარეს როგორ არ ვიცნობ. მადლობა ღმერთს, მთელი მისი სიგრძე-სიგანით შემოვლილი მაქვს. მაგრამ ხომ ხედავ, რა ამინდია: ადვილად შეიძლება გზა დაგვებნეს. სჯობს ისევ აქ შევიცადოთ, შეიძლება ქარბუქმა იკლოს და ცაც მოიწმინდოს, მაშინ ვარსკვლავებზე გზასაც მოვნახავთ.
მზავრის ასეთმა წყნარმა კილომ გამამხნევა. გადავწყვიტე ღვთის განგებას მივნდობოდი და ამ ტრიალ მინდორში გამეთია, მაგრამ უეცრად მგზავრი მარდად შეხტა კოფოზე და მეეტლეს მიმართა: "მადლობა ღმერთს. სოფელი ახლოს ყოფილა; მარჯვნივ გაუსვიე და გასწი!" - "რატომ უნდა წავიდე მარჯვნივ? - უკმაყოფილოდ შეუბრუნა მეეტლემ. - გზას სადა ხედავ? შენ რა გენაღვლება, არც ცხენებია შენი და არც მისი მოსართავი". - მეეტლე მართალი მომეჩვენა და მეც ასე მივმართე: "მართლაც და რათა ფიქრობ, რომ სოფელი ახლოსაა? - "იმიტომ, - მიპასუხა მგზავრმა, - რომ ქარმა წამოიქროლა იქიდან და კვამლის სუნი მეცა; მაშასადამე, სოფელი ახლოს ყოფილა".
მისმა ალღომ და გამჭრიახობამ გამაკვირვა. მეეტლეს ვუბრძანე დაძრულიყო, ცხენებს ფეხი ეფლობოდათ ღრმა თოვლში. ეტლი ნელა იძროდა - ხან მოზვინულ თოვლზე შეკოლიკდებოდა, ხან ღრანტეებში ვარდებოდ, ხან ერთ მხარეზე იყო გადახრილი, ხან მეორეზე. ეს აღელვებულ ზღვაზე გემით ცურვას ჰგავდა. საველიჩი ხვნეშოდა და ოხრავდა, წამდაუწუმ ფერდზე მეტაკებოდა. მე ჭილოფი ჩამოვუშვი, ქურში გავეხვიე და ეტლის აკვანივით რწევას და ქარიშხლის სიმღერაზე ჩამთვლიმა.
ვნახე სიზმარი, რომელიც არასოდეს დამვიწყნია, და დღესაც, როდესაც კი გავიხსენებ მასთან დაკავშირებით ჩემი შემდეგი ცხოვრების უცნაურ ამბებს, იგი წინასწარმეტყველური მგონია. მკითხველი მომიტევებს, რადგანაც, ცხადია, მან გამოცდილებით იცის, რაც უნდა აგდებით ვუყურებდეთ ცრუმორწმუნეობას, მაინც ადმიანებს გვჩვევია, ზოგჯერ ავყვეთ მის გავლენას. იმჟამად ისეთი სულიერი განწყობილება მქონდა, რომ ყოველი სინამდვილე გზას უთმობდა ოცნებას და ბურანის მკრთალ სახეობაში ერთიმეორესთან იყო შედუღებული. მეზმანა, თითქოს ქარიშხალი კვლავ მძვინვარებდა და ჩვენც ჯერ კიდევ თოვლიან უდაბნოში დავხეტიალობდით. . . უეცრად ჭიშკარი დავინახე და ჩვენ სამოსახლო ეზოში კი შევედი. პირველი, რამაც თავში გამირბინა, იყო შიში: მამაჩემი არ გამიწყრეს, რომ უნებლიეთ დავბრუნდი მშობლიურ სახლში და ურჩობად არ ჩამითვალოს-მეთქი. შეწუხებული გადმოვხტი ეტლიდან და დავინახე: დედა კიბეზე გამომეგება, მაგრამ სახეზე ღრმა მწუხარება ეწერა. "ჩუმად, - მითხრა დედამ, - მამა ავად არის, მომაკვდავია და სურს გამოგეთხოვოს". - შიშმა ამიტანა და საწოლ ოთახში შევყევი დედას. ვხედავ, ოთახი ოდნავ არის განათებული: საწოლთან დაღონებული ხალხი დგას. მეც ნელა მივდივარ ლოგინთან; დედამ ფარდის კალთა გადასწია და ეუბნება: "ანდრეი პეტროვიჩ, პეტრუშა ჩამოვიდა, შენი ავადმყოფობის გამო დაბრუნდა; დალოცე". მე დავიჩოქე და თვალები ავადმყოფს მივაპყარ. რას ვხედავ? მამაჩემის მაგივრად ვიღაც შავწვერა გლეხი დაწოლილა და მხიარულად შემომცქერის. გაკვირვებული მივუბრუნდი დედას და ვუთხარი: "ეს რა ამბავია? ეს მამა არ არის? ან ვიღაც გლეხს დალოცვა რაში უნდა გამოვთხოვო?" - "სულერთია, პეტრუშ, - მიბრძანა დედამ, - ეგ

შენი მამობილია, ხელზე ეამბორე და დაგლოცავს". - არ ვეთანხმებოდი.
მაშინ გლეხი საწოლიდან წამოხტა, ზურაგს უკანიდან ნაჯახი ამოაძრო და აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი; ოთახი მკვდრების ლეშებით აივსო, მედებოდნენ ეს მკვდრები და ფეხი მათ სისხლში მისხლტებოდა. . . საშინელი გლეხი ალერსიანად მიყვიროდა: "ნუ გეშინია, ახლოს მოდი, დაგლოცავ". . . საშინელებამ და განცვიფრება მომიცვა, სწორედ ამ დროს გამომეღვიძა; ეტლი გაჩერებულიყო, საველიჩს ჩემზე ხელი ეკიდა და მეუბნებოდა:
- ჩამობრძანდი, ბატონო, მოვედით.
- სად მოვედით? - შევეკითხე თვალების სრესით.
- ტრაქტირში, - მიპასუხა საველიჩმა, - ღმერთი შეგეწია და პირდაპირ ღობეს წამოვედევით. მალე ჩამობრძანდი, ბატონიშვილო, და გათბი კარგად.
ეტლიდან ჩამოვედი. ქარბუქი გრძელდებოდა, მაგრამ ისე ძლიერი აღარ იყო. ისე კი ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ იტაკებდი. ტრაქტირის პატრონი ჭიშკარზე მოგვეგება, სანათი კალათის ქვეშ ჰქონდა შემალული, პატარა, სუფთად დალაგებულ სანთიობოში შემიყვანა. კვარი ანათებდა. კედელზე შაშხანა და კაზაკური მაღალი ქუდი ეკიდა.
მასპინძელი იაიკელი კაზაკი გამოდგა, სამოც წელს მიღწეული, მაგრამ ჭარმაგი მოხუცი. საველიჩმა ჩვენი საჭურჭლე შემოიტანა, ჩაის მოსადუღებლად ცეცხლი მოითხოვა. სწორედ მისწრება იყო. ჩაი ასე არასოდეს არა მნდომებია. მასპინძელი გავიდა სათადარიგოდ.
- გამძღოლი სად არის? - შევეკითხე საველიჩს.
- აქ გახლავარ, თქვენო კეთილშობილებავ, - მომესმა ზემოდან. ავხედე ღუმლის ტაროს და დავინახე შავი წვერი და ორი ანთებული თვალი.
- გაიყინე, ძმობილო?
- აბა, როგორ არ გავიყინებოდი ამ გაცვეთილ ჯუბაში! მქონდა ქურქი, მაგრამ, აბა რა დასამალია, საღამოთი მედუქნესთან დავაგირავე: ყინვა ძლიერი არ მეჩვენებოდა.
ამ დროს მასპინძელმა ადუღებული სამოვარი შემოიტანა; ჩვენს გამძღოლს ფინჯანი ჩაი შევთავაზე, იგი ღუმლიდან ჩამოძვრა. მისი გარეგნობა მაშინვე თვალში მეცა, ორმოცი წლის თუ იქნებოდა, შუატანის, გამხდარი და მხარბეჭიანი. შავ წვერებში ჭაღარა შეჰპრვოდა. ცოცხალ, შავ დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სახის გამომეტყველება სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ იმავე დროს სიცუღლუტეც ახლდა, თმა მრგვალად ჰქონდა შემოკრეჭილი; ეცვა ჩამოფლეთილი ჯუბა და თათრული შარვალი. ფინჯნით ჩაი მივაწოდე, ერთი მოხვრიპა და წარბი შეიკრა.
- თქვენო კეთილშობილებავ, მოიღეთ მოწყალება და ერთი ჭიქა ღვინო დამალევინეთ. ჩაი ჩვენი, კაზაკური სასმელი როდი არის.
სიამოვნებით შევუსრულე სურვილი. მასპინძელმა განჯინიდან ერთი ხელადი და ჭიქა გამოიღო, მივიდა მასთან და სახეში ჩახედა: - ეჰე, ისევ ჩვენ მხარეში იმყოფები? რომელმა ქარმა მოგიტანა ?
ჩემმა გამძღოლმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი და სხაპასხუპით უთხრა:
- ბოსტანში შევფრინდი, კანაფის თესლი ავკენკე; ბებიამკენჭი მესროლა და ამაცდინა, ჩვენები როგორღა არიან?
მასპინძელმაც ამაზე ნართაულად უპასუხა:
- ჩვენებისა რა გითხრა? ის იყო მწუხრის ჩამორეკეს კიდეც, მაგრამ ხუცის ცოლი მეტად

გაჯავარდა, - მღვდელი სახლში არ მეგულება და საყდარს ეშმაკები დაჰპატრონებიანო.
- ჩუმად იყავ, ძია, - კვლავ სიტყვა შეუბრუნა ჩემმა მაწანწალამ, - თუ წვიმა წამოვიდა, სოკოც ამოვა, ხოლო თუ სოკო ამოვიდა, კოჭობიც გაჩნდება. ახლა კი (და აქ ისევ ჩაუქნია თვალი) გაიჩარე წალდი წელში: მეტყევე მოდის. თქვენო კეთილშობილებავ! იდღეგრძელეთ! - ამ სიტყვებზე ჭიქა აიღო, პირჯვარი გადაიწერა და ამოუსუნთქვად დალია. შემდეგ თავი დამიკრა და ისევ ღუმელზე შეძვრა.
ამ ქურდული ლაპარაკიდან მაშინ მე ვერა გავიგე რა, მხოლოდ მივხვდი, რომ საქმე 1772 წლის შემდეგ ახლად ჩაქრობილ იაიკელ ჯარის ნაწილების აჯანყებას შეეხებოდა. საველიჩი უსმენდ ყოველივე ამას და ეტყობოდა, დიდად უკმაყოფილო იყო. ხან მასპინძელს მიაჩერდებოდა ეჭვის თვალით და ხან ჩვენ გამძღოლს. ჩვენი ტრაქტირი ანუ იმათებურად მანზილი, ტრიალ მინდორში იყო მოთავსებული, ყოველივე სოფელს მოშორებული და უფრო ყაჩაღების ბუნაგს წააგავდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო. იმჟამად არსად არ წაისვლებოდა, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. საველიჩის ასეთი შეშფოთება კი დიდად მართობდა. ამასობაში მეც დასაძინებლად გავემზადე და ძელსკამზე წამოვწექი. საველიჩი ღუმელზე შეძვრა; მასპინძელი იატაკზე დაწვა. ქოხში მალე ყველამ ხვრინვა ამოუშვა და მეც მკვდარივით დამეძინა.
დილით კარგა გვიან გამომეღვიძა. ქარიშხალი ჩამდგარიყო. მზე ბრწყინავდა. თვალუწვდენ უდაბნოს თვალისმომჭრელი ზეწარი გადაჰფენოდა. ცხენები უკვე შებმული იყო. მასპინძელს ნახარჯი გადავუხადე, მან ისე ცოტა გამოგვართვა, რომ საველიჩმაც კი ჩვეულებრისამებრ ჯიჯღინი არ დაუწყო. ასე რომ საველიჩს გუშინდელი მისი ეჭვი სრულიად გაუქარწყლდა. მე გამძღოლს დავუძახე. დახმარებისათვის მადლობა გადავუხადე და საველიჩს ვუბრძანე, მისთვის არყისთვის ათი შაური ეჩუქებინა. საველიჩი მოიღუშა.
"არყისთვის ათი შაური? რათა ვითომ? იმისთვის, რომ ტრაქტირამდე შენ თვითონ მოიყვანე? შენი ნებაა, ბატონო ჩემო, მაგრმა ჩვენ ზედმეტი ათი შაურები არ მოგვეპოვება. ყევლას რომ არყისთვის ფული ვაჩუქოთ, მალე ჩვენ თვითონ მოგვშივდება",
საველიჩთან კამათი აღარ შემეძლო, რადგან ჩემი დაპირებისამებრ ფულს სრულიად ის განაგებდა. მწყინდა კი, რომ არ შემეძლო მადლობა გადამეხადა იმ კაცისათვის, რომელმაც დიდ უბედურებას თუ არა, დიდ გაჭირვებას მაინც გადამარჩინა. - კარგი, - წამოვიძახე გულდამშვიდებით, - თუ ათი შაურის მოცემა არ გინდა, ჩემი ტანისამოსიდან გამოურჩიე რამე. ძალიან ცუდად არის ჩაცმული. მიეცი ჩემი კურდღლის ჯუბა.
- აბა, რას ბრძანებ, პიოტრ ანდრეიჩ, რა მაგის საქმეა თქენი კურდღლის ჯუბა? ეგ ძაღლი, ეგა, პირველსავე დუქანში ღვინოში გაყიდის მაგ თქვენს ჯუბას.
- ეგ, მოხუცო, შენ რა გენაღვლება, - ჩამოგვერია მაწანწალა, - ღვინოში გავყიდი თუ როგორც მოვიხმარ, აბა რა შენი საქმეა, მისმა კეთილშობილებამ საკუთარი ქურქი მიწყალობა, ეს მისი ნებაა, ბატონი ის არის, შენ კი მისი შინაყმა ხარ, მისი მხლებელი და შენი ვალია, ბრძანება შეუსრულო და სიტყვა არ შეუბრუნო.
- ღვთისა არ გეშინია, შე ავაზაკო შენა! - გაჯავრებით მიმართა საველიჩმა. - ხედავ, რომ ჯერ ბალღია და კარგად ვერ ერკვევა, შენ კი გაგეხარდა და გინდა გაძარცვო ეს გულუბრყვილო ჭაბუკი. რაში გამოგადგება შენ ბატონის ჯუბა? მაგ წყეულ მხრებზედაც კი არ ჩამოგეტევა.
- ახლა ჭკუსი დარიგებას კი ნუ მოჰყვები, - შევუძახე ჩემს გამდელს, - ახლავე ჯუბა აქ მოიტა.
- უფალო და მეუფეო! - ამოიხვნეშა ჩემმა საველიჩმა. - კურდღლის ჯუბა ხომ სულ

ახალთახალია! ხეირიანი ვინმე მაინც იყოს! ლოთია და სალახანა!
მაგრმ ჯუბა მაინც მოიტანა. გლეხმა მაშინვე გასინჯა. ჯუბა, რომელშიც მე ვეღარ ვეტეოდი. მართლაც ვიწრო იყო მისთვის. ბოლოს მაწანწალამ მოახერხა და ჩაიცვა, მაგრამ ნაკერი აქა-იქ გაარღვია. ნაკერავის ფხრიწინ-ფხრიწინი რომ მოესმა, საველიჩი კინაღამ აღმუვლდა. მაწანწალა კი, ეტყობოდა, მადლიერი იყო ჩემი საჩუქრისა. ეტლამდე მიმაცილა და დაბლა თავდახრით ასე მომმართა.
- დიდი მადლობელი ვარ, თქვნო კეთილშობილეავ! სიკეთისათვის ღმერთმა გიზღოთ. საუკუნოდ არ დამავიწყდება თქვენი წყალობა.
ის თავის გზაზე წავიდა და მეც ჩემი გზა განვაგრძე. საველიჩის ბუზღუნისათვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და ძალიან მალე დამავიწყდა გუშინდელი ქარბუქიც, ჩემი გამძღოლიც და კურდღლის ჯუბაც.
ორენბურგში ჩასვლისთანავე გენერალთან გამოვხადდი. მაღალი კაცი იყო, მხოლოდ სიბერეს ცოტა წელში მოეხარა. გრძელი თმა სრულიად გაჭაღარავებული ჰქონდა. ძველი გამოხუნებული მუნდირი ანა იოანოვნას დროინდელ მხედარს მოგაგონებდათ და გამოთქმასაც დიდად ეტყობოდა გერმანელი იერი. მამაჩემის ბარათი მივართვი. მამის სახელის გაგონებაზე თავი ჩემკენ მოიბრუნა და შემომხედა.
- ღმერთო ჩემო, განა დიდი ხანია მას აქეთ, რაც თვით ანდრეი პატროვიჩი შენხელა იყო, ახლა კი შეხეთ უკვე როგორი ვაჟკაცი ჰყოლია! ეჰ, დრონი, დრონი! - ბარათი გახსნა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, თან ალაგ-ალაგ თავის შენიშვნები ჩაურთო: "მოწყალეო ხელმწიფევ, ივან კირილოვიჩ, იმედი მაქვს, რომ თქვენს აღმატებულებას". . . ეს კიდევ რაღა ცერემონიაა? უჰ, როგორ არა რცხვენია! რასაკვირველია, დისციპლინა პირველი საქმეა, მაგრამ ძველი კამრადს 2 განა სწერენ?. . . "თქვენს აღმატებულებას არ დავიწყნია". . . ჰმ. . . "და აგრეთვე. . . კაროლინკა". . . ეე,
ბრუდერ! კიდევ ახსოვს ჩვენი ბავშვობის სიცელქე! "ახლა საქმეზე. . . გიგზავნით ჩემს გაუხედნელს". . . ჰმ. . . "და გთხოვთ იყოლიოთ ხუნდებში". რას ნიშნავს "იყოლიოთ ხუნდებში". აჰა, ეს უთუოდ რუსული ანდაზაა! რა არის "იყოლიოთ ხუნდებში"? გაიმეორა მან და მე მომიბრუნდა.
მე შევეცადე, რაც შეიძლება გულუბრყვილო გამომეტყველება მიმეცა სახისათვის და ვუპასუხე:
- ეს იმას ნიშნავს, რომ ალერსიანად მომეპყროთ, სიმკაცრე შეანელოთ, თავისუფლება მომანიჭოთ, ხუნდებში მიყოლიოთ.
"ჰმ. . . მესმის. . ."და თავის ნებაზე არ მიუშვათ". . . არა, არა, ეტყობა, რომ "ხუნდებში იყოლიოთ" სულ სხვა რასმე ნიშნავს. . . "ამასთანავე . . . ბაშფორთი". . . მერმე სად არის? აჰა, აგერ. . . "გადმორიცხულ იქნას სემიონოვის პოლკიდან". . . კარგი, ზალიან კარგი. ყველაფერი შესრულებული იქნება. . . "ახლა ნება მიბოძე ყოველგვარი ხარისხისა და მდგომარეობის მიუხედავდა გადაგეხვიო, როგორც. . . ძველ ამხანაგსა და მეგობარს". - აჰა! ძლივს არ მიხვდა. . . და სხვა და სხვა. . . გაათავა როგორც იყო ბარათის კითხვა და ჩემი პასპორტიც განზე გადადო. - ყველაფერი შესრულებული იქნება: შენ ჩაირიცხები ოფიცრად***-ს პოლკში და, დრო რომ არ დაკარგო, ხვალვე წახვალ ბელოგორის ციხეში, სადაც იმსახურებ ყოვლად პატიოსანი და კეთილი კაცის, კაპიტან მირონოვის ხელქვეითად, იქ შეისწავლი დისციპლინას და ჩაებმები ნამდვილ სამსახურში. ორენბურგში არაფერი საქმე არა გაქვს: უქმად ყოფნა

ახალგაზრდა კაცისათვის მავნებელია. დღეს კი გთხოვ ჩემთან ისადილო".
ჩემი საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა! აბა, რ გამიკეთა იმან, რომ თითქმის დედის საშოში გვარდიის სერჟანტად ვიყავ ჩარიცხული-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, აბა, სად მიმიყვანა?***-ს პოლკში, სადღაც მიყრუებულ ციხე-სიმაგრეში, ყირგიზ-ყაისის ტრამალების საზღვარზე. . . ანდრეი კირილოვიჩთან სადილზე მხოლოდ სამნი ვიყავით: ის, მე და მისი მოხუცი ადიუტანტნი. სუფრას გერმანული მომჭირნეობა ეტყობოდა, და მე მგონია, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ჩემი ასე სწრაფად თავიდან მოშორებისა ისიც იყო, რომ შეეშინდა მარტოხელას სუფრაზე ზედმეტი სტუმარი არა ჰყოლოდა ხოლმე. მეორე დღეს გამოვეთხოვე გენერალს და დანიშნულების ადგილისაკენ გავწიე.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ც ი ხ ე - ს ი მ ა გ რ ე

ჩვენა ვცხოვრობთ ციხეში
პურსა ვჭამთ, წყალს ვაყოლებთ;
მტრები თუ თავს დაგვესხნენ -
არაერს გავაყოლებთ!
მოვულხენთ და ვეტყვით ბანს:
გავტენით ჩვენ ზარაზანს.

ს ა ლ დ ა თ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

ძველი ხალხი გახლავთ, ბატონო ჩემო.
"ნ ე დ ო რ ო ს ლ ი"

ბელოგორის ციხე-სიმაგრე ორენბურგიდან ორმოცი ვერსის მანძილზე იყო. მისკენ გზა იაიკის დაქანებულ ნაპირს მიჰყვებოდა. მდინარე ჯერ კიდევ არ იყო გაყინული და მისი ტყვიისფერი ტალღები თეთრი თოვლით დაფარულ ეთფეროვან ნაპირებში სევდიანად გამოიყურებოდნენ. ამ კიდეებს მოჰყვებოდა ყირგიზეთის ტრამალი. ნაღვლიანმა ფიქრებმა მომიცვა, გარნიზონის ცხოვრება ნაკლებად მიტაცებდა. კაპიტანი მორონოვი, ჩემი მომავალი უფროსი, ისე მყავდა წარმოდგენილი, როგორ მკაცრი, ბრაზიანი მოხუცი, რომელსაც თავისი სამსახურის გარდა არაფერი სწამდა და რომელიც მზად იყო. სულ უბრალო რამისათვის დავეტუსაღებინე და ხმელ პურსა და წყალზე დავეტოვებინე. ამასობაში შებინდდა. რაც შეიძლებოდა ჩქარა მივდიოდით. "შორს არის კდიევ ციხე?" - შევეკითხე მეეტლეს, "არა, - მიპასუხა, - შორს აღარ არის, აგერ, მოჩანს კიდეც". - ვიხედებოდი ირგვლივ, მოველოდი, რომ დავინახავდი მრისხანე ცხიე-სიმაგრეს, აყუდებულ კოშკებს, ღრმა თხრილებს, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ვერ დავინახე. მოჩანდა მხოლოდ უბრალო, პაწია სოფელი, რომელიც ირგვლივ ხის მესრით იყო შემოღობილი. ეთი მხრით თივის სამი თუ ოთხი ზვინი იდგა, ნახევარზე თოვლით დაფარული, მეორე მხრით - განზე გადაზნექილი ქარის წისქვილი, უბრალო ფრთებით, რომლებიც იმჟამად ზარმაცად იყვნენ ჩამოშვებულნი. "სიმაგრე სადღა არის?" - ვკითხე

გაკვირვებულმა. "აი აგერ",- მიპასუხა მეეტლემ, მიმითითა სოფელზე და ამ სიტყვებთან ერთად შევედით კიდეც სოფელში. ჭიშკართან ზველი თუჯის ზარბაზანი დავინახე. ქუჩები მრუდე და ვიწრო იყო, ქოხები დაბალი და უფრო ხშირად ჩალით დახურული. ვუბრძანე, რომ კომენდატთან მივეყვანეთ. ერთი წუთის შემდეგ ეტლი შეჩერდა ერთ ხის სახლთან, რომელიც მაღლობზე იყო წამომდგარი ხისავე ეკლესიის გვერდით.
არავინ არ გამომეგება. ავედი კიბეზე და დერეფნის კარი შევაღე, მაგიდაზე მოხუცი ინვალიდი იჯდა და მწვანე მუნდირის სახელოს იდაყვთან ლურჯ ნაჭერს აკერებდა. ვუბრძანე, რომ მოეხსენებინა ჩემი მისვლა.
- მიბრძანდი, გეთაყვა, - მიპასუხა ინვალიდმა, - ჩვენები ყველანი შინ არიან!
შევედი. ძველებურად მორთული სუფთა ოთახი იყო. კუთხეში კარადა იდგა ჭურჭლით; კედელზე ჩარჩოში ჩასმული ოფიცრის დიპლომი ეკიდა და ზედ მინა ჰქონდა გაკეთებული; მის გვერდით უბრალო, მდაბიური სურათები ამკობდნენ კედელს. სურათებზე გამოსახული იყო კისტრინის და ოჩაკოვის აღება და აგრეთვე სარძლოს არჩევანი და კატის დასაფლაება. ფანჯარასთან ქათიბიანი, მარნდილთავწაკრული მოხუცი ქალი იჯდა. ძაფს ახვევდა. ძაფი კი ხელებზე ჰქონდა გადაბლანდული ერთ ცალთვალა ბერიკაცს, რომელიც ოფიცრის მუნდირში იყო გამოწყობილი. ქალს თავისი ხელსაქმე არ შეუწყვეტია, ისე შემეკითხა: "რა გნებავთ, ბატონო ჩემო". ვუპასუხე, რომ სამსახურში ვარ ჩამოსული და მოვალეობის გამო გამოვხადდი ჩემი უფროსის, კაპიტანის წინაშე-მეთქი; ის-ის იყო ვაპირებდი ცალთვალა ბერიკაცისათვის მიმემართნა, რადგანაც კაპიტანი ის მეგონა, მაგრამ დიასახლისმა არ დამაცალა გაზეპირებული სიტყვის წარმოთქმა:
- ივან კუზმიჩი ამჟამად შინ არ არის. მამა გერასიმესთან წავიდა სტუმრად, მაგრმ მაინც სულერთია, დიასახლისი მე ვარ აქა, გთხოვთ მიცნობდეთ და მოკეთედ მიგულოთ. დაბრძანდით, ჩემო ბატონო.
მოსამსახურე გოგონ მოიხმო და უბრძანა, რომ ურიადნიკისათვის დაეძახა. ბერიკაცი თავის ცალი თვალით ცნობისმოყვარეობით მსინჯავდა. შემდეგ მომმართა: "ნებას ვაძლევ ჩემს თავს, რომ შეგეკითხოთ - რომელ პოლკში მსახურობდით?" დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა. ის კი განაგრძობდა: "ახლა ეს მიბრძანეთ, რად ინებეთ, რომ გვარდიიდან გარნიზონში გადმოხვედით?" ვუპასუხე, რომ ჩემმა უფროსებმა ასე მოისურვეს-მეთქი. შემკითხველი მაინც არ ისვენებდა: "ალბათ გვარდიის ოფიცრისათვის შეუფერებელი საქციელის გამო". მაგრამ კაპიტანის მეუღლე შემოსწყრა:
- კარგი, გეყოფა ლაყბობა, ვერა ხედავ, ყმაწვილი კაცი ნამგზავრია, დაღლილი, რა შენი თავი აქვს. . . (ხელებგი სწორად დაიჭირე. . .) შენ კი, ბატონო ჩემო, - ახლა მე მომმართა, - ნუ ინაღვლებ, რომ ასეთ მიყრუებულ ადგილას გიკრეს თავი. პირველი შენ არა ხარ და უკანასკნელიც შენ არ იქნები. შეეჩვევი, შეგიყვარდება, აგერ შვაბრინი, ალექსი ივანიჩი, მეხუთე წელიწადია, რაც კაცის მკვლელობისათვის ჩვენთნ გადმოიყვანეს. ღმერთმა იცის, რა ცოდვა აუდუღდა. წარმოიდგინე, ერთ ვიღაც პორუჩიკს ქალაქგარეთ გაჰყოლია, ხმლები წაუღიათ და ერთიმეორისათვის უტაკებიათ. ალექსეი ივანიჩს სასიკვდილოდ დაუკოდნია კიდეც საბრალო პორუჩიკი და ისიც ისე, რომ ორი მოწმეც დაუსწვრიათ! რას იზამ? ცოდვას თავისი ოსტატი არ ჰყავს.
ამ დროს ოთახში ურიადნიკი შემოვიდა, ახალგაზრდა, წამოსადეგი კაზაკი, კაპიტნის მეუღლემ მაშინვე მიმართა:

- აბა, მაქსიმიჩ, ბატონ ოფიცერს უშოვნე ბინა, იცოდე სუფთა იყოს.
- მესმის, ვასილა ეგოროვნა, - უპასუხა ურიადნიკმა - ივან პოლეჟაევთან დავაყენებ მის კეთილშობილებას.
- ნუ ჩერჩეტობ, ივან პოლეჟაევთან ისედაც ვიწროდ არიან. ჩემი ნათლიმამაა და ახსოვს კარგად, რომ ჩვენ მისი უფროსები ვართ, - შემოსწყრა კაპიტნის მეუღლე, - წაიყვანე ბატონი ოფიცერი, თქვენი სახელი და მამის სახელი, ბატონო ჩემო? პიოტრ ანდრეიჩი, წაიყვანე პიოტრ ანდრეიჩი სემიონ კუზოვთან. მართალია, გაიძვერაა, თავისი ცხენი ჩემს ბოსტანში შემოუშვა, მაგრამ. . . სხვა, მაქსიმიჩ, ხომ ყოველივე რიგზეა?
- მადლობა ღმერთს, სიწყნარეა, - უპასუხა კაზაკმა, - მხოლოდ კაპრალი პროხოროვი აბანოში ერთი თუნგი ცხელი წყლის გულისათვის უსტინა ნეგულინას წაეჩხუბა.
- ივან იგნატიჩ! - მიმართა კაპიტნის მეუღლემ ცალთვალა ბერიკაცს, - პროხოროვისა და უსტინას საქმე შენ გაარჩიე; ნახე, რომელია მტყუანი, რომელი მართალი და ორთავენი დასაჯე. ახლა კი, მაქსიმიჩ, გასწი, ღმერთი იყოს შენი შემწე. პიოტრ ანდრეიჩ, მაქსიმიჩი გაგაცილებთ თქვენს ბინაზე.
თავი დავუკარი და წამოვედი. ურიადნიკმა მიმიყვანა მდინარის ნაპირას, მაღლობზე წამომდგარ ქოხში, ციხე-სიმაგრის სულ განაპირა ალაგას. ნახევარი ქოხი სემიონ კუზოვის ოჯახს ეჭირა, ნახევარი კი მე დამითმეს. ეს ნახევარი წამოადგენდა ერთ საკმაოდ სუფთა სანთიობს, რომელიც შუაზე იყო გადატიხრული. საველიჩი მაშინვე დაფაცურდა და დალაგებას შეუდგა, მე კი ვიწრო სარკმელში დავიწყე ყურება. ჩემ წინ გადაშლილიყო სევდიანი უდაბნო. განზე რამდენიმე ქოხმახი იდგა; ქუჩაზე რამდნეიმე ქათამი დაყიალობდა. ვიღაც მოხუცი ქალი გობით ხელში კიბეზე გადმომდგარიყო და ღორებს ეძახდა. ღორებიც ამ ძახილს შეწყობილი ღრუტუნით ეგებებოდნენ. აი სად ვიყავი გადმოგდებული, რა ადგილას უნდა გამეტარებინა ჩემი ახალგაზრდობა. გულს კაეშანი მოაწვა. სარკმელს ჩამოვშორდი და უვახშმოდ დავწექი. ბევრი მეხვეწაქ საველიჩი, ბევრიც იკრუსუნა: "უფალო და მეუფეო, შენ შემეწიე, არაფრის მირტმევა არ ინება! რას იტყვის ქალბატონი, თუ ბავშვი ავად გამიხდაო". მეორე დღეს დილით, ის იყო ტანთ ვიცვამდი, რომ ჩემთნ შემოვიდა ახალგაზრდა ოფიცერი. არცთუ მაღალი ტანის. შავგვრემანი კაცი იყო და ძალზე ულამაზოც, მხოლოდ ძალიან ცოცხალი სახე კი ჰქონდა. ფრანგულად მომმართა: "მომიტევეთ, რომ უცერემონიოდ მოვედი თქვენს გასაცნობად. გუშინ გავიგე თქვენი ჩამოსვლა და მეც ისე მომინდა ცოცხალი და ახალი ადამიანის სახის დანახვა, რომ ვერ მოვითმინე. აქ რომ ცოტა ხანს დაჰყოფთ, თქვან ამას გაიგებთ. მივხვდი, რომ ეს ის ოფიცერი იყო, რომნელიც გვარდიიდან დუელის გამო იყო დათხოვნილი. გამვეცნაურეთ ერთიმეორეს. შავბრინი სრულიადაც არ იყო უჭკუო კაცი. მისი საუბარი ენამახვილიც იყო და გამრთობიც. ძალიან მოსწრებულად ამიწერა კომენდატის ოჯახი, საზოგადოება, რომელიც კონმენდატის სახლში იკრიბებოდა, და საერთოდ ის კუთხე, საცა ბედმა მომახვედრა. მე გულიანად ვიცინოდი. სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ის ინვალიდი, რომელი კომენდატის დერეფანში მუნდირს ასუფთავებდა და ვასილისა ეგოროვნას სახელით სადილაე დამპატიჯა. შვაბრინმა მოისურვა ერთად წავსულიყავით. როდესაც კომენდატის სახლშ მივუახლოვდით, მოედანზე ოციოდე დაბერებული ინვალიდი დავინახეთ. ყველას უკან ნაწნავი ჰქონდა და სამკუთხიანი ქუდი ეხურა. ერთ რიგზე იყვნენ გამწკრივებულნი. მათ წინ თვითონ კომენდატი იდგა, ჭარმაგი, მხნე მოხუცი, მაღალი ტანისა. თავზე ჩაჩი ეხურა და ტანზე კიდევ ჩინური ხალათი ეცვა. დაგვინახა თუ არა, ჩვენთნა

მოვიდა, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა და ისევ მეცადინეობას შეუდგა. ჩვენ შევჩერდით და ვარჯიშობას ცქერა დავუწყეთ, მაგრამ გვთხოვა ვასილისა ეგოროვნასთან წავსულიყავით და დაგვპირდა, რომ თვითონაც მალე მოვიდოდა. "აქ კი, - დაუმატა, -თქვენი საყურებელი არაფერია".
ვასილისა ეგოროვნამ ძალიან უბრალოდ და გულღიად მიგვიღო. ისე მომეპყრო, თითქოს მთელი ჩვენი დღენი ერთიმეორეს ნაცნობები ვყოფილიყავით. ინვალიდი და პალაშკა სუფრას შლიდნენ. "რა ამბავია, დღეს ძალიან იგვიანებს, - წარმოთქვა კაპიტანის მეუღლემ. - პალაშკა, დაუძახე ბატონი ისადილოს. მაშა სადღაა?"
ამ დროს შემოვიდა ასე თორმეტი წლის ქალიშვილი, პირმრგვალი, თეთრ-ყირმიზი, ქერათმიანი, თმა ყურებზე ჰქონდა გადავარცხნილი, ყურები აწითლებული. პირველ შეხვედრაზე ბევრად არაფრად მომეწონა. მე მის შესახვედრად მომზადებული ვიყავი, რადგანაც შვაბრინმა ამიწერა, თუ როგორი სულელი ასება იყო კაპიტანის ქალიშვილი. მარია ივანოვნა მიჯდა კუთხეში და საკერავს მოჰკიდა ხელი. ამასობაში შჩი შემოიტანეს. როცა ვასილისა ეგოროვნამ დაინახა, რომ ქმარი კიდევ არ იყო მოსული, პალაშკა ხელახლა გაგზანვა მის დასაძახებლად:
- ბატონს მოახსენე, რომ სტუმრები უცდიან და შჩიც გაცივდება: მადლობა ღმერთს, სწავლას და ვარჯიშობას ვერსად გაექცევა: მოასწრებს, რომ ყვირილით გული იჯეროს.
ამის სემდეგ კაპიტანიც მალე მოვიდ და თან მოიყოლა ცალთვალა ბერიკაცი.
- რა ამბავია, ივან კუზმიც, - უთხრა ცოლმა, - რამდენი ხანია სადილი მოტანილია, შენ კი ვერაფრით ვერ გაგაგონეთ.
- გესმის თუ არა შენ, ვასილისა ეგოროვნა, - უპასუხა ივან კუზმიჩმა, - მოუცლელი ვიყავი, ჯარისკაცებს ვასწავლიდი.
- კარგი, გეყოფა! - შეუბრუნა მეუღლემ, - მხოლოდ სახელი გაგივარდა, თითქოს ასწავლიდე, თორემ აქამდე ვერც ისინი ჩახვდნენ მაგ სწავლას და შენც მაგისი არაფერი გაგეგება. შინ რომ იჯდე და ლოცულობდე, ის გირჩევნია. აბა, ძვირფასო სტუმრებო, ახლა კი გთხოვთ. სადილს მივუსხედით. ვასილისა ეგოროვნას ერთი წუთითაც ყბა არ გაუჩერებია, სულ მე მეკითხებოდა, ვინ არიან შენი მშობლები, ცოცხლები არიან თუ არა, სად ცხოვრობენ, რა შეძლების პატრონი არიანო? გაიგო თუ არა, რომ მამაჩემს სამასი სული ყმა ჰყავდა, - ადვილად კი ითქმისო! - წარმოთქვა. - კიდევ მოიპოვება ქვეყნად ასეთი მდიდარი ხალხი! ჩვენ კი, ბატონო ჩემო, ერთადერთი სული გვყავს, ჩვენი გოგო პალაშკა, და მადლობა ღმერთს, ვცხოვრობთ ნელა-ნელა. მხოლოდ აი უბედურება: მაშა უკვე გასათხოვარი ქალია და აბა, რა მზითევი უნდა ჰქონდეს? ერთი წმინდა სავარცხელი, ერთი ცოცხი და ერთიც ორშაურიანი (ღმერთო, შენ შემეწიე!), რომ აანოში იბანაოს. კიდევ კარგი, თუ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდა; თორემ, შენი მტერი! მთელი თავისი დღენი ქალწულად უნდა დამჟავდეს.
გადავხედე მარია ივანოვნას; სრულიად გაწითლებულიყო და ორიოდე ცრემლიც კი დაეცა მის თეფშზე. შემეცოდა და დავეშურე, რომ საუბარი სხვა საგანზე გადამეტანა, ამისათვის დავიწყე და სრულიად შეუსაბამო რამე ვთქვი: "მე გავიგონე, რომ ამ თქვენ ციხე-სიმაგრეზე ბაშკირელები თავდასხმას აპირებენ". - "ეგ ვინ მოგახსენათ?" - შემეკითხა ივან კუზმიჩი. - "ორენბურგში მითხრეს" - ვუთხარი მე.
- ო, ეგ არაფერია! - წარმოთქვა კომენდატმა, - ჩვენთან ამაზე დიდი ხანია არა ისმის-რა. ბაშკირელები დაშინებული ხალხია და ყირგიზელებს კიდევ ჩვენ კარგა ვასწავლეთ ჭკუა.

ტყუილია, ვერაფერს გაბედავენ. გაბედავენ და ისეთს დავცხებ, რომ ერთი ათი წლით მაინც ჩავაჩუმებ.
- თქვენ კი არ გეშინიათ, - ახლა კაპიტნის მეუღლეს მივმართე. - არ გეშინიათ იყვეთ იმ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ხიფათი მოელის?
- მიჩვეული ვარ, - მიპასუხა. - ოცი წლის წინათ პოლკიდან აქ გადმომიყვანეს და ღმერთმა უწყის, როგორ მეშინოდა ყველა ამ წყეული ურჯულოსი! დავინახავდი თუ არა მატ ფოცხვერის ქუდებს და გავიგონებდი თუ არა მათ ჭყივილს, დაიჯერებთ, გული მებინდებოდა! ახლა კი ისე ვარ შეჩვეული, რომ ადგილიდანაც არ დავიძვრები. თუნდა მოვიდნენ და მითხრან, რომ ეს ავსულები ამ ჩვენი სიმაგრის გარშემო დატანტალებენო.
- ვასილისა ეგოროვნა მეტად გულადი ქალია, - შენიშნა შვაბრინმა, - ივან კუზმიჩი ამას დაადასტურებს.
- ჰო, გესმის, - წარმოთქვა ივან კუზმიჩმა, - უშიშარი დედაკაცია.
- მარია ივანოვნა? თქვენ? თქვენც ეგეთივე გულადი ბრძანდებით, როგორც დედათქენი? - შევეკითხე მე.
ჩემ კითხვაზე დედამ გამცა პასუხი:
- მაშა და გულადი? არა, მაშა მხდალია. აქამდე თოფის სროლის ხმას ვერ იტანს. სულ ერთიან ათრთოლედა ხოლმე. ამ ორი წლის წინათ ჩემს დღეობაზე ივან კუზმიჩმა ზარბაზანი რამდენჯერმე გაასროლინა და ჩემი გვრიტუნია შიშისაგან კინაღამ ამ სოფლეს გამოეთხოვა. ამის შემდეგ აღარ ვისვრით იმ წყეულ ზარბაზანს.
სუფრიდან წამოვიშალეთ. კაპიტანი და მისი მეუღლე დასაძინებლად წავიდნენ: მე კი შვაბრინს გავყევი და მთელი საღამო მასთან გავატარე.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

დ უ ე ლ ი

მაშ ინებე, დადექ პოზიტურაში,
ვით განგგმირავ, ნახავ, მაგ ფიგურაში.

კ ნ ი ა ჟ ნ ი ნ ი

გავიდა რამდენიმე კვირა და ბელოგორის ციხე-სიმგარეში ყოფნა ჩემთვის არამც თუ ასატანი, საამურიც კი შეიქმნა. კომენდატის სახლში ისე ვიყავი მიღებული, როგორც ღვიძლი ნათესავი. ცოლ-ქმარი მეტაედ საპატიო ხალხი იყო. ივან კუზმიჩი წარმოშობით სალდათის ოჯახიდან იყო, ოფიცრობა ჰქონდა მიღებული და, მართალია, გაუნათლებელი და უბრალო კაცი იყო, მაგრამ მეტად პატიოსანი და კეთილი. ცოლი, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა და ეს სწორედ შეჰფეროდა მის დაუდევრობას. ვასილისა ეგოროვნა სამსახურის საქმეებსაც ისე უყურებდა, როგორადაც საშინაო, საოჯახო საქმეებს და ციხე-სიმაგრესაც ისევე განაგებდა, როგორადაც საკუთარ ოჯახს. მარია ივანოვნაც წინანდებურად აღარ მიფრთხოდა. ჩვენ ერთიმეორე გავიცანით. აღმოვაჩინე, რომ ის მეტად კეთილოგნიერი და მგრძნობიარე ქალიშვილი იყო. შეუმჩნევლად შევეჩვიე ამ კეთილ ოჯახს და თვით ივან იგნატიჩსაც,

გარნიზონის ამ ცალთვალა პორუჩიკს, რომელზედაც შვაბრინი ჭორაობდა, მას ვასილისა ეგოროვნასთნ უწესო კავშირი აქვს დაჭერილიო, რაიცა ოდნავადაც არ შეეფერებოდა სიმართლეს. მაგრამ შავბრინს ამის დარდი არა ჰქონდა.
მე ოფიცრის ხარისხი მომანიჭეს. სამსახური არ მამძიმებდა. ამ დალოცვილს ციცხე-სიმაგრეში არც აღლუმები იყო, არც სწავლა, არც დარაჯობა. კომენდატი თავისი სურვილისამებრ ხანდახან ასწავლიდა თავის ჯარისკაცებს, მაგრამ იმდენი კიდევ ვერ მოეხერხებინა, რომ ყველას სცოდნოდა - რომელი მხარეა მარჯვენა და რომელი მარცხენა. შვაბრინს რამდენიმე ფრანგული წიგნი ჰქონდა. შევუდექი იმათ კითხვას და დამეზადა სიყვარული ლიტერატურისადმი. დილით ვკითხულობდი, ვვარჯიშობდი თარგმანებში და ხანდახან ვთხზავდი ლექსებს. სადილად თითქმის ყოველდღე კომენდატისას ვიყავი და დანარჩენ დღესაც იქ ვატარებდი. ზოგჯერ საღამოობით კაპიტანთან მღვდელი გერასიმე მოდიდოა თავისი მეუღლით აკულინა პამფილოვნათი. ეს ქალი მთელს იმ არემარეში პირველ მაუწყებლად და მოამბედ ითვლებოდა. შვაბრინს ხომ ყოველდღე ვხდევადი, მაგრამ თანდათან მისი საუბარი ჩემთვის უსიამოვნო გახდა. მუდმივი მისი ოხუნჯობა კაპიტანის ოჯახის შესახებ არ მიამებოდა, განსაკუთრებიტ მისი გესლიანი შენიშვნები მარია ივანოვნაზე. სხვა საზოგადოება იქ არ იყო, მაგრამ მე სხვა არც მინდოდა.
მიუხედავად წინასწარმეტყველებისა, ბაშკირელები, ეტყობოდა, აჯანყებას არ აპირებდნენ. სრული სიწყნარე სუფევდა ჩვენი ციხე-სიმაგრის გარშემო. მაგრამ ეს სიწყნარე უეცრად დაირღვა შინაური განხეთქილების გამო.
მე უკვე ვთქვი, ლიტერატურაში ვვარჯიშობდი-მეთქი. ჩემი გამოცდილება იმ დროს უკვე თვალსაჩინო იყო და რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი მაშინდელი ნაწარმოები ძლიერ შეაქო ალექსანდრე პეტროვიჩ სუმარკოვმა. ერთხელ ერთი სასიმღერო ლექსი დავწერე, რომელიც ძლიერ მომეწონა. ცნობილია, რომ მწერლებს ზოგჯერ სურთ იყოლიონ კეთილგანწყობილი მსმენელები და მოისმინონ მათი რჩევა-დარიგება. მეც გადავწერე ჩემი ლექსი და წავუღე შვაბრინს, რადგანაც ამ არე-მარეზე ის ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც მოშაირის შეფასება შეეძლო. პატარა წინასიტყვაობის შემდეგ ჯიბიდან ამოვიღე ჩემი რვეული და წავუკითხე შემდეგი ლექსი:

ვანადგურებდი აზრსა ტრფობისას,
დავიწყებასა სატრფოს ვცდილობდი,
და ოჰ, მაშასთან განრიდებული,
თავისუფლადა ჩემ თავს ვგონებდი.
მაგრამ თვალები, რომელთ დამიპყრეს
თვალწინ მიდგანან წამითი წამად.
მათ შემიშფოთეს სულის მშვიდობა
და მოსვენება ჩემს გასაწამად.
გაიგე, მაშა, რა ფათერაკსაც
მე შევემთხვიე შენგან ვნებული,
მომხედე ტანჯულს და შემიბრალე
შენი ტრფობითა დატყვევებული.

- აბა, როგორია? - შევეკითხე შვაბრინს და მოველოდი, რომ მისგან ქებას მივიღებდი, რადგანაც მეგონა, რომ აუცილებლად ქების ღირსი ვიყავ. მაგრამ, ჩემდა გასაკვირველად და საწყენად, შვაბრინმა, რომელიც ჩვეულებრივ შემწყნარებელი იყო, პირდაპირ გადაჭრით გამომიცხადა, რომ ლექსი არ ვარგაო.
- რატომ? - შევეკითხე და ვეცადე, რომ წყენა დამემალა.
- იმისთვის, - მიპასუხა მან, რომ ასეთი ლექსები ჩემს მასწავლებელს ვასილ კირილიჩ ტრედიაკოვსკის უფრო შეეფერება და ძალიანაც მაგონებს მის სასიყვარულო ტაეპებს.
აქ აიღო ჩემი რვეული და დაუნდობლად გაარჩია ყოველი ლექსი, ყოველი სიტყვა და მეტად გესლიანად სასაცილოდ ამიგდო. ვეღარ მოვითმინე, რვეული ხელიდან გამოვგლიჯე და გამოვუცხადე, რომ ამიერიდან ჩემს ნაწერებს არ გიჩვენებ-მეთქი. "კარგი, ვნახოთ, - მითხრა შვაბრინმა, - ვნახოთ, შენს სიტყვას როგორ დაიცავ: მოლექსეებს მსმენელი სჭირდება ისე, როგორც ივან კუზმიჩს სადილობის წინ ერთი გრაფინი არაყი. ანდა ვინ არის ეს მაშა. შენ რომ ასეთი ნაზი გრძნობით ელოლიავები და სიყვარულს უცხადებ? მარია ივანოვნა ხომ არ არის?"
- ეგ შენი საქმე არ არის, - ვუპასუხე და მოვიღუშე. - ვინც უნდა იყოს ეს მაშა, შენ არ გეკითხება. არც შენი აზრი მჭირდება და არც შენი გამოცნობა?
- ოჰო! თავმოყვარე მოშაირე და თავმდაბალი შეყვარებული! - განაგრძო შვაბრინმა და თანდათან გამაღიზიანა. - მხოლოდ ისმინე ჩემი მეგობრული რჩევა: შენ თუ გინდა მაშასთან რასმე გახდე, ლექსებით როდი უნდა მოქმედებდე.
- რას ნიშნავს ეს, ბატონო? ინებე და ამიხსენი ახლავე.
- სიამოვნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გინდა მაშა მირონოვნამ შებინდებისას შენთან იაროს, ნაზი ლექსების მაგივრად, სჯობს საყურეები აჩუქო.
სისხლი ამემღვრა. თავს ძლივს ვიკავებდი.
- შენ რად ხარ იმაზე ასეთი აზრისა?
- იმიტომ, რომ გამოცდილებით ვიცი მისი ზნე და ჩვეულება, - და თან ამ სიტყვებს ჯოჯოხეთური ღიმილი დაატანა.ლ
- ცრუობ, შე საზიზღარო, შენა! - შევყვირე გაბრაზებულმა. - უნამუსოდ ცრუობ და არც კი გრცხვენია!
შვაბრინი სახეზე შეიცვალა, ხელი ხელზე მომიჭირა და მითხრა.
- ეს კი ასე არ ჩაგივლის. თქვენ ამისათვის სატისფაქციას მომცემთ.
- ინებე, როცა გნებავს! - სიხარულით შევძახე მე. იმ წუთას მზად ვიყავი შუაზე გამეგლიჯა. იმწამსვე ივან იგნატოვიჩთან გავწიე და შევუსწარი, რომ კაპიტანის მეუღლის დავალებით ძაფგაყრილი ნემსით სოკოებს აცვამდა ზამთრისათვის გასახმობად.
- ა, პიოტრ ანდრეიჩ! მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! რა ქარმა მოგიტანათ? რა საქმისათვის? - მეკითხებოდა ივან იგნატიჩი.
მოკლედ ავუხსენი. მე ალექსეი ივანიჩს წავეკიდე და ახლა იმისათვის ვარ მოსული, რომ სეკუნდანტად გამომყვე-მეთქი. ივან იგნატიჩმა თავისი ერთადერთი თვალი მომაშტერა და გულმოდგინედ მომისმინა.
- თქვენა ბრძანეთ, რომ გნებავთ ალექსეი ივანიჩი მოკლათ, განგმიროთ და მე ამას მოწმედ დავესწრო? ნება მიბოძეთ გკითხოთ?
- დიახ, სწორედ ასეა.
- აბა, რას ბრძანებთ, პიტორ ანდრეიჩ! ეს რა გიფიქრიათ! თქვენა და ალექსეი ივანიჩი

ერთიმეორეს წაეკიდეთ~ მერე რა~ დიდი ამბავი მომხდარა! საგინებელ სიტყვებს ქარი წაიღებს. მან შეურაცხგყოთ, თქვენ კიდევ გალანძღეთ, შეაგინეთ. იმან სახეში გაგარტყათ, თქვენ ყვრიმალში უთავაზეთ ორჯერ, სამჯერ და შემდეგ გაიყარენით. ჩვენ კი შეგარიგებთ. თორემ, ერთი მიბრძანეთ, აბა რა საკადრისია, რომ მოჰკლა მოყვასი შენი? კიდევ კარგი, თუ თქვენ მოჰკალით, ჯანდაბას მისი თავი; არცთუ ისე მომწონს ეგ კაცი. მაგრამ ერთიც ვნახოთ და დამარცხდეთ? ეს რას ემგვანება? ვინ იქნება მაშინ ბრიყვი და სულელი? ნება მიბოძეთ გკითხოთ?
გონიერი პორუჩიკის მოსაზღებებმა გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინეს.
- როგორ გნებავთ, - მითხრა მაშინ ივან იგნატიჩმა, - მოიქეცით ისე, როგორც თქვენი სურვილია, მაგრამ მოწმე რაღასი გჭირდებათ, რა შუაშია? ხალხი ერთიმეორეს ეჩხუბება, მერე რა, არ მინახავს თუ? მადლობა ღმერთს, შვეციელებთანაც მიომნია და თურქებთანაც, ყველაფერი მინახავს.
რამდენადაც შემეძლო, ავუხსენი სეკუდნტანტის მოვალეობა, მაგრამ ივან იგნატიჩმა ვერაფერით ვერ გამიგო.
- თქვენი ნებაა, - მითხრა მან. - მაგრამ თუ მე ამ საქმეში ჩავერიე, ჩემი ჩარევა ის იქნება, რომ წავალ და სამსახურის მოვალეობის გამო მოვახსენებ ივან კუზმიჩს, რომ ფორტეციაში ხაზინის ინტერესების საწინააღმდეგო ბოროტმოქმედება მზადდება და კეთილ ინებებთ თუ არა სათანადო ზომები მიიღოთ-მეთქი. . .
ამის შემეშინდა და ივან იგნატიჩს ვთხოვე, კომენდატისათვის არაფერი ეთქვა. ძლივს დავითანხმე, სიტყვა მომცა და მეც თავი მივანებე.
საღამო ჩვეულებისამებრ კომენდატთან გავატარე. ვცდილობდი მხიარული და უდარდელი მოვჩვენებოდი, რომ არავითარი ეჭვი არ აღმეძრა და მომაბეზრებელი შეკითხვებისათვი თავი ამერიდებინა, მაგრამ, გამოვტყდები, ისე გულგრილი მაინც ვე ვიყავი, როგორც ზოგიერთი ჩემ მდგომარეობაში მყოფი იკვეხის ხოლმე. ამ საღამოს მე უფრო ალერსი და მოფერება მწყუროდა. მარია ივანოვნაც ჩვეულებრივზე უფრო მომწონდა. გულში ვფიქრობდი, შეიძლება უკანასკნელადაც ვხედავ-მეთქი, და ეს ფიქრი მას ჩემ თვალში კიდევ უფრო მეტ სინაზეს აძლევდა. შვაბრინიც იქ მოვიდა. განზე გავიყვანე და გადავეცი ჩემი საუბარი ივან იგნატიჩთან.
- რა საჭიროა სეკუნდანტები? - უგულოდ მითხრა შვაბრინმა, - უიმისოდაც იოლად წავალთ. ერთიმეორე შევიპირეთ, რომ თივის ზვინების გადაღმა შევხდებოდით მეორე დღის დილით შვიდ საათზე. ჩვენ, როგორც ეტყობოდა, ისე მეგობრულად ვსაუბრობდით, რომ ივან იგნატიჩმა სიხარულით წამოაყრანტალა.:
- ესე არა სჯობს! უხეირო მშვიდობა სჯობს ხეირიან ჩხუბსა, თუ პატივს არა, ჯან-ღონეს მაინც შეინარჩუნებ.
- რაო, რაო, ივან იგნატიჩ?- ყური ცქვიტა კომენდატის მეუღლემ, რომელიც კუთხეში იჯდა და ქაღალდით მარჩიელობდა: - ვერ გავიგონე.
ივან იგნატიჩმა შეამჩნია, რომ მე უკმაყოფილო ვიყავი, გაახსენდა თავისი დაპირება და შერცხვა, არ იცოდა, რა ეპასუხნა. შავბრინმა გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან. იმან თქვა:
- ივან იგნატიჩს მოსწონს, რომ შევრიგდით.
- ვისთან იყავით წაჩხუბებული?

- მე და პიოტრ ანდრეიჩი კარგა შევლაპარაკდით ამას წინათ.
- რადაო, ვითომ?
- სულ უბრალო რამეზე, ვასილა ეგოროვნა, ერთ პაწია ლექსზე.
- თქვენც მოგინახავთ საჩხუბარი! ლექსზე! . . . ეს როგორ მოგივიდათ?
- ის, პიოტრ ანდრეიჩმა ამას წინათ ერთი სასიმღერო ლექსი გამოთქვა და მიმღერა, მე კი ჩემი საყვარელი სიმღერა შემოვძახე:
შენ კაპიტნის ქალო,
ღამე ნუ დახვალო.
ამაზე ავიშალენით, პიოტრ ანდრეიჩი გაბრაზდა, მაგრამ შემდეგში დარწმუნდა, რომ ყველას შეუძლია ის იმღეროს, რაც მოესურვება. ამითი დასრულდა ყოველივე.
შვაბრინის უნამუსობამ კინაღამ ამაფეთქა, მაგრამ მისი ტლანქი ნართაული სიტყვები ჩემს მეტს არავის გაუგია, ყოველ შემთხვევაში, ყურადღება არავის მიუქცევია. სიმღერიდან საუბარი ლექსის მწერლებზე გადავიდა და კომენდატმა შენიშნა, საერთოდ მოლექსეები დაღუპული ხალხია, თავაღებული ლოთებიო და მეგობრულად მირჩევდა ხელი ამეღო ლექსების წერაზე: არც შენს სამსახურს შეეფერება, კარგსაც არაფერს გიქადისო.
შვაბრინის აქ ყოფნა ვერ ამეტანა, მეხამუშებოდა. ჩქარა გამოვეთხოვე კომენტადტსა და მის ოჯახს. მივედი სახლში, ხმალი დავათვალიერე, წვერი გავუსინჯე და დასაძინებლად დავწექი. თან ვუბრძანე საველიჩს, შვიდი საათი რომ დაიწყებოდა, გავეღვიძებინე.
მეორე დღეს დანისნულ დროზე უკვე ვიდექი თივის ზვინებს იქით და მოწინააღმდეგეს ველოდებოდი. მალე ისიც მოვიდა.
- შეიძლება მოგვისწრონ, ავჩქარდეთ, - მითხრა მან.
გავიხადეთ მუნდირები. მარტო კამზოლებში დავრჩით და ხმლები ვიშიშვლეთ. სწორედ ამ დროს ზვინის უკანიდან ივან იგნატიჩი და ერთი ხუთიოდე ინვალიდი გამოჩნდა. მან მოგვთხოვა, კომენდატთნ წავყოლოდით. გულდაწვეყტილები დავემორჩილეთ; ჯარისკაცები შემოგვერტყნენ და ჩვენც ივან იგნატიჩს გავყევით. ივან იგნატიჩი გამარჯვებულივით წინ მიგვიძღოდა. შევედით კომენდანტის სახლში. ივან იგნატიჩმა კარი შეაღო თუ არა, მაშინვე დიდი ამბით გამოაცხადა:
- მოვიყვანე!
ჩვენ მოგვეგება ვასილა ეგოროვნა.
- აბა, ეს რასა ჰგავს, როგორ გეკადრებათ! როგორ? რაო? ჩვენ ციხე-სიმაგრეში კაცის მკვლელობა უნდა მოხდეს? ივან კუზმიჩ, ახლავე დაატუსაღე ორთავენი. პიოტრ ანდრეიჩ! ალექსეი ივანიჩ! მოიტათ აქ თქვენი ხმლები, მოიტათ, მოიტათ. პლაშკა, ეს ხმლები საკუჭნაოში წაიღე. პიოტრ ანდრეიჩ! ამას შენგან სწორედ რომ არ მოველოდი. როგორ არ გრცხვენია? ალექსეი ივანიჩის ქცევა კიდევ გასაგებია. სული წაიწყმიდა და ამისთვის გვარდიიდან გამორიცხეს, მაგას ღმერთიც კი არა სწამს; შენ კი რა, გინდა მაგას გაუთოლდე? ივან კუზმიჩი თავის მეუღლეს სრულიად ეთანხმებოდა და კვერს უკრავდა:
- ხომ გესმით, ვასილისა ეგოროვნა მართალს ლაპარაკობს. დუელი სამხედრო არტიკულის ძალით ფორმალურად აკრძაულია.
ამასობაში პალაშკამ ხმლები ჩამოგვართვა და საკუჭნაოში წაიღო. მე სიცილი ვერ შევიკავე. შვაბრინს კი სახე არ გახსნია და დიასახლისს გულგრილად მიმართა:
- დიდად პატივსა გცემთ, მაგრამ არ შემიძლია არ შეგნიშნოთ, რომ ტყუილუბრალოდ

იწუხებთ თავს. ჩვენი განსჯა თქვენ არ გეკითხებათ. ივან კუზმიჩს დაანებეთ, ეგ იმის საქმეა.
- აბა, რას ამბობთ, რასა - უპასუხა კომენდატის მეუღლემ, - განა ქმარი და ცოლი ერთსულ და ერთხორც არ არიან? ივან კუზმიჩ! აბა, გულს ხელი რას დაგიკრეფია? ორივე ახლავე საკანში დაამწყვდიე ხმელ პურსა და წყალზე, ცალ-ცალკე, რომ თავიდან ეგ სისულელე გამოიბერტყონ; მამა გერასიმიეაც ეპიტიმია დაადოს, რომ ღმერთს მოტევება გამოსთხოვა და ადამიანთა წინაშე თავიანთი ცოდვები მოინანიონ.
ივაკნ კუზმიჩმა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. მარია ივანოვნას ადამიანის ფერი არ ედავა. ნელ-ნელა ქარიშხალი ჩადგა; კომენდატის მეუღლე დამშვიდდა და ერთმანეთი გადაგვაკოცნინა. პალაშკამ ხმლები მოგვიტანა. კომენდატის სახლიდან თითქოს შერიგებულები გამოვედით. ივან იგნატიჩი გამოგვყვა. გაგულისებულმა მივმართე:
- როგორ არა გრცხვენიათ, რომ ჯაშუშობა გაგვიწიეთ და ისიც მას შემდეგ, რაც მე სიტყვა ჩამოგართვით, რომ კომენდატისათვის არაფერი გაგემხილათ.
- ღმერთია მოწამე, ივან კუზმიჩისათვის არაფერი მითქვამს, - თავს იმართლებდა მოხუცი, - ვაისილისა ეგოროვნამ გამომტყუა და კომენდატისათვის არც შეუტყობინებია, თვითონ მიიღო ზომები. თუმცა მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე გათავდა. - ესა თქვა და შინისაკენ შეუხვია. მე და შვაბრინი კი მარტო დავრჩით. - ჩვენი საქმე ასე ვერ გათავდება- მეთქი, ვუთხარი შვაბრინს.
- რასაკვირველია, - მიპასუხა, - თქვენ თქვენი სისხლით უნდა გამცეთ პასუხი თქვენი თავხედობისათვის; მხოლოდ ჩვენ უთუოდ თვალყურს დევნებას დაგვიწყებენ და საჭიროა, რამდენიმე დღით თავი შევიკავოთ. ნახვამდის! - და ჩვენ ორთავენი ერთიმეორეს ისე გავშორდით, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყოს.
მე კომენდანტისასა დავბრუნდი და ჩვეულებისამებრ მარია ივანოვნას მივუჯექი გვერდით. ივან კუზმიჩი სახლში არ იყო. ვასილიას ეგოროვნა მეოჯახეობდა. ჩვენ ხმადაბლა ვსაუბრობდით. მარია ივანოვნა ნაზად მისაყვედურებდა, რომ მე და შვაბრინის წაჩხუბებამ ყველას ასეთი მწუხარება მიაყენა.
- მე კინაღამ სულთქმა შემეკრა, როდესაც გავიგე, რომ თქვენ შვაბრინს ხმალში უნდა გაჰყოლოდით. რა უცნაურები ხართ ეს მამაკაცები, ერთი უბრალო სიტყვისათვის, რომელსაც უთუოდ ერთი კვირის შემდეგ დაივიწყებთ კიდეც, მზადა ხართ არამც თუ თქვენი სიცოცხლე გასწიროთ, არამედ იმათი კეთილდღეობა და ნამუსიც, ვინც. . . მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, წაჩხუბების მიზეზი თქვენ არ იქნებოდით. ცხადია, ალექსეი ივანიჩი იქნებოდა დამნაშავე.
- ეგრე რადა ფიქრობთ, მარია ივანოვნა?
- იმიტომ, რომ. . . ის ისეთი მქირდავია, სხვისი გაკილვა უყვარს! მე არ მიყვარს ალექსეი ივანიჩი: მეზიზღება კიდეც და უცნაურია. . . არაფრის გულისათვის არ მინდა, რომ იმასაც არ მოვწონდე. ეს მე ძალიან შემაშფოთებდა.
- თქვენ კი, როგორა ფიქრობთ, მარია ივანოვნა, მოსწონხართ?
მარია ივანოვნას თქმა გაუჭირდა და გაწითლდა. . .
- მე მგონია, - წარმოთქვა, - მე მგონაი, მოვწონვარ.
- რად გგონიათ?
- იმიტომ, რომ ჩემი შერთვა უნდოდა.
- შეერთვა უნდოდა? თქვენი შერთვა? როდის?
- შარშან. ორი თვით ადრე თქვენს ჩამოსვლამდე.

- მერმე, არ გაჰყევით?
- როგორც ხედავთ. ალექსეი ივანიჩი, რასაკვირველია, ჭკვიანი კაცია, კარგი გვარიშვილიც არის და შეძლების პატრონიცაა, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ, რომ ჯვარისწერის დროს საჯაროდ უნდა გადავკოცნო . . . არ შემიძლია! ამას ვერ ვიზამ! არაფერის გულსიათვის!
მარია ივანოვნას სიტყვებმა თვალი ამხილა და ბევრი რამ გამაგებინა. მივხვდი, ასე გაჯიუტებით რად ლანძღავდა და ავად იხსენიებდა შავბრინი მარია ივანოვნას. უთუოდ ჩვენს ერთიმეორისადმი მისწრაფებას კარგად ამჩნევდა და უნდოდა დავშორებულიყავით. ის სიტყვები, რომლებმაც ჩვენი წაჩხუბება გამოიწვია, ახლა კიდევ უფრო უხიაგად მომეჩვენა, რადგან დავრწმუნდი, რომ ეს მარტო ტლანქი და უხამსი გაკილვა კი არ იყო, არამედ წინასწარ მოფიქრებული ცილისწამება. თავხედი და ბოროტი ენის პატრონის დასჯა კიდევ უფრო მომინდა და მოუთმენლად ველოდებოდი მოხერხებულ შემთხვევას.
ლოდინი დიდხანს არ დამჭირდა. მეორე დღეს, როდესაც მე ელეგიას ვუჯექი და რითმის მოლოდინში კალმისტარს ვღრღნიდი, შვაბრინმა ფანჯარაზე დამიკაკუნა. მაშინვე ხელი ვუშვი კალამს, ხმალი ავიღე და მასთან გავედი.
- რას ველოდბით, - მითხრა შვაბრინმა, - ჩვენ არ გვითვალთვალებენ, ჩავიდეთ მდინარესთან, იქ არავინ შეგვიშვლის ხელს.
ჩვენ მდუმარენი გავემართეთ. დაქანებულ ბილიკზე ჩავედით, დავდექით მდინარის ნაპირას და ხმლები ვიშიშვლეთ. შვაბრინი ჩემზე უფრო დახელოვნებული იყო, მაგრამ მე იმაზე ღონიერი და გაბედული ვიყავი, Monsieur ბოპრე ოდესღაც ჯარისკაცად იყო ნამყოფი და ფარიკაობის რამდენიმე გაკვეთილი ჰქონდა ჩემთვის მოცემული. მეც ეს გამოვიყენე. შვაბრინი არ მოელოდა, რომ მე მისთვის ასეთი საშიში მოწინააღმდეგე ვიქნებოდი. დიდხანს ვერაფერი დავაკელით ერთიმეორეს. ბოლოს შევამჩნიე, რომ შავბრინი სუსტდებოდა და მეც ისე ფიცხლად შევუტიე, რომ თითქმის ზედ მდინარეზე მივაგდე. უეცრად მომესმა, ხმამაღლა ჩემს სახელს იძახდნენ. მოვიხედე და დავინახე, საველიჩი ბილიკზე ჩამორბოდა და ხმამაღლა მეძახდა. . . სწორედ ამ დროს მარჯვენა მხრის ქვემოთ მკერდში რაღაცამ ძლიერ მიჩხვლიტა; წავიქეცი და გრძნობა დავკარგე.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ჰაი, გოგონავ, წითელლოყებავ,
ქმარს ნუ გაჰყვები აჩქარებითა.
გოგოვ, იკითხე საქმროს დედ-მამა,
დედა და მამა, გვარი, ოჯახი;
შემოიკრიბე, გოგოვ, გონება
ჭკუა-გონება, კარგი მზითევი.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

უკეთესს ნახავ - დაგავიწყდები,

უარესს შეხვდე - გაგახსენდები
ი გ ი ვ ე

როდესაც გამოვფხიზლდი, დიდხანს გონს ვერ მოვედი და არ ვიცოდი, რ მომსვლოდა. უცხო ოთახში ვიწექი ლოგინზე და დიდ სისუსტეს ვგრძნობდი. ჩემ წინ სანთლით ხელში საველიჩი იდგა. ვიღაც ფრთხილად მიხსნიდა არტაშნებს, რომლითაც მკერდი და მხრები მქონდა შეკრული. ნელ-ნელა აზრი მეწმინდებოდა. გავიხსენე, რომ დუელი მქონდა და მივხდი, რომ დაჭრილი ვიყავი. ამ დროს კარებმა გაიჭრიალა. - "რაო? როგორ არის?" - ვიღაცამ ჩურჩულით წარმოთქვა და ამის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა.
- იმავე მდგომარეობაში, - უპასუხა საველიჩმა და თან ამოიოხრა, - აგერ მეხუთE დღეა და გრძნობაზე ვერ მოსულა.
მინდოდა თავი მომებრუნებინა, მაგრამ ვერ შევძელი.
- სად ვარ? აქ ვინ არის? - ძლივს წამოვიკნავლე. მარია ივანოვნა მოადგა ჩემს ლოგინს, ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:
- რა თქვით? თავს როგორა გრძნობთ?
- მადლობა ღმერთს, - ძლივგასაგონად ვუპასუხე. . . - ეს თქვანა ხართ, მარია ივანოვნა? მითხარით. . . - მაგრამ მეტი ვეღარ შევძელ და დავჩუმდი. საველიჩმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. სახეზე სიხარული დაეტყო:
- გონს მოვიდა, გონს! - იმეორებდა იგი. - მადლობა ღმერთს! უჰ, ბატონიშვილო, პიოტრ ანდრეიჩ! რარიგ შემაშინე! ხუმრობა საქმე ხომ არ არის? მეხუთე დღეა! . . .
მარია ივანოვნამ შეაწყვეტინა:
- საველიჩ, ბევრს ნუ ელაპარაკებით. ჯერ კიდევ სუსტად არის, - უთხრა მან, გავიდა ოთახიდან და კარი ნელა მიიხურა. ამაღელვებელი ფიქრები მიტრიალებდა. ესე იგი კომენდატის სახლში ვიყავი. მარია ივანოვნა ჩემთან შემოდიოდა. მინდოდა ზოგი რამ გამომეკითხა საველიჩისათვის, მაგრამ მოხუცმა თავი გააქნია და ყურებში თითები დაიცო. ნაწყენმა თვალები დავხუჭე და მალე ღრმა ძილში წავედი.
გამეღვიძა თუ არა, მაშინვე საველიჩს დავუძახე, მაგრამ მის მაგიერ ჩემს წინ მარია ივანოვნა დავინახე; ანგელოზისებური ხმით მომეგება იგი. გამოუთქმელია ის ტკბილი გრძნობა, რომელმაც მე იმ წუთას მომიცვა. ხელი გამოვტაცე და ზედ ვეამბორე. თან სიხარულის ცრემლები დავაფრქვიე. მაშას ხელი არ მოუშორებია. . . უეცრად ჩემს ლოყაზე ვიგრძენი მისი ტუჩები და მხურვალე, უბიწო კოცნა, ცეცხლმა დამიარა ტანში. "კეთილო, სასურველო, მარია ივანოვნა, იყავით ჩემი ცოლი, - ვუთხარი მე მას, - გამაბედნიერეთ, დამეთანხმეთ". იგი გონს მოვიდა, ხელი გამომტაცა და მითხრა:
- თუ ღმერთი გწამთ, დამშვიდდით. ჯერ კიდევ საშიშია თქვენი მდგომარეობა. ჭრილობა შეიძლება გაგეხსნათ. გაუფრთხილდით თავს, ჩემი გულისათვის მაინც. - ამ სიტყვებთან ერთად იგი გამშორდა. მე კი დამტოვა აღტაცების ბურანში. ბედნიერებამ მომარჩინა. ის ჩემი იქნება! იმას ვუყვარვარ! ეს ფიქრი მთელს ჩემს არსებას ავსებდა და ანეტარებდა.
მას შემდეგ ძალიან მალე გამოვკეთდი, საათობით ვიკურნებოდი, მმკურნალობდა პოლკის დალაქი, რადგანაც მთელს ციხე-სიმაგრეში სხვა ექიმი არ იყო და. . . მადლი ღმერთს, ჭკუას ძალას არ ატანდა. ახალგაზრდობამ და ბუნებამ დააჩქარა ჩემი მორჩენა. კომენდატის მთელი ოჯახი მივლიდა. მარია ივანოვნა არა მშორდებოდა. ცხადია, როგორც კი მოხერხებული დრო

ვიხელთე, მე მას გავუმეორე ჩემი წინადადება და მარია ივანოვნამაც იმჟამად უფრო მოთმინებით მომისმინა. თითონაც, სრულიად არ გაპრანჭულა, გამომიტყდა, რომ ვუყვარდი და რომ მის მშობლებსაც ეს ამბავი, რასაკვირველია, გაახარებდა. "მაგრამ, - დაუმატა მან, - კარგად დაფიქრდი, შენი მშობლების მხრივ დაბრკოლებას ხომ არ წავაწყდებით?" მე ჩავფიქრდი. დედის ნაზი გულისა არ მეფიქრებოდა, მხოლოდ მამაჩემი. . . მისი ხასიათი და შეხედულებანი რომ გამახსენდებოდა, ვგრძნობდი, ჩემი სიყვარული მას მაიცნდამაინც ვერ მოალბობდა; იგი ამ ამბავს ისე შეხედავდა, როგორადაც ყმაწვილი კაცის ერთგვარ აფეთქებას. ყოველივე ეს გულწრფელად გავუმჟღავნე მარია ივანოვნას, მაგრამ მამასთან ბარათის მიწერა მაინც გადავწყვიტე: მინდოდა, რაც შეიძლება მეტი მჭევრმეტყველებით გამომეთხოვა მშობლების ლოცვაკურთხევა. ბარათი მარია ივანოვნას წავაკითხე, რომელმაც ის იმდენად გრძნობიერად და დამაჯერებლად მიიჩნია, რომ ეჭვი არ ჰქონდა მის გამარჯვებაში. თვითონ კი მთელი თავისი ახალგაზრდული ნდობით და სიყვარულით თავი მისცა გულის ნაზ გრძნობებს.

შვაბრინს გამოკეთებისთანავე შევურიგდი, უფრო იმიტომ, რომ ივან კუზმიჩმა, მოვრჩი თუ არა, ასეთი საყვედურით მომმართა:

- ეჰ, პიოტრ ანდრეიჩ, ისედაც საკმაოდ დასჯილი ხარ, თორემ მე აქამდე უნდა დამეპატიმრებინე, ახლა რა გიყო! ალექსეი ივანიჩი კი პურის ბეღელში მყავს დამწყვდეული და მცველი მიყენია მისი ხმალი ვასილისა ეგოროვნას აქვს ჩაკეტილი. დეე, შვაბრინი ცოტა გონებაზე მოეგოს და ცოდვები მოინანიოს.

მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ მტრულ გრძობას გულში ვერ დავისადგურებდი. ვთხოვე ეპატიებინათ შვაბრინისავის და გულკეთილმა კომენდატმა, თავისი მეუღლის თანხმობით, იგი გაათავისუფლა. ისიც მაშინვე ჩემთან მოვიდა. ჩვენს შორის მომხდარი ამბის გამო დიდად შეწუხებული იყო; გამოტყდა, რომ ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე და მთხოვა ყოველივე დამევიწყნა. ბუნებით გულჩახვეული კაცი არ ვიყვავი და გულწრფელად მივუტევე ჩვენი წაჩხუბებაც და ის ჭრილობაც, რომელიც მან მომაყენა. მისი ცილისწამება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის და უარყოფილი სიყვარულის ნაყოფად მივიჩნიე და დიდსულოვნად შევუნდე ჩემს ბედშავ მეტოქეს.

მალე სრულია მოვრჩი კიდეც და ჩემს ბინაზე გადავბარგდი. მოუთმენლად მოველოდი ჩემი ბოლო ბარათის პასუხს, ვერ ვბედავდი იმედიანად ვყოფილიყავი და ვცდილობდი უსიამოვნო წინათგრძნობანი როგორმე ჩამეხშო. ვასილისა ეგოროვნასა და მის ქმარს ჯერ არ მოვლაპარაკებოდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ჩემი წინადადება იმათ არ გააკვირვებდა. არც მე, არც მარია ივანოვნა არა ვცდილობდით, ჩვენი გრძნობები მათთვის დაგვემალა და წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავით, რომ მათგან თანხმობას მივიღებდით.

ბოლოს, ერთ დილას საველიჩი ჩემთან შემოვიდა, ხელში ბარათი ეჭირა. ათრთოლებულმა ჩამოვართვი. მისამართი მამაჩემის ხელით იყო დაწერილი. ამან თითქო რაღაც დიდი ამბისათვის გამამზადა, რადგანაც საერთოდ წერილებს დედაჩემი მწერდა და მამა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს თუ მიაწერდა ხოლმე ბოლოში. დიდხანს არ გამიხსნია დაბეჭდილი ბარათი და რამდენჯერმე გადავიკითხე ასე დიდის ამბით დაწერილი მისამართი: "ჩემს შვილს პიოტრ ანდრეიჩ გრინოვს, ორენბურგის გუბერნიის ბელოგორის ციხე-სიმაგრეში". მინდოდა თვით ამ ნაწერში გამომეცნო, თუ როგორ გუენბაზე იყო დაწერილი ბარათი; ბოლოს, როგორც იქნა, გავხსენი და პირველსავე სტრიქონებიდან ვიგრძენი, რომ საქმე წაგებულია. ბარათის

შინაარსი ასეთი იყო:
"შვილო ჩემო პიოტრ! შენი ბარათი, რომლითაც გვთხოვ, შენმა მშობლებმა ლოცვა-კურთხევა მოგცეთ და დაგეთანხმოთ, რომ შენ შეეუღლო მირონოვის ასულს, მარია ივანოვნას, ჩვენ მივიღეთ ამა თვის 15-ს და არამც თუ ჩემი კურთხევისა და ჩემი თანხმობის მოცემას არ ვაპირებ, არამედ მინდა მანდ მოგწვდე და შენი ცუღლუტობისათვის კარგა ჭკუა გასწავლო, როგორც თავაშვებულ ბავშვს, მიუხედავად იმისა, რომ შენ ახლა ოფიცრის ხარისხი უკვე მიღებული გაქვს. შენ დაამტკიცე, რომ ჯერ კიდევ ღირსი არა ხარ ატარო ხმალი, რომელიც ბოძებული გაქვს სამშობლოს დასაცავად და არა დუელში სახმარებლად იმისთანავე ქარაფშუტა ადამიანებთან, როგორიც შენა ხარ. დაუყოვნებლივ მივწერ ანდრეი კარლოვიჩს და ვთხოვ ბელოგორი ციხე-სიმაგრიდან გადაგიყვანოს სადმე შორს, რომ ეგ შენი სიჩერჩეტე თავიდან სრულიად გამოიბერტყო. დედაშენი, როდესაც კი შენი დუელის ამბავი შეიტყო და გაიგო, რომ დაჭრილი ხარ, მწუხარებისაგან ლოგინად ჩავარდა და ახლაც მწოლიარეა. რა გამოვა შენგან? ღმერთსა ვთხოვ გამოსწორდე, თუმცა იმედი არა მაქვს ასეთი დიდი მოწყალებისა.
მამაშენი ა. გ."
ამ ბარათის წაკითხვამ სხვადასხვაგვარი გრძნობა აღმიძრა. მამაჩემის მკაცრმა კილომ სულის სიღრმემდე შეურაცხმყო. მარია ივანოვნას ასეთი უგულებელყოფა მის წერილში შეუფერებლადაც მომეჩვენა და უსამართლოდაც. ბელოგორის ციხიდან ჩემი გადაწყვანის აზრმა გული მომიკლა, მაგრამ ყველაზე უფრო მემწვავა დედაჩემის ავადმყოფობა. საველიჩზე ავღრინდი, რადგან ეჭვი არ იყო, რომ ჩემი დუელის ამბავი მშობლებმა მისგან შეიტყვეს. აღელვებულმა ჩემს ვიწრო ოთახში სიარული დავიწყე, შემდეგ მის წინ შევჩერდი, მრისხანედ შევხედე და ვუთხარი:
- გეტყობა, შენთვის საკმარისი არ არის, რომ მე შენის მეოხებით დამჭრეს და მთელ ერთ თვეს სამარეში მედგა ფეხი. შენ გინდა დედაჩემიც მოინელო?
საველიჩმა, თითქოს თავზარი დაეცაო, თითქმის ქვითინით მომმართა:
- აბა რას მიბრძანებთ, ბატონო? მე ვარ მიზეზი თქვენის დაჭრისა? ღმერთმა ხომ იცის, იმისთვის მოვრბოდი, რომ თქვენ წაგფარებოდით და ალექსეი ივანიჩის ხმლისათვის ჩემი მკერდი მიმეშვირა. ამ წყეულმა სიბერემ ხელი შემიშალა. დედათქვენის საზიანო კი, აბა რა ჩავიდინე ისეთი?
- რაო? - ვუპასუხე მე. - ვინა გთხოვა, რომ შობლებთან დაგიბეზღებივარ? შენ რა, ჩემ ჯაშუშად კი არ დაუყენებიხართ აქა!
- მე? დაბეზღება? - აქ უკვე ცრემლები გადმოღვარა საველიჩმა, - ჰოი, ზეციერო უფალო! აი, წაიკითხე რასა მწერს დიდი ბატონი: აქედან გაიგებ, როგორადაც დამიბეზღებიხარ, ჯიბიდან ბარათი ამოიღო და მე წავიკითხე შემდეგი:
"გრცხვენოდეს, შე ბებერო ქოფაკო, რომ მიუხედავად ჩემი დარიგებისა, ჩემი შვილის, პიოტრ ანდრეიჩის შესახებ არაფერი მომახსენე და სხვები იძულებულნი არიან, რომ მისი ცუღლუტობის ამბავი გამაგებინონ. განა ასე ასრულებ შენ შენს მოვალეობას და ბატონის დავალებას? მე შენ, ბებერ ქოფაკს, ღორების მწყემსად გაგგზავნი, რაკი სიმართლე დამიმალე და ყმაწვილ კაცს მხარი დაუჭირე. ამის მიღებისთანავე, გიბრძანებ დაუყოვნებლივ აღმიწერო, თუ როგორ მდგომარეობაშია მისი სიმრთელე, რომელზედაც მწერენ, რომ უკეთ არისო; სად, რა ალაგას არის დაჭრილი და კარგა უექიმეს თუ არა"?

ცხადი გახდა, საველიჩი ჩემს წინაშე მართალი იყო და მე ტყუილ-უბრალოდ შეურაცხვყავი ჩემი ეჭვითა და საყვედურებით. მოტევება გამოვთხოვე, მაგრამ მოხუცი უნუგეშოდ იყო:
- აი, რას მოვესწარ, - იმეორებდა იგი, - აი როგორი მოწყალება მივიღე ჩემი ბატონებისაგან! ბებერი ქოფაკიცა ვარ, ღორის მწყემსიც და თქვენი ჭრილობის მიზეზიც მე ვარ! არა, ჩემო ბატონიშვილო, არა, პიოტრ ანდრეიჩ! მე კი არა, ყველაფერში ის წყეული მუსიო არის დამნაშავე; ეგ იმან გასწავლა რკინის შემფურების ტრიალი და ფეხების ბაკი-ბუკი, თითქოს სუსურით და ბაკი-ბუკით ბოროტი კაცისაგან თავს გადაირჩენდნენ! განა საჭირო იყო მუსიოს დაქირავება და ზედმეტი ფულის ხარჯვა!
მაშ ვინ იკისრა და ვინ შეატყობინა მამაჩემს ჩემი ამბავი? გენერალმა? რომ არ ეტყობა, რომ ის ჩემზე მაინცდამაინც ძალიან ზრუნავდეს? ივან კუზმიჩსაც ჩემი დუელის შესახებ მისთვის პატაკი არ გაუგზავნია. მაშ ვინ? ვერ გამომეცნო. მაგრამ ჩემი ეჭვი მაინც შვაბრინზე შეჩერდა. ერთადერთი მისთვის იყო სასარგებლო, რომ მე დავებეზღებინე: ეს გამოიწვევდა ჩემს აქედან გადაყვანას და კომენდანტის ოჯახის ჩამოშორებას. წავედი, რომ ეს ყოველივე მარია ივანოვნასთვის გამეცხადებინა. მარია ივანოვნა კიბეზე შემხვდა. დამინახა თუ არა, მომაძახა:
- რა დაგმართნიათ, რად ხართ ეგეთი ფერმკრთალი?
- ყველაფერი გათავდა, - ვუპასუხე და მამის ბარათი გადავეცი. ახლა ის გაფითრდა. წაიკითხა, ათრთოლებული ხელით ბარათი დამიბრუნა და ათრთოლებულივე ხმით მითხრა:
- ეტყობა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა. . . თქვენს მშობლებს არა სურთ, რომ მათი ოჯახის წევრი გავხდე. . . აღსრულდეს ნება ღვთისა! უფალმა უკეთ უწყის, როგორ სჯობია. რა გაეწყობა, პიოტრ ანდრეიჩ, თქვენ მაინც იყავით ბედნიერი. . .
- არა, ეს არ მოხდება! - შევყვირე და ხელი ხელში ჩავავლე. - შენ მე გიყვარვარ, მე ყველაფრისთვის მზადა ვარ. წავიდეთ, მუხლებში ჩავუვარდთ შენს მშობლებს; უბრალო ხალხია და არა გულქვა ამპარტავნები. . . ისინი დაგვლოცავენ, ჩვენ ჯვარს დავიწერთ. . . შემდეგ კი დრო მოიტანს და დარწმუნებული ვარ მამაჩემს გულს მოვულბობთ, დედა ჩვენ მოგვემხრობა და მამაც მოგვიტევებს. . .
- არა, პიოტრ ანდრეიჩ, არა, - მიპასუხა მაშამ, - შენი მშობლების დაულოცველად მე არ გამოგყვები. თუ იმათ არ დაგვლოცეს, ისე ბედნიერი არ იქნები. დავყვეთ ღვთის ნებას. თუკი ვინმეს სხვას შეხვდები და შეიყვარებ, ღმერთი იყოს შენი შემწე; მე კი ორთავესთვის ვილოცებ. . . - აქ იგი ატირდა და გამშორდა; მინდოდა დავდევნებოდი და ოთახში შევყოლოდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ თავს ვერ შევიკავებდი და შინ დავბრუნდი.
ვიჯექი და ღრმა ფიქრებში ვიყავი წასული, რომ უეცრად საველიჩმა დამირღვია ფიქრები.
- აი, ბატონო ჩემო, - განმიცხადა და დაწერილი ქაღალდის ფურცელი მომაწოდა, - აგერ დახედე, მაბეზღარა ვარ ჩემი ბატონისა და მამა-შვილს შუა შუღლი მინდა ჩამოვაგდო თუ არა.
- ქაღალდი ჩამოვართვი; ეს იყო საველიჩის პასუხი მიღებულ ბარათზე. აი ისიც სიტყვა-სიტყვით:
"ხელმწიფეო ჩემო, ანდრეი პეტროვიჩ, მოწყალეო ბატონო ჩემო! მოწყალე წერილი შენი მივიღე, საცა ჩემზე, შენს მონაზე, მოიღე რისხვასა და მარცხვენ, თუ რატომ არ აღვასრულე ბრძანებანი ბატონისა ჩემისა. მე ბებერი ქოფაკი კი არა ვარ, არამედ ვარ ერთგული თქვენი მსახური, ბატონების ბრძანების ვარ მუდამ გამგონე. გულმოდგინეობით გემსახურებოდით მარადის და აგერ ჭაღარა თმებამდისაც მივაღწიე. პიოტრ ანდრეიჩის დაჭრაზე იმიტომ არ მომიწერია რა, რომ ტყუილუბრალოდ არ შემეშფოთებინეთ, ისედაც გვემცნო, რომ ქალბატონი

ჩვენი და დედა ჩვენი ავდოტია ვასილევნა შიშისაგან ლოგინად ჩაწოლილა, და მე ღმერთსა ვთხოვ მის სიმრთელეს და დღეგრძელობას. პიოტრ ანდრეიჩი დაჭრილი იყო მარჯვენა მხრის ქვეშ, მკერდში, ზედ ძვლის ქვეშ ერთ გოჯნახევარ სიღრმეზე და იწვა კომენდანტის სახლში, საცა იგი ამოვიყვანეთ წყლის პირიდან. ექიმობდა ადგილობრივი დალაქი სტეპან პარამონოვი; ახლა კი პიოტრ ანდრეიჩი, მადლობა ღმერთს, ჯანსაღად არის და მის შესახებ კარგის მეტს ვერაფერს ვერ დავწერ. კომანდირება, ეტყობა, მისი კმაყოფილები არიან და ვასილისა ეგოროვნას ხომ ისე ჰყავს მიღებული, როგორც ღვიძლი შვილი. ხოლო თუ ასეთი ფათერაკი შეემთხვა, ამისთვის ყმაწვილს არ ესაყვედურება; ცხენს ხომ ოთხი ფეხი აბია, მაგრამ ისიც წაიფორხილებს ხოლმე. თქვენ გინებებიათ მოგეწერათ რომ მე ღორის მწყემსად გამგზავნით. ესეც თქვენი ბატონური ნება იყვეს. შემდეგ ამისა გეთაყვანებით მონურად.
ერთგული ფერხთა მტვერი თქვენი
ა რ ხ ი პ ს ა ვ ე ლ ი ე ვ ი".

ამ კეთილი მოხუის უსტარის წაკითხვისას თავი ვერ შევიკავე და რამდენჯერმე გამეღიმა. მე მამასთან ბარათის მიწერა არ შემეძლო; დედის დასამშვიდებლად კი საველიჩის მინაწერი საკმაოდ მივიჩნიე.
მას შემდეგ ჩემი მდგომარეობა შეიცვალა. მარია ივანოვნა თითქმის აღარ მელაპარაკებოდა და ყოველგვარად ცდილობდა თავი მოერიდებინა. კომენდატის სახლში ყოფნა აღარ მეხალისებოდა. ნელ-ნელა შევეჩვიე შინ მარტოხელა ჯდომას. პირველ ხანებში ვასილისა ეგოროვნა მისაყვედურებდა, მაგრამ ჩემი გაჯიუტება რომ დაინახა თავი მიმანება. ივან კუზმიჩმს კი მხოლოდ მაშინ ვხედავდი, როდესაც ამას სამსახური მოითხოვდა, ხოლო შვაბრინს ძვირად თუ შევეყრებოდი და ისიც უხალისოდ, რადგან ვამჩნევდი, რომ ჩემდამი ფარული მტრობით იყო გამსჭვალული და ეს კიდევ უფრო მიღვივებდა ეჭვებს. ცხოვრება გამიუფერულდა. შავმა ფიქრებმა მომიცვა. იმათ ასაზრდოებდა მარტოობა და უმოქმედობა. ამ მარტოობაში სიყვარული კიდევ უფრო მიღვივდებოდა და თანდათანობით უფრო და უფრო მიმძიმდა. დაკვარგე სიტყვიერებისა და კითხვის ხალისიც. სულიერად დავიჩაგრე, მოვდუნდი, მეშინოდა ჭკუაზე არ შევშლილიყავი, ან გარყვნილებას არ მივცემოდი. მაგრამ უეცრად მოულოდნელმა მოვლენებმა, რომელთაც მთელს ჩემს ცხოვრებაზე დიდი გალვნეა იქონიეს, ჩემი ასეთი სულიერ განწყობილება მძლავრად და სასიკეთოდ შეარყიეს.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

პუგაჩოვშჩინა

თქვენ, ახალგაზრა ბიჭუნებო, ყური დაგვიგდეთ,
თუ რას გიამბობთ, ჩვენ - ძველები, მოხუცებულნი.

ს ი მ ღ ე რ ა

სანამ იმ უცნაური ამბების აღწერას შევუდგებოდე, რომელთა მოწმედ მე შევიქმენი, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ორენბურგის გუბერნია

1773 წლის დამლევს.
ეს ვრცელი და მდიდარი გუბერნია დასახლებული იყო მრავალი სხვადასხვა ნახევრადველური ხალხით, რომელთაც სულ ახლო წარსულში ეცნოთ თავის თავზე რუს ხელმწიფეთა მფლობელობა. მაგრამ ისინი მაინც წამდაუწუმ მღელვარებდნენ, ჯანყდებოდნენ, არ იყვნენ შეჩვეული კანონებსა და სამოქალაქო ცხოვრებას, იყვნენ დაუნდობელნი და მერყევნი. ყველაფერი ეს კი მთავრობის მხრივ მოითხოვდა გამუდმებულ თვალყურს, რომ ეს ხალხი მორჩილებაში ჰყოლოდა. საჭირო ადგილებში აგებული იყო ციხეები და ჩასახლებული იყო მეტწილად კაზაკები, როლებიც იაიკის სანაპიროების დიდი ხნის მფლობელები იყვნენ. მაგრამ იაკის კაზაკები, რომელთაც უნდა დაეცვათ მშვიდობა და უშიშროება ამ მხარისა, ერთი ხანი იყო თვით გახდნენ მთავრობისათვის მოუსვენარ და საშიშარ ქვეშევრდომებად. 1772 წ. მათ მთავარ ქალაქში ამბოხებამ იფეთქა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯარის სათანადო მორჩილებაში მოსაყვანად გენერალ-მაიორმა ტრაუბენბერგმა მკაცრი ზომები მიიღო. ამას მოჰყვა თვით ტრაუბენბერგის ბარბაროსული მოკვლა, მმართველობის თვითნებური შეცვლა და დასასრულ აჯანყებულების თოფ-იარაღით დამორჩილება და მათი სასტიკად დასჯა.
ეს ამბები ბელოგრორში ჩემს ჩამოსვლამდე ცოტა ხნი წინ მოხდა. ჩემს დროს კი ყველაფერი დამშვიდებული იყო. ყველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეჩვენებოდა. მთავრობამ ძალიან ადვილად დაიჯერა თვალთმაქცური მონანიება ცბიერი მეამბოხეებისა, რომელნიც ჩუმად გულში ღვარძლს ინახავდნენ და მოხერხებულ დროს უცდიდნენ, რომ არეულობა კვლავ განეახლებინათ.
ვუბრუნდები ჩემს მოთხრობას.
ერთ საღამოს (ეს იყო 1773 წლის ოქტომბერის დამდეგს) შინ მარტოკა ვიჯექი, ყურს ვუგდებდი შემოდგომის ქარის ღრიალსა და ფანჯრიდან გავცქეროდი მთვარის გვერდზე მომცურავ ღრუბლებს. მოვიდნენ და კომენდანტთან დამიძახეს. მაშინვე წავედი. კომენდატთან შვაბრინი, ივან იგნატიჩი და კაზაკი ურიადნიკი დამიხვდნენ. ოთახში არც ვასილისა ეგოროვნა იყო, არც მარია ივანოვნა. კომენდატნი მომესალმა, მაგრმ ეტყობოდა, რაღაც საფიქრალი გასჩენოდა. კარი დაკეტა, ყველანი, ურიადნიკს გარდა, რომელიც კართან იდგა, დაგვსხა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გვითხრა:
- ბატონო ოფიცრებო! მეტად მნიშვნელოვანი ახალი ამბავია. ყური დაუგდეთ, რასა გვწერს გენერალი. სათვალე გაიკეთე და წაგვიკითხე შემდეგი:
'"ბელოგორის ციხის კომენდანტს, კაპიტანს, ბატონ მირონოვს.
ს ა ი დ უ მ ლ ო დ.

"ამით გაუწყებთ, რომ პატიმრობიდან გაქცეულმა დონის კაზაკმამ და რასკოლნიკმა ემელიან პუგაჩოვმა ჩაიდინა მიუტევებელი კადნიერება და მიიღო სახელი განსვენებული იმპერატორის პეტრე III-სა, შეკრიბა ბოროტმოქმედთა ბრბო, ააჯანყა იაიკელთა სოფლები, უკვე აიღო და გაანადგურა რამდენიმე ციხე და ყველგან მიჰყო ხელი ძარცვა-გლეჯას და კაცის კვლას. ამისათვის, ამის მიღებისთანავე თქვენ, ბატონო კაპიტანო, გმართებთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ სათანადო ზომები ხსენებული ბოროტმოქმედის და ცრუმოსახელის მოსაგერიებლად, და თუკი შეძლებთ, სრულიად მის გასანადგურებლადაც. უკეთუ იგი მოადგება ციხეს, რომელიც იმყფოება თქვენი მზრუნველობის ქვეშ".

აქ კომენდატმა სათვალე ჩამოიხსნა, ქაღალდი დაკეცა და წარმოთქვა:
- გესმის შენ, ადვილი სათქმელია, სათანადო ზომები მიიღეო! ბოროტმოქმედი, ეტყობა, ძლიერია. ჩვენ კი კაზაკები რომ არ ვიანგარიშოთ, სულ ასოცდაათი კაცი გვყავს, მეტი არა. შენ სასაყვედუროდ როდი ვამბობ, მაგრამ არც ისინი არიან საიმედონი, მაქსიმიჩ! (ურიადნიკმა ჩაიცინა). მაგრამ ასეა თუ ისე მეტი ჩარა არ არის, ბატონო ოფიცრებო! უნდა მზად იყვეთ, დააყენოთ დარაჯები და ღამის ყარაულები. თუ თავს დაგვესხნენ, მაშინ ჭიშკრები ჩაკეტეთ და ჯარისკაცები გამოიყვანეთ. შენ კი, მაქსიმიჩ, კარგა თვალყური იქონიე შენს კაზაკებზე. ზარბზანი უნდა გაისინჯოს და კარგად გაიწმინდოს. ყველაფერზე უფრო დიდი საქმე კი ის არის, რომ ყოველივე ეს საიდუმლოდ შეინახოთ, რომ დრომდე არავინ ჩვენს ციხე-სიმაგრეში არაფერი იცოდეს.
ამ განკარგულების შემდეგ ივან კუზმიჩმა დაგვითხოვა. მე შავბრინთან ერთად გმოვედი და გაგონილზე შეგვექნა სჯა-ბაასი.
- შენ როგორა ფიქრობ, რითი გათავდება ეს საქმე? - ვკითხე მას.
- ღმერთმა იცის, - მიპასუხა, - ვნახოთ. ჯერჯერობით საგულისხმოს ვერას ვხედავ და თუ რაიმე მოხდა. . . - აქ ჩაფიქრდა და გულისყურგაფანტულმა ფრანგული არიის სტყვენა დაიწყო.
ჩვენმა ყოველგვარმა გაფრთხილებამ საქმეს ვერ უშველა. პუგაჩოვის გამოჩენის ამბავი მთელს ციხე-სიმაგრეს მოედო. ივან კუზმიჩი, მართალია, ძალიან პატივს სცემდა ცოლს, მაგრმ სამსახურის საიდუმლოს მაინც არაფრის გულსაითვის გაუმხელდა. მიიღო თუ არა გენერლის მოწერილობა, ვასილისა ეგოროვნა სახლიდან ძალიან მოხერხებულად გაისტუმრა. უთხრა, მამა გერასიმეს ორენბურგიდან რაღაც საკვირველი ამბები მოსვლია, რაც ძალიან საიდუმლო უნდა იყოსო. ვასილისა ეგოროვნამაც მაშინვე მოისურვა მღვდლის ცოლთან წასვლა და ივან კუზმიჩის რჩევით, რათა არ მოსწყენოდა, მაშაც თან წაიყვანა.
როდესაც ივან კუზმიჩი სრულიად მარტო დარჩა, მაშინვე კაცი აფრინა ჩვენთან. პალაშკა კი საკუჭნაოში ჩაკეტა, რომ ჩვენი არაფერი გაეგონა.
ვასილისა ეგოროვნა შინ ისე დაბრუნდა, რომ ვერ მოასწრო მღვდლის მეუღლისაგან რაიმე გაეგო, აქ კი შეიტყო, რომ მისი შინ არყოფნი დროს ივან კუზმიჩს თათბირი ჰქონდა და რომ პალაშკა ჩაკეტილი იყო. მიხვდა, ქმარმა მოატყუა და შეუდგა ჩვენების ჩამორთმევას. მაგრამ ივან კუზმიჩი მზად დაუხვდა იერიშს. იგი სრულიებით არ შემკრთალა, ისე განუმარტა თავის ცნობისმოყვარე თანამეცხედრეს:
- გესმის შენ, ჩვენი დედაკაცები ბზით ახურებენ თურმე ღუმელებს და რომ რაიმე უბედურებან არ მოხდეს, მე სასტიკი ბრძანება გავეცი, ამიერიდან ღუმლები ბზით აღარ გაახურონ, არამედ ფიჩხითა და შეშით.
- მერედა პალაშკა რად ჩაკეტე, - შეეკითხა ცოლი. - საბრალო გოგო ჩვენ დაბრუნებამდე საკუჭნაოსი რად იჯდა?
ასეთ შეკითხვას ივან კუზმიჩი აღარ მოელოდა. იგი დაიბნა და პასუხად რაღაც უხიაგი წაიდუდუნა. ვასილისა ეგოროვნა მიუხვდა ქმარს ცბიერებას, მაგრამ აღარ მიაცივდა, რადგან იცოდა, მაინც ვერაფერს გააწყობდა და საუბარი გადაიტანა წნილზე, რომელსაც აკულინა პამფილოვნა განსაკუთრებული ხელოვნებით ამზადებდა. მიუხედავად ამისა, ვასილისა ეგოროვნას მთელ ღამეს არ დასძინებია და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა ჰქონოდა ფიქრად ივან კუზმიჩს ისეთი, რისი გაგებინებაც მისთვის არ შეიძლებოდა.

მეორე დღეს, წირვიდან დაბრუნებული, ივან იგნატიჩს წააწყდა. ივან იგნატიჩს ზარბაზნიდან გამოჰქონდა სხვადასხვა ძონძები, კენჭები, ნაფოტები, კოჭები და ათასგვარი ნაგავი, რომლებიც ბავშვებს ლულაში ჩაეტენათ. "ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს საომარი მზაება, - გაიფიქრა კომენდატის მეუღლემ, - ყირგიზელთა თავდასხმას ხომ არ მოელიან? მაგრამ ასეთ წვრილმანს რასმე ივან კუზმიჩი აბა, რაზე დამიმალავდა?" და დაუძახა ივან იგნატიჩს. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამისაგან გაეგო საიდუმლო, რომელის ასე აწვალებდა მის დედაკაცურ ცნობისმოყვარეობას.
ვასილისა ეგოროვნამ მეოჯახეობაზე გააბა ლაპარაკი, როგორც მოსამართლემ, რომელიც გარეშე კითხვებით იწყებს დაკითხვას, რათა მიაძინოს მოპასუხის სიფხიზლე. შემდეგ რამდენიმე წუთით დაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა და თავის ქნევით წარმოთქვა: "ჰოი უფალო, ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავს შევესწარით! რა მოგველის, ნეტა?"
- არაფერიც არ მოგვივა, - უპასუხა ივან იგნატიჩმა. - ღმერთი მოწყალეა: სალდათები ბლომად გვყავს, ტყვია-წამალი ბევრი გვაქვს. ზარბაზანი გამოწმინდე. შევძლებთ, რომ პუგაჩოვს გავუძალიანდეთ. ღმერთი მოწყალეა, ღორს არ შევეჭმევინებით.
- მერმე და რა კაცია ეს პუგაჩოვი? - შეეკითხა კომენდატის მეუღლე.
აქ ივან იგნატიჩი მიხვდა, რომ საიდუმლო წამოცდა და ენაზე იკბინა, მაგრამ რაღა დროსი იყო. ვასილისა ეგოროვნამ ყველაფერი გადმოაყაჭვინა, თუმცა თავის მხრით სიტყვა მისცა, რომ არავის არაფერს ეტყოდა.
ვასილისა ეგოროვნამ თავისი დაპირება შეასრულა და არავისათვის არაფერი უთქვამს, გარდა მღვდლის ცოლისა. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძროხა ჯერ კიდევ მინდვრად დაუდიოდა და ბოროტმოქმედთ შეეძლოთ დაეჭირათ.
მალე პუგაჩოვზე ყველა ალაპარაკდა; სულ სხვადასხვა ხმები დაქროდა. კომენდატმა ურიადნიკი გაგზავნა და მიანდო, რომ მეზობელ სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებში ყვლაფერი კარგად გაეგო. ორი დღის შემდეგ ურიადნიკი დაბრუდნა და განაცხადა, რომ მინდვრად, სიმაგრიდან სამოცი ვერსის მანძილზე ბევრგან დავინახე ანთებული კოცონები და ბაშკირელებისაგან შევიტყვე, დიდი რამ ურდო მოდისო. დანამდვილებით კი მაინც ვერაფრის თქმა ვერ შეძლო, რადგან უფრო შორს წასვლისა შეშინებოდა.
ჩვენს ციხე-სიმაგრეში კაზაკებს მღელვარება დაეტყოთ: ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ჩუმად რაღაცაზე მსჯელობდნენ, ხოლო როგორც კი დრაგუნს, ან გარნიზონის ჯარისკაცს დაინახავდნენ, მაშინვე გაიფანტებოდნენ. ჩვენ მათ ჯაშუშები შევუჩინეთ. იულიამ, მონათლულმა კალმუხმა, კომენდანტს მეტად საყურადღებო რამ აცნობა. იულიას სიტყვით, ურიადნიკის მოტანილი ამბავი ტყუილი იყო. დაბრუდნა თუ არა ეს ცბიერი კაზაკი, თავის ამხანაგებს განუცხადა, აჯანყებულები ვინახულე, მათ წინამძღოლს წარვუდექი, ხელზეც ვეამბორე და დიდხანს ვესაუბრეო. კომენდანტმა ურიადნიკი დაუყოვნებლივ დაატუსაღა და მის ადგილზე იულია დანიშნა. ეს ამბავი კაზაკებს არ მოეწონათ. ისინი ხმამაღლა დრტვინავდნენ და თავის უკმაყოფილებას აცხადებდნენ. ივან იგნატიჩმა, რომელმაც კომენდატის დავალება აღასრულა, თავისი ყურით გაიგონა, თუ როგორ ემუქრებოდნენ იულიას: "დაგვაცადოს მაგ გარნიზონის ვირთაგვამ, მაგანო!" კომენდატს უნდოდა, იმ დღესვე ჩამოერტმია ჩვენება დატუსაღებულისათვის, მაგრამ ურიადნიკი დარაჯებს გაჰპარვოდა და გაქცეულიყო. საფიქრალია, რომ ამაში თანამოაზრე კაზაკები დაეხმარნენ.
ახალმა გარემოებამ კიდევ უფრო ააღლევა კომენდატი. დაიჭირეს ბაშკირელი, რომელსაც

ამაშფოთებელი ფურცლები უნახეს. შემთხვევის გამო კომენდატმა მოინდომა, თავისი ოფიცრებისათვის კვლავ თავი მოეყარა და ვასილისა ეგოროვნა რაიმე უეჭვო მიზეზით განერიდებინა, მაგრამ რადგანაც ივან კუზმიჩი მეტად პირდაპირი და მართალი კაცი იყო, ამიტომაც სხვა ვერაფერი მოახერხა და ისევ ძველ ნაცად გზას მიმართა.
- მისმინე, ვასილისა ეგოროვნა, - მიმართა მან თავის მეუღლეს და თან ჩაახველა. - მამა გერასიმეს, ამბობენ, რომ ქალაქიდან. . .- მაგრამ ვასილისა ეგოროვნამ გათავება აღარ დააცალა, შეუტია:
- კარგია, გეყოფა ამდენი ტყუილები! გეტყობა, გინდა თათბირი მოიწვიო და ემელინა პუგაჩოვზე უჩემოდ მოილაპარაკო, მაგრამ უხეირო ხარ, ვერ მომატყუებ.
ამაზე კუზმიჩმა თვალები დააჭყიტა. "რაკი ეგრეა, - დამორჩილდა ბედს კომენდატი, - რა გაეწყობა, ყველაფერი გცოდნია და დარჩი ჩვენთან, შენი თანდასწრებითაც შეგვიძლია მოვილაპარაკოთო". "მაშ როგორ გეგონა, - შეუბრუნა ცოლმა, - ეშმაკობა შენი საქმე არ არის. სჯობს ოფიცრები მოიწვიო".
და ჩვენც შევიკრიბენით. ცოლის თანდასწრებით ივან კუზმიჩმა წაგვიკითხა პუგაჩოვის მოწოდება, რომელიც წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე კაზაკისაგან იყო დაწერილი. ის ავაზაკი აცხადებდა, რომ დაუყოვნებლივ აპირებდა ჩვენს ციხე-სიმაგრეზე იერიშის მოტანას; კაზაკებს და ჯარისკაცებს იწვევდა, რომ მის გუნდს შეერთებოდნენ, მეთაურებს კი ურჩევდა წინააღმდეგობა არ გაეწიათ, არადა სიკვდილით დასჯით იმუქრებოდა. მოწოდება უხეშად, მაგრამ ძლიერად იყო დაწერილი და შეიძლებოდა გულუბრყვილო ადამიანებზე საშიში გავლენა ჰქონოდა.
- ხედავთ ამ არამზადას, - წამოიყვირა კომენდატის მეუღლემ. - რეებს გვიბედავს! შემომეგებეთ და დროშები ჩემ ფეხთა ქვეშ დამილაგეთო! აჰა, ის ძაღლის შვილი, ისა! ნუთუ არ იცის, რომ ჩვენ აგერ ორმოცი წელიწადია, რაც ვმსახურობთ და, მადლობა ღმერთს, გვინახავს სანახავები? ნუთუ აღმოჩნდა ვინმე ისეთი, რომელმაც დაუჯერა იმ ავაზაკს, იმას?
- მე არა მგონია, - უპასუხა ივან კუზმიჩ, - ისე კი ამბობენ, ბევრი ციხე აიღოო.
- ეტყობა მაღტლა ძლიერია, - შენიშნა შვაბრინმა.
- აი ახლავე გავიგებთ მის ნამდვილ ძლიერება, - წარმოთქვა კომენდატმა და თავის ცოლს მიმართა:
- მომეცი ბეღლის გასაღები. ივან იგნატიჩ, ის ბაშკირელი მოიყვანე, აქა და იულისასაც უბრძანე წკეპლები მოიტანოს.
- დაიცა, ივან კუზმიჩ, - თქვა ვასილისა ეგოროვნამ და წამოდგა. მაშას წავიყვან სადმე, თორემ ყვირილს გაიგონებს და შეეშინდბა. მართალი რომ ვთქვა, არც მე მიყვარს ასეთების ყურება, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.
ძველად, სამართლის წამოების დროს, წამება ისე ღრმად იყო ფესვგამდგარი, რომ დიდხანს მას შემდეგაც, როდესაც კანონით გაუქმდა იგი, მაინც ხმარობდნენ. ეგონათ, დამნაშვის პირდი გამოტეხა აუცილებელი იყო მისი სრულიად გასამტყუენებლად, მაგრამ ასეთი შეხედულება სრულიად უსაფუძვლოა და სრულიად ეწინააღმდეგება იურიუდიულ გონიერ მოსაზრებას. იმიტომ, რომ თუკი დამნაშავის უარი მისაღები და საკმაო არ არის მისი უდანაშაულობის გამოსარკვევად, მისი გამოტეხაც კიდევ უფრო ნაკლებ დამამტკიცებელი უნდა იყოს მისივე დამნაშავეობისა. ახლაც კი ხშირად ნანობენ ხოლმე ძველი მოსამართლეები, რომ ეს ბარბაროსული ჩვეულება გადაგდებულ იქნა. ჩვენ დროს კი არავის ეჭვი არ შეჰქონდა, რომ

წამება საჭირო იყო: არც მოსამართლეებს, არც დამნაშავეებს. ასე, რომ კომენდატის ბრძანებას არც ერთი ჩვენგანი არც გაუკვირვებია, არც შეუშფოთებია. ივან იგნატიჩი წავიდა ბაშკირელის მოსაყვანად, რომელიც კომენდატის მეუღლეს ბეღელში ჰყავდა ჩაკეტილი. რამდენიმე წუთის შემდეგ ტყვე დერეფანში შემოიყვანეს და კომენდატმა ბრძანა ჩვენთვის წარმოედგინათ. ბაშკირელმა კარის ზღურბლზე ძლივს გადმოაბიჯა (ხუნდი ჰქონდა გაკეთებული). მოიხადა თავისი წოწოლა ქუდი და კარებთან დადგა. შევხედე და შევკრთი. არასოდეს არ დამავიწყდება ეს კაცი. ეტყობოდა, სამოცდაათი წლისაზე მეტისა იყო. არ გააჩნდა არც ცხვირი, არც ყურები. თავი გადაპარსული ჰქონდა; წვერის მაგივრად ორი ღერი ჭაღარა ბალანი ჩამოკონწიალებდა; მომცრო ტანის იყო, გამხდარი და მოკუზული;პ ვიწრო თვალებში კი ჯერ კიდევ ენთო ცეცხლი.
- ეჰე! - წამოიძახა კომენდატმა. საშინელ ნიშნებზე მან შეიცნო 1741 წელს დასჯილი ერთ-ერთი აჯანყებულთაგანი. - შენ, გეტყობა, ბებერი მგელი ყოფილხარ და ჩვენი ხაფანგიც გიგემნია. გეტყობა, პირველად არ ურევიყხარ აჯანყებულებში, ისე გაქვს ეგ თავი გარანდული. აბა, ცოტა ახლოს მოიწი. თქვი, ვინ მოგგზავნა?
ბებერი ბაშკირელი ჩუმად იყო და კომენდანტს სრულიად უაზროდ შეჰყურებდა.
- რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე! - განაგრძობდა ივან კუზმიჩი. - შეიძლება რუსული ინჩინ არ იცი. აბა, იულია, ერთი შეეკითხე თქვენებურად ვინ გამოგზავნა ჩვენს სიმაგრეში?
იულიამ თათრულად გაუმეორა ივან კუზმიჩის შეკითხვა, მაგრამ ბაშკირელი ისევ ისე გამოიყურებოდა და არაფერს ამბობდა.
- იახში, - წარმოთქვა კომენდატმა: - მე შენ მალე აგალაპარაკებ. აბა, ბიჭებო, გახადეთ ეგ მისი ბრიყვული ჭრელი ხალათი და ზურგი აუგვირისტეთ. იულია, აბა შენ იცი, როგორც რიგია.
ორმა ინვალიდმა ტანთ გახდა დაუწყო. უბედურს სახეზე შეშფოთება დაემჩნა. აქეთ-იქით ისე იხედებოდა, როგორადაც ბავშვებისაგან დაჭერილი რამე ნადირი. როდესაც ერთმა ინვალიდმა ბაშკირელის ხელები თავის კისერზე გადაიდო და თავის მხრებით ზეასწია, ხოლო იულიამ მათრახი მოიმარჯვა და მოუქნია, მაშინ მოხუც ბაშკირელს მიკნავნებული, შემთხოვი კვნესა აღმოხდა, თვის ქნევა დაიწყო და პირი გააღო. ჩვენ დავინახეთ, რომ ენის მაგივრად იქ რაღაც ნაჭერი მოძრობოდა.
როდესაც გავიხსენებ, რომ ეს მოხდა ჩემს სიცოცხლეში და ახლა კი იმპერატორ ალექსანდრეს სათნო მეფობას მოვესწარი, არ შემიძლია არ გავიკვირვო, თუ როგორი სისწრაფით გავრცელდა ჩვენში განათლება და სათნო მოპყრობა ადამიანებისადმი. ყმაწვილო კაცო! თუ ეს ჩემი ჩანაწერი ხელთ ჩაგივარდეს, გახსოვდეს, რომ საუკეთესო და უმტკიცესი ცვლილებები ცხოვრებაში ის არის, რომლებიც ზნეობას შეეხება და დაუძალადბლად და ყოველგვარი ძალმომრეობითი ძვრის გარეშ ხდება ხოლმე.
ყველანი გავვოცდით, შემდეგ ისევ კომენდატმა დაილაპრაკა:
- ჩანს, მაგისაგან ვერაფერს გავიგებთ, იულია, წაიყვანე ბეღელში ეგ ბაშკირელი. ჩვენ კი, ბატონებო, ზოგ რამეზე წავითათბიროთ.
დავიწყეთ კიდც მსჯელობა, რომ უეცრად მეტად აღელვებული და აქოშინებული ვასილისა ეგოროვნა შემოვიდა ოთახში.
- რა დაგემართნია? - მიმართა გაკვირვებულმა კომენდატმა.
- უბედურებაა, უბედურება! - წამოიძახა ვასილისამ. - ამ დილით ნიჟნეოზერის ციხე აუღიათ. გერასიმე მღვდლის მოჯამაგირე ეს არის ახლა იქიდან დაბრუნდა. თავისი თვალით უნახავს,

როგორ აიღეც ციხე. კომენდატიცა და ყველა ოფიცერი ჩამოუხრჩვიათ. ჯარისკაცები დაუტყვევებიათ, ნახავ, თუ აქაც არ მოგვადგნენ ის ავაზაკები, ისა.
ამ მოულოდნელმა ამბავმა გამაოცა. ნიჟნეოზერის ციხისათვის მეტად წყნარი და თავმდაბალი ყმაწვილი კაცი იყო. მე მას ვიცნობდი. ორი თვის წინათ ორენბურგიდან გზად ჩამოგვიარა თავის ახალგაზრდა ცოლით და ივან კუზმიჩს სტუმრად ეწვია. ნიჟნეოზერის ციხე ჩვენგან ოცდახუთი ვერსის მანძილზე მდებარეობდა. ჩვენც ყოველ წუთს პუგაჩოვის თავდასხმის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით. მარია ივანოვნას ბედიც ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ და გული მომიკვდა.
- მისმინეთ, კუზმიჩ! - მივმართე კომენდანტს, - ჩვენი მოვალეობაა, უკანასკნელ სულისთქმამდე დავიცვათ ჩვენი ციხე, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს, მაგრამ საჭიროა, ხიფათისაგან ქალების გადარჩენაზე ვიფიქროთ. გაგზავნეთ ისინი ორენბურგს თუ გზა ჯერ კიდევ თავისუფალია, ან უფრო შორეულ, საიმედო, ციხე-სიმაგრეშიც, სადაც ავაზაკებს ხელი არ მიუწვდებათ.
ივან კუზმიჩი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:
- გეყურება შენ, ვასილისა. მართლაც კარგი იქნება, სადმე შორს გაგაგზავნოთ, სანამ ჩვენ აქ მეამბოხეებს გავუსწორდებით.
- აბა, რა სისულელეა! - თქვა კომენდატის ცოლმა, - ისეთ ციხეს სად მონახავ, რომ ტყვია არ მისწვდეს? ბელოგორის ციხე ვითომ რითია უიმედო? მადლობა ღმერთს, მეოცდაორე წელია აქ ვცხოვრობთ, ბაშკირელებიც გვინახავს და ყირგიზელებიც: შეიძლება პუგაჩოვსაც გავუძლოთ!
ამაზე ივან კუზმიჩმა მიუგო:
- კარგი, თუ შენ ჩვენი ციხის იმედი გაქვს, დარჩი, რა გაეწყობა, მაგრამ მაშას რა ვუყოთ? თუ გავუძელით, ან სიკურსი მოგვეშველა, ხომ კარგი, მაგრამ ავაზაკებმა ციხე რომ აიღონ?
- მაშინ. . . . მაშინ. . . - ვასილისა ეგოროვნას ენა დაება და ფრიად აღელვებული ჩაჩუმდა.
- არა, ვასილისა ეგოროვნა, - განაგრძო კომენდატმა, რაკი შეამჩნია, რომ სიცოცხლეში პირველად იმოქმედა მისმა სიტყვებმა, - მაშას აქ დატოვება არ გამოგვადგება. გავგზავნოთ ორენბურგს ნათლიასთან: იქ ჯარიც ბევრია, ზარბაზნებიც საკმაო და კედელიც ქვისა. შენც გირჩევნია, თან გაჰყოლოდი. რა ვუყოთ, რომ მოხუცი ხარ, აბა ნახე რა მოგივიდეს, თუკი ჩვენი ფორტეცია იერიშით აიღეს.
- კარგი, აგრე იყოს, მაშ გავგზავნოთ, - დაეთანხმა მეუღლე, - მხოლოდ ჩემი წასვლა კი გულშიც არ გაივლო: სულერთია, არ წავალ, ამ მოხუცებულობის დროს მე შენ ვერ გაგეყრები და სადღაც უცხო მხარს განმარტოებულ საფლავს ძებნას ვერ დავუწყებ. ერთად გვიცხოვრია, ერთად მოვკდეთ.
- ეგეც მართალია, - წარმოთქვა კომენდატმა. - მხოლოდ დაყოვნება არა გვმართებს. წადი და მაშა სამგზავროდ მოამზადე. ხვალ უთენია გავგზავნოთ და, მართალია, ჩვენ ზედმეტი ხალხი არა გვყავს, მაგრამ მცველებიც ვაახლოთ. მართლა, სად არის მაშა?
- აკულინა პამფილოვნასთან. როგორც კი ნიჟნეოზერის ციხის აღების ამბავი გაიგო, გული შეუწუხდა. მეშინია, ავად არ გამიხდეს. ჰეი, უფალო დ მეუფეო, ეს რა დღეს შეგვასწარი! წარმოთქვა ეს ვასილისა ეგოროვნამ და გავიდა ოთახიდან, რომ შვილის გამგზავრებაზე ეზრუნა. კომენდატთან თათბირი გაგრძელდა; მაგრმ მე არ ჩავრეულვარ და არც ყური დამიგდია. ვახშამზე გაფითრებული და ნამტირალევი მარია ივანოვნაც მოვიდა, ხმა არცერთს

არ ამოგვიღია და ჩვეულებრივზე ადრე წამოვდექით, გამოვეთხოვეთ ყველას და ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ გავემართეთ, მაგრამ მე განგებ დავივიწყე ჩემი ხმალი და შევბრუნდი. ვგრძნობდი, რომ მარია ივანოვნას მარტო ვნახავდი, ასეც მოხდა: კარებში შემომეგება და ხმალი მომაწოდა.
- მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ, - მომმართა აცრემლებულმა: - მე ორენბურგსა მგზავნიან. იცოცხლეთ და ბედნიერი იყავით; შეიძლება ღმერთმა კიდევ გვაჩვენოს ერთმანეთი, თუ არა და. . . - აქ აქვითინდა. მე მოვეხვიე, - მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, - ვუთხარი, - მშვიდობით ჩემო სასურველო, ჩემო კარგო! რაც უნდა მომივიდეს, ჩემი უკანასკნელი საფიქრალი და სალოცავი შენ იქნები! - მაშა ჩემ მკერდზე მოყრდნობილი მწარედ ქვითინებდა. მხურვალედ ვაკოცე და სწრაფად გავედი ოთახიდან.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ი ე რ ი შ ი

შენ, ჩემო თავო, საწყალო,
თავო დატანჯულ-გვემულო!
მემსახურე, ჩემო თავო,
სწორედ ოცდაცამეტ წელსა!
თავო, მაინც ვერ მიშოვნე
ვერც სიმდიდრე, ვერცა ლხენა,
ვერცა რამე დიდკაცობა.
თავო ჩემო, მომიპოვე
მხოლოდ ორი დიდი ბოძი,
ზედ ხარიხა გადებული,
ყელზე აბრეშუმის ყულფი.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა

იმ ღამეს არ დამიძნებია და არც ტანთ გამიხდია. განზრახული მქონდა უთენია ციხე ჭიშკართან მოვსულიყავი, საიდანაც მარია ივანოვნა უნდა გამოსულიყო და უკანასკნელად გამოვთხოვებოდი. ვატყობდი, რომ ძალიან გამოვიცვალე: ჩემი სულიერი მღელვარება იმჟამად ბევრად უფრო ნაკლებ სამძიმო იყო, ვიდრე ის სევდა, რომლითაც იმას წინათ ვიყავი მოცული. განშორება გულს მიწუხებდა, მაგრამ იმავე დროს რაღაც ტკბილი იმედები მესახებოდა. საშიშროება თითქოს თავისკენ მიზიდავდა და ვერ ვითმენდი, მეჩქარებოდა მას პირდაპირ შევგებებოდი, კეთილშობილი პატივმოყვარეობა ხელსა მრევდა. ღამე შეუმჩნევლად გავიდა. ის იყო შინიდან გასვლას ვეპირებოდი, რომ კარი გაიღო და შემოვიდა კაპრალი, რომელმაც მოხსენება გამიკეთა: ღამით კაზაკები ციხიდან გავიდნენ, იულიაც ძალით თან წაიყვანეს და ციხის ახლო ვიღაც საეჭვო პირები დაძრწიანო. გავიფიქრე, მარია ივანოვნა გასვლას ვეღარ მოასწრებს-მეთქი და ამ ფიქრებმა შემაძრწუნა; საჩქაროდ კაპრალს ცოტა რამ დარიგება მივეცი და მეც იმ წამსვე კომენდატისკენ გავექანე.

უკვე თენდებოდა. ქუჩაში მივქროდი, უეცრად შემომესმა, რომ მეძახიან. შევჩერდი.
- საით მიდიხართ? - დამეწია ივან იგნატიჩი, - ივან კუზმიჩი უკვე ციხის გარეთ არის, სანგრებზე გასული, და თქვენთან გამომგზავნა. პუგაჩოვი მოვიდა.
- მარია ივანოვნა წავიდა თუ არა? - შევეკითხე მე გულის კანკალით.
- ვერა, ვერ მოასწრო, - მიპასუხა. - ორენბურგის გზა მოჭრილია და ციხესაც ალყა აქვს შემორტყმული. ცუდად არის საქმე, პიოტრ ანდრეიჩ!
გავედით სანგრებზე. ეს იყო ამაღლებული, თვით ბუნების მიერ შექმნილი და მესერით გამაგრებული ადგილი. ციხის მცხოვრებლები აქ შემოკრებილიყვნენ. გარნიზონი შეიარაღებული იყო. ზარბაზანი წინათვე მოეტანათ. კომენდატი თავის მცირერიცხოვანი რაზმის წინ მიდი-მოდიოდა. საშიშროების სიახლოვე აღაფრთოვანებდა და უჩვეულო სიმხნეს აძლევდა ძველ მხედარს. მინდვრად, ციხის არცთუ ძალიან მოშორებით, ოციოდე ცხენოსანი მოჩანდა. ეტყობოდა, კაზაკები იყვნენ, მაგრამ მათ შორის ბაშკირელებიც ერივნენ. ამის გამოცნობა ადვილი იყო მათი ფოცხვერის ქუდებით და მშვილდისრებით. კომენდატმა შემოუარა თავის ჯარს და ასე შეაგულიანა:
- აბა, შვილებო! დღეს თავი უნდა გამოვიჩინოთ და ვასახელოთ დედობილი ხელმწიფე-დედოფალი. მთელ ქვეყანას უნდა დავუმტკიცოთ, რომ მამაცი და ერთგული ადამიანები ვართ!
ჯარისკაცებმა ხმამაღლა გამოთქვეს თავიანთი ერთგულება.
შავბრინი იდგა ჩემს გვერდით და დაჟინებით გასცქეროდა მტრის რაზმს. მინდვრად გაფანტულმა ცხენოსნებმა შეამჩნიეს, რომ ციხე-სიმაგრე ამოძრავდა, ერთად შეჯგუფდნენ და თათბირი დაიწყეს. ივან იგნატიჩმა უბრძანა ზარბაზანი სწორედ ამ ჯგუფისათვის დაემიზნებინათ და პატრუქს თვითონ მოუკიდა. ყუმბარამ გაიზუზუნა, ჯგუფს თავს გადაევლო და არა ავნო რა. ცხენოსნები მაშინვე გაიფანტნენ, ჭენებ-ჭენებით გაეცალნენ იქაურობას და მინდორ-ველიც დაცარიელდა.
ამასობაში ჩვენთან ვასილისა ეგოროვნა მოვიდა. მაშაც თან მოჰყვა. არ მოესუვებინა დედასთან დაშორება.
- აბა, რა ამბავია? - იკითხა კომენდატის მეუღლემ, - ბრძოლა დაიწყეთ? როგორ მიდის საქმე? მტერი სად არის?
- მტერი შორს არ არის, - უპასუხა ივან კუზმიჩმა. - ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგად იქნება. შენ, მაშა, გეშინია?
- არა, მამილო. თქვენთან აქ არ მეშინია. შინ მარტოკა უფრო ვწუხვარ. - მე გადმომხედა და ძალდატანებით გაიღიმა.
უნებლიეთ ჩემი ხმლის ტარს ხელი მოვუჭირე, გამახსენდა, რომ წინა დღით ეს ხმალი მან გადმომცა თითქოს იმისათვის, რომ სატრფო დამეცვა. გულს ცეცხლი მედებოდა. თავი რაინდად მყავდა წარმოდგენილი. მწყუროდა დამემტკიცებინა, რომ მისი ნდობის ღირსი ვიყავი და მოუთმენლად მოველოდი გადამწყვეტ წუთს.
ამ დროს გაღმა ფერდობიდან, ნახევარი ვერსის მანძილზე, ცხენოსნების ახალი გუნდი წამოიშალა და ძალიან მალე ჩვენს წინ მდებარე მინდორი შუბებითა და ოროლებით შეიარაღებული ხლხით აივსო. მათ შორის თეთრ ცხენზე შემჯდარი, წითელკაფტანიანი და ხმალამოწვდილი კაცი მოდიოდა. ეს იყო თვითონ პუგაჩოვი. ერთგან შეჩერდა. გარს შემოეხვივნენ. მალე, ეტყობა, მისი ბრძანების თანახმად, ოთხი ცხენოსანი გამოეყო მის ჯგუფს

და პირდაპირ ჩვენს ციხე-სიმაგრესთან მოაჭენეს ცხენები. ვიცანით, რომ ესენი იყვნენ ჩვენი მოღალატეები. ერთ მათგანს ქუდზევით ქაღალდის ფურცელი ეჭირა, მეორეს - შუბზე ჩამოცმული იულიას თავი, რომელიც შეარხია და მესერს აქეთ გადმოგვიგდო. საბრალო კალმუხის თავი კომენდატის ფეხებთან დაეცა. მოღალატეები გვიყვიროდნენ.
- არ ისროლოთ! ეახელით ხელმწიფეს. ხელმწიფე აქა ბრძნდება!
- დაიკარგეთ, მე თქვენ გიჩვენებთ ხელმწიფეს! - დაუყვირა ივან კუზმიჩმა და უბრძანა: - აბა ბიჭებო, მისცხეთ მაგათ!
ჩვენმა ჯარისკაცებმა გაისროლეს. ხელში რომ წერილი ეჭირა, ის კაზაკი შეირყა და ცხენიდან ჩამოვარდა, სხვებიც გაიქცნენ. მე მარია ივანოვნას გადავხედე. იულიას გასისხლიანებულინ თავის დანახვით და სროლით გაბრუებული გულშეღონებულსა ჰგავდა. კოემნდატმა კაპრალს დაუძახა და მოკლული კაზაკის ქაღალდის ჩამორთმევა უბრძანა. კაპრალი მინდვრად გავიდა და მოკლულის ცხენიც სადავით თან მოიყვანა. წერილი კი კომენდატს გადასცა. ივან კუზმიჩმა თავისთვის გადაიკითხა და შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ამასობაში მეამბოხეებს დაეტყოთ, რომ სამოქმედოდ გაეზადნენ. მალე ჩვენს ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნეს და რამდენიმე ისარი ჩაერჭო მიწაში და მესერზედაც.
- ვასილისა ეგოროვნა! - მიმართა კომენდატმა, - აქ დედაკაცდებს არა ესაქმებათ რა. გასწი და მაშაც თან წაიყვანე, ხომ ხედავ, გოგოს ფერი აღარ აძევს.
ვასილისა ეგოროვნა ტყვიების ზუზუნს თითქოს მოერბილებინა. ერთი კი გახედა ველს, საცა უკვე დიდი მოძრაობა იყო: შემდეგ ქმარს მოუბრუნდა და ასე უთხრა:
- ივან კუზმიჩ, ჩვენი სიცოცხლეც და სიკვდილიც ღვთის ხელთ არის: დალოცე მაშა. მაშა, ეახლა მამას.
ფერმიხდილი და ათრთოლებული მაშა მივიდა ივან კუმმიჩთან, დაიჩოქა და მიწამდე თაყვანი სცა. მოხუცმა კომენდატმა სამჯერ პირჯვარი გადასწერა, შემდეგ ზეზე წამოაყენა, აკოცა და ხმაათრთოლებულმა ასე უთხრა:
- აბა, მაშა, ბედნიერი იყავი. ღმერთს შეევედრე და ის არ დაგტოვეს უნუგეშოდ. თუკი ვინმე კეთილი კაცი გამოჩნდა, ღმერმა მოგანიჭოთ, შვილო ერთიმეორის სიყვარული და მშვიდობა. იცხოვრეთ ისე, როგორც მე და ვასილისა ეგოროვნა ვცხოვრობდით. მშვიდობით, მაშა. ვასილისა ეგოროვნა, წაიყვანე ჩქარა (მაშა ყელზე მოეხივა და აქვითინდა).
- ჩვენც გადავკოცნოთ ერთიმეორე, - თქვა ატირებულმა კომენდატის მეუღლემ, - ივან კუზმიჩ, მომიტევე, თუ შენთვის რამე მიწყენინებია!
- მშვიდობით, მშვიდობით, დედავ და თვალო! - მოხუციც გადაეხვია თავის დედაკაცს. - ახლა კი კმარა, გასწით გასწით შინ; თუ მოასწრო, მაშას სარაფანი ჩააცვი.
კომენდატის მეუღლე და ქალიშვილი გაგვშორდნენ. მე მივჩერებოდი მიმავალ მარია ივანოვნას; იგი მობრუნდა და თავი დამიქნია; ამასობაში ივან კუზმიჩი ჩვენ მოგვიბრუნდა და მთელი ყურადღება მტერს მიაპყრო. აჯანყებულები თავის წინამძღოლის გარშემო იკრიბებოდნენ და უეცრად ცხენიდან ჩამოხტომა იწყეს. "აბა, ახლა კი გამაგრდით! ეტყობა, იერიშის მოტანას აპირებენ", - გაგვაფრთხილა კომენდატმა. სწორედ ამ დროს საშინელი წივილ-კივილი გაისმა: აჯანყებულები სირბილით მოეშურებოდნენ ციხისაკენ, ჩვენი ზარბაზანი ფინდიხით იყო გატენილი. კოემდნატმა მტერი კარგა ახლოს მოუშვა და უეცრად დაუგრიალა. ფინდიხი ბრბოს შუაგულში გაიბნა. აჯანყებლები შედრკნენ, ორივე მხარეზე გაიფანტნენ და უკანაც დაიხიეს. მხოლოდ წინამძღოლი დარჩა წინ. . . იგი ხმალს იქნევდა,

ეტყობა, გაცხარებული აგულიანებდა თავის რაზმს. . . ერთ წუთს შეწყვეტილი კივილი და წივილი კვლავ განახლდა.
- აბა ბიჭებო, - შემოგვძახა კომენდატმა, - გააღეთ ჭიშკარი, დოლს დაჰკარით. წინ, შეტევაზე! აბა, მომყევით!
კომენდატი, ივან იგნატიჩი და მე თვალის დახამხამებაზე გალავანს გარეთ აღმოვჩნდით, შემკრთალი გარნიზონი კი ადგილიდან არ დაძრულა.
- ბიჭებო, რას სჩადიხართ, - შეჰყვირა ივან კუზმიჩმა. - თუ სიკვდილი გვიწერია, უნდა მოვკვდეთ კიდეც! ჩვენი სამსახური ამას მოითხოვს.
ამასობაში მეამბოხენი მოგვაწყდნენ და ციხე-სიმაგრეში შეიჭრნენ. დოლის ხმა შეწყდა; გარნიზონმა იარაღი დაყარა, მეც წამაქციეს, მაგრამ მალე ფეხზე წამოვდექ და აჯანყებულებთან ერთად სიმაგრეში შევედი. კომენდატი თავში იყო დაჭრილი, გარს აჯანყებულთა ჯგუფი შემორტყმოდა და ციხის გასაღებსა სთხოვდნენ. გავექანე მისაშველებლად, მაგრამ რამდენიმე ბრგე კაზაკი მომვარდა და ქამრებით ხელები გამიკრეს. თან დამძახოდნენ: "ახლა ნახეთ, რა მოგივათ, ჩვენ ხელმწიფეს რომ ურჩობა გაუწიეთო". ქუჩა-ქუჩა წაგვათრიეს. ხალხი სახლებიდან გამოდიოდა და პურ-მარილით ეგებებოდა შემოსულებს. ზარებს რეკავდნენ. უეცრად დაიყვირეს, რომ ხელმწიფე მოედანზე ტყვეებს ელოდება და ფიცს ღებულობსო. ხალხი მოედნისკენ გაეშურა. ჩვენც იქით წაგვათრიეს. პუგაჩოვი კომენდატის სახლის წინ, პარმაღზე სავარძელში იჯდა. წითელი, სირმამოვლებული, კაზაკური კაფტანი ეცვა. მაღალი, ოქროს ფოჩებიანი სიასამურის ქუდი მოელვარე თვალებზე ჩამოეფხატა. მისი სახე მეცნაურა. კაზაკების მამასახლისები ერტყნენ გარს. გერასიმე მღვდელი, ფერმიხდილი და აძიგძიგებული, ჯვრით ხელში იდგა პარმაღზე და თითქოს იდუმლად ევედრებოდა, რომ მოსალოდნელი მსხვერპლი არ გაეღო. მოედანზე საჩქაროდ მართავდნენ სახრჩობელას. როდესაც ჩვენ მივუახლოვდით, ბაშკირელებმა ხალხი გაფანტეს და პუგაუჩოვს წარგვიდგინეს. ზარების რეკვა მინელდა, ჩამოვარდა სრული სიჩუმე.
"კომენდატი რომელია" - იკითხა ცრუმოსახელემ. წინ წამოდგა ჩვენი ურიადნიკი და ივან კუზმიჩზე მიუთიტა. პუგაჩოვმა მოხუცს მრისხანედ გადახედა და უთხრა:
- როგორ გაბედე და მეურჩე მე, შენ ხელმწიფეს? - კომენდატს ჭრილობისაგან არაქათი ელეოდა, მაგრამ შემოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და მტკიცედ უპასუხა:
- შენ ჩემი ხელმწიფე არა ხარ, ქურდი ხარ და ცრუმოსახელე, გესმის თუ არა?!
პუგაჩოვმა შუბლი შეიჭმუხნა და თეთრი ხელსახოცი გაიქნია. რამდნეიმე კაზაკი მივარდა მოხუც კაპიტანს და სახრჩობელასკენ წაათრიეს. . . სახრჩობელას ლარძაყინს შემოაჯდა ის და დასახიჩრებული ბაშკირელი, რომელსაც წინა დღით ჩვენება ჩამოვართვით. ხელში თოკი ეჭირა. ერთ წუთის შემდეგ დავინახე, როგორ პორწიალობდა ჰაერში საბრალო ივან კუზმიჩი. ამის შემდეგ პუგაჩოვს ივან იგნატიჩი წარუდგინეს. პუგაჩოვმა უთხრა:
- შეჰფიცე ხელმწიფესა შენსა, პიოტრ ფიოდორივჩს!
- შენ ჩემი ხელმწიფე არა ხარ, - გაიმეორა კაპიტნის სიტყვები ივან იგნატიჩმა, - შენ, ჩემო ბიძია, ქურდი ხარ და ცრუმოსხელე!
პუგაჩოვმა კვლავ გაიქნია ხელსახოცი და კეთილი პორუჩიკიც თავისი ძველი უფროსის გვერდით ჩამოეკიდა.
რიგირ ჩემზე მოდგა. პუგაჩოვს გაბედულად შევცქეროდი და მზად ვიყავი ჩემი სულგრძელი ამხანაგების სიტყვები გამემეორებინა, რომ უცებ გაოცებისაგან სახტად დავრჩი:

აჯანყებულთა უხუცესთა შორის დავინახე დავინახე შვაბრინი, რომელსაც თმა მრგვლად შემოეკრიჭა და კაზაკური კაფტანი ჩაეცვა, შვაბრინი პუგაჩოვთან მივიდა და ყურში რაღაც წასჩურჩულა.
- ჩამოახრჩეთ! - ბრძანა პუგაჩოვმა და ჩემთვის არც კი შემოუხედნია. კისერზე მარყუჟი გადამიგდეს. მე ჩუმად ლოცვა აღვავლინე: გულწრფელად ვინანიებდი ჩემს შეცდომათ და ღმერთს ვავედრევდი ყველას, ვინც გულით საყვარელი მყავდა. სახრჩობელასთნა მიმათრიეს. "ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო", - მეუბნებოდნენ ჩემი დამღუპველები. - ვინ იცის, ეგებ მართლაც გამხნევება უნდოდათ. უცებ ყვირილით შემომესმა: "შეჩერდით, თქვე შეჩვენებულებო! დაიცადეთ!". . . ჯალათები შეჩერდნენ. ვხედავ, საველიჩი ჩავარდნია პუგაჩოვს ფეხებში და გულამოსკვნილი ევედრება:
- რად გინდა, რომ ბატონის ბავშვი მოჰკლა? რაში გამოგადგება? გაუშვი, ამისთვის შენ სასყიდელს მოგცემენ, ხოლო სამაგალითოდ და სხვების დასაშინებლად ბრძანე, რომ თუნდაც მე, მოხუცი, ჩამომახრჩონ!
პუგაჩოვმა ნიშანი მისცა, მაშინვე შემომხსნეს მარყუჟი და თავი დამანებეს. "ჩვენება მბრძანებელმა შეგიწყალაო" - მეუბნებოდნენ. იმ წუთს არ შემეძლო მეთქვა, გამეხარდა გადარჩენა, თუ არა. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ მეწყინა-მეთქი. გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ისევ მიმიყვანეს ცრუმოსახელესთან და მის წინ დამაჩოქეს. პუგაჩოვმა თავისი ძარღვებიანი ხელი გამომიწოდა. "ემთხვიე ხელზე, ემთხვიე ხელზე! - მეუბნებოდნენ გარშემო. მაგრამ მე ასეთი სამარცხვინო დამცირებას უსაშინელესს სასჯელ ვარჩევდი.
- შვილო პიოტრ ანდრეიჩ! - ჩამჩურჩულებდა საველიჩი და უკნიდან ხელსა მკრავდა. - ნუ ჯიუტობ. რა გენაღვლება? მიაფურთხე და ემთხვიე ხელზე ამ საზიზღ. . .(ფუჰ. . .) აკოცე ხელზე.
მე არ ვიძროდი. პუგაჩოვმა ხელი ჩამოუშვა და ღიმილით თქვა:
- მისი კეთილშობილება უთუოდ გაბრუებულია სიხარულიაგან. ააყენეთ! - ამაყენეს და თავისუფლად დამტოვეს. მე ვუცქეროდი საშინელი კომედიის გაგრძელებას. მცხოვრებლებმა ფიცი მისცემა დაიწყეს. თითო-თითოდ მოდიოდნენ, ემთხვეოდნენ ჯვარცმას და მერე თაყვანს სცემდნენ ცრუმოსახელეს. გარნიზონის ჯარისკაცებიც იქვე იდგნენ. როტის თერძიც იქ იყო და თავისი ბლაგვი მაკრატლით მან ნაწნავებს აჭრიდა. ისინი იბერტყებოდნენ, ემთხვეოდნენ პუგაჩოვს ხელზე, იგიც პატიებას უცხადებდა და თავის ბრბოში იღებდა. ყოველივე ამან სამ საათამდე გასტანა. ბოლოს პუგაჩოვი წამოდგა სავარძლიდან და ჩამოვიდა კიბეზე თავისი მამასახლისების თანხლებით. მას მდიდრულად შეკმაზული თეთრი ცხენი მიჰგვარეს. ორმა კაზაკმა უნაგირზე შესვა. მან მღვდელ გერასიმეს გამოუცხადა, სადილად შენთან ვარო. ამ დროს გაისმა ქალის კივილი. რამდნეიმე ავაზაკმა კიბესთან გამოათრია გაწეწილი და მთლად გაშიშვლებული ვასილისა ეგოროვნა. ერთი მათგანი უკვე გამოწყობილიყო იმის ქათიბში, სხვები მიათრევდნენ ყურთუკის ბალიშებს, სკივრებს, ჩაის მოწყობილობას, თეთრეულობას და ყოველივე ხარახურას.
- ხალხო! - ყვიროდა საცოდავი დედაბერი. - მომკალით! გევედრებით. მიმიყვანეთ ივან კუზმიჩთან! უცებ მან შეხედა სახრჩობელას და იცნო თავისი ქმარი. - მხეცებო! - შეჰკივლა სასოწარკვეთით. - ეს რა უყავით მას? ჩემო თვალის სინათლევ, ივან კუზმიჩ, მამაცო მეომარო! შენ ვერ შეგეხო ვერც პრუსიელი ხიშტი, ვერც თურქების ტყვიები: სახელოვან ბრძოლაში კი

გასწირე სიცოცხლე. არამედ გამოქცეული კატორღელის ხელით დაიღუპე!
- გააჩუმეთ ეგ კუდიანი ბებერი! - თქვა პუგაჩოვმა. ამ დროს ახალგაზრდა კაზაკმა დაჰკრა თავში ხმალი და ვასილისა ეგოროვნა უსულოდ დაეცა კიბეზე. პუგაჩოვი წავიდა; ხალხი მას გამოუდგა.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

დაუპატიჟებელი სტუმარი

დაუპატიჟებელი სტუმარი
თათარზე უარესია

ა ნ დ ა ზ ა

მოედანი დაცარიელდა. მე ისევ ერთ ადგილზე ვიდექი და ამდენ საზარელ შთაბეჭდილებათაგან აფორიაქებული აზრები ვერ მომეწესრიგებინა.
მარია ივანოვნას უამბობთ უზომოდ შეწუხებული ვიყავი, სადაა? რა დღეშია? მოასწრო თუ არა დამალვა? საიმედოა მისი თავშესაფარი? მშფოთვარე ფიქრებით აღსავსე შევედი კომენდატის სახლში. . .
სრული სიცარიელე სუფევდა; სკამები, მაგიდები, სკივრები დამტვრეული ეყარა, ჭურჭელი დალეწილი, ყოველივე დატაცებული იყო. პატარა კიბეზე ავირბინე და პირველად ჩემს სიცოცხლეში შევედი მარია ივანოვნას ოთახში. მისი საწოლი ავაზაკებს აეწეწათ; კარადა დაემტვრიათ და გაეძარცვათ; ბაზმაკი ჯერ კიდევ ბჟუტავდა დაცარიელებული სახატის წინ. პატარა სარკეც გადარჩენილიყო, ნიშში რომ ეკიდა. . . სადღა იყო ამ კდემამოსილი, საქალწულე საკნის პატრონი? საშილენმა აზრმა გამიელვა: მე იგი ავაზაკების ხელში წარმოვიდგინე. . . გული შემეკუმშა. . . მწარედ ავქვითინდი და ხმამაღლა წარმოვთქვი ჩემი მიჯნურის სახელი. . . იმავე წუთში რაღაცა ოდნავ გაიხმაურა და კარადის უკნიდან გაფითრებული და აკანკალებული პალაშა გამომეცხადა.
- აჰ, პიოტრ ანდრეიჩ? - წამოიძახა მან და ხელები გაასავსავა. - ეს რა დღე გაგვითენდა! რა საშინელებას მოვესწარით!
- მარია ივანოვნა? - მოუთმენლად შევეკითხე, - რა დღეშია მარია ივანოვნა?
- ქალბატონი ცოცხალია, - მიპასუხა პალაშამ, - აკულინა პაფილოვნასთანაა დამალული.
- მღვდლის ცოლთან! - შევყვირე თავზარდაცემულმა. - ღმერთო ჩემო, იქ ხომ პუგაჩოვია!. . .
ოთახიდან გამოვვარდი, თვალისდახამხამებაში ქუჩაში გავჩნდი და მღვდლის სახლისაკენ თავპირისმტვრევით გავქანდი; ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვგრძნობდი. იქ ყვირილი, ხარხარი და სიმღერა ისმოდა. . . პუგაჩოვი ქეიფობდა ამხანაგებითურთ. პალაშა სირბილით მომყვა და აკულინა პამფილოვნას გამოსაძახებლად შევგზავნე. მღვდლის ცოლი იმავე წუთას გამოვიდა.
ხელში ცარიელი შტოფი ეჭირა.
- ღვთის გულისათვის! სადაა მარია ივანოვნა? - შევეკითხე უზომოდ აღელვებული.
- ჩემს საწოლში წევს ჩემი გვრიტიკო, ტიხარს იქით, - მიპასუხა მღვდლის ცოლმა. - იცით,

პიოტრ ანდრეიჩ! ცოტა გაწყდა, უბედურება არ გადგვატყდა თავს, მაგრამ, მადლობა უფალს, ყველაფერი კეთილად დასრულდა: ის იყო სუფრას მოუჯდა ის ავაზაკი, რომ ერთი ამოიოხრა იმ საბრალომ. . . იქვე გავქვავდი. ყური მოჰკრა: "ეს ვინაა შენთან რომ ოხრავს, შე ბებრუცანაო?"
- ჩემი ძმისწულია, ხელმწიფევ; ავადაა, ეს მეორე კვირაა წევს-მეთქი, - მოვახსენე და თაყვანი ვეც მაწანწალას.
- ახალგაზრდაა შენი ძმისწული?
- ახალგაზრდა გახლავთ, ჩემო ხელმწიფევ!
- აბა, მიჩვენე, ბებრუცანა, ეგ შენი ძმისწული. - გული მუცელში ჩამივარდა, მაგრამ რას ვიზამდი!
- ინებე, ხელმწიფეო, მხოლოდ გომბიო ვერ ადგება და ვერ გეახლება?
- არა უშავს რა, ბებრუცანა, მე თვითონ წავალ და ვნახავ. . .- და როგორა გგონია? შევიდა ტიხრულში ღვთისგან შეჩვენებული, გასწია კიდეც ფარდა, დააცქერდა თავის ქორის თვალებითდა. . . არაფერი. . . უფალმა დაგვიფარა. დაიჯერებ თუ არა, შვილო, მე და ჩემი ქმარი უკვე განვემზადეთ მოწამებრივი სიკვდილისათვის. საბედნიეროდ, ჩემმა გვრიტმა იგი ვერ იცნო. ღმერთო ძლიერო, მოვესწარით დღესასწაულსა და ეგ არის! საბრალო ივან კუზმიჩ! ვინ წარმოიდგენდა!. . . ვასილისა ეგოროვნა?! ივან იგნატიჩი? და რიღასთვის? თქვენ კი როგორღა გადაურჩით? შვაბრინი უნდა განახათ, ალექსეი ივანიჩი! თავი მრგვლად შეიკრიჭა და აგერ ჩვენსა იმათთან ერთად ქეიფობს! მოხერხებულია, თქმა არ უნდა. მე რომ ავადმყოფი ძმისწული ვახსენე, დაიჯერებ თუ არა, ისე შემომხედა, თითქოს გულში დანა გამიტარაო; არც კი გამცხა: ამისთვისაც მადლობელი ვარ. . .
ამ დრო გაისმა გალეშილი სტუმრების ყვირილი და მამა გერასიმეს ხმა. სტუმრები ღვინოს მოითხოვნდნენ, სახლის პატრონი დიასახლისს ეძახდა. მღვდლის ცოლი დაფაცურდა.
- წადით შინ, პიოტრ ანდრეიჩ, - მითხრა მან; - თქვენთვის არა მცალია, ქეიფობენ შეჩვენებულები. უფალმა გაშოროთ მთვრალებს ხელში ჩაუვარდეთ. მშვიდობით, პიოტრ ანდრეიჩ, რაც იქნება - იქნება, ვინძლო უფალმა არ გაგვწიროს!
მღვდლის ცოლი წავიდა; მეც შინ წამოვედი, ოდნავ დამშვიდებული ვიყავი. მოედანს რომ ჩავუარე, რამდენიმე ბაშკირელი დავინახე სახრჩობელასთან ფუსფუსებდნენ, ჩამოხრჩობილთ ჩექმებს ხდიდნენ; ძლივს დავიცრე აღფოთება, ვგრძნობდი, რომ თავგამოდება საქმეს ვერ უშველიდა. ციხე-სიმაგრეში ავაზაკები დარბოდნენ და ოფიცრების სახლებს ძარცვავდნენ. ყველგან გაისმოდა გალეშილ აჯანყებულთა ყვირილი. მივედი შინ. საველიჩი კარებშივე მომეგება.
- მადლი უფალს! - დაიყვირა მან, - ვიფიქრე, წყეულებმა ისევ ხომ არ დაიჭირეს-მეთქი. პიოტრ ანდრეიჩ! დაიჯერებ თუ არა? მთლიანად გაგვძარცვეს ამ ავაზაკებმა. ტანისამოსი, საცვლები, ნივთები, ჭურჭლეულობა - არაფერი შეგვარჩინეს. რა გაეწყობა, მადლი უფალს, რომ შენ ცოცხალი გამოგიშვეს. ატამანი კი ვერ იცანი?
- ვერა, ვერ ვიცანი, ვინ არის ვითომ?
- როგორ! დაგავიწყდა კიდეც ის ლოთი, ტრაქტირში ბეწვის ჯუბა რომ დაგცინცლა?! სრულიად ახალი იყო კურდღლის ტყავის ჯუბა, იმ პიურტყვმა კი ნაკერებზე გაფხრიწა, ძალით რომ იცვამდა.
გავვოცდი. მართლაც, პუგაჩოვსა და ჩემს გამძღოლს შორის საოცარი მსგავსება იყო. დავრწმუნდი, რომ პუგაჩოვი და ის ერთი და იგივე პირი იყო და მაშინ მივხვდი ჩემი

შეწყალების მიზეზს. გარემოებათა უცნაურმა გადახლართვამ გამაოცა: ბავშვის ჯუბამ, მაწანწალას რომ ვაჩუქე, მარყუჟისაგან დამიხსნა და ლოთი, რომელიც ტრაქტირში დაძრწოდა, ახალ ციხე-სიმაგრეებს ალყას არტყამდა და სახელმწიფოს აზანზარებდა!
- არაფერს მიირთმევ? - შემეკითხა საველიჩი ჩვეულებისამებრ. - შინ არაფერი მოგვეძებნება. წავალ, გავქექავს და რასმე მოგიმზადებ.
მარტო რომ დავრჩი, თავი ფიქრებს მივეცი. როგორ მოვიქცე? დარჩენა იმ ციხში, რომელიც ბოროტმოქმედებს ემორჩილებოდა, ან მისი ბრბოს გაყოლა, ოფიცერს არ ეკადრებოდა. ვალდებული ვიყავი იქ გამოვცხადებულიყავი, სადაც შეიძლებოდა ამ გასაჭირში ჩემი სამსახური კიდევ გამოსდგომოდა სამშობლოს. . . მაგრამ სიყვარული დაჟინებით მირჩევდა მარია ივანოვნასთან დავრჩენილიყავი და ვყოფილიყავი მისი მფარველი და შემწე. თუმცა წინასწარ ვხედავდი, რომ გარემოება გამოიცვლებოდა, მაგრამ მას რომ განსაცდელში წარმოვიდგენდი, ჟრუანტელი მივილია.
ეს ფიქრები ერთმა კაზაკმა შემაწყვეტინა, უეცრად მოირბინა და გამომიცხადა:
- დიდებული ხელმწიფე გიბარებს.
- სად არის? - შევეკითხე და მზად ვიყავი დავმორჩილებოდი.
- საკომენდანტონში, - მიპასუხა ავაზაკმა. - ნასადილევს ჩვენი ხელმწიფე აბანოში წაბრძანდა და ახლა ისვენებს. ყველაფერში ეტყობა, რომ დიდი კაცია, თქვენო კეთილშობილებავ!
სადილად ორი შემწვარი გოჭი მიირთვა, ორთქლს კი აბანოში ისეთს იკეთებს, რომ ტარას კუროჩკინმავ კი ვერ გაუძლო, ცოცხი ფომკა ბიკბაევს გადასცა და ცივი წყლით ძლივს მოსულიერდა. თქმა არ უნდა: ყველაფერში დიდკაცური ქცევა აქვს. . . ამბოენ, აბანოში სამეფო ნიშნებიც უჩვენებია მკერდზე: ერთ გვერდზე ორთავიანი არწივი, შაურიანის სიფართე, მეორეზე კიდევ თავისი სახე.
საჭიროდ არ ვცანი კაზაკს გამოვდავებოდი და მასთან ერთად კომნდატის სახლისაკენ გავწიე. წარმოვიდგინე პუგაჩოვთან შეხვედრა და ვცდილობდი წინასწარ მივხვედრილიყავი, რით გათავდებოდა ის. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მე არ შემეძლო ვყოფილიყავი დამშვიდებული.
ბინდდებოდა, კომენდატის სახლთან რომ მივედი. შავ საშინელებად მოჩანდა სახრჩობელა თავისი მსხვერპლებით. კომენდანტის საცოდავი მეუღლის გვამი ისევ ისევ ისე კიბესთან ეგდო, სადაც ორი კაზაკი იდგა ყარაულად. ჩემი მომყვანი კაზაკი მოსახსენებლად შევიდა, უმალვე დაბრუდნა და იმ ოთახში შემიყვანა, სადაც წინადღით ეგზომ ნაზად ვეთხოვებოდი მარია ივანოვნას.
უჩვეულო სურათი წარმომიდგან. სუფრაგადაფარებულ მაგიდას, რომელიც შტოფებითა და ჭიქებით იყო სავსე, უსხდნენ პუგაჩოვი და კაზაკთა ათიოდე უხუცესი, ქუდმოხდილნი, ფერად ხალათებში გამოწყობილნი. ღვინით შეხურებულნი იყვნენ, სახე უღაჟღაჟებდათ, თვალები გაბრწყინებული ჰქონდათ. მათ შორის არ იყო არც შვაბრინი, არც ჩვენი ურიადნიკი, ახლადშეძენილი მოღალატენი.
- აა, თქვენო კეთილშობილებავ! - თქვა პუგაჩოვმა ჩემს დანახვაზე, - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; პატივისცემა და ადგილი, გთხოვთ!
თანამოსაუბრეებმა მიიწ-მოიწიეს. მე უხმოდ ჩამოვჯექი მაგიდის კუთხეში. ჩემმა მზეობელმა, ტანადმა და ლამაზმა ახალგაზრდა კაზაკმა დამისხა ერთი ჭიქა უბრალო ღვინო, რომელსაც არ მივკარებივარ. ცნობისმოყვარეობით შევათვალიერე ეს ყრილობა. პუგაჩოვი სუფრის თავში

იჯდა, მაგიდას დაყრდნობოდა და თავისი ფართო მუშტი შავ წვერ ქვეშ ამოედო. სწორი და საკმაოდ სასიამოვნო სახის მოყვანილეობა სისასტიკეს სრულიად არ გამოხატავდა. ხშირად მიმართავდა ორმოციოდე წლის კაცს, ხან გრაფს ეძახდა მას, ხან ტიმოფეიჩს, ხან ბიძას. ერთმანეთშ ამხანაგურად ეპყრობოდნენ და არავითარ განსაკუთრებულ უპირატესობას არ ამჟღავნებდნენ თავიანთი წინამძღოლისადმი. ბაასი შეეხებოდა დილანდელ იერიშს, აჯანყების წარმატებებს და მომავალ მოქმედებას. ყველა ტრაბახობდა, ყველა თვის აზრს გამოთქვამდა და თავისუფლად ედავებოდა პუგაჩოვს. ამ უცნაურ სამხედრო თათბირზე გადაწყდა ორენბურგზე გალაშქრება, ეს თავხედი მოძრაობა, რომელიც, ცოტას გაწყდა, საუბერუდო წარმატებით არ გათავდა. ლაშქრობა მეორე დღისათვის გამოცხადდა.
- აბა, ძმებო! - წამოიძახა პუგაჩოვმა, - ძილის წინ ჩემი საყვარელი სიმღერა შემოვძახოთ, დაიყწე ჩუმკოვ!
ჩემმა მეზობელმა წვრილი ხმით გააბა ნაღვლიანი ბურლაკური სიმღერა და ყველამ ერთად ხმა მისცა:

ნუ ხმაურობ, დედილო, ქოჩრიანო მუხნარო,
ხელს ნუ შემიშლი მზეჭაბუკმა ფიქრი ვიფიქრო.
ხვალ უნდა წარვუდგე მზეჭაბუკი მრისხანე მსაჯულს,
თვითონ ხელმწიფემ ეს ტლუ ბიჭი უნდა დამკითხოს.
და აჰა, მკითხავს მეფე-ხელმწიფე ტახტზე მჯდომარე:
აბა, მითხარი გულახდილად შენ, გლეხისშვილო,
ვისთან ქურდობდი, ავაზაკობდი, ვინ იყვნენ შენთან ამხანაგებად?
სიმართლეს გეტყვი, ქრისტიანო, ჩემო ხელმწიფევ!
სიმართლეს გეტყვი - ოთხნი მყავდნენ ამხანაგებად:
ჩემი პირველი ამხანაგი ბნელი ღამეა,
და მეორე ამხანაგი - ფოლადის დანა;
მესამეა ჩემი ცხენი, ჭირში ერთგული,
და მეოთხე - მომართული მშვილდის კამარა,
შიკრიკები კი ისრებია გამოწყობილი,
გამომიცხადებს მაშინ მეფე ქრისე მოსილი.
დიდება შენდა, გლეხისშვილო, ომახიანო,
ქურდობაც იცი, ენაც გიჭრის პასუხისათვის!
სამაგიეროდ, ღირსეულად დაგასაჩუქრებ:
სასახლეს მოგცემ ორ ბოძზე დამდგარს, დირეგადებულს.

შეუძლებელია გადმოცემით, როგორ იმოქმედა ჩემზე ამ მარტივმა ხალხურმა სიმღერამ სახრჩობელაზე, რომელსაც მღეროდნენ ისინი, ვისაც თვითონ ელოდა სახრჩობელა. მათმა მრისხანე სახეებმა, შეწყობილმა ხმებმა, ამ ისედაც ნაღვლიანი სიტყვების ნაღვლიანმა გამოთქმამ, სულ მთლად შემაძრწუნა.
სტუმრებმა თითო კიდევ გადაკრეს, წამოიშალნენ და პუგაჩოვს გამოეთხოვნენ. მეც დავაპირე მათი გაყოლა, მაგრამ პუგაჩოვმა მითხრა: "დაჯექ, მინდა მოგელაპარაკოო". პირისპირ დავრჩით.

რამდენიმე წუთს ორივენი ვდუმდით. პუგაჩოვი დაკვირვებით მაცქერდებოდა და ხანდახან მარცხენა თვალს მოჭუტავდა უცნაური, ცბიერი და დამცინავი გამომეტყველებით. უეცრად ისე მხიარულად გაიცინა, რომ მისმა შემხედვარემ, არ ვიცი რისთვის, მეც სიცილი დავიწყე.
- რაო, თქვენო კეთილშობილებავ? - მითხრა მან. - გამოტყდი, ხომ შეგეშინდა, ჩემმა ბიჭებმა კისერზე თოკი რომ შეგაბეს?. . ვგონებ, ცა ცხვრის ტყავად მოგეჩვენა, ჰა!. . . აპორწიალდებოდი კია, შენი მსახური რომ არა. . . მაშინვე ვიცანი ის გადაღრძუებული. ჰა? იფიქებდი კი, თქვენო კეთილშობილებავ, რომ კაცი, რომელმაც ტრაქტირში მიგიყვანა, თვით დიდი ხელმწიფე იყო? (აქ მან დარბაისლური და იდუმალი გამომეტყველება მიიღო). შენ ძლიერ დააშავე ჩემთან, - განაგრძო მან, - მაგრამ მე შენ შენი გულკეთილობისათვის შეგიბრალე, შეგიბრალე იმიტომ, რომ სამსახური გამიწიე მაშინ, როდესაც იძულებული ვიყავი ჩემს მტრებს დავმალვოდი. ჯერ სადა ხარ! აგრე დაგაჯილდოებ, როცა ჩემს სამეფოს მივიღებ! მპირდები გულმოდგინედ მემსახურო?
ამ სალახანას კითხვა და მისი უტიფრობა იმდენად უცნაური მომეჩვენა, რომ ჩამეცინა.
- რაზე იცინი? - შემეკითხა მოღუშული. - ეგებ არა გჯერა, რომ მე დიდი ხელმწიფე ვარ? პირდაპირ მიპასუხე.
შევკრტი. მე არ შემეძლო მაწანწალა ხელმწიფედ მიმეჩნია: ეს მიუტევებელ სულმდაბლობად მიმაჩნდა. თვალდათვალ მატყუარა დამეძახა, თავის დაღუპვა იქნებოდა თანაც ის, რისთვისაც მზად ვიყავი სახრჩობელასთან, საჯაროდ და პირველი აღშფოთების წუთებში, აქ უბრალო მეტიჩრობად ჩავთვალე.
შევყოყმანდი. პუგაჩოვი მოღუშული ელოდა ჩემს პასუხს (დღესაც კმაყოფილების ვიგონებ ამ წუთებს), მოვალეობის გრძნობამ დათრგუნა ჩემი ადამიანური სისუსტე. მე ვუპასუხე პუგაჩოვს:
- მისმინე, სრულ სიმართლეს გეტყვი. განსაჯე თვითონ, შემიძლია ხელმწიფედ გცნო? მიხვედრილი კაცი ხარ და თვითონ დაინახავდი, რომ მე ვთვალთმაქცობ.
- მაშ ვინა ვარ, შენი აზრით?
- ღმერთმა უწყის, მაგრამ ვინც უნდა იყო, სახიფათოდ ხუმრობ.
პუგაჩოვმა უცებ შემომხედა.
- მაშ შენ არა გჯერა, რომ მე მეფე ვარ, პიოტრ ფეოდოროვიჩი? - თქვა მან. - კეთილი, მაგრმ განა გაბედულს არ გაუმარჯვდება? ძველად განა გრიშკა ოტრეპიევმა არ იმეფა? ჩემზე რაც გინდა ის იფიქრე, მხოლოდ ნუ ჩამომშორდები. რაში გესაქმება სხვა რამე-რუმე? ვინც მღვდელი არაა, ხუცესია. მემსახურე ერთგულად და მე შენ ფელდმარშლობას, თავადობას მოგცემ. რას იტყვი?
- არა, - ვუპასუხე მე მტკიცედ. - მე წარმოშობით აზნაური ვარ; ხელმწიფე-იმპერატრიცასთვის ფიცი მიმიცია; შენი სამსახური არ შემიძლია. თუ შენ ჩემთვის მართლაც სიკეთე გსურს, გამიშვი ორენბურგს.
პუგაჩოვი ჩაფიქრდა.
- რომ გაგიშვა, იმის პირობას მაინც მომცემ, რომ ჩემს წინააღმდეგ არ იმსახურებ?
- აბა, როგორ შემიძლია მაგას დაგპირდე? - ვუპასუხე მე, - თვითონ იცი, ჩემი ნება არაა: მიბრძანებენ შენს წინააღმდეგ წამოვიდე, წამოვა - რას გავაწყობ. შენ თვითონ ხარ ახლა უფროსი, თვითონ მოითხოვ შენებისგან მორჩილებას. რას ემსგავსება სამსახურზე უარი განვაცხადო, როცა საჭირო იქნება? ჩემი თავი შენს ხელთ არის: გამიშვებ - მადლობელი

ვიქნები; დამსჯი და, ღმერთი იქნება შენი განმსჯელი, მე კი სიმართლე გითხარი.
ჩემმა გულწრფელობამ გააოცა პუგაჩოვი.
- აგრე იყოს, - თქვა მან და მხარზე ხელი დამკრა. - თუ სასჯელია - სასჯელი იყოს, პატიებაა და პატიება. გასწი, ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი გაქვს და რაც გსურს, ისე ჰქენი. ხვალ მ ოდი, გამომეთხოვე, ახლა კი წადი და დაიძინე, მეც ძილი მერევა უკვე.
მოვშორდი პუგაჩოვს და ქუჩაში გამოვედი. მყუდრო და სუსხიანი ღამე იყო. მთვარე და ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და ანათებდნენ მოედანს და სახრჩობელას. ციხეში სიმშვიდე იყო და ბნელოდა. მხოლოდ დუქანში ბჟუტავდ სინათლე და დაგვიანებულ მოქეიფეთა ყვირილი ისმოდა. მღვდლის სახლს შევხედე. დედაბრები და ჭიშკარი დაკეტილი იყო. ეტყობოდა შიგ სრული სიმშვიდე სუფევდა.
შინ დავბრუნდი. იქ შეწუხებული საველიჩი დამხვდა. ჩემზე წუხდა. მაგრამ როცა ჩემი განთავისუფლების ამბავი გაიგო, უზომოდ გაეხარდა.
- მადლობა შენდა, უფალო! - თქვა მან და პირჯვარი გადაიწერა. - ინათოს თუ არა, დავაგდოთ ციხე და წავიდეთ ალალბედზე. ცოტა რამ მოგიმზადე, მიირთვი და მერე დილამდე იძინე დამშვიდებით.
რჩევას დავყევ, მადიანად ვივახშმე, პირდაპირ იატაკზე მივწექი და დავიძინე სულიერად და ფიზიკურად დაქანცულმა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

ტკბილი იყო შენთან შეყრა,
მშვენიერო, ჩინებულო!
ვწუხვარ, ვწუხვარ შენსა გაყრს
თითქოს სულს ვთმობ, ჩემო გულო.

ხ ე რ ა ს კ ო ვ ი

დილაადრიან დოლის ხმამამ გამაღვიძა. წავედი შესაკრებელ ადგილას. პუგაჩოვის ბრბოები უკვე ირაზმებოდნენ სახრჩობელასთან, რომელზედაც ჯერ კიდევ ეკიდნენ გუშინდელი მსხვერპლნი. კაზაკები ცხენებზე ისხდნენ, ჯარისკაცები კი თოფქვეშ იდგნენ. დროშები ფრიალებდა. რამდენიმე ზარბაზანი, რომელთა შორის მე ჩვენი ზარბაზანი ვიცანი, უკვე ზედადგარზე მოეთავსებინათ. მთელი მოსახლეობა აქვე ელოდებოდა ცრუმოსახელეს. კიბესთან ერთ კაზაკს აღვირით ეჭირა ყირგისული ჯიშის მშვენიერი თეთრი ცხენი. მე თვალით კომენდატის მეუღლის გვამს ვეძებდი. ოდნავ გვერდზე გაეთრიათ და ჭილოფი გადაეფარებინათ. პუგაჩოვი ოთახიდან გამოვიდა. ხალხმა ქუდი მოიხადა. პუგაჩოვი კიბეზე შედგა და ყველას მიესალმა. ერთმა უხუცესთაგანმა მას ტომრით შავი ფული მიაწოდა და მან ხალხში პეშვით ფანტვა დაიწყო, ხალხი ყიჟინით ეცა ასაკრეფად და საქმე დაუსახიჩრებლადაც არ გათავებულა. პუგაჩოვს მისი მთავარი თანაზიარნი შემოეხვივნენ. მთ შორის იდგა შვაბრინიც. თვალი თვალში გავუყარეთ; ჩემს თვალებში მას შეეძლო ზიზღი ამოეკითხა, იგი

გაბოროტებული შებრუნდა, თუმცა ცდილობდა დამცინავი გამომეტყველება ჰქონოდა. პუგაჩოვმა ხალხში რომ დამინახა, თავი დამიქნია და თავისთან მიმიხმო.
- გამიგონე, - მომმართა მან, - ამ წუთას გაემგზავრე ორენბურგს და გამოუცხადე გუბერნატორს და ყველა გენერალს, რომ ერთი კვირის შემდეგ მელოდონ. ურჩიე, მშობლიური სიყვარულითა და მორჩილებით დამიხვდნენ, თუ არა და, სასტიკ სასჯელს ვერ ასცდებიან. გზა მშვიდობისა, თქვენო კეთილშობილებავ! შემდეგ მიუბრუნდა ხალხს, შვაბრინზე მიუთითა და თქვა:
- აი, შვილებო, თქვენი ახალი უფროსი. დაემორჩილეთ მას ყველაფერში, ის კი ჩემს წინაშე აგებს პასუხს თქვენზეც და ციხეზეც.
ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. შვაბრინი ციხის უფროსი ხდებოდა, მარია ივანოვნა მის განკარგულებაში რჩებოდა! ღმერთო, რა მოუვა ამ ქალს! პუგაჩოვი კიბეზე ჩამოვიდა. ცხენი მიართვეს. მარდად მოევლო უნაგირს და არ დაუცადა კაზაკებს, რომლებიც მიშველებას აპირებდნენ.
ამ დროს, ვხედავ, ხალხი გამოდის ჩემი საველიჩი, მიდის პუგაჩოვთან და აძლევს მას ერთ ფურცელ ქაღალდს. ვერ მივხვდი, რა ქაღალდი იყო, ან რს გამოელოდა საველიჩი.
- ეს რა არის? - მედიდურად იკითხა პუგაჩოვმა.
- წაიკითხე და მაშინ ინებებ გაგებას, - უპასუხა საველიჩმა.
პუგაჩოვმა ჩამოართვა ქაღალდი და დიდხანს ათვალიერა:
- ეს რა აგიჭრელებია? ჩვენს ბრწყინვალე თვალებს ვერაფერი გაურჩევია. სადაა ჩემი მდივანბეგი?
კაპრალისმუნდირიანი ახალგაზრდა დაუყოვნებლივ მის გვერდით გაჩნდა.
- წაიკითხე ხმამაღლა. - თქვა ცრუმოსახელემ და ქაღალდი მას გადასცა.
მე ძლიერ მაინტერესებდა, რის შესახებ სწერდა ჩემი ლალა პუგაჩოვს. მდივანბეგმა ხმამაღლა, ჩათვლით წაიკითხა შემდეგი:
ორი ხალათი მიტკლისა და ზოლიან აბრეშუმისა, ექვსი მანეთისა.
- ეს რას ნიშნავს? - იკითხა პუგაჩოვმა წარბშეკრულმა.
- უბრძანე განაგრძოს. - უპასუხა დამშვიდებით საველიჩმა. მდივანბეგმა განაგრძო:
- მუნდირი წმინდა მწყვანე მაუდის, შვიდი მანეთისა. მაუდის თეთრი შარვალი, ხუთი მანეთისა. თორმეტი პერანგი ჰოლანდიური ტილოსი სამაჯურებით, ათი მანეთისა. სკივრი ჩაის ჭურჭლით ორი და ათი შაურისა.
- რას როშავს? - გააწყვეტინა პუგაჩოვმა, მე რა მესაქმება რაღაც სკივრთან და შარვალთან სამაჯურებით?
საველიჩმა ჩაახველა და განმარტებას შეუდგა:
- ეს, ჩემო ბატონო, უნდა მოგახსენო, ჩემი ბატონის ქონების ნუსხაა, ბოროტმოქმედებმა რომ გაიტაცეს. . .
- რომელმა ბოროტმოქმედებმა? - იკითხა განრიხებულმა პუგაჩოვმა.
- უკაცრავად, შემცდა, - უპასუხა საველიჩმა, - ბოროტმოქმედებმა არა და, შენმა ბიჭებმა კი აურიეს და დაიტაცეს. ნუ გამიჯავრდები, ცხენი ოთხ ფეხზე დგას და ისიც კი წაიფორხილებს. უბრძანე ბარემ ბოლომდე ჩაიკითხოს.
- ჩაიკითხე, - თქვა პუგაჩოვმა. მდივანბეგმა განაგრძო:
- საბანი ჩითისა, მეორე მერდინისა, ბამბიანი, ოთხი მანეთი. ქურქი მელიისა, ალისფერი

რატინზე, ორმოცი მანეთი. კიდევ კურდღლის ჯუბა, ტრაქტირში თქვენი მოწყალებისადმი ნაჩუქარი, 15 მანეთი.
- ეს კიდევ რა ამბავია? - დაიყვირა პუგაჩოვმა და ცეცხლისფრქვევი თვალები დააბრიალა. მართალი რომ ვთქვათ, შევშინდი საცოდავი ჩემი გამდელისათვის. მას კიდევ უნდოდა რაღაც გენამარტა, მაგრამ პუგაჩოვმა შეაწყვეტინა.
- როგორ გაბედე ჩემთან ასეთი სისულელით მოსვლა? - დაიყვირამან. ქაღალდი ხელიდან გამოგლიჯა მდივანს და საველიჩს სახეში სთხლიშა.
- ჩერჩეტო ბებერო! გაუძარცვიათ! დიდი ამბავი მომხდარა! შენ, შე გადაღრძუებულო ბებერო, შენი დღენი ღმერთს უნდა ევედრო ჩემთვისა და ჩემი ვაჟკაცებისთვის, რომ შენ და შენი ბატონი ამ ჩემი ურჩების გვერდით არ ჰკიდიხართ. . . კურდღლის ჯუბა! მე შენ გიჩვენებ კურდღლის ჯუბას! ვუბრძანებ ცოცხალს გააძრონ ტყავი ჯუბისათვის, იცი თუ არა?
- როგორც გენებოს, - უპასუხა საველიჩმა; - ოღონც მე ყმა გახლავართ და ბატონის ქონებისატვის პასუხისმგებელი.
პუგაჩოვი, ეტყობოდა, სულგრძელად იყო განწყობილი, იგი მიბრუნდა და წავიდა, მეტი არაფერი უთქვამს, შვაბრინი და უხუცესი მას გამოუდგნენ. ბრბო ციხიდან მწყობრად გავიდა. ხალხმა პუგაჩოვი გააცილა. მე მარტო დავრჩი მოედანზე საველიჩთან. ჩემს გამზდელს თავის ნუსხა ხელში ეჭირა და დიდად დანაღვლიანებული სინჯავდა მას.
პუგაჩოვის ჩემდამი კეთილგანწყობილებას რომ ხედავდა, მოინდომა ამით ესარგებლა, მაგრამ ეს ბრძნული განზრახვა არ შეუსრულდა. დატუქსვა მინდოდა მისი ასეთი უადგილო მზურნველობისათვის და სიცილი ვეღარ შევიკავე.
- იცინე, ბატონო, იცინე, - მიპასუხა საველიჩმა. - იცინე და როცა ხელახლა დაგჭირდება მთელი ქოენბის შეძენა, მაშინ ვნახოთ, სასაცილო იქნება თუ არა.
მე მღვდლისას გავეშურე მარია ივანოვნას სანახავად. მღვდლის ცოლმა ცუდი ამბავი დამახვედრა. ღამით მარია ივანოვნასთვი ციებ-ცხელებას დაუწყებინებია. იგი უგონოდ იწვა და ბოდავდა. მღდლის ცოლმა იმის ოთახში შემიყვანა. მე ნელა მივუახლოვდი მის საწოლს. თავზარი დამცა მისი სახის ცვლილებამ. ავადმყოფმა ვერ მიცნო. დიდხანს ვიდექი მის წინ და არაფერი მესმოდა არც მამა გერასიმესი და არც მისი მეუღლისა, რომლებიც მგონი მამშვიდებდნენ. შავი ფიქრები მაღელვებდა. საბრალო, უმწეო ობლის მდგომარეობა, რომელიც გამხეცებული მემაბოხეების ხელში დარცა, და ჩემი უსუსურობა მაშინებდა. შავბრინი, შავბრინი ყველაზე მეტად სტანჯავდა ჩემს წარმოდგენას. ცრუმოსახელისაგან უფლებამოსილი ოფროსი ციხისა, სადაც რჩებოდა უმწეო ქალი, მისი სიძულვილის უნდანაშაულო მსხვერპლი. რა არ შეეძლო მას ჩაედინა? რა უნდა მექნა? როგორ მეშველა? როგორ დამეხსნა იგი ამ ავაზაკის ხელიდან? ერთი საშველიღა იყო: გადავწყვიტე ციხის განთავისუფლება და შეძლებისდაგვარად ხელი შემეწყო ამ მაბისათვის. მე გამოვეთხოვე მღვდელს და აკულინა პამფილოვნას, რომელსაც გულმხურვალედ ჩავაბარე ის, ვისაც უკვე ჩემს მეუღლედ ვთვლიდი, ავწიე საცოდავი ქალის ხელი, ვაკოცე და ცხარე ცრემლებით განვბანე.
- მშვიდობით, - მეუბნებოდა მღდლის ცოლი გაცილებისას, - მშვიდობით პიოტრ ანდრეიჩ! ვინძლო უკეთეს ყოფაში ვნახოთ კიდევ ერთიმეორე. არ დაგვივიწყოთ და ხშირად მოგვწერეთ. სბრალო მარია ივანოვნას ახლა თქვენს მეტი არავინ აბადია ნუგეშად და პატრონად. მოედანზე გამოვედი, წუთით შევჩერდი, შევხედე სახრჩობელას, თაყვანი ვეცი მას, გავედი

ციხიდან და გავწიე ორენბურგის გზაზე საველიჩის თანხლებით, რომელიც არ მშორდებოდა. ფიქრებში გართული მივდიოდი, რომ უკანიდან ცხენის ფეხის ხმა მომესმა. მივიხედე და ვხედავ: ციხიდან მოაჭენებს კაზაკი, მარქაფად მოჰყავს ბაშკირული ცხენი და ხელს მქნევს. მე შევჩერდი და მალე ვიცანი ჩვენი ურიადნიკი. მოაჭენა, ჩამოხტა თავის ცხენიდან, გადმომცა მეორე ცხენის აღვირი და მითხრა: "თქვენო კეთილშობილებავ! ჩვენმა მამამ გიბოძათ ცხენი და საკუთარი ქურქი (უნაგირზე მიკრული იყო ცხვრის ქურქი). . . და კიდევ, - განაგრძო ბორძიკით ურიადნიკმა, - მან თქვენ გიბოძათ. . . ათი შაური ფულად. . . მაგრამ ის მე გზაში დამებნა. სულგრძელობით მაპატიეთ".
საველიჩმა ალმაცერად შეხედა და წაიბუზღუნა: - გზაში დაებნა! მაშ ეგ უბეში რა გიჩხრიალებს? უნამუსო!
- უბეში რა უნდა მიჩხრიალებდეს? - მიუგო ურიადნიკმა უტიფრად, - მოგცლია, მოხუცო! აღვიღი ჩხრიალებს და არა ათი შაური.
- კეთილი, - ვთქვი მე და დავა შევწყვიტე. - მადლობა უთხარი ჩემ მაგიერ, ვინც შენ გამოგგზავნა, ხოლო დაფანტული ათი შაური იქითობას მოძებნე და მისი არაყი გადაჰკარი.
- დიდად გმადლობთ, თქვენო კეთილშობილებავ, - მიპასუხა მან და ცხენი მიაბრუნა, - მარად თქვენი მლოცველი ვიქნები.
ამ სიტყვებით მან უკანვე გააჭენა ცხენი. ცალი ხელინ უბეზე ჰქონდა მიდებული და ერთი წუთის შემდეგ თვალს მიეფარა.
მე ქურქი ჩავიცვი, შევჯექი ცხენზე და საველიჩი უკან შემოვისვი.
- აი, ხომ ხედავ, - მითხრა მოხუცმა, - რომ მე ამაოდ არ მიმიცია არზა ავაზაკისთვის. შერცხვა ქურდს, თუმცა ბაშკირული ჩინდრიკა ცხენი და ცხვრის ქურქის იმის ნახევრადაც არა ღირს, რაც იმ სალახანებმა ჩვენ მოგვპარეს და რაც მას თქვენ თვითონ უბოძეთ, მაგრამ მაინც გამოგვადგება; ყვავს კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ქალაქის გარემოცვა

რა დაიჭირა ველნი, გორანკი,
ვითა არწივი, მაღლიდან ქალაქს გასცქერდა.
ბანაკს ზურგს იქით გააკეთა მან ხაროები,
შიგ ქვემეხები რა დამალა, ღამით ქალაქს სცა.
ხ ე რ ა კ ო ვ ი.
ორენბურგს რომ მივუახლოვდით, დავინახეთ ჯალათის მარწუხით დასახიჩრებულსხეებიანი, თავგადაპარსული ბრბო ხუნდებიანი ტუსაღების; ისინი სიმაგრეების ახლოს მუშაობდნენ ციხის ინვალიდების ზედამხედველობით. ზოგს ურმებით ამოჰქონდა ნაგავი, რომელსაც თხრილების ამოევსო, ზოგნი მიწას თხრიდნენ. ქვის მუშები აგურს ეზიდებოდნენ და ქალაქის კედელს ამაგრებდნენ. სნგრებთან დარაჯებმა გაგვაჩერეს და პასპორტები მოგვთხოვეს. როგორც კი სერჟანტმა გაიგო, რომ მე ბლოგორის ციხიდან მოვდივარ, იმავე წუთს პირდაპირ გენერლის სახლში წამიყვანა.
მე ის ბაღში დამიხვდა. ვაშლიხ ხეებს ათვალიერებდა, რომლებიც შემოდგომის სუთქვას

გაეტიტვლებინა; მოხუცი მებაღის დახმარბით ფრთხილად ფუთნიდა მათ თბილი ჩალით. მისი სახე გამოხატავდა სიმშვიდეს, ჯანრთელობას და გულკეთილობას. მას გაუხარდა ჩემი ნახვა და გამოკითხვა დამიწყო იმ საშინელებების შესახებ, რომელთა მოწმეც მე ვიყავი. ყველაფერი ვუამბე. მოხუცი ყურადღებით მისმენდა და თან ხმელ შტოებს სხეპდა.
- საბრალო მირონოვი! - თქვა მან, როცა დავასრულე ჩემი სამწუხარო მოთხრობა. - მებრალება, კარგი ოფიცერი იყო. მადამ მირონოვიც კეთილი ქალბატონი იყო, ან როგორ ოსტატურად ამარილებდა სოკოს! მაშა როგორღაა, კაპიტანის ქალი?
მე მივუგე, რომ იგი ციხში დარჩა მღვდლის ცოლთან.
- ჰაი, ჰაი! - შენიშნა გენერალმა. - ეს ცუდია, ძალიან ცუდია. ავაზაკების დისციპლინის მინდობა შეუძლებელია. რა მოუვა საბრალო გოგოს?
ვუპასუხე, რომ ბელოგრის ციხემდე შორს არაა და უთოდ, მისი აღმატებულება არ დააყოვნებს ჯარის გაგზავნას საბრალო მცხოვრებთა დასახსნელად. გენერალმა ყოყმანით გაიქნია თავი.
- ვნახოთ, ვნახოთ, - თქვა მან. - ამაზე კიდევ მოვასწრებთ მსჯელობას. გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთან ჩაიზე; დღეს მე სამხედრო თათბირი მექნება. თქვენ შეგიძლიათ სწორი ცნობები მოგვაწოდოთ იმ უქნარა პუგაჩოვზე და მის ჯარზე, ჯერ კიდევ წადით და დაისვენეთ.
წავედი ჩემთვის მიჩენილ ბინაზე, სადაც საველიჩი უკვე ფუსფუსებდა; მოუთმენლად ველოდი დანიშნულ დროს. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რომ მე დაუყოვნებლივ გამოვცხადდი იმ თათბირზე, რომელსაც ესოდენ გავლენა უნდა მოეხდინა ჩემს ბედ-იღბალზე. დანიშნულ საათს უკვე გენერალთან ვიყავი.
მასთან დამხვდა ქალაქის ერთი სქელი მოხელეთაგანი, მახსოვს, საბაჟოს დირექტორი, სქელი და ღაჟღაჟა მოხუცი, გლასეტის კაფტანში. მან დამიწყო გამოკითხვა ივან კუზმიჩზე, რომელსაც ნათილმამობით იხსენიებდა, ხშირად მაწყვეტინებდა ნართაული კითხვებით და დარიგებით, რომელიც თუ მის მიერ სამხედრო ხელოვნების ცოდნას არ მოწმობდა, მის მიხვედრილობას და ბუნებრივ გონიერებას მაინც ამჟღავნებდა. ამასობაში სხვა წვეულნიც შეგროვდნენ. როცა ყველანი დასხდნენ და ყველას მიართვეს თითო ფინჯანი ჩაი, გენერალმა ფრიად ვრცლად და ნათლად მოახსენა საქმის ვითარება:
- ახლა, ბატონებო, - განაგრძო მან, - გადასაწყვეტია, როგორ უნდა ვიმოქმედოთ მეამბოხეთა წინააღმდეგ: შეტევით თუ თავდაცვით? თვითეულ ამ ილეთს თავისი სასარგებლო და საზიანო მხარე აქვს. სეტევითი მოქმედება მეტ იმედზ იძლევა მტრის მალე განადგურებისათვის; თავდაცვითი მოქმედება კი უფრო საიმედოა და უშიშარი. . . მაშ ასე, ხმები შევაგროვოთ კანონიერი წესით, ესე იგი დავიწყოთ ხარისხით ყველაზე უმცროსიდან. ბატონო პრაპოშჩიკო! - განაგრძო მან და მე მომიბრუნდა, - კეთილი ინებეთ და გაგვაცანით თქვენი აზრი.
წამოვდექი და მოკლედ ავწერე ჯერ პუგაჩოვი და მისი ბრბო, მერე მეტკიცედ განვაცხადე, რომ ცრუმოსახლეს საშუალება არა ჰქონდა ნამდვილ იარაღს გამაგრებოდა.
ჩემია ზრი მოხელეებმა აშკარა უკმაყოფილებით მიიღეს. მასში ისინი ახალგაზრდა კაცის თავხედობას და წინდაუხედაობას ხედავდნენ, აყაყანდნენ და მე აშკარად გავიგონე ვიღაცამ დაბალი ხმით რომ თქვა სიტყვა - ძუძუმწოვარა. გენერალი მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა:
- ბატონო პრაპორშჩიკო! პირველი ხმები სამხედრო თათბირზე ჩვეულებრივად შეტევის სასარგებლოდაა ხოლმე, ეს კანონიერია. ახლა განვაგრძოთ ხმების მოგროვება. ბატონო

კოლეჟსკი სოვეტნიკო! გვითხარით თქვენი აზრი.
გალესტის კაფტანიანმა მოხუცმა საჩქაროდ დასცალა მესამე ფინჯანი, რომელშიც დიდი რაოდენობის რომი იყო ჩასხმული, და უპასუხა გენერალს:
- მე ვფიქრობ, თქვენო აღმატებულებავ, რომ არ უნდა ვიმოქმედოთ არც შეტევით, არც თავდაცვით.
- ეს როგორიღა იქნება, ბატონო კოლეჟის სოვეტნიკო! - შეეკითხა გაოცებული გენერალი, - სხვა ილეთი ტაქტიკით გათვალისწინებული არ არის: მოძრაობა ან თავდაცვითია, ან შეტევითი. . .
- თქვენო აღმატებულებავ, იმოქმედეთ მოსყიდვით.
- ე-ჰე-ჰე! თქვენი აზრი ფრიად გონიერია. მოსყიდვით მოძრაობას ტაქტიკა იწყნარებს და ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი რჩევით. შეიძლება იმ მაწანაწალას თავში დავპირდთ სამოცდაათ, ან ას მანეთსაც კი. . . საიდუმლო თანხიდან. . .
- და მაშინ, - გააწყვეტინა საბაჟოს დირექტორმა, - ყირგიზული ცხვარი ვიყო და არა კოლეჟსკი სოვეტნიკი, თუ ეს ქურდები თავის ატამანს ხელფეხშეკრულს არ ჩაგვაბარებენ.
- ჩვენ ამაზე კიდევ ვიფიქრებთ და ვითათბირებთ, - უპასუხა გენერალმა, - მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა სამხედრო ზომების მიღებაც. ბატონებო, მიეცით თქვენი მხები კანონიერი წესით.
ყველა აზრი ჩემი აზრის საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ყველა მოხელე ლაპარაკობდა, ჯარები სანდო არ არიანო, გამარჯვება საეგებიო არის ხოლმეო; მოითხოვდნენ სიფრთხილესა და სხვა ამგვარებს. ყველა იმ აზრისა იყო, რომ უფრო გონიერია მაგარი ქვის კედლებს იქით ზარბაზნების საფარველქვეშ ყოფნა, ვიდრე გაშლილ ველზე იარაღით ბედის ცდაო. დაბოლოს, გენერალმა ყველა აზრი რომ მოისმინა, გამობერტყა ჩიბუხიდან ნაცარი და შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:
- უფალნო ჩემნო! მე უნდა გაგიცხადოთ, რომ ჩემი მხრით სრულიად ვეთანხმები ბატონი პრაპორჩიკის აზრს, ეს აზრი დამყარებულია საღი ტაქტიკის ყველა ილეთზე, რომელიც თითქმის ყოველთვის თავდაცვითი მოძრაობის წინაშე უპირატესობას შეტევას აკუთვნებდა. აქ ის შეჩერდა და ჩიბუხის ტენა დაიწყო. ჩემი თავმოყვარეობა ზეიმობდა. მე მედიდურად გადავხედე მოხელეებს, რომლებიც ერთმანეთში უკმაყოფილო და შეწუხებული სახით ჩურჩულებდნენ.
- მაგრამ, უფალნო ჩემნო! - განაგრძო მან და ღრმად ამოოხვრას ბოლის მთელი ნაკადი ამოაყოლა, - მე ვერ გავბედავ ჩემს თავზე ავიღო ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა, როდესაც საქმე შეეხება მისი იმპერატორობით უდიდებულესობის, ჩემი მოწყალე დედოფლისაგან ჩემდამი მონდობილი პროვინციების უშიშროებას. ამრიგად, მე ვეთანხმები ხმების უმრავლესობა, რომლითაც გადაწყდა, რომ ყველაზე გონიერი და უშიშარია ვუცადოთ ქალაქის გარემოცვას, ხოლო მტრის იერიშები არტილერიითა და (თუ შესაძლო გახდება) ციხიდან თავდასხმით მოვიგერიოთ.
ახლა მოხელეებმა შემომხედეს დაცინვით. თათბირი დამთავრდა. მე არ შემეძლო არ დავღონებულიყავი პატივცემული მეომრის სისუსტის გამო, რომელმაც საკუთარი რწმენის წინააღმდეგ გადაწყვიტა მიმხრობოდა უცოდინარ და გამოუცდელ პირთა აზრს.
ამ შესანისნავი თათბირის რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ პუგაჩოვი დაპირებისამებრ ორენბურგს უახლოვდებოდა. მე დავინახე მეამბოხეთა ჯარი ქალაქის კედლების მაღლობებიდან. ისე მომეჩვენა, რომ მათი რიცხვი გაათკაცებულიყო უკანასკნელი იერიშის

შემდეგ, რომლის მნახველიც მე ვიყავი. მათ ჰქონდათ არტილერიაც, რომელიც, პუგაჩოვმა ხელთ იგდო მის მიერ უკვე დაპყრობილი პატარა ციხეებში. თათბირის გადაწყვეტილება რომ მომაგონდა, წინასარ განვსჭვრიტე, რომ ორენბურგის კედლებში დიდი ხნით ვიყავით მომწყვდეული და ბრაზით თითქმის ვტიროდით.
ორენბურგს გარემოცვას აღარ ავწერ, ვინაიდანის ისტორიას ეკუთვნის და არა ოჯახურ ჩანაწერებს. მოკლედ ვიტყვი, რომ ეს გარემოცვა ადგილობრვი ხელისუფლების გაუფრთხილებლობის გამო დამღუპველი გამოდგა მცხოვრებთათვის, რომლებმაც შიმშილი და მრავალი უბედურება გადაიტანეს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ცხოვრება ორენბურგში აუტანელი იყო. ყველანი დაღონებული ელოდნენ თავის ხვედრს; ყველა კვნესოდა საშინელი სიძვირის გამო. მცხოვრებნი მეიჩვივნენ ყუმბარებს, რომლებიც მათ ეზოებში შემოფრინდებოდა ხოლმე; - პუგაჩოვის იერიშებიც კი აღარ იპყრობდა საერთო ყურადღებას. მე მოწყენილობა მკლავდა. დრო გადიოდა. ბელოგოროსი ციხისან წერილები არ მომდიოდა. გზები ყველგან შეკრული იყო. მარია ივანოვნასთან განშორება მოუთმენელი ხდებოდა. ერთადერთი ჩემი გასართობი თარეში იყო. პუგაჩოვის წყალობით მე გვარიანი ცხენი მყავდა, რომელსაც ვუყოფდი ჩემს მწირ საჭმელს და რომლითაც ყოველდღე გავდიოდი ქალაქგარეთ და პუგაჩოვის მხედრებს ვესროდი. ამ თარეშის დროს უპირატესობა ჩვეულებრივად მაძღარი, მთვრალი და კარგცხენებიანი ავაზაკების მხარეზე იყო. ქალაქის გაძვალტყავებული მხედრობა მათ ვერა სჯობნიდა. ველზე ხანდახან ჩვენი მშიერი ქვეითი ჯარიც გამოდიოდა, მაგრამ ღრმა თოვლი უშლიდათ გაფანტული მხედრების წინააღმდეგ მოქმედებას. არტილერია ამაოდ სჭექდა სიმაგრის მაღლობებიდან, ველზე კი იფლობოდა და ვერ იძროდა ცხენების დაქანცულობის გამო. ასეთი იყო სამხედრო მოქმედება და ამას ეძახდნენ ორენბურგელი მოხელეები სიფრთხილეს და კეთილგონიერებას. ერთხელ, როდესაც, როგორც იყო, შევძელით კარგა მოზრდილი ბრბოს გაფანტვა და განდევნა, თავისიანებს ჩამორჩენილ ერთ კაზაკს წავაწყდი; ის იყო ჩემი თათრული ხმალი უნდა დამეკრა, რომ უცებ მან ქუდი მოიშვლიპა და დაიყვირა: "გამარჯობა, პიოტრ ანდრეიჩ, როგორა ბრძანდებით?" შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი ჩვენი ურიადნიკი. გამოუთქმელად გამეხარდა მისი ნახვა.
"გამარჯობა, მაქსიმიჩ! - ვუპასუხე მას. - დიდი ხანია, რაც ბელოგორში იყავი?"
- არა, მხოლოდ გუშინ დავბრუნდი, პიოტრ ანდრეიჩ! წერილი მაქვს თქვენთან.
- აბა, სადაა? - შევყვირე მე აღშფოთებულმა.
- აქა მაქვს, - მიპასუხა მაქსიმიჩმა და უბეში ჩაიყო ხელი. - პალაშას დავპირდი როგორმე მომეწოდებინა თქვენთვის. მან დაკეცილი ქაღალდი გადმომცა და უმალვე მოკურცხლა. გავხსენი და ათრთოლებულმა შემდეგი წავიკითხე:
"ღმერთმა ინება ერთბაშად წაერთმია ჩემთვის დედაცა და მამაც. ქვეყნად არ მომეპოვება არც ნათესავები, არც მფარველები. მოგმართავთ თქვენ, რადგანაც ვიცი, რომ ჩემთვის ყოველთვის კარგი გსურდათ და მზადა ხართმ ყველა ადამიანს დაეხმაროთ. უფალსა ვთხოვ, ამ წერილმა როგორმე თქვენამდე მოაღწიოს! მაქსიმიჩი დამპირდა, რომ მოგიტანთ. პლაშას აგრეთვე მაქსიმიჩისაგან გაუგონია, რომ ის თქვენ ხშირად გხედავთ ველზე მოთარეშეს. თურმე თავს სრულიად არ უფრთხილდებით და არა ფიქრობთ იმათზე, ვინც თქვენთვის თვალცრემლიანები უფალს ევედრებიან. მე დიდხანს ვიყავი ავად და როდესაც მოვრჩი, ალექსეი ივანიჩი, რომელიც უფროსობს ჩვენთან მამაჩემის ნაცვლად, მამა გერასიმეს პუგაჩოვით დაემუქრა და აიძულა მე მისთვის გადავეცი, მე ჩვენს სახლში ვცხოვრობ და

მდარაჯობენ. ალექსეი იავნიჩი ძალას მატანს ცოლად გავყვე. ის ამბობს: სიკვდილს გადაგარჩინე იმით, რომ აკულინა პამფილოვნას სიცრუე დავფარე, როცა ავაზაკებს უთხრა, ჩემი ძმისწულიაო. ჩემთვის კი გაცილებით ადვილი იყო სიკვდილი, ვიდრე ისეთი კაცის ცოლობა, როგორიცაა ალექსეი ივანიჩი. ის მე ძალიან სასტიკად მექცევა და მემუქრება: თუ არ მოჭკვიანდები და არ დამთანხმდები, ავაზაკთა ბანაკში წაგიყვან და შენც ის მოგივა, რაც ლიზავეტა ხარლოვასო. მე ვთხოვე ალექსეი ივანიჩს მოფიქრების დრო მოეცა. ის დათანხმდა კიდევ სამ დღეს დაიცადოს, და თუ სამი დღის შემდეგ მისი ცოლი არ გავხდები, აღარ დამინდობს. კეთილო პიოტრ ანდრეიჩ! თქვენ ერთიღა მყავხართ მფარველი. გამომექომაგეთ მე უბედურს. დაითანხმეთ გენერალი და ყველა უფროსი, დაჩქარებით გამოგვიგზავნონ სიკურსი, თვითონაც მოდით, თუ შეგიძლიათ.

ვრჩები თქვენი მორჩილი საბრალო ობოლი
მ ა რ ი ა მ ი რ ო ნ ო ვ ა"
ეს წრილი რომ წავიკითხე, კინაღამ ჭკუაზე შევცდი. ქალაქისაკენ გავქუსლე, თან უწყალოდ ვუტრყამდი დეზებს საბრალო ჩემს ცხენს. გზაში ხან რა ვიფიქრე, ხან რა საბრალო ქალის დასახსნელად და ვერაფერი კი ვერ მოვისაზრე. მივიჭერი თუ არა ქალაქში, პირდაპირ გენერლისაკენ გავწიე და საჩქაროდ შევვარდი მასთნა.
გენერალი ოთახში ბოლთასა სცემდა და თავის ჩიბუხს სწევდა. რომ დამინახა, შეჩერდა; ალბათ ჩემმა სახემ გააოცა; იგი მზურნველობით შემეკითხა ასეთი სისწრაფით მისვლის მიზეზს.
- თქვენო აღმატებულებავ! - ვუთხარი მე. - მოგმართავთ, როგორც საკუთარ მამას, ღვთის გულისათვის, უარი არ მითხრათ ჩემს თხოვნაზე: საქმე შეეხება მთელ ჩემს სიცოცხლესა და ბედნიერებას.
- რა ამბავია, შვილო? - შემეკითხა გაოცებული მოხუცი, - რა შემიძლია შენთვის გავაკეთო? სთქვი.
- თქვენო აღმატებულებავ, მიბრძანეთ წავიყვანო ჯარისკაცთა ერთი რტოა და კაზაკთა ნახევარი ასეული და გამიშვით ბელოგორის ციხის გასაწმენდად.
გენერალი ისე დამაცქერდა, თითქოს გიჟი ვგონებოდე (რაშიაც თითქმის არა სცდებოდა).
- როგორ თუ ბელოგორის ციხის გასაწმენდად? - შემეკითხა იგი.
- პასუხს ვაგებ გამარჯვებისათვის, ოღონდ კი გამიშვით, - ვუპასუხე გაცხარებულმა.
- არა, ჭაბუკო, - თქვა მან თავის ქნევით, - ასეთ დიდ მანძილზე მტერი ადვილად მოგწყვეტს მთავარი სტრატეგიული პუნქტის კომუნიკაციისაგან და სავსებით დაგამარცხებს. მოწყვეტილი კომუნიკაცია. . .
მე შევშინდი, როცა დავინახე, როლმ მან სამხედრო საქმეზე მსჯელობაში შესტოპა და შევეცადე შემეწყვეტინებინა.
- კაპიტანი მირონოვის ქალი, - ვუთხარი მას, - წერილსა მწერს; იგი შველას თხოულობს; შვაბრინი მას ძალას ატანს, რომ ცოლად გაჰყვეს.
- ნუთუ? ოო, ეს შვაბრინი დიდი Schelm 3-აა და თუ ხელში ჩამივარდა, ვბრძანებ 24 საათში გაასამართლონ, ჩვენ მას ციხის პარაპეტზე დავხვრეტთ! მაგრამ ჯერჯერობით უნდა მოვითმინოთ. . .
- უნდა მოვითმინოთ! - შევყვირე მე გაგიჟებულმა, - ის კი ამასობაში ცოლად გაიხდის მარია

ივანოვნას!
- ოჰო! - მიპასუხა გენერალმა, - ეს არცთუ ისეთი დიდი უბედურებაა: მისთვის უმჯობესია ჯერჯერობით შვაბრინის ცოლი იყოს; ახლა შვაბრინს შეუძლია პროტექცია გაუწიოს და როცა დავხვრეტავთ, ღმერთი მოწყალეა და საქმროებიც გამოუჩნდებიან. ცუგრუმელა ქვრივები ქალწულებად არ რჩებიან, ესე იგი მე მინდოდა მეთქვა, რომ ქვრივი უფრო მალე იშოვის ქმარს, ვიდრე ქალიშვილი.
- უმალ სიკვდილს ვირჩევ, - დავიყვირე გახელებულმა, - ვიდრე მას შვაბრინს დავუთმობდე!
- ბა, ბა, ბა, ბა! - გაიკვირვა მოხუცმა. - ახლა კი მესმის: გეტყობა, შენ მარია ივანოვნა გყვარებია. ჰო, ეს სხვა საქმეა! საბრალო ბიჭი! მაგრამ მე მაინც არ ძალმიძს მოგცე ჯარისკაცთა როტა და კაზაკთა ნახევარი ასეული. ეს ექსპედიცია უგუნური იქნებოდა, მე ვერ ვიკისრებ პასუხისმგებლობას.
მე თავი ჩავქინდრე; სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. უცებ თავში აზრმა გამიელვა: რაში მდგომარეობდა იგი, ამას მკითხველი შემდეგ თავში დაინახავს, როგორც იტყვიან ხომლე მოძველებური რომანების დამწერები.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

აჯანყებული დაბა

იმჟამად ლომინ მაძღრად იყო, თუმცა ჯიშით ზარდამცემია.
- რისთვის გარჯილხარ და მობრძანდი ჩემსა ბუნაგში? ჰკითხა
ალერსით მან მისულსა.
ა. ს უ მ ა რ ო კ ო ვ ი

მოვშორდი გენერალს და ჩემი ბინისკენ გავეშურე. საველიჩი თავისი ჩვეულებრივი დარიგებით დამიხვდა.
- რაში გეჭირვება, ბატონო ჩემო, ამ გალეშილ ავაზაკებთან შეხლა-შემოხლა! განა ეს შეშვენის ბოიარინს? ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს: ტყუილუბრალოდ დაიღუპები. კიდევ მესმის, თათარზე მიდიოდე, ან შვეციელზე, თორემა, თქმაც კი უხერხულია. ვისზე. . .
მე მას კითხვით შევაწყვეტინე:
- რამდენი მაქვს სულ ფული?
- გეყოფა, - თქვა მან კმაყოფილებით. - ძალიან აგვაფორიაქეს იმ მაწანწალებმა, მაგრამ მაინც მოვახერხე გადამალვა, - და ამ სიტყვებით მან ჯიბიდან ამოიღო ვერცხლით სავსე ქისა.
- აბა, საველიჩ! - ვუთხარი მას, - ნახევარი მომეცი მე, დანარჩენი კი შენ აიღე, მე ბელოგორის ციხეში მივდივარ.
- პიოტრ ანდრეიჩ! - შეჰყვირა საბრალო გამდელმა აკანკალებული ხმით. - იწამე ღმეთი! როგორ უნდა გაემგზავროთ ისეთ დროს როდესაც იმ ავაზაკების გაო გავლა არსად არ შეიძლება! შენი მშობლები მაინც შეიბრალე, თუ შენი თავი არ გებრალება. სად უნდა წახვიდე? რისთვის? ცოტა დაიცადე: ჯარები მოვლენ, თითო-თითოდ დაიჭერენ იმ მაწანწალებს და მაშინ იარე ოთხივე კუთხივ.

მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო.
- გვიანაა მსჯელობა, - ვუპასუხე მოხუცს. - მე უნდა წავიდე.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE